

114
1978

1978
1010133

ბელორუსი



1978



ენათობი

საბჭოთავი
საქართველო

საბჭოთავი სსრ-ის მთავრობის დასახელებული
და სასაზღვრო საზღვარი-სსრ-ის მთავრობის დასახელებული

წელიწადი 55-ე

№ 11

ნოემბერი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთავი მთავრობის კავშირის ორგანო

შინაარსი

იბაკური პაპიძე — ვი ვილი სივარს... ლექსი	3
მთავრის ფონდისფონდი — ლექსები	4
მთავრის ჯგუფი — ლექსები	8
ჯულიანა მთავრის — ლექსები	12
რამაზ ჯგუფი — მძიმე ჯგუფი. რომანი. დასასრული	16
ლადო სულაბერიძე — ლექსები	46
ნუნუა მთავრის — ლექსები	50
მთავრის ავსტრალიისფონდი — ლექსები	55
მიხა მთავრის — ლექსები	57
მთავრის საბჭოთავი — ჩემი საბჭოთავი, კეთილი ბარბანტი. მოთხრობა	59
რამაზ კოხიძე — მთავრის ფონდისფონდი. რომანი. დასასრული	64
მთავრის კავშირის — ვალენტინი. დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება	103

პრიტიკა და კვლევებისტიკა

საბჭოთავი — ლენინი და მთავრისფონდი	110
მთავრის ჯგუფი — „მთავრის ჯგუფი“ რომელიც სინტონიკის მთავრის	118
პაპიძე მთავრის — მთავრის მთავრის თემა	129
ნუნუა მთავრის — მთავრის მთავრის მთავრის	138
მთავრის ლექსებისფონდი — მთავრის მთავრის მთავრის	147
საბჭოთავი — მთავრის მთავრის, მთავრის მთავრის	152
მთავრის მთავრის — მთავრის მთავრის მთავრის	158
რამაზ მთავრის — მთავრის მთავრის მთავრის	161
მთავრის მთავრის — მთავრის მთავრის მთავრის	180

შინაარსის მიმოხილვა

პაპიძე მთავრის — მთავრის მთავრის	184
მთავრის მთავრის — „მთავრის მთავრის მთავრის“	185
რამაზ მთავრის — „მთავრის მთავრის მთავრის“	189

99851 / 15866
26442

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ანაწურაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუაშვილი, თ. ვიგინიანი, მ. ლა-
ბანიძე, ლ. მამალაშვილი, ა. ხუალაქაძე, ა. ქუთათაძე, ხ. შანთიაშვილი, დ. შანთია-
შვილი, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიანი, თ. ვილახი, ბ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე,
მ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებები

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 98-55-11.
რედაქტორის მოადგილის — 98-55-12, განყოფი-
ლებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწილად 11/X-78 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 24/XI-78 წ., ასაწილად ზომა
7¹/₄ X 12, კაღის ფორმატი 70 X 108¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-სავაჭროცენტრო
თაბახი 16,58.

№ 01212. ტირაჟი 15.250. შეჯ. 2765.
საქ. კვ. ც-ის გამოცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

მორის ფოსტისკრილი

იქმნება რაღაც

სიცოცხლე ვიდრე სიცოცხლეა, იქმნება
რაღაც:

სულიც,
სხეულიც,
თოვლიც,
ნამქერიც...

ხოლო სიკვდილი სიკვდილივით არაფერს
არ ჰგავს,
არაფერივით არარაა, სულ არაფერი!

ვიდრე მე მოვალ, ან ის მოვა დუნედ ან
ლაღად,

ეს სულერთია,
მიწა ფეხქვეშ
ეგება

სახსნის, —

იქმნება ისევ, იმედია იქმნება რაღაც,
არაფერივით არაფერი არაფერს არ ჰქმნის!

ფორტე

სხეულში სული აყვირდა უცებ,
ქუჩაში გული ითხოვდა "შველას,
მაგრამ არავინ ფიქრობდა გულზე,
თავის ტრამვების ელოდა ყველა.

ჰგვანდნენ რელსები დაწვევით ლარებს,
დუმილს კბილებით ეჭირა სითბო, —
ვალდოვლივით ქათქათა მთვარე
იყო ასლო და შორს იყო თითქოს.

მიმქრალი ნაღვერდალი

ნაღვერდალი მიმქრალია
და სინათლედ შეთქმული
სამელნეში გრიგალია
ჯერ არ დაბადებული.

არაფერი არ მომზდარა,
არაფერი არ ხდება, —
არ ინატრო, სულერთია,
არასოდეს ახდება.

ჯერ არ გადაცისკრებულა
სულში გადამალული
დიდებული „აბა ულა“
და სუნსულა „რანნი“

ის მზე მაინც არ ამოვა,
დამიჯერე, ძამია, —
ისეთივე საღამოა,
ისეთივე ღამეა!



წყაროსთან

თუ მომეჩვენა,
 სხვასაც წყურია,
 ო, ჩემზე მეტად წყურია,
 მამინ —
 მე განზე ვდგები,
 მე განზე ვდგები
 და თვალს ვარიდებ წყალს.

• • •

ყველა გრძნობდა რომ
 სუდა, როგორც
 ნარჩენი თოვლი.
 ჯერ კიდევ იდო
 შენს კეთილ გულში.

თბილი სიტყვა,
 რომ ქცეულიყო
 ეს თოვლი ცრემლად,
 ჭირთმანელეებელ
 უწმინდეს ცრემლად.

ო, საკმარისი იყო აღბათ
 უბრალოდ ეთქვათ,
 სულ ორად-ორი

მაგრამ ეს სიტყვა
 არავის უთქვამს.

საავადმყოფოდან გამოსვლისას

ისევ თავიდან! ისევ თავიდან
 იწყება ახლა ბავშვობა შენი! —
 ერთი სიცოცხლე უკვე წავიდა,
 გაპქრა, გაფრინდა ბებრეკა ცხენით.

შენ ახლა ადგამ პირველ ნაბიჯებს,
 უნდა ააგო პირველი პწკარი, —

პირველ სისარულს მზე მოგანიჭებს,
 პირველ გაზაფხულს — აპრილის ქარი!

ისევ თავიდან! ისევ თავიდან
 იწყება ახლა ზმანება რთული! —
 ნუ მსაყვედურობ, მეტი რა გინდა,
 პირველ სიყვარულს განიცდის გული!

• • •

სიკვდილი იყო ჩემთვის
 შენთან შეხვედრა, მაგრამ
 ო, სიყვარულო,
 ჩემს სიცოცხლეს

შენ მივე აზრი
 და
 ჩემს სიკვდილსაც
 მხოლოდ შენი
 ნათელი ადგას!

საშუალო ირონიული



მიმატება, გამოკლება,
გაყოფა და გამრავლება ოდით, —
მეტაფორად ჩამოტყდება
მზეს მზის შუქად მოქცეული ზოდი.

რა იწყება? რა ზარებით
გვამცნობს ჟამი შეუცნობელ შედეგს
გაყოფის და გამრავლების,
მატების და გამოკლების შემდეგ?!

გზამ არ იცის რაა შიში,
შიში მხოლოდ ბორბლებ შორის
შფოთავს, —

ანგარიში! ანგარიში!
ყველაფერში ანგარიში დროთა!

რა ხდება და რა არ ხდება.
მანდ ვინ არი, ვინც გულდაგულ
გვისმენს, —

გაყოფა და გამრავლება,
მატება და გამოკლება ისევ!

ხილვა № 3

თავად გაიხსნა
თვალთმაქცის ყუთი
და ანგელოსი ამოტყვა ნისლეებს,
თუ დედამიწა — კლოუნის ბურთი
მზის სხივზე უხმოდ
ტრიალებს ისევ?!

დრო ვით ფინია
მანეტზე ირბენს,
ფიქრი სინათლის პარაშუტს გაშლის,
ჩამოემეება დუმილის კიბე.

რომ მე სიმღერით
ავიდე ცაში...

მაგრამ არავინ
არ მღერის დიდხანს,
ჩნდება ღრუბელი წვიმის თუ სეტყვის, —
„აქ როგორ მოხვდები? —
ვერავენ მითხრა.
„იქ რად მივდივარ?“ —
ვერავენ მეტყვის.

მწვანე ეპიტაფია

ვფიქრობდი და დრო მქონდა,
დრო მქონდა და ვფიქრობდი,
მიმქონდა და მომქონდა,
მოგქროდი და მიგქროდი.
ვწწოდი თუ ვმღეროდი,
ვმღეროდი თუ ვიწწოდი,
ვიცოდი და ველოდი...
მოვიდიოდა, ვიცოდი.
ცივი ცელით მორბოდა,
ცეცხლს ცხელ ქარში ვიქრობდი, —
ვფიქრობდი და დრო მქონდა,
დრო მქონდა და ვფიქრობდი.

ცისფერი ვპიტაფია



მეც მამინებდნენ სიკვდილით ერთ
დროს,

ო, უნდა მენდო,

ჯვარი გწერია, —

მანდ გეშინოდეს, თორემ აქ ახლა
საშიში სულაც არაფერია!

• • •

ჯილდოდ მე ახლაც

არაფერს ვითხოვ, —

არც რა იმედი, არც რა ოცნება.

რა ვქნა, მე ჩემთვის ვმღეროდი თითქოს
და სხვებს უნდოდათ ჩემი მოსმენა.

ვიღაც ჩლუნგ სიტყვას

ჩემს სიმზე ლეხავს,

ვინ არის, შუბი ვინ მომიღერა?!
რა ვქნა, თუ ჩემი უბრალო კვნესაც

ისე ესმოდათ, როგორც სიმღერა.

ცა იხსნება და

ნურეინ შემრისხავს,

მეოხმეყოს და მექმნეს წყალობად!

რა ვქნა, თუ ზოგი ჩემი ფრთების ხმას

ისე აღიქვამს, როგორც გალობას.

არც რა არზით და

არც რა მუდარიო,

(ო, ღმერთმა კქნას და იყოს მშვიდიობა),

არ მითხოვნია ნავთსაყუდარი,

მე მხოლოდ თქვენთან ყოფნა მინდოდა.



მუკმან ჯგუზური

წერილი სოფ ღიდან

ასე როგორ მოგვანატრე თავი,
ასე როგორ დაგვივიწყე, ბიჭო!
ეს ქოხმახი განა სხვისი არის,
ჟუ არ მოგვედით, აღარ გვნახავ,
ვინძლო!

ბრალი შენი, თორემ ჩვენ რაც გვიჭირს,
ამას წყალიც ჩაიტანდა ქალაქს,
ხელმოკლედ ვართ, მაგრამ თავს კი
ვირჩენთ,
თუ ბუნებაც არ მოგვიტანს ზარალს.

არაფერი შე არ მინდა, ნანა,
ოღონდ მყავდე მართალი და მრთელი,
თავს გადაგვდის ოჯახს ჩვენი ყანა,
მოსამართი არ გვაქვს სხვისგან ხელი.

ოღონდ თვალი გამიხარე ერთი,
მომიყვანე ჩიტუნები ჩემი.
ამას აღარ დაგვივიწყებს ღმერთი,
ვგებ კიდევ გავიტანო წელი!

ბიძა-შენი კი არაფერს იტყვის,
თუმც გული აქვს მას ბავშვივით ნაწი,
შე ვიცი და, წერილს არ გწერთ ჯიბრით,
არ მინახავს ამისთანა კაცო!

შენი წიგნი ჩვენს დუქანშიც ნახეს,
მიუღიათ ორად-ორი ცალი,
რას უყოფა, ბიჭო, ამდენ ქართველს,
შენი კოხტა თავის ნაფიქრალი!

ნამეტანი არ წაგიდოს ფიქრმა,
შე ამისი მემინია თანაც,
მამაშენსაც კი უყვარდა კითხვა,
მაგრამ აღარ დაუგდია ყანაც!

ნუ მათხოვებ ყურს, მამიდა, თუკი,
გაწყენინე რამე, მაგრამ მეტი —
ვინ გყავს მაინც, რომც გვაქციო ზურგი,
ჩვენი ხარ და ხომ შენი ვართ-მეთქი!

• • •

შე ნოფელში მიყვარს ყოფნა,
გამარჯობა იციან;
— ბალო, შენი გამარჯობა!
— გამარჯობა, ბიძია!

იმერელი — ზრდილია და,
გურიელი — ფიცხია,
სვანი კაცო — დინჯია და
ოდიშელი — მკვირცხლია, —
— ბალო, შენი გამარჯობა!
— გამარჯობა, ბიძია!



რატომ ვწერ ლექსებს?

მე ვნახე ჩიტმა

როგორ დალია გუბიდან წვეთი,
და თავისთავად მოვიდა რითმაც,

მაგრამ პასუხი რა მოგვე-მეთქი!

როგორ ვწერ ლექსებს?

მე ვნახე ჩიტი,

როგორ აფრინდა უეცრად ცაში,

მაგრამ ვიდრემდის აფრინდა იგი,

იმასაც ვკიდევ მე თვალი მაშინ.

როგორ მიეკრა ის ჩიტი მიწას,

რომ გაქანება ჰქონოდა მეტი,

მას აქეთ უფრო მიყვარს მე მიწა,

და ზეცა მტე ხალისა, კელტა!

შემოდგომის მიწურული

ფიცრული ოდა, გახირული გულიან ბურქვზე,
ვით ჩიტის ბუდე პაწაწკინტვლი,
დრო-დრო გამოდის დედა-ჩიტი და არეს უმწერს.
ტიშკართან ხმელი იძვრის წიფვლი.

ცვივა ფე არლი. მიაქვს ფირი და ტიანჭველა!
ტალახში უდგას სველი ფეხები.
მზე ნადა! წითლად. აივნიდან ჩანს თუთარჩველაც
და ბრუნდებიან მინდვრით გლეხები.

წუსელის თოვლით დაიფიფტა ტალისპირეთი,
გვიში ჩანს, ჯედრო, და ფეხის კვალი,
ლოყაწითლნი სხედან ცეცხლთან სოფლის ცირები.
და ხანდისხანი ხმაურობს ქარი.

ჯერ ყანებია ასაღები, თოვლს მზე გააღობს,
ირღვევა ტირსლი და შრება ველი,
შუადღის ხანად საქონელი კიდევ ბალახობს,
მწვანეა ჩრდილში ბალახის ყელი.

ცა გაიხსნება, ცეცხლს დაანთებ, ისევ ჩაწვები,
სარკმლიდან მოჩანს ლავარდი ზეცის,
ღობეთა გასწვრივ გაკმედილი დგანან ნაძვები
და შორით შაშვის ჭახჭახი გესმის.

გააღებ კარებს, რა ახლოა კავკასიონი,
რა სინათლეა — გასაკვირველი!
გაივლებ წყნას — ეღვარ ნახე დღეს დაფიონი
და ცა და მიწის თვალისიერი.

ხვალე წინ არი, შეუმჩნეველად წყენა გაივლის,
აღესაე ნაჯახს და მიხვალ ტყეში,
ჯერაც ამ მხარეს კაცის ფეხი აღარ ჩავლილა,
და ტყის ქათამი მიფრინავს მზეში.

სარკმლიდან მოჩანს, ჟონავს წვეთი სუსტი ყინულის,
და ერთი წამით აჩნდება სარკმელს,
მოღერძილია ყელი, თეთრი, როგორც ბინული
და უსის თვალი საქალი, საქმეს.

ჩატეხილია ეზოს ღობე, ავღარი მოდის,
განთიადის ხანს ლერწამი ტირის,
სადაც ჩრდილია იქ თოვლია და ცეცხა კიდევ,
და იეზე კერცკატებს ხილ .

* * *

გრიგოლ ჩიქოვანს

მე მიყვარს შენი ცირა და ბოში,
აღალმართალი შეა, ვითრები;
შემოღამება ურთასთან, ხობში,
გაყურებული ტყის ნაპირები.

მიყვარს დაისი და კვამლი ფაცხის,
გზად მიმავალი ურმის ტრიალი,
სტვენს მაფშალია, შრიალებს ცაცხვი
და ვარსკვლავების ისმის წკრიალი.

მაგრამ ყურსალი ღამის ყიამოს
ენდობა უფრო, როგორც წესია,
და ნატამალი არ გაქვს სიამის,
არ მოგიშვია, რაც გითესია. —

ისმის კივილი დამწვარი დედის,
მისდევს მდევარი თურქის ბაიდას,
მაგრამ არ არის ამქვეყნად ბედი
და მოთქმას წყალი ზღვაში ჩაიტანს.

უფერულია სოფელი ჩვენი,
და გულსაწვაგი — ჰანგი მეგრული,
და მოწყენილან თითქოსდა ხენიც
ციებისაგან შეწუხებული!

ვერ მიატოვებ მაინც ამ მიწას,
რადგანაც კაცის გქვია სახელი,
და აწერია შენს გულის ფიცარს
მცირე შეება და დიდი ნაღველი!

* * *

ორი პოეტი, ორი მურმანი,
კობტა ბიჭვინთის ჩვენ ვართ სტუმარი,
გვაქვს სახრავი და გვაქვს სასთუმალი.
დროებით ღვინოს, დროებით არაყს,
დროებით ოჯახს და დედაქალაქს.
მტკიცე უარი!

კობტა ბიჭვინთის ჩვენ ვართ სტუმარი.
მიდის ეპი და ორი პოეტი
უზიან ლექსებს, როგორც ყოველთვის,
ხოლო რას ფიქრობს მიეთ-მოეთი,

ამაზე ახლა ნაკლებ ფიქრობენ
რადგან იცინა კარგად თვითონვე,
თუ რატომ სტკიცეს მტკიცე უარი,
დროებით ღვინოს, დროებით არაყს,
დროებით ოჯახს და დედაქალაქს, —
ხოლო ამ ლექსს სწერს ერთი მურმანი —
რომელიც დიდთან არის პატარა,
და პატარასთან ტოლი და სწორი,
რომელს ნაკლებად ერჩის სატანა.
და არ უგრძენია რისხვა სასწორის,

და აღარ იცის, რა არის ომი,
 ომი მას მხოლოდ — გაუგონია,
 არ უგემნია მას შხამი მძრომის,
 თუმცა შიშხილი — კი უგემნია.
 და აკვირდება იგი დიდ მურმანს,
 ოარ გ იცხოვრა, ცხოვრობს რაგვარად,

და უფრო ხშირად ენდობა გუმანს,
 გამოცდილება არ აქვს რადგანაც,
 თუმცა ის მკვდარსაც არ აპატიებს,
 ვისმეს წინაშე მოდრეკას ქედის,
 და ჯერ უხილავს ხედავს საწიურს,
 როცა ხომალდი გრიგალში შედის!

ჰყვავის ტყემალი

უცებ აყვავდა თეთრად ტყემალი
 და ჩემს სარკმელთან დადგა სინათლე,
 და როგორც ჩემი ფიქრის მწვერვალი —
 მენ გამახსენდი და მენ გინატრე!

ნეტავი ჩემი თვალით განახა,
 ამ ეზოებში შუქი დაღვრილი,

ვით შეიშნოვა ციცქნა ქალაქმა
 ეს თებერვალი და ეს აპრილი!

როგორც სიზმარი — ველად ნისლია,
 უკვე ჰყვავიან თეთრად ტყემლები,
 ლექსი არა ვთქვა, არ შემიძლია,
 მენ მაგონდები და ვიცრემლები!

• • •

როცა სიჩუმე სუფევს ირგვლივ და წყალი მიდის,
 როცა უკუნის მეწინავე გროვდება ბინდი, —

რას ამბობს მამინ მიმავალი ბნელში კაცხურა?
 „უნდა იცხოვრო ქვეყანაზე კაცმა კაცურად.

უნდა გახსოვდეს მენ მამულის შენის დიდება,
 აგორებულ ქვას ხავსი რატომ არ ვკიდება, —

უნდა იდინო ვიწროებში და გაიტანო
 შენ ტანი შენი, გაახარო უნდა პიტალო, —

კაკაკასის მკვიდრო ტიტანო!“

• • •

ლაშარის გორთან რომ ტყვრია,
 ატამი ბზინავს და ჰყვავის,
 წავიდეთ, ლამაზო ფერიავ,
 ხევ-ხუვებს მოვავლოთ თვალი.

თორემ ეს სოფელი მცირეა,
 და ვეღარ ვიგემებთ ლხენას;
 თორემ ხვალ, თორემ ზუგ, ვიცი და,
 ყვავილიც დაიწყებს ცვენას!

ჯულიანა მილდინი

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს

კვლავ ჩურჩულებენ,
კვლავ ღალადებენ,
კვლავ ხშიანებენ
შენზე მითები...
და ჩემს მკლავებზე,
როგორც ტოტებზე,
კვლავ ტიკტიკებენ
შენი ჩიტები.

ისევ ბრიალებს.
რიტრაქისფერი,
გამარჯვებული
შენი დროშები!
ცისკენ ილტვიან,
მზისკენ ილტვიან,
გადარჩენილი
შენი კოშკები.

შენ, ხატებაო!
შენ, საფიცარო!
ეს შენ ლოცულობ
ჩემში გრძნეული...
ჩემს მხრებზე, რწმენად,
შენი ხელი დევს
ნატრილობევი და ნიშნეული.

...და ღალადებენ,
და ხშიანებენ,
და ჩურჩულებენ
შენზე მითები...
და ჩემს მკლავებზე,
როგორც ტოტებზე —
კვლავ ტიკტიკებენ
შენი ჩიტები.

სალამოებს ვენატრები

შევცქერი ვით ამორძალი
ფრჩხილა მთვარის შორიალს.
ხაფურდივით სალამოებს,
ყველას როგორ მოვიარ?!

ზოგჯერ სულის ქარიშხალი
ისე გამატიალებს,
ყველა აფრას ამიხსნის და
ქარში ამიფრიალებს.

სალამოებს მოფარატეთ
ვენატრები, მგონია.
სიფრიფანა ჩემს გოგოებს
ეს რა ძალა აქონიათ?!

ნება-ნება ვერ ვსეირნობ,
ვერ ვსაუბრობ ხალხით...
ფრთახატულა ჩიტუნებო,
დამიბრუნეთ მაისი!



სანამ თქვენ არ გამოიზრდებით,
ვაქრო უნდა სურვილი,
თქვენს გულისთვის კვლავ მიცდიდეს,
სულის მძაფრი წყურვილიც.

ჯერ კი ვითარ ამორძალი,
ვუცქერ მთვარის ბორილს.
მერე რა, რომ საღამოებს,
ყველას ვეღარ მოვიარ...

ნ ა ფ ე ხ უ რ ე ბ ი

შუკაში გარბის ცელქი გოგონა
და ვარსკვლავებმა თვალეებს აკვესებს.
წითელ კაბიდან სხივი მოეონავს,
გზადაგზა ტოვებს გიმირის ანკესებს.

მოდის და მოაქვს გაზაფხული თან.
ბჭავს მახარობელ ჭიკჭიკა მერცხალს.
წვიმავე გამოტყდი, მოხიბლული ხარ, —
მის ნაფეხურებს ვერ გადარეცხავ.

მრავალ წლის შემდეგ, მრავალ წლის
შემდეგ.

კვლავ ჩამოივლის შუკაში ჭალი...
და შემოდგომის ნისლით ავსილი,
გაუხვედება გიმური თვალი...

გაებლანდება ნაცნობ შუკაში
ჭალს, მოსეირნეს დინჯად და უნდოდ,
მისი ბავშვობის ნაფეხურები,
აღრე დატოვილ სითბოთა ჯილდოდ.

ე ნ ძ ე ლ ა

მოდის, მოაბიჯებს ბაწია ენძელა,
ზამთარი შესცქერის შიშით დაზაფხული...
ბაწია ენძელავ, გამანდვ: გემძიმა,
ხელში აყვანილი ამხელა გაზაფხული?!

დ ე ღ ა

შენ ზედაზენის მინდორში გძინავს,
ზედაზენის მწვანემ სხვა იცის ქარი,
შენთან მოღწეულს ჩემს ძახილს
მტირალს,
აღბათ, არასდროს ექნება ზღვარი.

აღბათ არასდროს არ დამთავრდება
უაზრო გათვლა საათთა, დღეთა.
შენ არა მყავხარ, ნეტა ამ მარტმა
იები რისთვის შემომადგეთა.

კვლავ ცივ ხელებში შემომაცხენება
დამწუხრებული ციცქნა იები.
ჩემს ცრემლთა სიცხეს უბით მოგიტანს
ზედაზენის ქარი შენაცინი.

ნეტა, ვინ მოვა ნუგეზად ჩემად.
ან გულზე შენ ვინ დაგაღებს საღებუნს?!
რა ეშველება დაწვეტილ ძაფებს,
საბედისწეროდ ერთურთში გაბზულთ...

თ ე ა ს

ეროვნული
ზიზლირთისა

სიხარულმა დამატოლა და მომარგო ლალი ფრთები,
სიმღერებად იღვრებიან, ჩხრიალებენ ნიაღვრები.

დღეს, როდესაც ჩემი გოგო, კოსტა, როგორც დედოფალა,
თავის ალერსს შემომაფრქვევს, თავის გრძნობებს არა
მაღავს...

შემომამჯდობს ყელზე მტკიცედ, თავის ფაქიზ და თბილ
მკლავებს,
დამიკონცნის, მზის ნაქურით ამომივსებს მტირალ
თვალებს.

მეფერება: სიცოცხლეო, ოცნებაო, სიყვარულო,
შენი ოქროს წიწილა ვარ, მინანავე სიხარულო!

ემშაკუნავ, პაწაწინავ, მოედურტულე შენ ცუდლუტო,
ზედმეტ ალერსს მიჩვეულო, შე ოთახის თეთრო კნუტო!

შე კატკატო, თუთიყუშო, ნუ მომპარავ შენ ჩემს სიტყვებს,
თორემ ახალს მოგიძებნი, მეტ სიყვარულს რომ დაიტეხ.

ჩემი გული მომლოდინე, დანატრული სითბოს, ალერსს,
საკულეში ვერ ეტყვა, ხმა გუგუნის სხეულს ავსებს.

როგორც ჩიტი მოფართქალე, სახლის კედლებს მიაწყდება,
ჩემს დარიბულ თავშესაფარს ამოავსებს ლამაზ ხმებად.

არასოდეს არ ვყოფილვარ სიყვარულით ნებიერი,
სულში გქვი გამზლართვია: ბედნიერი? ბედნიერი?

ვერცხლის სიმები

ვერცხლის სიმები ვერცხლის სიმები. თმებმა გამყიდეს
თმებმა მიყელეს.
აუბდენელი ყრუ ზეაშიადი და ტკივილები მათ გამომხილეს.

და ყველაფერი მიყვება ვგონებ — სახეც, თვალებიც,
შუბლის ნაოჭიც
უზალისობა უფრო ამელავნებს ოცნებებს, ასე მკაცრად
დაოკილთ.




მწყდება ცრემლები. მწყდება ცრემლები და ნაპრალები
 ღრუბლებს იხვევენ,
 ისეთი დილა დადგება ვიცი, მთანი გულისპირს რომ
 დაიხვევენ...

და მეშინია, და მეშინია, ვერცხლის სიმებზე მალე
 დაწყდება,
 ვერ შეიგრძნობენ ყვავილის სვედას, ნაპრალს დილივით,
 რომ ააწყდება.

მერე დარჩება, მერე დარჩება უდაბნოეთი,
 გამშრალი ქვიშით,
 და მომადგება მეგობარვით, ნაღველი, ახლა დიმილს
 რომ მიშლის...

ვერ დავინახავ ვერც ცისარტყელებს, ვერც მოცეკვავე ქარში
 ყვავილებს
 და დაწყვეტილი ვერცხლის სიმები მხოლოდ სამარეს
 ამიყვავილებს.



მეიშე ჯვარი

არმანი ოთხ წიგნად

წიგნი მესამე

თავი XLI

ქართლ-კახეთის სამეფო კარი და დარბაზის ერი ბოლოს მაინც იძულებული შეიქნა, რუსი მოხელეების კეთილგონიერული რჩევა მიეღო და პეტე თეიმურაზის სამუდამო განსასვენებლად ასტრახანის მიძინების ტაძარი აერჩია. გარდა მეფე ვახტანგ მეექვსისა, აქ სხვადასხვა დროს ბევრი ქართველი საერო და საეკლესიო მოღვაწე იყო დაკრძალული და ასტრახანის მიძინების ტაძარი ქართველებს თითქმის თავიანთ საძვალედ მიაჩნდათ.

მაისის დამდეგს საქართველოდან ასტრახანს დაბრუნდნენ ელჩობის წევრები: მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი, მოლარეთუხუცესი თავადი შიო ტუსიშვილი და ცხინვალის მოურავი თავადი იესე მაჩაბელი. თეიმურაზ მეფის ყოფილ მრჩეველებთან და მესაიდუმლეებთან ერთად ბრწყინვალე ამაღლის თანხლებით ასტრახანს გაემგზავრნენ ბატონიშვილები გიორგი და იულონი, ერეკლეს ძენი, რომლებსაც საყვარელი პაპა უნდა და-

ეტრებინათ და მისი კუბო სამშობლოდან ჩატანილი მიწით დაეფარათ.

დაკრძალვა მოხდა მკათათვის ოთხს, საღამოს ზუთ საათზე. კუბოს მისდევდნენ გენერალ-გუბერნატორი ვასილ ნერონოვი, ეპისკოპოსი თეოდოსი, ვიცე-გუბერნატორი ბეკლემიშვი, გუბერნიის უმაღლესი ოფიცრობა, სამღვდლოება და დიდძალი ხალხი. გამოსათხოვარი წირვა თვით მისმა მეუფებამ, ეპისკოპოსმა თეოდოსიმ გადაიხადა. ოქროქსოვილით დაფარული კუბოს საფლავში ჩაშვებისას სამჯერ ზედიზედ დაიშვექს ვოლგაზე გადმომდგარი ციხე-სიმაგრის ზარბაზნებმა, ასტრახანის ყველა ეკლესიის ზარების სამგლოვიარო რეკვა კი თვით უკანასკნელ წუთამდე არ შემწყდარა.

შორეული მგზავრობიდან მომავალ ელჩობას და ასტრახანში გვირგვინოსანი პაპის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად ჩასულ ბატონიშვილებს ყიზლარში ძნელად დასაყვრებელი ამბავი ელოდათ: ათიოდე დღის წინ სანკტ-პეტერბურგში არეულობა მომხდარიყო, ტახტიდან ჩამოეგდოთ პრუსიის

მეფე ფრიდრიხის სიყვარულით ჰყვებოდა შეშლილი იმპერატორი პეტრე მესამე და მის მაგიერ პორფირით შემოსათ პეტრეს თანამეცხედრე ეკატერინე, ამიერიდან იმპერატრიცა ეკატერინე მეორე. თქმა არ უნდა, ვადარიალება დედოფალ ეკატერინეს მონაწილეობის, თუნდაც თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა. ეკატერინეს მიმხრეებმა, როგორც ჩანდა, პეტრეს აჯობეს, უპატიურად ძირს დაამხეს და იმპერიის გუშინდელი კერპი სიცოცხლესაც გამოასალმეს. იწყებოდა ძველი გავლენიანი მოხელეების ახლით შეცვლა, იმათი ჩამოცილება და დამდაბლება, ვინც განსვენებული ელისაბედისა და შემდეგ პეტრეს ზეობაში ტახტთან დაახლოებული იყო. წყალი შესდგომოდა კანცლერ მიხეილ ვორონცოვს, თავად ტრუბეცკოს, გრაფ შუვლოვს, რომლებიც სიკვდილის პირას მისული მეფე თეიმურაზის დაუღალავი გარჯითა და დაყინებული მეცადინეობით ასე თუ ისე იცნობდნენ საქართველოს საქმეებს და კიდევაც ცდილობდნენ, შეძლების კვალობაზე, თუ ეს რუსეთს რაიმე მხრით ზიანს არ მოუტანდა, პატარა ერთმორწმუნე ქვეყნისათვის მფარველობა გაეწიათ. ასე რომ, ელჩობა, ამდენი შრომა და ხარჯი რომ გასწია, სამშობლოში სრულიად ხელცარიელი ბრუნდებოდა. მის მიერ წამოწყებული და გაკეთებული საქმე ხელახლა წამოსაწყები და გასაკეთებელი იყო.


ეპისკოპოსმა მაქსიმე აბაშიძემ, ქუთათელმა, კიდევ რამდენჯერმე მოახერხა და თავის მეფეს საქმის ვითარება წერილად აუწყა. ამის შემდეგ დაუქვებაც აღარ შეიძლებოდა, რომ რუსეთის მხრივ დახმარების მიღებაზე იმედის დამყარება მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა და უკეთესი დროების დადგომამდე ლხთიმურეთი მტერს საკუთარი ძალებით უნდა გამკლავებოდა.

ერეკლეს მიერ ჰასან-ფაშასათვის გზის მიცემაზე უარის შეთვლამ, რაც იმერეთში მანამ შეიტყვეს, სანამ

ტფილისიდან საგანგებო მალეშტროლი მოვიდოდა და მტრის მტრებებს აშბავს მოიტანდა, სოლომონსა და მადლიერებით აუფსო. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სათავეში მყოფი ერეკლეს მხარდაჭერა და ნუგეში სოლომონისათვის დღეს განსაკუთრებით ძვირფასი იყო, რადგან აგარიანთა მომავალი, ყოვლის მომსგერელი შემოსევების წინ თავს მარტოდმარტო გრძნობდა. მთავრის კვერთხის ხელში აღები-სთანავე ოდიშის ახალი ბატონი კაცია თავის საბატონო ქვეყანაში ჩაიკეტა და აქეთ აღარც კი იხედებოდა. თანდათან იკლო ძღვენმა და მოკითხვის წიგნებმა, დედოფალთ-დედოფალი მარიამი ოდიშიდან ხანგამოშვებით რომ იღებდა ხოლმე და თავადაც ყველა ღონეს ხმარობდა, საფიცარი მშობისათვის სამაგიერო სიყვარულით, ყურადღებით და მეფური საჩუქრებით ეზასუხა. კაციას მოყვარული დედმამიშვილი და სოლომონის ერთგული თანამეცხედრე კარგად ხედავდა, რომ საუკუნოდ დაუფიწყარი მამის, ოდიშის ბატონ ოტიას, მიცვალების დღიდანვე მეფესა და მთავარს შორის ზრდა დაიწყო ფარული შუღლის აქამდე უხილავმა ზღუდემ, რომელიც, მართალია, აღრეც არსებობდა, მაგრამ ორივე მხარე საჭიროდ თვლიდა და როგორღაც ახერხებდა, იგი არ შეემჩნია. კაციას არც დაუშალავს, მამის წლისთავზე კვლავ ამაღის ამარა ჩამოსულ დას პირდაპირ უთხრა, რომ გვირგვინისანი სიძის მსგავსად მსტოვრები მასაც ჰყავდა სხვადასხვა ადგილას მიჩენილი და თვალყურს ადევნებდა, ვინ რით სუნთქავდა.

— შეიძლება, უფრო გარკვევით ვიცოდე, რას გულისხმობ? — ასევე პირდაპირ ჰკითხა ძმას დედოფალთ-დედოფალმა მარიამმა.

— ყველაფერი ჩვენგან ხომ არ უნდა შეიტყო, ზოგი რამ შენს ქმარს ჰკითხე! — მწარე ღიმილით, მეგრულად უპასუხა კაციამ და თვალი მოარიდა. — შენ ხომ შენი სოლომონი



უცოდველ კაცად და ღმერთის სწორ არსებად მიგაჩნია!

— ეგ აქ რა მოსატანია, კაცია, — წარბი შეიკრა დედოფალმა და უცარი შეტყვის მოსაგერიებლად აიფოფრა. — მე, ისევე როგორც შენ, ღვთის შორწმუნე ვარ და შემძლია, მოკვდავი, წარმავალი ადამიანი, თუნდაც მეფე, ჩემი თანამეცხედრე, ვისაც შენი ნებით გავყვები, რა დიდებულებაც არ უნდა იყოს მისი მოღვაწეობა, მაღალი ღმერთის ტოლად და სწორად მივიჩნიო? ეს, შენ ნუ მომიკვდები, სიტყვის ბანზე ავადებას ჰგავს. ნუ დაგავიწყდება, მე და შენ ერთმა დედამ გვშობა და ერთმანეთის წინაშე სრულ გულახდილობას უნდა ვიჩენდეთ.

— მაშ, მიჩვენე გულახდილობის მაგალითი!

— კიდევაც გიჩვენებ! ნუთუ აქამდე არ მიჩვენებია? როდის მომხდარა, მე შენთვის ერთი მოთქვამს, მეორე კი გულში მდებია? ამიტომაც ამითვალწუნე. მოყვარედ შენ მარტო იმას თვლი, ვინც შენს უკუაზე დადის და შენი კულის გამსწორებელია. რაც შეეხება სოლომონს, შენ ის არასოდეს არ გიყვარდა. გამოტყდი, რომ ახლაც მართალს ვამბობ და ცილს არა გწამებ!

— თავი არც ჩემი სიყვარულით მოუკლავს ვინმეს, მარიაშ. ამის გამო ნურც ნურავინ მესაყვედურება და არც მე ვესაყვედურები. რაც იყო, იყო. სანამდე შეგვეძლება, საწყენიც უნდა მოვითმინოთ ერთმანეთისაგან და გასახარებელიც გავიხაროთ. ეს თავად შენგან გამოვიდნა. ისე კი იცოდე და იცოდე, რომ მეც ვიცი: შენი ქმარი საიდუმლო ქსელს ხლართავს გურიელთან. იმ წვერცამეტას ჩემს წინააღმდეგ აფულიანებს. ძველი, ნაცადი ხერხია. შემდეგ ორივეს ხელს მოგვისვამს და გადაგვსანსლავს. ცბონებული მამაჩემის ნიციოცხლეში, მადლობა ღმერთს, გონიერება ორივეს ყოფნიდა და თვალში არავის ვეპატარავებოდით.

— ასპიტის ენას აჰყოლიხარ, კაცია.

არ გეკადრება. ღმერთი კი მომკალი, აქ მართლა სადავიდარბობლ გავგებდომია საქმე.

— აკი და-ძმა ვართ და ერთმანეთის წინაშე გულწრფელი უნდა ვიყოთ? გულწრფელობას მარტო ჩემგან მოითხოვ, დედოფალი?

— არ ვიცი, რა გითხრა, კაცია, შენმა სიტყვებმა ისე დამაბნია და აშშალა, აღარც კი ვიცი, რა გიბასუხო.

— დაარწმუნე სოლომონი, რომ მამა-პაპისაგან დადგენილ საზღვარს აქეთ არ შემოესვლება. ლეჩხუმზე ფიქრს თავი დაანებოს. ეგ ამბავი დიდი ხანია ოდიშის მფლობელის სასარგებლოდ გადაწყდა. ღვთის ნებაც უთუოდ ეს იყო. საზღვარს აქეთ მე ვარ და საზღვარს იქით ის!

— შემოგეპრა? როდისმე დავა აგეტეხა?

ბოლმანე მოსულმა დადიანმა დის შეკითხვები პასუხის გაცემის ღირსად არა სცნო და პირგამეხებულმა ვანაგრძო:

— ამას გარდა, ბრძანებები და ვანაგრძულებები თავის ქვეშევრდომებს დაუგზავნოს. კაცია დადიანს ღმერთმა თავისი საბრძანებელი გაუჩინა და მისი ნების გარეშე აქ ჩიტიც ვერ გაიფაჩუნებს!

— შენ იქნებ პირობის წიგნზეც უარს ამბობ, ტყვისსყიდვის აკრძალვის თაობაზე ერთობით ყველამ მეფეს რომ მიეცით?!

— ჩემს სამთავროში მეფე მე ვარ, მარიაშ, აქ არ არის სხვა მეფე, გარდა დადიანისა და ნუ გაგიკვირდება, თუ შენი ქმრის, იმერეთის მეფის მტრებს მინცდამინც ჩემს მტრებად ვერ გავიხიდი, მეფის გულის გასახარად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვერ გადავეცილები!

— ცბონებული მამაჩენი სულ სხვა გზას ადგა, ძმაო, შენ სულ სხვა გზა აგირჩევია!

— რაც გინდათ, ის დაარქვით, გინდა გზა და გინდა!.. სოლომონს თავი ისე უჭირავს, თითქოს ზურგს უკან

არსებულმწიფის ურიცხვი მხედრობა ედგას!

— თქვენ ვერაფერს გაგტეხთ, კაცია, როცა ერთად იყავით. ხრესილის ველზე ორწილ ძლიერ მტერს სძლიეთ და ქვეყანა აალაბარაეთ!

— ის, რაც ავარიანებმა ხრესილში დაკარგეს, ოსმალეთისათვის ზღვაში წვეთია, ჩვენ წელი ველარ წამოვწიეთ მას შემდეგ. სამეგრელო თალხით შეიმოსა. არ არის კომლი, თითო შევილი რომ იქ არ დაეკარგოს!

— ჩვენ კი გვილხინს, კაცია?

— სათათროს გადაუხდელობა არ იქნება. ჩვენ ოსმალების მოხარკეობა გვარგუნა მალაღმა ღმერთმა და უნდა ვიციოდეთ, ხარკს არავინ შეგვვარჩენს, დღეს თუ არა ხვალ ჩვენი კისრიდან ამოიღებენ!

ოდიშის ბატონის ეს სიტყვები მარიამისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყელს მოწოლილი რისხვა ველარ შეიკავა:

— ეტყობა, შენს გულშიაც ჩაუგდია ბოროტების თესლი სამშობლოდან სამარცხვინოდ განდევნილ ჩემს დედამთილს, ლევან აბაშიძის ასულ თამარს! იხიცი ხომ თავისი დღე და მოსწრება ამას ამტკიცებდა!

კაცია დადიანს გესლიანად გაეღიმა, მგჩხერი ქერა წვერით დაფარული ნიკაბი მოიფხანა:

— თუ არა ეგ მტკიცება და დედაშვილს შუა ჩამოვარდნილი შეურიგებელი უთანხმოება, იქნებ შენ დღეს სამეგრელოს რომელიმე ღარიბი თავადიშვილის მორჩილი თანამეცხედრე ყოფილიყავი და არა ლიხთიმერეთის ამაყი დედოფალი, ცა რომ ქუდად არ მიგაჩნია და დედაშიწა ქალამნად!

— რა გიბასუხო მაგაზე, კაცია? ვიცი, სამაგიეროს მიხდი. სხვა დრო რომ იყოს, ალბათ, სილას გაგაწნავდი, როგორც შეურაცხყოფილი და შეურაცხყოფელ ძმის. ზენაარის ნებით დღეს მე ამ სიამოვნებას მოკლებული ვარ. არა მაქვს გულის აყოლის ნება. შენ და მამამ ზიდეთ ჩემი ცოდვა, ეგ კიდევ

აქეთ წამოსაძახებელია? — მარიამს თვალები ცრემლით ავესიდა და თხელი ტუჩები აუჯანკალდა. — მე ხომ ის გაეაკეთე, რაც თქვენ გასურდათ და რასაც ბალობიდანვე მინერგავდით! არ მეგონა, თუ გულმაიწიყობას გამოიჩენდი და ასე მალე დაგავიწყდებოდა, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ ვარციხეში გითხარია!

— არც დამვიწყებია, ყველაფერი კარგად მახსოვს!

— მაშ, რაღად კადრულობ ჩემს დამცირებას? თუ სხვა არაფერი გააკვებს, შე დალოცვილო, ანგარიში იმას მაინც გაუწიე, რომ ერთადერთი ძმის გარდა, მე სხვა პატრონიც მყავს, ვინც ღვთისა და კაცის წინაშე მოვალეა, ჩემი ღირსება არავის გაათელვინოს!

კაციამ მწარედ ჩაიციხა, დას თვალი აარიდა:

— აი, ხომ ხედავ ცოტათი გული გეტკინა და შენ უკვე მუჭარაზე გადახვედი, გვირგვინოსანი ქმრით გვაშინებ! — და უცებ იფთჟა, თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია: — არ გვეშინია, ბატონო, მოხვალთ და ჩვენც აქ დაგხვდებით, შერცხვენილი იყოს, ვინც ტოლი დაგივდოთ!

— რას ამბობ, კაცია, სრულს ჰკუთხე ხარ?

დადიანმა იწყინა, ხმას აუწია:

— მე კარგად ვიცი, ჩემო დაო, ვინ არის სრულ ჰკუთხე და ვინ არა! კბილი ხომ მომისინჯე? ახლა შეგიძლია შენს ღიღებულ თანამეცხედრეს ეახლო და მოახსენო, რომ ცხენისწყალგადმოღმა ყურთბალიშზე არავის ძინავს, ვფხიზლობთ, მტრის ჭინაზე ფაღალი მშრალი გვაქვს!

— მე ისე მეჩვენება, რომ შენ ნაბაბს ეძებ ჩვენთან წასაკიდებლად, — სახეზე სრული სიმშვიდის ნილაბი აიფარა და ისე წარმოთქვა დედოფალმა. — მეფის და გურიელის შენს წინააღმდეგ შეთქმაც ამად მოიგონე. ეგეც ძველი ხერხია: გაღმა შევედევები და გამოღმა შემრჩებო. მართალი მოგახსენო, სოლომონს საგანგებო რწმუნე-

ბა არ მოუცია, საყოლში, თავადაც იცი, შენი კბილის მოსასინჯად კი არა, მამის სატირლად მოვედი, ამჯერად მეფის სახელით მოლაპარაკებას ვერ გაგიმართავ, მაგრამ დაძმურად იმას კი გირჩევ, რომ მეფესთან პირისპირ შეყრისა და სატყვივრის გამხელის გარეშე ნურას იქმ, ასპიტის ენას ნუ აჰყვები, ცოლდას ნუ დაიდებ. შენი მტრობა, რალა თქმა უნდა, ჩვენ გვავენებს, ძალიანაც დაგვაზიანებს, მაგრამ დამერწმუნე, კაცია, არც შენ მოგიტანს სიკეთეს ჩვენი ამხედრება. მარტო გურიელის იმედის ამარა იმერეთის მეფე ლმერთმა ნუ ამყოფოს! სოლომონს ნურას დააბრალებ, სიტყვამ მოიტანა და მე ამას ჩემგნით გუენებე. რას მივაწერო ახალციხის ფაშას კაცების შენს კარზე ყოფნა? იქნება ფიქრობ, თვალი და ყური მარტო შენ ვიჭრის, სხვები კი ლმერთმა ყრუებად და ბრმებად გავვაჩინა? პასან-ფაშას კაცები შენს კარზე ჩვენს მოსვლამდე მოვიდნენ და ახლაც აქ არიან, შენ კი კრინტსაც არ სძრავ, არაფერს მეუბნები. ასე ახრულებ პირობას, შენ და ოდიშის მთელმა თავადაზნაურობამ მეფეს ერთობით რომ მიეციეთ, სამეფო კარის გაუგებლად ჩვენს მიწა-წყალზე ოსმალოს არ გავაჰკაპანებთო?

დადიანს ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა შუბლზე. დამ ჩიხში შეიმწყვდია. ქალი ჩოხის უბიდან პრელი დოლბანდი ამოიღო, შემშრალებას რატომღაც კისრიდან მოჰყვა და ძლივს-გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ოსმალები დიდ დედოფალ თამარს მოუვდიდნენ, მე ისინი თვალითაც არ მინახავს!

— გამარჯობა შენი! — სიტყვა ჩამოართვა მარიამმა. — რამდენადაც ვიცი, სამშობლოდან გაქცეული თამარი, ვისაც სრულიად უმართებულოდ აქ დიდ დედოფლად იხსენიებენ, ოდიშის ბატონის ტყვეა. თამარს სასახლიდან გასვლის ნებაც აღკვეთილი აქვს და ვინმე უცხო სტუმართან შეხვედრისაც. ფაშასაგან გამოგზავნილი

კაცების მიღების უფლება ვინ მისცა? სოლომონს და სულკურთხეულ მამაჩვენს ამის თაობაზე სულ სხვა პირობა ჰქონდათ დადებული, რომელიც მამას სიცოცხლეში განუხრეველად სრულდებოდა. მმა ხარ და მიპასუხე: რა ვიფიქრო ამის შემდეგ?

— ამის შემდეგ ის უნდა იფიქრო, რომ შუამდგომლად ჩადგე დედასა და შვილს შორის. რძალი ხარ, თავს დედოფლის გვირგვინი გადგას და ეს შენი ვალია. თამარი შვილის საკეთილდღეოდ იღვწის, თავისი სამკვიდრო იმერეთისათვის სიკეთე სწავლია. მე შენთან მოციქულად დამაყენა...

— ჩემთან? რას მოითხოვს?

— ნება დამართოს, სალაპარაკოდ შევხვდე და, როგორც დედამ შვილს, ჩემი უკანახკნელი სათხოვარი გავანდოო.

— მერე შენ ფიქრობ, რომ ეს შეხადლებელია?

— ხელს რა გემლის?

— მეფის ნებას გადავიდე და მის მიერ შერისხულ დამნაშავეს, ვინც პირში შვილი ხსიკვდილოდ გასწირა და ქვეყნის მოლაღატეს მხარში ამოუდგა, მოწყალე ხელი გავუწორო? მანამდე ნურაფერი გეტკინებათ ნურც შენ და ნურც ჩემს ქმარშვილს, კაცია. პირადად ჩემთვის, თავადაც მშვენივრად მოგვსენება, დედამთილს არაფერი დაუშავებია, არც კარგი უთქვამს, არც ავი, ამდენი ხანია მისი რძალი ვარ და თამარი თვალითაც არ მინახავს, მხოლოდ მისითონერი პატრის დახატული სურათით ვიცნობ, დანაშაული ღვიძლი შვილის, მეფის, წინაშე მიუძღვის და შუაკაცებიც მეფეს მიუგზავნოს, მე რისთვის მხვევს თავის ცოლდაში!

დედოფალი მართალს ამბობდა. აბაშიძის ზვიადი ასულისათვის, ერთ დროს იმერეთის ყველა სადავე ხელთ რომ ეყარა, მხოლოდ ერთხელ მოელანდა თვალი და ისიც შორიდან, როცა თამაგაშლილი მამას კუბოს მისდევდა. თამარს, ვისიმე ყურადღება რომ არ

მედიცინა, სახეზე სქელი პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული, მაგრამ მარიამმა მაინც იცნო იმ სურათის მიხედვით, რომელიც ხრესილის ომამდე ვარცხნის სასახლის ერთ-ერთ განაპირა ოთახში ეკიდა და ომის დროს უთუოდ სასახლესთან ერთად დაიწვა, რადგანაც მას შემდეგ აღარსად წასწყდომია. გარდა ამისა, ექსორიაქმნილი დედოფალი ერთი ორჯერ სიზმარში ნახა. მეფურად თავმოწმონე და მიუჯარებელი თამარი ორივეჯერ ღეთისმშობლის ხატის წინაშე იყო დანოქილი და თვალცრემლიანი გულმხურვალედ ლოცულობდა. ის ლოცვის დროსაც შეუბოვარი, ძუ ვეცხვივით დაუნდობელი იყო და ახალგაზრდა დედოფლის გულში აუხსნელ შიშსა და მოკრძალებას აღვიძებდა. თავისი საიდუმლო მარიამს არავისთვის, თვით სოლომონისთვისაც კი არ გაუშვლია. იმ აუხსნელი შიშის გახსენება როგორღაც დამცირებლად მოქმედებდა და ყოველთვის გაურბოდა ამაზე ფიქრს.

„მაინც რა უნდა? რა უნდა მითხრას? — ჩაესმა საკუთარი ხმა, როდესაც ძმამ დედამთილის შემონათვალა გაანდო. — თავის მართლებას მოიწადინებს, ყველა ბრალს, რაც ტახტისა და სარწმუნოების წინაშე მიუძღვის,

მამასა და მამლებს აკიდებს, სოლომონის ძეირსაც იტყვის, **მეტყვობს** რომ დამარბა და ძუძუებიდან შიგლავილი შეილისა და შეილიშვილის ხილვა აუხდენელ ოცნებად გადაუქცია“

— აგრე გადავეცემ, მაგრამ ვაითუ სანანებლად გავიხდეს, რაიც დედამთილთან მამარებ, — თქვა კაცა და დიანმა. — ერთობ უღონოდ არი, მეხსიერებაც სანახევროდ წაერთვა. მეორედ რომ მოხვალ, ვაითუ ცოცხალს ვეღარც მოუსწრო!

— მოვალ კი მეორედ? — დედოფალი წამოდგა, თავმოკაუქმებული დაკეცილი ქოლვა ჯოხივით დაიბიჯვა, ამაღლა უკვე შეკრებილიყო, მისი უმაღლესობის გამოსელასლა ელოდებოდნენ. — იქ, სადაც ჩვენს მტერს კარს უღებენ და მასპინძლობენ, ჩვენ კიდევ მოგვესვლება? მშვიდობით, ძმაც კაცია, ღმერთი იყოს შენი შეწყვე და მფარველი! რაც არ უნდა მოხდეს, თუნდ ცაც ჩამოინგრეს, იცოდე, შენი მოძულეებელი დის გულში შენს ადგილს ვერაფერს დაიკავებს, მაგრამ, გემუღარებო, ნურც შენ უჩვენებ ზურგს შენს საბრალო დას. დისწულებს, მტრის ტყვიანზე გულმიშვერილ შენს სიძეს, რომელიც არასოდეს გიღალატებს და არც არავიზე გაგცვლის..

თხზი xLII

სოლომონმა დარბაზის ერის შეყრა და საქმის გახმაურება ზედმეტად ჩათვალა. დედოფალ მარიამის რჩევით მხოლოდ ტახტთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ პირთ: ორთავ წულუკიძეს, ქვემოშობის სარდალ ბერი ლორთქიფანიძეს, ოკრიბის ბატონ ქაიხოსრო აგიაშვილს, სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს, ძმას — გენათელ მიტროპოლიტ ბატონიშვილ იოსებს, აგრეთვე რუსხელმწიფის კარზე ელჩად ნამყოფ ეპისკოპოს მაქსიმე ქუთათელს მოუხ-

მო და მათთან ერთად გეგუთის სასახლის თამარისეულ სატახტო დარბაზში ჩაიკეტა. ბუკობა თითქმის სამ დღეს გაგრძელდა. სოლომონი არჩევანის წინაშე იდგა: ან უნდა ეცნო ცოლისძმის აშკარა განდგომა და ხვედრს უსიტყვოდ შერიგებოდა, რაც ქვეყნის შინაგან მთლიანობაზე დამლუპველ გავლენას მოახდენდა, ან ჯარი უნდა შეეყარა და გაქირი ხარბივით განზე გამდგარი დადიანის ჰკუაზე მოსაყვანად ცუ-

ცხლითა და მახვილით ოდიშში შეჭრილიყო.

მეფის მეორე განზრახვას მხრის დამკერი არაინ გამოუჩნდა. ყველა, სახელმწიფო ბეჭედის მცველი გიორგი წულუკიძე და გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსებიც კი ფრთხილობდა, არ უნდოდა, თავისი ნაფიქრ-ნააზრევი სხვებზე აღრე გამოეთქვა. ბუბა ჭიანჭურდებოდა. სოლომონი ძვირფას დროს ჰკარგავდა, ხსნის გზა კი ჯერ არსაიდან ჩანდა.

მეთხებ დღეს გვევთში ახალი სათავეცემო ამბავი მოიტანეს: ზუგდიდის სასახლიდან, სადაც ოდიშის მთავარი კაცია ზამთარ-ზაფხულ სახლეულითურთ იდგა, უკვალოდ გამქარალიყო იქ საპატიო პატიმრობაში მყოფი დიდი დედოფალი თამარი. პატიმრის გაქრობა სასახლეში იმავე ღამეს შეეტყუათ და მღევარიც დაუყოვნებლივ გაეგზავნათ. ვის არ გაუჩნდებოდა ეჭვი, რომ მას შემდეგ, რაც კაცია დადიანის შუამდგომლობამ ამაოდ ჩაიარა და რძლის მეშვეობით შვილთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და შერიგების ყველა იმედი წყალმა წაიღო, იმერთა მეფის დედა, თავისი ნებით ან ნების წინააღმდეგ, თვით ოდიშის ბატონმა გააპარა? მალე თამარი სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში თუ არა, ახალციხეში, ბეგლარბეგ ჰასანფაშას კარზე აღმოჩნდებოდა, თავს იმერთა მეფის მძევლად გამოაცხადებდა და გვირგვინოსან შვილს ახალ საფიქრალსა და სადარდებელს გაუჩენდა, ხელ-ფეხზე ახალ ბორკილს დაადებდა.

დედოფალ თამარის მოულოდნელმა დაკარგვამ მთელ სამეფო კარს დამწვარიზე მდღლარე გადაასხა. თუ მის მიმალვაში ბრალი მართლა კაციას ელო, ეს კიდევ ერთი უტყუარი დადასტურება იქნებოდა იმისა, რომ ოდიშის ბატონს ტვინი მართლა გადაუბრუნდა და ხეალ შეიძლება მეტი აკვაცობაც ჩაედინა.

— ღმერთო, რა შეგცოდენ ამის ფა-

სი, — დაიგმინა ახალი ამბის შეტყობით სასოწარკვეთილმა სოლომონმა. — აწი იმას დავუნიშნო ჩილდრე ვინც ჩემს მშობელ დედას ცოცხალს ან მკვდარს მომგვრის?

— ღმერთმა დაგვიფაროს, მეფეო, — თქვა პასუხად გიორგი წულუკიძემ, რომელიც ბოლო დროს ბევრს ავადმყოფობდა და ხელმწიფის კარზეც ისე ხშირად ველარ ხედავდნენ. — რა საბუთი გვაქვს, ყველაზე უარესი ვარაუდი დავივიროთ? ღვთის მადლით, არაფერი. ამქარება, ჩემი ფიქრით, ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. ვადროვით თქვენს მოყვარეს, ბატონ კაციას. მისი ხალხი, ეტყობა, თავის ტყვეს იქ როდი ეძებს, სადაც უნდა ეძებოს.

— საქმეც ეგ ვახლავს, თავადო! — პირში შეეჭრა წულუკიძეს პაპუნა წერეთელი, რომელსაც მოეჩვენა, რომ ამას გიორგი კაცია დადიანის გასამართლებლად და მისი დის, დედოფალ მარიამის საამებლად ამბობდა.

გიორგიმ იქით გაიხედა, საიდანაც სახლთუხუცესის ხმა მოესმა, მაგრამ პასუხი არ გაუცია, დაწყებული სიტყვა ჩვეული სიდარბაისლით განაგრძო:

— მარჯვენას დავდებ მოსაქრელად, თუ ბატონმა დედათქვენმა, დიდებულ მეფეო, ამქვეყნურ ცხოვრებას ზურგი არ შეაქცია და ოდიშის რომელიმე მონასტერში, მიყრუებულ ადგილას, მონაზვნად არ აღიკვეცა.

წულუკიძის მიერ წამოყენებულმა ვარაუდმა იმედი დაჰბადა. იგი ისე სარწმუნოდ, სწორედ გიორგი წულუკიძისათვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით იყო გამოთქმული, რომ დადიანის წინააღმდეგ ამხედრებული სახლთუხუცესიც კი ჩაჩუმდა და მზერა მეფეს შეაპყრო, ნეტავი ის რას ბრძანებსო.

ახლა ყველა მეფეს უყურებდა. გადამწყვეტი სიტყვა მას უნდა ეთქვა და საქმესაც სწორედ ამ სიტყვის მიხედვით უნდა შესდგომოდნენ.

დაწვებმეფაკლული დედოფალი მა-

რამი ორ ცეცხლზე იწოდა და სხე-
ზე მებრუნდოდა, თუმცა ცდილობდა,
გარეგნულად ეს არავისთვის შე-
ემჩნევიდნენ და თანამეცხედრებსაც
და დიდებულებსაც კვლავინდებურად
მშვიდი და უდრტივნიველი სჩვენებოდა.

მარიამი ყოველთვის ღრმა პატივის-
ცემას და მოწიწებას გრძნობდა კეთილ-
შობლი მოხუცის, გიორგი წულუკიძის
მიმართ, ვისი ბრძნული, ასევე აწონ-
ილ-დაწონილი რჩევის გარეშე მისი აღ-
ზრდილი სოლომონი ნაბიჯს იშვიათად
თუ ვადასდგამდა, ახლა კი გული წე-
ლუკიძისადმი უსაზღვრო მადლიერებით
ჰქონდა საესე.

თავადი გიორგი ყველა ღონეს ხმა-
რობდა, რომ მეფესა და ოდიშის ბა-
ტონს შორის კვლავ შავი და თანხმობა
ჩამოეგდო, რაც დარბაზის ზოგიერთი
წევრის, უპირველეს ყოვლისა, წერეთ-
ლებისა და აგიაშვილის, რაჰის ერის-
თავის უშუალო მეზობლების, ყრუ
წინააღმდეგობას აწყდებოდა და ზოგ-
ჯერ გამოუვალ ჩიხშიაც ექცეოდა
ხოლმე.

წერეთლები და აგიაშვილი, ეს ამ-
კარად ჩანდა, ანგარიშით მოქმედებ-
დნენ. დადიანისა და მეფის უთანხმოება
მათი ძველი მოქიშპის — როსტომ ერ-
ისთავის დასუსტებისა და ტახტისადმი
დამორჩილების ერთადერთი გზა იყო.
თუ მეფე და მისი წამქეზებელი თავა-
დები ოდიშის ბატონს წამოაჩოქებ-
დნენ, ერისთავს ფეხქვეშ მყარი ნიადა-
გი გამოეცლებოდა და ისიც სხეებივით
იძულებული გახდებოდა თავი ტახტის
ყურმოჭრილ ყმად და მოხელედ ეცნო.
ისედაც ცამდე ამადლებული წერეთ-
ლები და აგიაშვილი, რომელთა ხელ-
ში ქვეყნის მთელი ძალაუფლება იყ-
რიდა თავს, თავიანთ გავლენას კიდევ
უფრო გაზრდიდნენ, ერისთავს იქით
შეაფიქროვებდნენ და აძულებდნენ,
საკუთრივ რაჰის ყმა-მამულით დაკ-
მაყოფილებულიყო და ქედსგადმოღმა
სამფლობელოებზე ერთხელ და სამუ-
დამოდ უარი ეთქვა.

საქმეს ის ართულებდა და თითქმის

გამოუვალ მდგომარეობასაც სწორედ
ის ქმნიდა, რომ მოლა აბდულა-ფაშას
ლაშქრის ქობულეთთან გავლუტის და
ოსმალების მიერ მეფედ დამტკიცებუ-
ლი თეიმურაზ ბატონიშვილის უკან
გაბრუნების შემდეგ რაჰის მიუვალ
კლდეკარებში გამოეკეტა ერისთავმა
ახლო ნათესავ კაციასთან დანაშაუ-
ლებრივი კავშირი გააბა, უამისოდაც
გულადრენილ ოდიშის ბატონს დაბი-
რებით აგულიანებდა და სანამ მეფე
ოდიშის საკითხს ასე თუ ისე არ გადა-
წყვეტდა, ასევე აბურღულ-დაბურღუ-
ლი იქნებოდა რაჰასთან ურთიერთობის
საქმეც.

ერისთავიშვილებმა, რომლებიც ერთ-
ხანს, თითქოსდა მტრის გამოსაჯავრე-
ბლად, სულ სოლომონის თვალწინ
ტრიალებდნენ და ბევრ ვისმე მართლა
ჩრდილავდნენ, ფეხი ამოიკვეთეს მეფის
სასახლიდან, თვით როსტომი კი ისე
იყო გაფრთხილებული და გამეცადინე-
ბული, რაჰიდან კი არა, ბარაკონიდა-
ნაც არ გამოდიოდა, ალი ენგიჩარს
ციხეებს ამგარებინებდა, თვით კი ერთ-
თავად შინ იჯდა და როგორც უბრალო
მეურნე გლეხი, თავისი ხელით გაშენე-
ბულ ხეხილის ბაღსა და კარის ვენახს
უვლიდა.

მეფე, მართალია, ხედავდა, რომ ტა-
ხტის ერთგული წერეთლებისა და აგი-
აშვილის მოქმედებაში ანგარების წი-
ლი ჰქარბად ერია, მაგრამ რაჰის ერის-
თავთა სახლის დაკნინების სურვილი
გულში ისე ღრმად ჰქონდა ამოჭრილი,
მათ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწ-
ევდა და ძალაუფლებურად დადიანის მო-
ქიშპეთა ბანაკში ხედებოდა. ამგვარ
ვითარებაში გიორგი წულუკიძის გო-
ნიერ სიტყვას, რომელიც მეფისა და
ოდიშის ბატონის სასარგებლოდ იყო
მიმართული, სწორედ ოქროს ფასი
ელო და ამავე თანხმობის მოსურნე დე-
ოფალიც წულუკიძის ყოველ გამოს-
ვლას იმედის თვალით უყურებდა.

გამზრდელთან და მღვდელმთავარ
ძმასთან წინასწარ ნათათბირებმა სო-
ლომონმა საქმისადმი თავისი დამოკი-

დებულება ორიოდ სიტყვით გამოჰხატა და ტახტთან დაახლოებულ პირთ ამცნო, რომ ქვეყნის შინაგანი მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად ძალ-ღონეს არ დაზოგავდა, მაგრამ ეს ისე არაღის უნდა ვაგვო, თითქოს ვისმე ღეთისა და ტახტის წინაშე დადებული ფიცის გატეხას შეუძნობდა და არა შეურისძიებისათვის, არამედ ზეგარდმო დაკანონებული წესისა და რიგის აღიდგენად სისხლის დაღვრას მოერიდებოდა.

— მუქარად ნურაგინ მიიღებს და, შეაღარ დამრჩენია სხვა გზა, — თქვა მეფემ. — იმის წინააღმდეგ, ვინც მოჩვენებითი მტრის გულის გასახარად შფოთსა და არეუ-დარევის ჩამოგდებას მოიწადინებს, დადიანი იქნება, გიხდერისთავი, გინდ სხვა ვინმე, ყველა უხედა გავერთიანდეთ, მხარი მხარს მივცეთ და სხვათა კეუის სასწავლებლად შილატის სახლ-კარი ნაცარტუტად ვაქციოთ. ღეთის მგამობელის რბევა ცოდვად არ ჩაგვეთვლება. დიდი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორისაგან შეწვევანზე მიკბულ-მოკბული უარის მიღებამ ბევრ ჩვენთან, ვინც გუშინ გვერდში გვედგა და ურჯულოს წინააღმდეგ ხმალს შამაკურად იქნევდა, გულში ეჭვი გაუღვიძა და ზოგიერთმა ოსმალეთისაკენ დაიწყო ცქერა. პირველი მათ შორის, რა დასამალია, ჩვენი საყვარელი ცოლისძმა, კაცია დადიანი აღმოჩნდა. ეს როგორც ჩანს, ასეა, — მეფემ მზერა თანამეცხედრე დედოფალს გადაჰკრა და თვალი ჰკიდა რა გამძაფრებელი ყურადღებით უსმენდა აწ უკვე სამი ბატონიშვილის მშობელი დედა, ოდიშის ბატონის ასული მარიაში. — მაგრამ არა გვეგონია, დიდი ოტიას ძემ, ბატონმა კაციაში, მრავალ ომში მხარდამხარ რომ გვიბრძოლია, ხელმოკლეობა გამოიჩინოს, ღმერთი ჰგმოს და სხვათა ჩაგოხებით ან საკუთარი გულისთქმით მამულისა და ქრისტეს ჯვრის დალატის გზა ირჩიოს. ჩვენ გულს არ ვიტეხთ, გეწაჰს, რომ ერთმორწმუნე რუსის ხელმწიფედღეს თუ ხვალ წყალობის თვლით გა-

დმოგვხედავს, ურჯულოს საჩივრად კვლავც არ გაგვხდის და მშვიდკელ კალთას გადაგვაფარებს!

მაქსიმე ქუთათელმა, რომელსაც, თითქოს წინ მიცვალეული უსვებიო, გულზელი დაქედო და მეფეს ისე უსმენდა, ნაადრევი ქალაჩით შებუზბული თავი დაჰხარა და ბატონის ნაბრძანების სრული ჰეშმარიტება ამით გამოჰხატა.

— ჩვენ გულს არ ვიტეხთ! — შეტირწმენით, თითქმის გაბოროტებით გაიმეორა სოლომონმა და დაღუშებულ კრებულს თვალი მოავლო. — გამოგვებნით უკეთეს დროჟამს და ისევე შვიადგებით კარზე ჩვენს დიდ მეზობელს. ეს სანატრელი დროჟამი მაშინ დაგვიდგება, როდესაც რუსეთის ღეთიგურთხული ხელმწიფე ეკატერინე ევროპის ხელმწიფეთ ზავით შეეკვრის და მოწყალებ მზერას კავკასიის ქედის გადმოღმა მოაპყრობს!

„ღეთი მაშინ მეც ის შავი დღე გამოიგნდეს, ღმერთო, პეტრე დიდის მოიშედე საცოდავ ვახტანგს რომ გაუთენდა!“ — გაუღელვა მეფეს, გააყრეოლა და თვალზე მზინმა გადაუარა.

— მოთმინება გემართებს, დიდებულნი. — ოდნავ შეცვლილი ხმით, თითქოს საკუთარი თავის დასარწმუნებლად განავრძო მცირე შეყოვნების შემდეგ. — ისე ქვეყანას და სარწმუნოებას ვერ შევიწახავთ, ურჯულოთ ვერ შევკავებთ და, მტრისა და ავისას, მუსულმანობის უფსკრულში ჩავინთქმებით, როგორც ჩვენი ღვიძლი ძმები, მესხები.

— ჰეშმარიტად, მეფეო! — კვერი დაუკრა მაქსიმე ქუთათელმა, რომელსაც იგივე მტანჯველი ფქვი აკვიბებოდა, რამაც ხელმწიფე შეაბორძიკა, მაგრამ წკვარამში სხვა საშველს ვერც ის ხედავდა და ხსნის ერთადერთ გზად, მიუხედავად ენით აღწერული გაჭირვებისა, რუსეთში რომ გამოიარა, მაინც რუსეთთან საუკუნო კავშირი ესახებოდა.

მიწვეულ დიდებულთათვის ამკარა იყო, რომ სხვადასხვა მოსაზრებით, შესაძლოა დედოფალ-დედოფალ მარი-

ამის ჩაგონებითა და დაეინებით, რის უნარიც მხოლოდ მანდილოსანს შესწევს, მეფე უკან იხევდა და დადიანთან ურთიერთობის საბოლოო გაშიშვლებას ერიდებოდა, ესე იგი იმას აკეთებდა, რასაც აღმზრდელი გიორგი წულუკიძე დღედაღამ ურჩევდა და უჩიჩინებდა.

სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა და ოკრიბის ბატონმა თავადმა ქაიხოსრომ, რომლებიც თავიანთ ზრახვებს ხმაშლილი არ ამკლავებდნენ, თუშცა დადიანის წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით გალაშქრება გადაუდებელ, ერთადერთ სასარგებლო საქმედ შიახნდათ, წყენა გულში ჩაიხვიეს და ეს წყენა ერთმანეთისათვისაც კი არ გაუშხეულიათ.

პარაკეცს სახლთუხუცესს მეფემ კაცები გააგზავნინა და რაჭის ერისთავი როსტომი დარბაზის სხდომაზე მოიწვია.

ავიღევილი და წერეთელი გამოცოცხლდნენ, გაინაბნენ და მოთმინებით დაუწყეს ლოდინი, რა მოხდებოდა.

სოლომონმა ამჯერად მათთვის სასიამოვნო ნაბიჯი გადასდგა. დარბაზის ერის სხდომაზე, დიდმარხვის პირველი სამშაბათისათვის რომ იყო დანიშნული, როსტომი, როგორც სხვა დროსაც არა ერთჯერ უნებებია, არც ახლა გამოცხადდებოდა, შიშით, ხაფანგი არ დამიგონო, არც რომელიმე შეიღს გამოგზავნიდა და, ასე და ამგვარად, მეფის უზენესი ბრძანების შესრულებას თავს აარიდებდა.

ეს, რასაკვირველია, სოლომონსაც კარგად იცოდა, მაგრამ თითქოს შთლად ვერ დაუჭერებიაო, სახლთუხუცესს კაცები მინც გააგზავნინა და დარბაზის უპირველესი წევრი, სპასალარი და ვიპატონი როსტომ ერისთავი, წარჩინებული დიდებულისათვის შესაფერი პატივით ვეგუთს მოიწვია.

პასუხი იმავე მაღმსრბოლებმა მოიტანეს, რომლებიც მეფის ბრძანების თანახმად ერისთავს ეახლნენ ბარაკონზე. როსტომის მეციხოვნეებს, ბიდიკირის კოშკებში რომ ისხდნენ და თავიანთი ბატონის მყუდროებას ფხიზლად

დარაჯობდნენ, ისინი დილიდან საღამომდე ელოდინებინათ. საღამოს მღერის გიჩარი ჩამოსულიყო და ერთი სტეპათა შორის, მოსულების ვინაობა ეკითხა. როდესაც მეფის კაცებს ეპასუხათ, ვინც იყვნენ, ალის იოტისოდენა განცვიფრება ან სინანულიც არ გამოეხატა, იქვე მეციხოვნე გაეგზავნა როსტომთან და მაღმსრბოლების მოტანილი სიტყვა დაებარებინა.

— კმარა! — მეხდაცემულივით შეჰყვირა სოლომონმა, როდესაც ბარაკონზე მისი კაცების ავღებულად მიღებისა და ერისთავის არანაკლებ ავღებული პასუხი — ცხენი ავად გამოხდა, შტოდნენ ხალხი დავასიე, როგორც კი შოიყეთებს, მაშინათვე გეხალბოთ — შოახსენეს. — იქაურობის აკლება და გაპარტახება არ ავცდებდა. ღვთის ნება ასეთი ყოფილა. ავიკლებ, ქვას ქვანუ არ დავტოვებ, თავს ლაფი დამესხას და უღვაშა შემირიცხვებს. თუ ეს ასე არ ვქნა! ან მე უნდა ვიქნე, ან პირდალი როსტომი!

— მაგის დროა, სოლომონ? — მიტროპოლიტი იოსები გელათიდან საგანგებოდ ჩამოასკდა, გვირგვინოსანი ძმის საბედისწერო განზრახვის და ომისათვის მზადების ამბავი რომ შეიტყო. — დღეს თუ ხვალ ურჯულოს ახალ შემოსევას ველით, კაცმა არ იცის, კიდევ შეგვეწევა მაღალი ღმერთი თუ არა და, ამისთანა მეორეთმოსვლაში რაჭის ციხეებს უნდა შეაწყვიტო ხალხი, მმას ძმის სისხლი დააღვრევიანო?

— არ დავთმობ, იესე, მეყო, ჩემი საქმე მე ვიცი, მამის სულს გაფიცებ, ჩამომეცალე, გზაზე ნუ მდლობები!

— თუ შენ ამას გზის გადაღობვას უძახი, დავ იყოს ასე, ოღონდ იცოდე, ამ გზაზე ჭვარი ასეენია და ქრისტეს ჭვარს არ გადაგაბიჯებინებ! — მიტროპოლიტმა გულზე წვრილი ძეწვეით დაკიდებული უბრალო ბერული ჭვარი მართლაც მოიხსნა და მეფის ფერხით დაასვენა.

— ნუ მაფიქრებინებ, იესე, რომ შენც ჩემს ორგულთ უმაგრებ მხარს, ნუ ჩამადენინებ იმისთანა საჯაყ საქმეს, შეც

რომ სიცოცხლეს მომიწამლავს და შენც სანანებლად გაგიხდება! ყველაფერს საზღვარი აქვს. ამის მოთმენა, რაც პირდაღმა როსტომმა მაქადრა, შეუძლებელია. მაშინ რაღა მეფე ვარ, მაშინ ან ეს ოხრად დასარჩენი გვირგვინი რად მინდა და ან ეს კვერთხი, არა ჯობს, ჩემს უბედურ ძიძას, მაკრინეს, წინდის ჩხირებში გავუცვალო?

იოსები ფეხებში ჩაუფარდა მოთმინებიდან გამოსულ ძმას, შეჭარა, პირადად მას რომ შეეხებოდა, არაფრად ჩაავდო, ეხვეწა, ემუდარა, ყველა წმიდანი და მოციქული სათითაოდ დააფიცა, ათასი სარწმუნო საბუთი მოუტანა, რომელთა თანახმადაც გაფიცებული გულის აყოლა მეფეს მხოლოდ დაახარალებდა, მაგრამ არაფერმა გასჭრა, სოლომონი ცეცხლმოკიდებულ გალიაში გამოიწყვედელი ლომივით ბრდღვინავდა, უფრო და უფრო ხელღებოდა და არაფრის გაგონება არ უნდოდა.

— ვხედავ, დაჰკრა შენმა აღსასრულმა, — მიმართა ბოლოს ოფლში გაწურულმა იოსებმა. — შუბლზე თურმე ეს გწერებია და მე რა ძალა მაქვს, გარდა ლოცვა-კურთხევისა, განგების ნებას წინ აღვუდგე!

— იყოს აგრე! — ისროლა სოლომონმა. — ნუ დაგავიწყდებათ, რომ მეც თქვენებრ კაცი ვარ კაცთაგანი, საგულეში გული მიდევს და სანამ არ გამცივებია, ძარღვებში სისხლი მიდღვს. როდემდე ვიჯდე ხაროში ჩასაფრებული, გეკითხები, როდემდე ვიყო მონა, როდემდე ვეყმო ამ გვირგვინს? — მან ორივე ხელი იტაცა თვალმარჯალიტით შემკულ ბაჯალლო ოქროს რკალზე, თავზე რომ ეხურა, მოიხადა და ძირს გამეტებით დაანარცხა.

ამის შემხედვარე თავზარდაცემული მიტროპოლიტი პირჯვარს იწერდა, ძმას თვალს არ აშორებდა და ტუჩების ძლივს შესამჩნევი ცმაცუნით ლოცულობდა.

— მომეშვით, თავი დამანებეთ. შოიწვიეთ ურჯულო თეიმურაზი, ან თავად მიიღეთ ტახტი შენ ან არჩილმა, რას

მემართლებით, კაცო, ღმერთი არა გწამთ? — დაიღმურლა მისი ღმერთი, სახე ხელებში ჩარგო და გულიდან ყრუ გმინვა ამოსცდა. იოსები წამოდგა, ძმას ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ნაცემი ბალღით საცოდავად მოკუნტულს და მუშტისტოლად დაპატარავებულს ერთხანს თავზე დასცქეროდა, მერე გამძვინვარება მოიკრიბა და მხარზე ხელი შეახო.

— შენ კიდევ აქა ხარ? — სველი სახე სოლომონმა უცებ ასწია.

— როგორ თუ აქ... — იოსები დაიბნა. — მაშ, სად უნდა ვიყო, ამისთანა დღეში კაცი ვის იმედად დამეტოვებინე!

— ვითომ ჩემზე ზრუნავთ? — დამცინავმა ღიმილმა, ბატონიშვილი იოსები დღეს პირველად რომ ხედავდა, სოლომონს სახე დაუმახინჯა. — ჩემზე ზრუნავთ ყველა! ზრუნვას არ მაკლებთ, მაგრამ არც საკუთარ თავს ივიწყებთ! მეფეზე ზრუნვა სარფიანი საქმეა! უბრალოდ არ ჩაივლის. ყველა ერთი ხარო, შინაურიც და გარეულიც, სამღვდლოც და ერისკაციც, მამა-ღმერთმა ყველა ერთი ტალახით მოგზილათ!.. წადი, ახლა მაინც მომეშვი და მარტო დამტოვე. ღმერთმა ზომ იცის, არავისთვის არაფერი მითხოვია, არავინ შემიფუხვებია ხარო. შეძვერით თქვენს თბილ სოროში და იყავით. ვინ გამოვიგნოთ იქიდან, ვინ მოგიწვიათ, ვის რაში ეჭირვებით?!

— მადლობელი ვარ, ძმაო, — თვალცრემლიანმა იოსებმა თავი მდამლად დახარა. — მალაღმა ღმერთმა გაპატონოს, რასაც უპატიურს ამბობდე და შენთვისა და ტახტისათვის თავდადებულ ადამიანებს დაუმსახურებელ ჩირქს სცხებდე. ვხედავ, ყველა ჩემს ცდასა და რუღუნებას ამოად ჩაუვლია. არც გამაღლი და ვერც საყვედურს გაადრებ. მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ, — მიტროპოლიტმა ტახტის საფეხურზე დასვენებული ჯვარა იიღო და მხურვალედ ეამბორა. — ამისი მადლი შეგეწიოს, პირთა თმენა გვასწავლა და ჩვენც, კაცნი, მოვალე ვართ მის გაკვალულ ზხას მივდიოთ!

სოლომონი გონს მოეგო, მღვდელ-მთავარი ძმის ღმობიერებამ და სიმძვი-დემ, მისი ყოველი სიტყვიდან რომ გა-მოსკვიოდა, ცხელ გულზე თითქოს ცი-ვი წყალი გადაასხა და ერთბაშად გამოა-ფხიზლა.

იოსები წასასვლელად ემზადებოდა.

— მართლა მიდიხარ, იესე? — თა-ვისდა უნებლიეთ აღმოხდა მეფეს. — მართო მტოვებ?

— მე შენს სურვილს ვასრულებ, ძმაო, აღარა მსურს, ჩემი აქ ყოფხით სულის სიმშვიდე დაგირღვიო.

— სულის სიმშვიდე მაშინ უფრო არ დამერღვევა, როცა შენ ჩემს გვერდით აღარ იქნები? — სოლომონს უპეებზე ცრემლის ტბორი მოადგა და თვალები მოენისლა. — მოდი, აქ ჩემს წინ დაჯექი. მაპატიე, თუ რამე ზედმეტი ვითხარი.

— ღმერთმა გაპატიოს, სოლომონ.

— ახლა თქვი, რისი თქმა გინდოდა, მე გისმენ!

— ჩემი სათქმელი მე უკვე ვითხარი, ძმაო, მეტი რაღა უნდა ვითხრა! ომისა-თვის მზადება გიბრძანებია. რაჟის და-ლაშქვრას აპირებ. აგიაშვილი და წერე-თლები ფეხზე აღარ დგანან სიხარუ-ლით. დღეს თუ ზვალ ამ ამბავს როსტო-მიც შეიტყობს და ჯარს შეკრებს. აქეთ დადინი შემოგვესევა. სწორედ სამარც-ხინო და ღვთის განმარისხებელი საქმე მოხდება. მერე რის გამო?

— შენ კიდევ შენსას იმეორებ, იესე?

— არ ვიმეორებ, ძმაო, შემეკითხე და გაპასუხე!

— მაშ, თუ აგრეა, შენ მასწავლე, და-მარიგე, როგორ მოვიქცე ისე, რომ სულძალი როსტომი დაუსჯელი არ დამარჩეს.

— მომანდე ეგ საჭოკმანო საქმე მე, მე მოვაგვარებ!

— შენ? შენ რანაირად უნდა მოა-გვარო?

— ერისთავს აქ მოგვერი, შუაქაცად ჩავდგები და შეგარიგებთ!

— ჯერ ერთი, მე აღარ შეკითხები, მსურს თუ არა შერიგება? მეორე: როს-

ტომი ჯერ ისე არ გადარეულა, რომ ბუნაგიდან გამოძვრეს და ადგილების დასათბრელად აქ შეახლოს!

— მხოლოდ ერთი პირობით, სოლო-მონ: ბარძიმზე უნდა დაიფიცო, რომ თავისი ნებით მოსულს არაფერს აცნებ და დარბაზის ერის დათხოვნის შემდეგ შინ მშვიდობით გაისტუმრებ!

— მე ისე მიგრძნობს გული, რომ ეგ, რასაც ახლა მთავაზობ, კათალიკოსმა დაგაკისრა, თვით ვერ გაბედა მოსვლა და ძმის საბატონო ქვეყანა რომ ჩემი რისხვისგან დაიხსნას, შენი თავი მომი-გზავნა!

— თუნდაც აგრე იყოს, რა არის მაგა-ში დასაგმობი, სოლომონ, ეკლესია ვერ შეიწყნარებს ძმათა სისხლისღვრას, ვინც არ უნდა წამოიწყოს, მეფემ თუ მთავარმა, მოვალეა, ყველაფერი ილო-ნოს მის აღსაკვეთად!

— თანახმა ვარ, იესე, ოღონდ სხანამ საბოლოო თანხმობას გეტყოდე, ერთი პირობა მეც უნდა დაგადებინო! ფიცს ვერ მოგცემ, მხოლოდ სიტყვიერად გპირდები, რომ თუ ნებით გამოცხად-დება, ერისთავს ბუნსაც არ აფუფრენ, რაჟის აკლებაზე ხელს ავიღებ და ერის-თვისშვილებსაც, თუ დანაშაულს გულ-წრფელად მონიანთებენ, წყალობით მო-ვეკიდები.

— ჩემი სახელით ღმობიერეთის ეკ-ლესია შუამდგომლად დგება და უძორო-ჩილესად ვთხოვს, შეუნდო როსტომ ერისთავს, რაც დანაშაული მიუძღვის და მისცე საშუალება, ამას იქით პირ-ნათლად გემსახუროს! — იოსებმა მუხ-ლი ისევ მოიყარა და ორივე ხელი ვედ-რებით აღაპყრო.

— ადექი, იესე, — ღმობიერად უთხ-რა მეფემ. — არ გმართებს შენი ძმის წინაშე დაჩოქება. მომინდვია ეგ საქმე შენთვის. ჩემი ერთგული, საყვარელი, ჰირში გამოცდილი ძმა ხარ და გაწბი-ლებული როგორ გაგიშვა, მის უწმინ-დობას კი უთხარი ჩემს მაგიერად, რომ სანამ ჩემთან მოციქულის გამოსავზავ-ნად შეფუცხუნდებოდეს, ჯერ თავისი გაუმამღარი ძმა დამოძღვროს, სარკე

მიუტანოს და შიგ ჩაახედოს, ხოლო ბოლოს ძველი ანდაზა გაიხსენოს ორივემ: კოკა წყაროზე გატყუდება!

— იდილოს შენი სახელი უკუნითი უკუნისამდე, სოლომონი — იოსებს თვალეზში სიხარულის ცრემლი ჩაუდგა, ერთი წვეთი კიდევაც ჩამოუგორდა და უღვაშზე დაეკიდა. — არ დაგივიწყებს ამ სიკეთეს და დიდსულოვნობას არც ღმერთი და არც შთამომავლობა! ახლავე მივდივარ, სიკვდილიც კი ვეღარ დამაკავებს!

სიხარულისაგან ფრთებშესხმული მღვდელმთავარი მეფემ რაჭველი ხითხუროების ხელით ნახარატვე ურთხელის ვეება კართან მიაცილა და, თითქოს ვისმე ეკრძაღვისო, იქ დარცხვენით ჰკითხა:

— დედაჩვენის ამბავი ხომ არაფერი გსმენია, იესე?

კარგა ხანი იყო, მიტროპოლიტი მოელოდა ამ შეკითხვას.

— ბერები დავგზავნეთ ოდიშისა და სვანეთის მონასტერში. ჯერ არაფერი ისმის.

— იქნება არჩილს მოაწვდინა ხმა?

— არჩილი აქეთ გვეკითხება, რა იცის, იმას ვინ რას ეტყობა!

— კარგი, წადი, კეთილად იმგზავრე. თუ მართლა სადმე მონასტერშია, როგორც გიორგი გვარწმუნებდა და შტრის ბანაკში არსად გამოჩნდა, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყვეს, თუ არა და...

იოსები ძმას მხარზე ეამბორა, ჯვარი გადასახა და კარი გამოაღო.

თავი XLIII

სოლომონმა აღდგომა დღე შინ, გულის სასახლეში ვაითენა, სადღესასწაულო წირვადაც ცოლ-შვილითა და უახლოესი ნათესავებით გარშემორტყმული დადგა სანთლებით გაჩირაღდნებულ კარის ეკლესიაში მგალობელთა გუნდს ძლივს გასაგონი ბანი დააწია. საზეიმოდ გამოწყობილი ბატონიშვილები — დარეჯანი და ნინო — დედის აქეთ და იქით ამოსდგომოდნენ და უკვე ვაბედულად გალობდნენ, მეხუთე წელიწადში ვადამდგარი შავთვალწარბა, გოგონასავით თმამოშვებული ალექსანდრე კი მამას უყურებდა, ვარდის ფურცელივით ლოყებატყეცილს და ბედნიერს, რომ მარადეაშს სანატრელი მამა შინ ჰყავდა და შეეძლო, მას ხელითაც შეჰხებოდა, თვალეზი უციმიკმებდა და გალობას თავის მაღალ, ათას ხმაში გამოსრჩევ წკრიალა ხმას აყოლებდა.

— ვინ იყო გიორგი ბრწყინვალე? — მოულოდნელად, ყოველგვარი შესაგლის გარეშე ჰკითხა მან სოლომონს,

როდესაც ხელიხელჩაკიდებულნი ეკლესიიდან გამოვიდნენ და სასახლისაკენ მიმავალ ბილიქს დაადგნენ.

— მეფე იყო, შვილო, დიდი მეფე, — აღერსიანად უბასუხა სოლომონმა და მხარზე მოხვეული ხელი ლოყაზე მოუთითუნა.

— როგორც შენ, მამა?

— ჰო, როგორც მე, შვილო, ოღონდ ის დიდი მეფე იყო.

— ამ სასახლის ოღენა?

— არა, სასახლისოღენა როგორ იქნებოდა!

— აბა? ამ წყავისოღენა?

— არა, არც წყავისოღენა, ჩვეულებრივი ტანის კაცი იყო გიორგი ბრწყინვალე, ოღონდ თავის მეფობაში სანაქებო საქმეები მოიმოქმედა და შადლიერმა ერმა დიდიც ამის გამო უწოდა და ბრწყინვალეც. შენც რომ გაიზრდები, დავაკაცდები და მამის შემდეგ შეფის გვირგვინს დაიდგამ, გიორგი ბრწყინვალესავით დიდი და სანაქებო საქმეები უნდა გააკეთო. მამის შენც დიდსა და

ბრწყინვალეს შეგარქმევს მადლიერი ვრი და პირზე ყველას შენი სახელი ეკერება!

ალექსანდრე დაფიქრდა, მერე კი ისევ იკითხა:

— შენ არ შეგიძლია, მამა, დიდი და სანაქებო საქმეების გაკეთება?

სოლომონს გაეცინა, თუმცა გულში წყენამ გაჰკრა, ამ ანგელოზის პირით თითქოს საკუთარი სინდისი შემოსწიოდა და მამულიშვილობას უწუნებდა.

— როგორ არ შემიძლია, აკი კიდევაც ვცდილობ?

— გიორგი ბრწყინვალის ამბავი მომიყევი! — ალექსანდრე ორივე ხელით ხელზე დაკეიდა და დიდრონი კაკლები-საკენ გასწია, სადაც მოკალეობის ეამს სოლომონს უყვარდა ჩამოჭდომა და დაგვიანებულ სამხარსაც ხანდახან იქ მიირთმევდნენ ხოლმე. სოლომონმა ძლივს შეაკავა.

— ახლა სუფრას რომ უნდა შემოვუხსნდე? ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეს აღდგომაა! დღეს დღეს მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე მკვდრეთით აღსდგა! სასახლეში ბევრი სტუმარი გვყავს. ქრისტე აღსდგა, ბიჭო!

— ჭეშმარიტად, მამა!

— ალექსანდრე! სოლომონ! — მოეგება ქმარ-შვილს დედოფალი მარია-მი. — სადა ხართ ამდენ ხანს, სტუმრები ჩამოწყდნენ ფეხზე დგომით, კერძებიც ცივდება. გიორგი ბრწყინვალის ამბავს ხომ არ გეკითხება? — შეილს ორივე ხმელი ხელი მოჰხვია, აიყვანა, გულზე მიიკრა და ახლა მარტო თანამეცხედრეს მიმართა დედოფალმა. — ეს დღეები სხვა სალაპარაკო არაფერი აქვს, ყველას ეხვეწება; გიორგი ბრწყინვალის ამბავი მომიყევითო. არ ვიცი, იმ სულკურთხეულის სახელი პირველად ვიხ უხსენა!

— კარგადაც მოქცეულან, თუ უხსენებიათ! — ფიქრიანად თქვა სოლომონმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გახელე-ბოდა მსუმბუქი წყენა, შეილს გულუბრყვილო შეკითხვამ რომ მიაყენა. —

ხალხი ბევრია? კიდევ ხომ არავინ მოგვმატა?

— მოგილოცავ, სოლომონ! — ამბა ბატონიშვილი ძირს ჩამოსვა და გვერდში ამოიყენა. — ოდიშიდან ძღვენი და სააღდგომო მოლოცვა მოგვივიდა ჩემი მშისაგან, გულით გვილოცავს!

— ეგ მართლაც სასიამოვნო ამბავი გვხაბე! — სოლომონს თვალები გაუნათდა. — რა მეთქმის მადლობის შეტი! იცოდეს ღმერთმა, ცოლისმშის ვალს არ შევირჩენე! ეტყობა, შენმა დესპანობამ გასჭრა და ბატონმა კაცია ჩვენზე გული მოიბრუნა. გურიიდან ჯერ არავინ ჩანს? ბიძაჩემ მამიას ისე ვატყობ, პირი აქვს დამწვარი და აქეთ აღარ იხედება!

— ნუ ხარ გვევიანი, სოლომონ, იქნებ რა უჭირს დროულ კაცს, იქნებ მიკითხვა და ამბავს გავება შენგან სჭირდება!

— მე რომ მივაკითხავ, ვათუ ძვირი დაუჭდეს, — ორაზროვნად შენიშნა სოლომონმა და გაიღიმა. — უჯობდა, ისევ თავად მოეკითხა!

— კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი, სოლომონ!

— რა?

— აბა, თუ გამოიცნობ!

— დედაჩემს მიაგნეს მონასტერში?

— არა, — მარიაშმა ტუჩები მოკუმბა და მოიწყინა.

— იესემ ერისთავი მოიყვანა?

— ბერძნის მიტროპოლიტი დახიელ დასკალი ჩამობრძანდა კონსტანტინოპოლიდან და ეს არის, მოსალოცად გვე-ახლა თავისი არქიმანდრიტით და ბერე-ბით!

— როგორ თუ გვეახლა? — სოლომონს ისევ გაეღიმა, ჭმუნვა გადაეყარა და მთელ მის სახეს თითქოს შუის შუქი დაადგა. — აკი გაგულისებულნი გვექცა გელათიდან, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქთან უნდა გიჩივლოთო? მაქსიმე ქუთათელი უხდა შეგახვედროთ მავას, ის არის მავის კბილის ჭია!

— შეხვდა, წარმოიდგინე, პირველად ის შეხვდა და უნდა გენახა, რა მოწი-

წებით და სიყვარულით გადაკოცებს ერთმანეთი!

— დიდება შენდა, ღმერთო! — სოლომონმა პირველი გადაიწერა. — რამდენი ხანია მას აქეთ, კინალამ ქონრით რომ ათრიეს ერთმანეთი? ხვევნა-კოცხა რალა შუაშია!

— აღდგომას მომდურავები ძველ წყენას იფიწყებენ და ახალ სიაშტკბილობას უდებენ სათავეს!

— შენც მართალი ხარ, მარიამ. გარდა ამისა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, როგორც ეტყობა, საიმედო ვერაფერი უთხრა დანიელ დასკალს, ვინ იცის, განკვეთითაც დაემუქრა, მაქსიმეს კი რა ენაღვლება, თუ იქიდან არ მოეძალებიან და შავს თეთრად არ მოაჩვენებენ!

სოლომონის შენიშვნამ დედოფალსაც დიმილი მოკვავრა. მათ მხარდაშხარ განაგრძეს გზა მწევანეში ჩაფლულ სასახლისაკენ.

სააღდგომო სუფრაზე თავი მართლაც ბევრმა ხალხმა მოიყარა. სამზარეულოსა და სასახლის შუა მსახურები გარბი-გამორბოდნენ და სასახლის ყველაზე დიდ დარბაზში, სადაც სუფრა იყო გაშლილი, ჩაფებით ღვინო, გობებზე დახვავებული მოხარული ხორცი, შამფურზე შებრაწული შვლები და გოჭები, აჯამეთის ტყეში მონადირებული ხოხობი და დურაჯი, იმ დილას დაჭერილი, წაბლის თითო ნეშოში გამოხვეული შემწვარი კალმახი, კახური შოთი პურები, რაჭული შეკეცილები, გურული ღვეზელი და რუსებისაგან იხხახად გადმოღებული უგემრიელეს კერძად მიჩნეული ხბოს ხორცის შიშხინა კატლეტები შემოჰქონდათ.

მოპატივებულნი დიდკაცობა და წვრილ-წვრილი აზნაურები, რომელთაც მხარს საზეიმოდ მორთულ-მოკაშშული თანამეცხედრენი, გასათხოვარი ასულები და ახალწვერ-ულვაშწამოშლილი ვაყები უმშვენებდნენ, მწევანედ აბიბიხებულ მამაპაპურ ენოში ტრიალებდნენ, ერთმანეთს ფარულად ზვერავენეს, საგულდაგულოდ ამოწმებდნენ, ვინ რა

შეიძინა, ვინ რით დასჯაბნა მეზობელი, თვალი რით დაუყენა და მსხვერპლად მიტოვდა, თან გულისყური კარის ეკლესიისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, საიდანაც ბატონი მეფე უნდა გამობრძანებულიყო.

ოქრომკედლით მოსირბულ ლაქვარდისფერ მოკლე ტუნიაკში და მაღალყელიან წითელ წადებში გამოწყობილი სოლომონი ჯერ ყველას ერთად მიესალმა, ქრისტე აღსდგა, ძმებო და შვილებო, ხმამაღლა დაიძახა და, ქეშმარიტად, როდესაც უპასუხეს, სტუმრებს სათითაოდ ჩამოუარა, ზოგს, ვინც უფრო ახლობელად მიაჩნდა, ცალკე მიულოცა, მრავალ აღდგომასა და შობა-ახალწელიწადს ღმერთმა ჯანის სიმთელით და ოჯახის კეთილდღეობით დაგასწროსო, უთხრა, გადაეხვია, ტოლივით გადაკოცნა, ზოგს კალთაზე მთხვევის ნება დართო, ზოგს კი მხოლოდ თავი დაუჭრა და ღირსეული მასპინძლის ყურადღება ამით გამოჰხატა.

სახლეულითურთ და მეფის საყადრისი ძღვენით მოსულებმა ბატონს საზოგადოებაში პირველად გამოყვანილი, სირცხვილისაგან დაწვებალეწილი წელწვრილი ასულები და ყურადღების შეაგულში მოხვედრით ამათზე არანაკლებ დარცხვენილი პირტიტველა ვაყები წარუდგინეს. ისინი აქამდე ერთმანეთის ფარული ჰერეტიით იყვნენ გართული, ბედნიერებისაგან თავბრუდახვეულნი მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ, გულში ოცნების კოშკებს აგებდნენ და უფროსების ეს გამოჩენული ყურადღება სულაც არ სჭირდებოდათ.

— მოგსწრებია მეგვიდრე, ქაიხოსრო, — გამამხნევებელი სიცილით მიმართა მეფემ თავადაც შვილივით დაწვებმეწიითლებულ ზემომხრის სარდალს, ქაიხოსრო წერეთელს, და მის საულვაშეაღინდლულ, თითქმის მამის სიძაღლე ვაგს მოწონებით ახვედ-დაახედა. — სახელი გვიბოძე, თავადო!

— ზურაბი, ბატონო მეფევე, — კრძალვით მიუგო ქალწულივით მორცხვმა ვაჟმა და სცადა, მეფისათვის თვალი

გავსწორებინა, მაგრამ სიმორცხვემ სძლია და თავი ჩაღუნა.

— ყოჩაღ! სახელიც შესაფერისი გრქმევია. ზურაბი ძველისძველი ქართული სახელია. სახელოვნად გეტარებინოს!

— გმადლობ, ბატონო მეფევი..

— ეს პატონიშვილი ალექსანდრეა! — სოლომონს თავისი პირშშო ვაეი გაახსენდა და წინ წამოაყენა. — აი, ზურაბ წერეთელი, შვილო. ბედნიერ დღეს ეცნობით ერთმანეთს. დღეს ამას იქით იცოდე, რომ ზემო იმერეთში ამის სახით ერთი საიმედო ბურჯი გვეულება ხომ ასეა, თავადო ზურაბ?

— დიას, აგრე ვახლავს, ბატონო მეფევი..

— შენ? შენ ვიდასი ხარ, უკან რომ იმალები?

ახალწარდგენილი ყმაწვილკაცები და ასულები მიდგნენ-მოდგნენ და ის, ვისაც სოლომონი მიმართავდა, ბატონს ხელში შეატოვებს.

— ჩემი ვაჟაკი ვახლავს, მეფეო, — ჭაბუკის მაგიერ მიუგო ახალთ-ახალ ლურჯ კაბაში გამოწაკვთულმა და ვერცხლით მოსვედებული ქამარ-ხანჯლით წყლდამშვენიებულმა ბერი წულუკიძემ. — თავს იკლავდა, არ მომყვებოდა, ნაქერალა ზუზუნ-ზუზუნით გადმოვიარეთ!

ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, მეფეს რომ ფრთოსანთა გუნდით გარს ეხვიენენ და სხვა უკვე აღარაფერი ახსოვდათ, სიცილი წასკდათ. მეფესაც გულიანად გაეცინა.

— ვაი, სირცხვილო, ასე რამ შეგაძულა ჩვენი თავი, ბეჟან! მალე გაზრდილხარ, ბიჭო, მე და მამამენს დრო გაშოგვპარვია. რას იტყვი, ბერი? აგრე გუშინ არ იყო, აკვანში რომ კოტრილობდი?

მეფის ამ ახლობლურმა მოსიყვარულებამ და სახელით მოხენიებამ ბეჟან წულუკიძე სულ მიწაში ჩასდო, რადგან მისი ტოლები ისევ აჭიხინდნენ და მათ ქალებიც აპყვებენ. ის გასაქრობები ერთმანეთს ეფარებოდნენ,

სახეს ვითომ მალადნენ, ჩაქიკიკებულ კბილებით იჭაურობას ანათებდნენ და მუგუზლებით მცხუნვარე თვალებს აბრიალებდნენ. ბეჟანმა მამას საყვედურით შეხედა, ეს რა მიყავი, ქვეყნის სასაცილო გამხადეო და უთუოდ უკახმოუხედავად გაიქცეოდა, ამის თუნდ მცირეოდენი საშუალება რომ ჰქონოდა.

ის იყო, უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა სუფრა აკურთხა, მერიქიფეებმა სასმისები შეაგეს და ტრაპეზის წინ ჩასაბულბულბელი ლოცვისა და სამგზის პირჯვრის გადაწერის შემდეგ მომხეული ხალხი უხვად ჩამორიგებულ სახსნილო საქმელს მიეძალა, რომ ჩოხის კალთებამოკეცილი მსახური ბიჭები აგიაშვილს შემოესივნენ და ყურში რაღაცა უჩურჩულეს. ელდანაკრავი ციხისთავისა და ქემიყთუხუცესის წამოდგომა და უსიტყვოდ გარეთ ვასვლა სოლომონს არ შეუმჩნევია, რადგან სწორედ ამ დროს საუბარში იყო გართული, თან თვალს ადევნებდა, როგორ ქნიდნენ შებრაწულ შველს და პირის ჩასაგემრიელებლად ნაჭერს შორიდან არჩევდა, მაგრამ როდესაც დარბაზიდან ბერი ლორთქიფანიძე და ქაიხოსრო წერეთელიც გაიხმეს და მალე მათ ბოქაულთუხუცესი ბერი წულუკიძე მიჰყვა, მაშინ კი მოიხედა და ავი წინათგრძნობით შეპყრობილმა უმისაშართოდ იკითხა:

— რა მოხდა, ხალხო, გლახა ამბავი ხომ არაფერი მოგვიტანეს?

პასუხი ვერაინ ვასცა. გაოგნებულ მონადიმეთ, დიდსა და მცირეს, ლუკმა პირში შერჩენოდა და პასუხს სწორედ მისგან ელოდა. სუფრის გარემეო ყოველგვარი მიმოსვლა და ფუსფუსი შეწყდა. უზარმაზარ დარბაზში, სულ რამდენიმე წუთის წინ ხალისითა და მზიარულებით რომ იყო საგვ, სამარისებურ სიჩუმეს და სულის შემგუბებულ მოლოდინს დაესადგურებინა.

ყურთამდე გაღებულ კარში, რომელიც ფარეშებს, სუფრის მოსამსახურეებსა და მზარეულებს გაეჭედათ, რო-

გორც იქნა, ციხისთავი და ქეშიკოვსუ-
ცისი ქაიხოსრო ავიაშვილი გამოიხსნა.

— აქაურობას უნდა გაეცალო, შე-
ფეო, — დრო რომ არ დაეკარგა, კარ-
თანვე დასქევა მან. — ღალატია, მუხ-
თალი მტერი თავზე დაგვეცა!..

მტერიო? სამმა თუ ოთხმა ქალმა ყუ-
რისწამლებად დაიკვილა და ყველას
თავზარი დასცა. სუფრა შეჩოქოლდა,
თვალის დახამხამებაში აიშალა და აი-
რია. თავის ადგილზე, თითქოს მოულო-
დნელი უბედურების შეტყობას გაუქ-
ვავეებიო, გაუძირველად ისხდნენ მხო-
ლოდ მეფე, დედოფალი მარიამი, კათა-
ლიკოსი ბესარიონი და ქუთაისიდან სა-
აღდგომო წვეულებებზე მოპატივებული
კაპუჩინელი ძმები. კართან ჭგლებთა და
ვაი-უშველებელი ატყდა. ვინ ვის ასწ-
რებდა! ერთმანეთის წინაშე მოკრძალებ-
და და თავაზიანობა, რითაც მუდამ თავს
იწონებდნენ, განსაცდელის ეპოს ცოტას
თუ ვინმეს ახსოვდა.

— სიწყნარე! წესიერება! — მთელი
სმით დაიყვირა ყოველივე ამის შემხედ-
ვარე ავიაშვილმა. — სასახლის კარიბ-
ჭე ჩაკეტილია! ვარეთ არავის გაუშვებ-
ნენ! თუ მტერი შემოგვივიდა, იცოდეთ,
ცოცხალი ვეღარავინ გადავურჩებით!

სარდლის ამ სიტყვებმა დარბაზში
მყოფთა დრტვივნა და გულისწყრომა
გამოიწვია. საზეიმოდ მორთულ-შოკაზ-
მული სეფე-ქალები, თავადთა და ახა-
ურთა თავმომწონე თანამეცხედრენი,
წელან რომ ერთმანეთს დახვეწილ სიტ-
ყვა-პასუხს, ბრწყინვალე ჩაცმულობას,
თმის ვარცხნილობას, ნელსაცხებლების
უცხო სურნელებას და ძვირფას სამკა-
ულებს ახარბებდნენ, ავიაშვილს უბო-
დიშოდ მისცვივდნენ, მეფის აქ ყოფხაც
კი არაფრად ჩაადგეს და კარიბჭის დაუ-
ყოვნებელი გაღება მოსთხოვეს.

— უკან დაიწით, უგუნურებო! აქ რა
სოდომ-გომორა გავგიშართეთ! თავს ხუ-
ილუბავთ და ნურც ქვეყანას ღუპავთ! —
ხმა აიმაღლა ყოველის მხრივ გარსშე-
მორტყმულმა ოკრიბის ბატონმა და
ზურგსუკან მდგომ შემოსან ქეშიკებს
ნიშანი მისცა, მჭიდრო რკალი შეეკრათ

და ის სუფრის თავისაკენ გაუტარებ-
ნათ, რაც ქეშიკებმა კიდევაც მოაზერ-
ხეს.

დარბაზის შუაგულში, უცაბედად გა-
დმოვარდნილი ჭურჭლის ნამსხვრევები-
თა და იატაკზე გასრესილი ხორცის ნაჭ-
რებით რომ იყო მოფენილი, გავლა უკ-
ვე შეიძლებოდა და თავადმა ქაიხოსრომ
დაუბრკოლებლივ შესძლო სუფრის თა-
ვამდე მიღწევა.

— რას გვიბრძანებ, მეფეო? მე უკვე
გავეცი განკარგულება და თქვენგან ხე-
ბართვის მიღების გარეშე მცველი რაზ-
მი გალავნის გასამაგრებლად გვეგზავნეს!

— ღმერთო, დიდებულო! — ძლივს
ამოთქვა დამმარებულმა სოლომონმა,
რომ მიუხედავად ამდენი ცდისა და გა-
რჯისა, მტერმა მაინც მოუშაადებელს
მოუსწრო და სწორედ მაშინ დაარტყა,
როცა ყველაზე ნაკლებ მოელოდა. —
აქამდე მოვიდნენ? სად არიან მენაპი-
რენი? ნუთუ მართლა გვიღალატეს, ან-
და ყველა გაწყდა და ახლა ჩვენი ჭე-
რია?

— არავინ არაფერი უწყის, მეფეო,
და ვერც ვერაფერს შევიტყობთ, სანამ
აქედან არ გავალწევთ, და, ღვთით, უში-
შარ ადგილს არ შევეფარებით! მწყემს-
სები მოცვენილიყვნენ რიონის პირიდან
და კარიბჭესთან ყვირილი აეტეხათ.
ჭერხნობით მეტი არა ვიცით რა. მე ყვე-
ლა ღონეს ვიხმარ, რომ ქალებს და ბავ-
შეებს მივცეთ გზა. სასახლე ალყას ვერ
გაუძლებს. ეს დალოცვილი მტრისთვის
ადვილი მოსადგომია. იქნებ რიონის მხა-
რე გავარდეთოთ და წყალგალმა გავი-
დეთ. მერე სულ ტყუა და მტრის ხე-
ლიდან გასხლტომას ადვილად მოვახერ-
ხებთ!

— რა იქნენ დანარჩენები, სად არიან
წულუყიძე, ლორთქიფანიძე, წერეთე-
ლი?

— გალავანზეა, მეფევე, ყველა. აი,
სროლაც ისმის! ნულარ ვაგვიანებთ,
თქვენმა სიცოცხლემ, ყოველი წუთი
ძვირფასია. ეტყობა, ხმალდახმალ დაგვ-
ჭირდება გზის გაკავება!

ამ დროს ყრუდ დაიქუხა, მიწა იძრა

თუ ცა ჩამოქცა, სასახლის მკვიდრი კედლები შეზანზარდა და ჭერიდან ხრიალით წამოვიდა კირი. დარბაზში მტერის ბოლქვები ჩამოწვა და ბული დადგა.

„ხედ მოგვდგომიან, ზარბაზნებს გვიშენენ!“ — გაიფიქრა სოლომონმა, როდესაც საიდუმლო კარით სასახლის უკანა ეზოში გამოვიდნენ.

— სულ რამდენი კაცი გვეყავს, იარაღის მონპარა რომ შეუძლია? — ჰკითხა კვალდაკვალ მომავალ აგიაშვილს.

— ექვსასიოდე მოიყრის თავს, შეფეო.

— თოფხანა გახსენით და იარაღი ფარეშებსაც დაურიგეთ!

— უკვე გახსნილია, ურიგებენ!

— ქალებსაც! — დაუმატა მეფის ნაბრძანებს მარიაშმა. — დიდ-პატარა უხდა შევიარაღდეთ. თოფის ნიშანში სროლა ყველას შეუძლია!

— თქვენ თქვენი მაგალითით სჯით, დედოფალო. ეგებ აქამდე არ მივიდეს საქმე. ვაითუ არც იარაღი გვეყოს...

— რატომ არ უნდა გვეყოს? — გაწყურა მეფე. — რამდენჯერ იყო ნაბრძანები, რომ სასახლის თოფხანაში, სულ ცოტა, ხუთი ათასი კაცის შესაიარაღებელი საჭურველი გვიგაუღებინა?

— წლებზე ფეხს ვიდგამთ, შეფევე ბატონო, ეს გახლავს, რაც ჩვენმა ოსტატებმა მოასწრეს. ცოტაოდენი, მაღლობა ღმერთს; თავად აგარიანებისაგან შევისყიდეთ, ცოტაც მეფე ერეკლემ მოგვაწოდა.

— გულს ნუ გავიტებთ, ღმერთი ჩვენთან არის, — ჩაერია მეფისა და ციხისათვის საქმიან საუბარში აქამდე გაჩუმებული კათალიკოსი ბესარიოსი. — იარაღი სამღვდელთაც დაურიგე, ბატონო ჭიხოსრო, ღვთისა და მეფის სახელით ჩვენც თქვენს გვერდით ვიომებთ!

„რომელი იარაღი? ის, რომელიც არა გვაქვს?“ — გულში მწარედ გაელიძა მეფეს, ხმაშაღლა კი, ისედაც მტრის ბანაკში მყოფი კათალიკოსი სულ რომ არ მოემდურებინა, მხოლოდ ესა თქვა:

— ეგ სიტყვა ნუგეშზე მერტია ქრის-

ტეს ჯერის ქვეშ ნიადაგ სისხლი გვიხევი, ახლაც ქრისტეს ჯვარს გავიხმობთ. კურთხევა გვიბოძე!

ბესარიონმა ჯვარი აღმართა:

— მხნე იყავნ და განძლიერდინ გული თქუენი, შეიყუარეთ უფალი ყოველთა ღირსთა მისთა, რამეთუ ქეშმარიტებას ეძიებს უფალი და მიაგოს მათ, რომელი მეტად ჰყოფენ ამპარტავენებასა, ამინ!

— წმიდა მამები ჩვენთან ინებებენ დარჩენას? — იკითხა აგიაშვილმა და კათალიკოსს შავოსან პატარებზე აჩვენა. — თუ არა, ჯობს, სასახლეში დაბრუნდნენ და ჩვენს შემდგომ განკარგულებას იქ დაელოდონ!

ბესარიონმა მშვიდი მზერა მისიონერ ბერებზე გადაიტანა.

— ჩვენ რომის წმიდა კონგრეგაციის წარმოგზავნილები გახლავართ, — ყველას მაგიერ განაცხადა მისიონის პრეფექტმა, მოსხინიორ ქლაუდიო დერეჩიელმა. — თავს ვატყანის მოქალაქეებად ვთვლით. ვატყანისა და ოსმალეთის სულთანს შორის ამეამად ზნეი სუფევს. უწმიდესი პაპის სამართლიანი რისხვა რომ არ დავიტეხოთ, ჩვენ მხოლოდ შემდგომლობა ძალგვიძს ვაეწიოთ და იმერეთის მეფის სახელით ოსმალ სერასკირს წარვუღდეთ. ამას არც რჩული გვიკრძალავს და არც უწმიდესი პაპის საერთო ხელისუფლება. თქვენს კაცთმოყვარულ წინადადებას, სარდალო, ჩვენ მაინც მისაღებად ვთვლით, ოღონდ ჩვენთვის, უიარაღო ბერები-სათვის, უმჭობესი იქნებოდა, თუ მოწყალე ნებას დაგვრთავდით, თავი სასახლისათვის კი არა, როგორც თქვენ ბრძანეთ, არამედ კარის ეკლესიისათვის შეგვეფარებინა. ეკლესიაში სანთლებს ავანთებდით და იესო მაცხოვარს თქვენს გამარჯვებას გულმხურვალედ შევევედრებოდით!

გალაენის დასავლეთის კედლის შტრიდან სირბილისაგან გულამოვარდნილი ორი პირტიტველა ბიჭი მოიქრა, შეფე და დედოფალი იცნო, მოულოდნელი შეხვედრისაგან შედრკა და უკან გაბ-

რუნება დააპირა. აგიაშვილმა შეძახილით გაჩერა:

— ვინა ხართ, აქ ვის ეძებთ?

— წერეთელმა გამოგვგზავნა, ბატონო, აგიაშვილი ბრძანდებით?

— მე ვარ! რაო, წერეთელმა?

— დიდძალი ჯარი ჩანს, შოდის და შოდის, ცხენოსანიც და ქვეითიც, კედლიდან ხუთასიოდე ნაბიჯზე ბანაკად დგება, ვესროლოთ, თუ სხვა გადაწყვეტილება იქნებაო.

აგიაშვილმა მეფეს შეხედა.

— მოვიცადოთ ჯერ, — ბრძანა სოლომონმა. — თუ გეცალეს, დრო ძვირად გვიღირს. სროლის ატეხას ყოველთვის მოვესწრებით!

არ გაუვლია ნახევარ საათს, იგივე ამბავი შემოთვალეს ლორთქიფანიძემ და წულუკიძემაც. ისინი გალავნის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზე იდგნენ და მტრის ჯარების გადაადგილებას თვალს ადევნებდნენ. ამასობაში ორივეს ემარჯვნა და უკვე მოესწრო სახლო კაცების გაგზავნა გალავანს გარეთ. თუ სადმე უადგილო ადგილას მტერს არ გადააწყდებოდნენ და უცაბედად ხელში არ ჩაუვარდებოდნენ, ხეალ თუ არა, ზეგ დილას მაინც გეგუთის სასახლეში გამოშვებულ შეფიონს გარედახ მამველი ჯარი უნდა მოსელოდა.

— ცოლისძმის თავი ახლა მჭირდება, — ნაღვლიანად შენიშნა სოლომონმა. — მისი ათი-თორმეტი ათასი კაცი სიციცხლედ მიღირს!

— მე მზად ვარ, თუ აქედან ვასვლა მოხერხდა, ოღიშს ჩემი ძმის დასაყოლიებლად წავიდე, — თქვა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დედოფალმა. ან მოგვედები, ან მაშველს მოვიყვან!

— მადლობას გწირავ, მარიამ, რომ სანაჭებო თავდადებას იჩენ, — დაუყვავა თანამეცხედრეს სოლომონმა. — შენი შემწეობა მე ახლა სხვაამხრე მჭირდება. თუ აქედან ცოცხალი გავედით და ურჯულოს ალყას თავი ღვთის განგებით დავაღწიე, კაციას მე თვით მივაწვდენ ხმას და დამხმარე ჯარის გამოგზავნას შევეხვეწები, შენ ოღონდ ბატონ

ნიშვილები წაიყვანე და ამაღამვე, თუ ბედმა არ გვიმუხტოდა და რაიმე გავახერხებთ, აქაურობას გაეცალე. ხეალ უკვე გვიან იქნება!

— სად აპირებ ჩვენს გასტუმრებას?

— ჯერ სკანდას და თუ გაჭირდა, შემდეგ სვერის ციხეში, უფრო საიმედოა!

— ჩემთვის რომ გეკოხბათ, გზას აღარ გავიმრუდებდი და პირდაპირ სვერის ციხეს მივაშურებდი, — ჩაერია ქაინოსრო აგიაშვილი. — ხოსია კლდიაშვილი, ციხის მოურავი, მარჯვე კაცია, ჩვენს მისვლამდე ცივ ნიავს არ შიაკარებს!

— როგორც უმჯობესი იქნება, — დაეთანხმა მეფე. — თქვენთან ერთად წამოვა ყველა, ვისი აქ ყოფნაც შოლოდ ხელს შეგვიშლის და წამოსვლას მოისურვებს!

— ჩვენ არსადაც არ მივდივართ აქედან, სოლომონ! — გადაჭრით იუარა დედოფალმა მარიამმა და მეფეს თვალი თვალში გაუყარა. — ჩვენი ადგილი სწორედ იქ არის, სადაც შენ ხარ!

სოლომონი შეცბა, ამდენს არ მოელოდა, სახეზე აღმური მოეკიდა.

— ვის თქვენი, თუ ღმერთი გწამს, შენი, ნინოსა და დარეჯანის ადგილი არის იქ, სადაც მე ვარ? ნუ მიწყენ, მარამ, მე მესმის შენი გულისწუხილი და ვაფასებ შენს თავგანწირვას, მაგრამ დაუფიქრდი, რას ამბობ: განა მე და შენ, მშობლებს, უფლება გვაქვს, უწლოვანი შვილები განსაცდელში ჩავეყაროთ? მერე ღმერთს რა პასუხს აძლევ?

მარიამი მოტყადა, ქვედა ბაგე აუკანკალდა და თვალები ცრემლით აევსო.

— ბავშვები გავარიდოთ, მე შენთან დავრჩები. ასე აჯობებს, დამიჯერე, სოლომონ. არ შემფერის, მე თავს ვუშველო და შენ, გვირგვინოსანი მეუღლე, მტრის ხელში დაგტოვო. თუ დაღუპავა, ერთად დავიღუპებით და თუ ღმერთმა გამარჯვება გვარგუნა, შენთან ერთად გავიმარჯვებ მეც!

— ფუქ ლაპარაკში ძვირფას დროს ვკარავათ, მარიამ. ვითუ ეს საბედისწერო გამოდგეს. გიბრძანებ, როგორც

მეფე, ახლავე წახვიდე და ბავშვები გასამგზავრებლად მოამზადო. სად არიან?

— ეკლესიაში.

— საქმეს მივხედავ და მეც ახლავე იქ გავჩვენებ!

ეს „ახლავე“ ძალზე ხანგრძლივი გამოდგა. სოლომონი რომ ეკლავისდებურად სანთლებით გაჩირალდნებულ კარის ეკლესიაში შებრძანდა, უკვე დაღამებული იყო. პატრები წირავდნენ. ქანდარიდან გუნდის გალობა ისმოდა. ამან მეფე გააკვირვა და კიდევაც გაამხნევა. საყდრის ჰერქვეშ მისი შემოსვლა თითქმის არავის გაუგია. მრევლი, მხოლოდ ქალებისა, ბავშვებისა და თითო-ოროლა მამაკაცისაგან რომ შესდგებოდა, მხურვალედ ლოცულობდა და მალალ ღმერთს ურჯულოს მანვილისაგან მშვიდობით გადარჩენას შესთხოვდა. სოლომონი მარჯვენა კედელს გაჰყვა და წინ ფეხაკრეფით გავიდა. მარიამი და ბავშვები ნიშაში ჩადგმულ ლეთისმშობლის ხატის წინაშე იყვნენ დაჩოქილი, სხვების მსგავსად პირჯვარს იწერდნენ და გულმოდგინედ მეტანიობდნენ. სოლომონს გული მოეწურა.

— მამა! — წამოიძახა სამგზავროდ გამოწყობილიმა ბატონიშვილმა ალექსანდრემ და ვახარებული ზეზე წამოხტა.

— სს!.. — მეფემ მოკუმულ ტურებზე თითი მიიღო, შვილს ხელი მოჰხვია. თითქოს ნიავმა დაბატრა და ფოთლები ააშრიალაო, საყდარში ხმამალმა ჩურჩულმა გადაიარა. უკვე ყველა ხედავდა სვეტის ჩრდილში მდგომ მეფეს, რამდენიმე მხლებლითურთ შეუძნხეველად რომ შემოვიდა და ცდილობდა, წირვის დასრულებამდე ასევე შეუძნხეველად დარჩენილიყო.

დედოფალი წამოდგა, დარეჯანი და ნინოც წამოაყენა.

— მივდივართ, ეგ არის? ღმერთო, კეთილი ქენი!

— დროა, მარიამ!

— ეს ხალხი ჩვენი მაცურებელია. შევიძლებთ ყველას გადაყვანას?

— უნდა შევიძლოთ, თუ თავზე არ დაგვათენდა. სულ ორი ნაღვი გვაქვს. ეგ

ეც ძლივს ვიშოვნეთ. მენავეების გარდა, თითოში სამი კაცი ჯდება.

— მაშ, ჩვენ ორად უნდა გავიყრეთ? — შეშფოთდა დედოფალი.

— შენ და ბავშვები როგორმე ერთ ნაღვი მოთავსდებით. წყალი ძალიან აღიდებულა, მაგრამ ვგონებ არ უხდა იყოს საშიში, მენავეები გამოცდილი ხალხია. ქაიხოსრო წერეთელს გატახტ. სვეტის ციხეში მიგიყვანთ და იქ დაეტოვებთ. ციხის მოურავი კლდიაშვილი გაფრთხილებულია. მომზადებული დაგხვდებათ. ქაიხოსრო უკან უნდა დაბრუნდეს და ზემომხრის ჯარი მოგვაშველოს!

— ალექსანდრე თავს იკლავს, არ წამოგყვებითო, მე ჩემს მამასთან უხდა დავრჩეო.

— ენაცვალოს მამა, რა დროს ამის ჩემთან დარჩენა! გაიზარდოს და ურჯულო აგარიანი არც ამას მოაწყენს, ხიფათი ბევრი შეხვდება. არა, ალექსანდრე? — სოლომონმა გულამომჯარი ბატონიშვილი ხელში აიყვანა და გულზე მიიხტა. — აბა, შენ იცი, შვილო, ქალებს შენ გაბარებ, ვაკეცური მფარველობა უნდა გაუწიო! სვეტის ციხეში ჩემს მაგიერ იქნები. დედას დაუჯერე, იცოდე, მისი ნებართვის გარეშე თითიც არ გაანძრიო. ვინ იცის, რა მოხდება! — მეფეს თავდაც გული ამოუჭდა, მთელ ძალღონეს ძაბავდა, რომ ცრემლები შეემაკრებინა.

— შენ მალე მოხვალ? — სლუკუნსა და სლუკუნს შორის ამის კითხვადა მოახერხა ბატონიშვილმა.

— მოვალ, ვეცდები, მალე მოვიდე, შვილო, ჯერ თქვენ დაბინავდით შშვიდობით და კარგი ამბავი შემატყობინეთ. ბარგი უკვე გაატანინეს, — სოლომონი ისევ ჯავრით გათანგულ თანამეცხედრეს მიუბრუნდა. — აღმოსავლეთის კედელზე მოგიხდებათ გადასვლა. ზემოდან თოკით ჩაგიშვებთ ფრთხილად. სხვა გზა არ არის. კარიბჭის გაღება საშიშია, თანაც ვაითუ კედლის შემოვლისას შეგვნიშნონ და სროლა ავეტიტხონ. წყლის

პირზე მცველი რაზმი დაგხედებით და სურის ციხემდე მიგაცილებთ!

— შენ რალაზე რჩები აქ, სოლომონ, ზომ შეგეძლო, ჩვენთან ერთად წაშოს-სულიყავი?!

— შე იმავე მიზეზით ვრჩები, რა მიზეზითაც შენ აპირებდი დარჩენას. ექვსი ზარბაზანი და ოცდაათი ზამბულაკი გვაქვს. ათას კაცზე მეტი თოფებით და დამბაჩებით შევიაარაღეთ. როგორც არ უნდა შემოგვეტიონ, ორ-სამ დღეს გავუძღვებთ. ამასობაში დამხმარე ჯარი მოვა და საშველი განდებამ!

— რა გეწყობა, ჭიუტი კაცი ხარ, ნათქვამ სიტყვას არ გადახვალ, მე კი შგონია, გარედან უფრო თავისუფლად იმოქმედებდი.

— ჩემი აქედან გასვლა და სასახლის დაცემა ერთი იქნება, — მკაცრად მოსკრა სოლომონმა. — მოვრჩეთ ამაზე

ლაპარაკს! რაც გადაწყვეტილია ის გადაწყვეტილია

— ღმერთო და იესო მაცნობარო, — დედოფალმა ისევ დაიხოქა და პირვეარი ათრთოლებული ხელით გადაიწერა. პირვერის წერით დაიხოქეს შეფემ და ბავშვებმაც. — შენ შეგვეწიე, შეხ დაცავი ჩვენი უთვისტომო ქვეყანა და ღვთისმოსავი ვერი, შენ უწინამძღვრე ჩემს ჭმარ-შვილს და ძმას, კაციას, ძღვევა მიეც შეფეს, ამრავლე მისი მოყვარე და დაამიწე მტერი!..

წირფა უკვე შემწყდარი იყო. აქა-იქ ყუნწამდე ჩამწვარი სანთელი ბეუტავდა და კვამლს აყენებდა. ხალხს პირი გასავალი კარისაკენ ექნა და ეკლესიას, აქამდე სასოებით თავს რომ აფარებდა, თითქოს ხანძარი გასჩენიაო, სასწრაფოდ სტოვებდა.

თახი XLIV

გეგუთის სასახლეში მოგვიანებით შეიტყვეს, რომ ოსმალთა უზარმაზარ ლაშქარს, რომელიც იმერეთში ორი მხრიდან, ხანისწყლის ხეობით და ზღვის სანაპიროდან შემოჭრილიყო და გზად ყოველივე ცოცხალი კალიასებრი მოესრა, თვით ჩილდირის ბეგლარბეგი სერასკირი ჰასან-ფაშა სარდლობდა. მრავალი ომისა და სისხლისღვრის მონაწილე ჰასან-ფაშას ყველა თავისი წინამორბედის შეცდომა გულმოდგინედ გაეთვალისწინებინა და ლაშქრობა იმ ანგარიშით წამოეწყო, რომ ამჯერად ვიანურ აჩიკ-ბაშათა სინსილა ერთხელ და სამუდამოდ გაეწყვიტა.

ბედნიერი სულთანი, ევროპის ხელმწიფეთა შეიდწლიან ომს თოფის გაუსროლელად რომ გადაურჩა, სოლომონის თავს ითხოვდა. ეს მაშინ, თუ ეინიცობაა, მის ცოცხლად შეპყრობას და ყელზე საბეღუმებულის სულთნის კარზე გაგზავნას ვერ მოახერხებდნენ.

ჰასან-ფაშა მთავარ იმედს ელვისებურ თავდასხმაზე ამყარებდა და იმედმა კიდევაც გაუმართლა.

ოცდასული ათასი კაცისაგან შემდგარ ქვეითი ჯარს, რომლის უმრავლესობა სულთნის უზენაესი ბრძანების თანახმად თვით საფაშოში იყო მოგროვილი, დანარჩენი კი სერასკირს არზრუმიდან მოაშველეს, წინ ცხენოსანთა ოციათასიანი კორპუსი მოუძღოდა. ხმალაშოწვდილი ცხენოსანი ბამბუზუტები გრივალისებური სისწრაფით იჭრებოდნენ სოფლიდან სოფელში, ყველა გზას კრავდნენ, რათა მათი მოსვლის ამბავი გარეთ არავის გაეტანა და დაიმედებულნი, რომ წინააღმდეგობა არაფერი შეხედებოდათ, ქვეითი ჯარის მოსვლამდე ისევ წინ მიიწევდნენ. წინ ხელუხლებელი სოფლები, მალხაზი გოგო-ბიჭები, პირუტყვის ჯოგები, გადამალული პურ-ღვინო და ქონება იყო...

აღდგომის შაბათს ცხენოსანთა კარგა

მოზრდილმა ნაწილმა რიონი საჯავახოს-
თან გადალახა, გაღმა გადავიდა და იქაუ-
რობის ასაკლებად არც კი შეეყოვნებუ-
ლა, პირდაპირ სოლომონ მეფის ადგილ-
სამყოფელს, გეგუთის სასახლეს მიაშუ-
რა. წინასწარ შემოგზავნილი მსტოვრე-
ბისაგან ჰასან-ფაშას უტყუარი ცნობები
ჰქონდა შეკრებილი, რომ მეფე ერთობ
მცირერიცხოვანი ჯარითა და სახლე-
ულითურთ გეგუთს იდგა, და იმედოვნე-
ბდა, დიდი მსხვერპლის გაღების გა-
რეშე მას ხელში ჩაიგდებდა. მაგრამ ეს
საჩქარო საქმე სულაც არ იყო. თუ სო-
ლომონს გეგუთში გამომწყვდეულს და
ქვეყნისაგან მოწყვეტილს დაიგულებდა,
სერასკირს ხელს ვერაფერ შეუშლიდა,
კიდით კიდემდე თავისუფლად ეპარპაშა,
ქვეყანა ორთავე მუხლზე წამოეჩოქები-
ნა, გაეძარცვა, ყველა მისი სასიციოცხო
ძარღვი გადაეპრა, ციხეებში, რომლე-
ბიც აქამდე აჩიკ-ბაშებს ეკავათ, თავისი
ჯარები ჩაეყენებინა, შრომაში გამოსა-
დგვი ქალი და კაცი ტყვედ წაესხა და
სანახევროდ უკვე დატყვევებული სო-
ლომონისათვის მხოლოდ ამის შემდეგ
მიემართა. ამ მიზნით თავისი მხედრო-
ბის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც
რიონის მარჯვენა ნაპირზე მთავარი ძა-
ლებისაგან დამოუკიდებლად უნდა ემო-
ქმედა და სათანადო ნიშნის მიღებამდე
მეფე ხაფანგში გაბმული ჰყოლოდა, მან
გამოცდილი სარდალი ფაშა ჰაჯი-ალიბე-
გი უწინამძღვრა, თვით კი კაკასხიდის
უმოკლესი გზით ბაღდათში მოვიდა, და-
მე თხმელისციხეში გაათია და ახლომან-
ლო სოფლები ჯარს სათარეშოდ მისცა.
ქვეყანა შიშის ზარმა და ვებამ შო-
იკვა. მარბიელთ, რომლებიც არც ბავშვს
ინდობდნენ, არც ქალს, არც მოხუცე-
ბულს, წინ ტეცხლი და მახვილი შიშ-
ლოდათ. სადაც ჯერ კიდევ არ მისული-
ყვნენ, იქ პირიდან პირზე გადადიოდა
თავზარდამცემი ცნობა, კონსტანტინო-
პოლიდან დიდი ვეზირი მობრძანებულა
ურიცხვი ჯარით, ხალხს ბედნიერი სულ-
თნის ერთგულებაზე აფიცებს და ვაი
იმისი ბრალი, ვისაც ოსმალების ორგუ-
ლობას შეუტყობენ ან შესწამებენო.

სხვაგან ისიც ითქვა და წამსვე გავრ-
ცელდა, რომ მეფე სოლომონს ტყვე-
ტყვედ იყო ჩავარდნილი და ყველა ის
აჯაკობის და უპირულობის გამო, რაც
სულთნის წინააღმდეგ ჰქონდა ჩადენი-
ლი, ქუთაისის ციხის კარიბჭის წინ, ქა-
ლაქის მთავარ მოედანზე, ჯალათი თავს
მოჰკვეთდა.

ამ ცნობამ ბევრს გული დასწვა და
მწუხარებით აუცსო, ბევრი კი, ვინც აჯა-
რიანის უძლეველობა და თათრის რჯულ-
ზე შედგომის გარდაუვალობა დაიჭერა,
შეე დღეში მყოფი სოლომონის წინა-
აღმდეგ აამხედრა.

მაშ, რა ეგონათ, ამბობდნენ და კიცი-
ნებდნენ ზოგნი და ზოგნი, ქვეყანა რომ
ამტუტა, მშობელი დედა სამეფოდან
განდევნა და ოტია დადიანს ხასად და-
უსვა, ბაბუა ვილაც ავაზაკს მოაკვლევინ-
ა, ნუკრივით უცოდველი თანამეცხედ-
რე განუტევა და მამის მოსისხლე შტერ
დადიანს დაუმოყვრდა, ღმერთი ამდგნს
აპატიებდომ? სიკვდილი და შეჩვენება
დედის შემგინებელსა და ბაბუის
მკვლელს, ხონთქრის ურჩსა და მარტო
თავისი ძლიერებისათვის შურუნველ შე-
ფეს, ვისი მიზეზითაც მოსვენება აღარ
არის, მისი სამართლიც ღმერთმა დასწ-
ყველოს და ომში გაძლოლაცო.

ოთხშაბათ ღამეს, აღდგომის შესამე
დღეს, როგორც წინასწარვე დათქმული
იყო, შემომხრის სარდალი ქაიხოსრო წე-
რეთელი უკან მობრუნდა, თორმეტი თა-
ვისიანის თანხლებით რიონი ცხენდა-
ცხენ გადამოსცურა და ვალაენის აღმო-
სავლეთ კედელს მოადგა. აღიდებულ
რიონს ცა და ქვეყანა მოჰქონდა. მოალყე
აგარიანები, კარგებს და კარგებს შორის
კოცონები რომ გაეჩაღებინათ, შიგ მო-
რღვეულ ღობეებს, აჩეხილ ვაზს და ხე-
ხილს ყრიდნენ და არხეინად ღრეობდ-
ნენ, მდინარის მხრიდან ხიფათს არა-
ფერს მოელოდნენ. ახალმოსულებმა ამ-
ით ისარგებლეს, ცხენები ისევ გაღმა
გაგზავნეს, სადაც შემომხრის სარდალმა
ნაჩქარევად შეკრებილი ხუთასიოდგ მხე-
ღარი დასტოვა, კედელზე გაღმოდგე-

ბულ თოკებს აპყენენ და სულ მალე სასახლის ეზოში აღმოჩნდნენ.

სამი ღამის უძილარი და უსმელ-უქმელი სოლომონი თვით გამოეგება ქაიხოსრო წერეთელს.

— მშვიდობა შენს შობრძანებას, ქაიხოსრო! რა ამბავი მოგვიტანე?

— ვერაფრით გავახარებ, ბატონო მეფე. გღმა-გამოღმა სოფლებს ცეცხლი უკიდია. ღმერთმა მეორედ მოსვლა მოგვივლინა. თათრის ჯარი გუშინწინ ქუთაისში შევიდა. დღეს დილას ბატონიშვილი თეიმურაზი პასან-ფაშამ მეფედ გამოაცხადა. ხალხს ყოველი მხრიდან მოერეკებიან და ახალი მეფის ერთგულებაზე აფიცებენ. კაცია დადიანი და როსტომ ერისთავი, ეს იქეთობისას შევიტყვე, სერასკირს თხმელისციხეში ზღებთან და მამია გურიელი უკვე იქ დახვედრიათ. ფაშა მოწყალებას იჩებს და ტახტის მოღალატეებს საქციელს უწონებს. ამის პასუხად სამივეს პირობა დაუდვია, შენ ხელს ნუ გაანძრევ, საქმე ჩვენ მოგვანდეთ და...

— ჰო, თქვი ბარემ, ამახე უარეს რაღას შეტყვი!

— სოლომონს გაბაწრულს მოგვერიოთ. დედათქვენი, ბატონი თამარი, თხმელისციხეში უნახავთ, ეს უკვე აქეთობისას შეგვატყობინეს, ბატონიშვილ თეიმურაზს და პასან-ფაშას ახალციხიდან მოჰყოლია.

— ღმერთო!.. — ცას შეჭლალადა სოლომონმა. — ისევ დედაჩემი! გამოჩნდა! თურმე არსად არ დაკარგულა...

— რას ვიზამთ, მეფეო, — სარდალმა ნუგეშისცემა სცადა. — მამახეციერმა ეს ტვირთი გარგუნა და უნდა ზილო. ასეთი ყოფილა ღვთის განგება!

— გიორგი წულუკიძე კი მკლავს იმეტებდა მოსაქრელად და გვარწმუნებდა, უთუოდ სინდისმა შეაწუხა და ცოდვების მოსანანიებლად თავი მონასტერს შეაფარაო. ჰმ, მონასტერში რა ესაქმება აესულ დედაჩემს! მე ხომ ჯერ ცოცხალი ვეგულები! შენ იცი, ღმერთო, არ მინდოდა, ხელები დედის სისხლში გამესვარა, ისედაც სისხლის მთარეში ვცუ-

რავ და გული მერევა. ახლა კი რა ვქნა? რომელი სატკივარი აეთქიოთ? უნდევ რას გვეტყვი, ქაიხოსრო? — წამით თავდავიწყებაში გადაეარდნილი მეფე კვლავ თავით ფეხებამდე ყინულივით ცივ წყალში გალუმპულ წერეთელს მიუბრუნდა. — იქნებ კიდევ რამე გვითხრა სასიხარულო?

— შემინდე, მეფეო, რომ ასე გლახა მახარობელი ვარ. გარემოება მაიძულებს. არ ივარგებს სიმართლეს თვალი ავირიდო და რამე დაგიმალო!

— კიდევ? კიდევ იცი რამე?

— ვიცი და ნეტამც არ ვიცოდე: ჯარის შეყრა ძაან გვიძნელდება. ვინც მოასწრო, მეტადრე ყმა-გლეხობამ, უკვე კლდესა და ღრემია გახიზნული და იქიდან თოფითაც ვერ გამოდენი. ბევრი-ბევრი, ორი-სამი ათასი კაცი მოვაგროვოთ. ვაი რომ ეგვეც არ მოიყრის თავს! ასე მცირე ჯარით საშოგარს დახარბებულ ურიცხვ მტერთან რამეს გავხდებით?

— ეგ პასუხი როგორ გავიგო, ქაიხოსრო, მაშ, მტოვებთ ეგ არის, პილატესავით ხელს იბანთ?

— შენს დამტოვებელს ჩემდათავად წყალიმც დასხვია ცეცხლზე, მეფეო, — გულადუღებულმა წერეთელმა ჩაბალახი მოიშვლია და სიტყვებისათვის შერი დამაჯერებლობის მისაცემად ასე თავშიშველი დარჩა. — მარჯვენაც შეხმობია, არ მოსწრებია გაის ამ დროს. დატოვება რომ გულში მდებოდა, შე კურთხეულო, ადიდებულ რიონს კი არ შევებმოდი და აქ არ გეახლებოდი!

სოლომონსა და მის ირგვლივ მყოფებზე სარდლის არცთუ უსაფუძვლო გაფიცებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქაიხოსრო წერეთელს, მართალია, არ ჰქონდა სხვა გზა, რადგანაც ყველა გზას ისევ და ისევ სოლომონთან მიჰყავდა, მაგრამ აქ მოუსვლელობით, რასაკვირველია, შეეძლო, ახალ ხელისუფალთა წინაშე თავისი ბრალი შეემსუბუქებინა და თეიმურაზის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნა ნაწილობრივ შეინც წაეშალა.

სოლომონს აქამდე არ უნდოდა თავს გატყდომოდა, რომ მასთან ერთად ურჯულოს ალყაში მოქცეული სხვა სარდლებიც გულში ამავი აზრს ადგენენ, მაგრამ მეფეს ეკრძალებოდნენ და ვერც მეფისათვის და ვერც ერთმანეთისათვის ამის ხმამაღლა გამხელა ვერ გაეხდებოდათ. ქაიხოსრო წერეთლის პირდაპირმა, თითქმის როყით ნათქვამმა თვალეზი აუხილა და თავისი გამოუვალი მდგომარეობა ცხადლივ დაანახვა. „ერთგულებასაც, როგორც ყველაფერს ამ წუთისათვის“ში, საზღვარი აქვს, — ჩასძახა სულის სიღრმეში ჩაბუდებულმა მამხილებელმა ხმამ. — შენი ერთგულები ერთგულებას მანამ გაგიწევენ და გვერდიდან არ მოგშორდებიან, სანამ ეს ერთგულება და სიმტკიცე საღ გონებას ექვემდებარება, მერე კი ყველა თავის გზას იბოვონ და შენ სულ მარტო დარჩები!“

ეს მართლაც ჰქუასთან ახლო იყო. ერთი ათისა და ოცის წინააღმდეგ მართლაც ვერაფერს გახდებოდა და სოლომონი ამას კარგად ხედავდა. ვთქვათ, შეეწყვიტათ წინააღმდეგობა. შემდეგ რა ნაბიჯი გადაედგა, ზავის მოთხოვნის მაუწყებელი თეთრი ბაირალი გამოევიდა, შუაჯაციები გაეგზავნა და მტერს დანებებოდა? ეს ხომ უეჭველი სიკვდილი და მოშავლის ყველა იმედის დასაპარება იყო! „ნუ დაგავიწყდება, რომ საფრთხეში მარტო შენ კი არა ხარ ჩავარდნილი, — ეჩურჩულებოდა და თითქოს ნიშანს უგებდა იგივე მამხილებელი ხმა. — საფრთხეშია ყველა, ვინც შენ აქამდე მხარს გიმავრებდა და ახლაც მხარში გიღვას. თუ დღეს არა, ხვალ აუცილებლად მათ სახლ-კარს ცეცხლს წაუცილებენ, ჯალაბს შიგ გამოწვავენ, ან ტყვედ შეიპყრობენ, და სათითაოდ გაჰყიდონ, ყმა-მამულს კი სვავის სიხარბით დაიტაცებენ ახალი მეფის ყურმოჭრილი მონები, აქამდე რომ სადღაც ჩრდილში იდგნენ და თავიანთ არსებობას არაფრით ამკლავებდნენ. შენი პატიოსანი ბიძაშვილი თეიმურაზი, როგორც კი თავზე ხელს მოისვამს და მიხედ-მოიხედავს, შურისძიების შხაშს სა-

ქვეყნოდ გადმოიანთხვეს, სარწმუნოები-სა და შენს ერთგულებას ვერც შენს წვეს! ამის შემდეგ გასაკვირვებელია, მის ხელი აუკანკალდება და ბოლომდე ვერ წამოგყვება? ის-ღა გაკლია, შეხი ყმებისაგან საფლავში ჩაყოლაც მოითხოვო!“

ყოველივე ამის წარმოდგენამ სოლომონს მუხლი მოჰკვეთა და თვალთ დაუხუნელა. ნათლად და თანმიმდევრულად მან მხოლოდ ახლა დაინახა ყველა ის შემზარავი შედეგი, ტახტის უახლოეს ქვეშევრდომთ თავიანთი მეფის ერთგულების გამო რომ მოელოდათ, და სუხთქვა შეუგუბდა. დღეს, თუნდაც ამ წუთში, მათვე შეეძლოთ კეხი შეებრუნებინათ და პირგამეხებულთ ეკითხათ: შენ ხომ გააპარე შენი ცოლ-შვილი და უშიშარი ადგილი მიუჩინე! ჩვენ რაღად დაგავიწყდით? შენს შემდეგ თავი ვის შევაფაროთ, შვილი და მოშავალი ვის ახაბარა დავტოვოთ? კეთილი ინებე და თუ მართლა მირონცხებული მეფე ხარ, ღვთისაგან ერის წინამძღოლად შოვლინებული, ჩვენს შორის ყველაზე კეთილშობილი, სამართლიანი და დიდსულოვანი, მტერს ნებით დაემორჩილე, მოწამებრივი სიკვდილი მიიღე, როგორც დემეტრე თავდადებულმა, და ყველა გვისხენი, ვინც ერთგულად და უღალატოდ გემსახურებოდი! არ იზამ ამას, რის ქმნასაც გვირგვინოსანთა ზნე გვაულებს, თავად ჩვენ ვიქმთ: შეგვრავთ და მტერს ჩაგაბარებთ!..

ხელმწიფის უეცარი ფერისცვალება ყველამ ერთად შენიშნა. სხვებზე ადრე ისევ ქაიხოსრო წერეთელმა შეპხედა და ჰკადრა:

— ხომ არაფერს გვიბრძანებ, ბატონო მეფე?

— სარდლებს მოუხმეთ... სამღვდელითაც... მე სასახლეში შემიყვანეთ!..

არ გაუვლია თხუთმეტ წუთსაც, ყველა, ვისაც მეფე საათათბიროდ იწვევდა, ოდესღაც უქკნობი დიდებით მოსილ სატახტო დარბაზში შეიკრიბა. ფერმიბდილი სოლომონი ზურმუხტითა და ლალ-იაგუნდით მოქცეულ ტახტზე იქ-

და და მოთმინებით იცდიდა. დიდებულებსა და მღვდელმთავრებს, ვინც სასახლეში აღდგომის ტაბლის გასატეხად იყო მოპატივებული და შემდეგ გარეთ გაღწევა ვეღარ მოახერხა, გულხელი დაეკლოთ და მეფის წინაშე კოპებშეკრული იდგნენ. მხოლოდ უწმიდეს კათალიკოს ბესარიონს დაეზიჯებინა თავისი შალაღი, გველისთავიანი სამღვდელმთავრო კვერთხი და მეფის მარჯვნივ, შემალეზებულ ადგილზე იჯდა. სოლომონმა აგიაშვილი მოიკითხა. აქ გახლავარო, მოახსენა დარბაზში სხვებზე აღრე შემოსულმა სარდალმა, წინ წამოიღვა და თავი მდაბლად დაუკრა.

— მაშ, ვინ გვაკლია? — თვალების აუწევვლად, უმისამართოდ იკითხა კიდევ მეფემ.

— არაფერ, ბატონო, ყველა აქ ვართ! — უბასუხა აგიაშვილმა.

— დიდებულებო, ღირსო მამებო, ძმებო და შვილებო, — სოლომონი გასწორდა, ტახტის ძვირფასებს ორივე ნიდაყვით დაეყრდნო და თვალი სივრცის რომელიღაც წერტილს გაუშტერა. — მე აქ იმად ვიხმეთ, რომ დედა-სამშობლოს პატიოსანი სამსახურისათვის ყველას ერთობით მადლობა ვითხრათ. დიდი თავითეული თქვენთაგანის მიერ გაწეული ღვაწლი და ამ ღვაწლს, თქვენ რომ ქვეყანას დასდევით, მადლიერი შთამომავლობა არ დაიფიწყებს! — მეფეს თვალეზი მოენისლა, ხმა გაეზარა. — მე, უპირველეს ყოვლისა, როგორც კაცსა და შემდეგ მეფეს, ვფიქრობ, აღარა მაქვს ღვთისაგან ნაბოძები უფლება, ამ წუთიდან აქ დაგაკავოთ, თქვენც კიდევ მეტ საფრთხეში ჩაგვადოთ და თქვენი სახლელიც!..

— რა გადაგოწყვეტია, ხელმწიფე? — კრიკა ძლივს გახსნა და იკითხა თვალბანთებულმა აგიაშვილმა.

— ღმერთმა ინება და არჩევანის ნება აღარ მომცა, თავადო ქაიხოსრო, — ყველას მაგიერ სოლომონმა ახლა მართო ოკრიბის ბატონს მიმართა. — ჩემი სიცოცხლე ჩემს ქვეყანას ეკუთვნის და ზეარაკად მომიტანია. აგერ ვარ და

სრული მორჩილებით ველი თქვენს გადაწყვეტილებას!..

— გადაწყვეტილება მტკიცედ უბასუხა აგიაშვილმა და თითქოს სხვებისაგან მხარდაჭერას ეძებო, კრებულს გადააჩნდა. — ან უნდა გავიმარჯვოთ, ან, როგორც ერთი კაცი, ურჯულო მტერს უნდა შევავადოთ ყველა!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მის მხოლოდ კედლის ექვსკუთხა საათის თანაბარი ტიკტიკი არღვევდა. ჯერ ვერავის გადაეწყვიტა, აგიაშვილისათვის აება მხარი, თუ მეფეს რომელიმე სხვა მოსაზრებით წარსდგომოდა.

— რას განუმებულხართ, ხალხო? ენაპირი რამ დაგიდუმათ? — ქაიხოსრო აგიაშვილმა ცოტა ხანს მოიცადა, მერე კი ისე ხმამაღლა იკითხა, მისი ხმა დარბაზის თაღებმაც გაიმეორეს. — იქნება ვინმეს ჰგონია, რომ მეფე თავისი ნებით მტერს ჩაბარდება და ამით საშველი გაგვიჩნდება ყველას? ტყუილი იმედი! ურჯულო თეიმურაზისაგან დანდობას არავინ უნდა ველოდეთ!

— მაგას რატომ გვკადრებ, თავადო, — თმაქაღარა, მწითურმა, ყველა დანარჩენზე თითქმის მთელი თავით მალაღმა ქვემოძრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ აგიაშვილის ფიცხ შემოქაზებას დარბაისლური სიღინჯით უბასუხა. — ჩვენი ომი არც აქ იწყება და არც აქ თავდება. თუ დღეს უცაბედი მარცხი ვიწვინეთ, გავიქირვოთ, გონიერება გამოვიჩინოთ და ხვალ გავიმარჯვებთ. ღმერთმაც ნუ მოგვასწროს, მეფე მტერს ჩაბარებოდეს. მაშინ ჩვენ რიდასი მაქნისი ვართ, ან ხმალი რისთვის გვკიდია და ან პირჯვარს რისთვისა ვიწერთ! ხვალ ვისლა გავყვეთ, ვისი სახელით ვეკვეთოთ მტერს, ვაპარტახებული ქვეყანა ურჯულოს ვისი წინამძღოლობით გამოვგლიჯოთ? ნუ მიწყენ და, არც ის იფარგებს, როგორც შენ ამბობ, ბატონო ქაიხოსრო, ან ახლავე გავიმარჯვოთ, ან ყველა უკლებლივ მტერს შევავადოთ.

აგიაშვილი იღიწა.

— არის მესამე გზა?

— არის! სწორედ რომ არის!

— რომელი?

— ალყა უნდა გავარდევით და რა-
დაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბატონი მე-
ფე აქედან უფლებლად გავიყვანოთ!

— სწორია!

— თავადი ბერი სწორს ბრძანებს!

— შენ აგაშენა ღმერთმა, ბერი ლორ-
თქიფანიძე! — ქვემოხზრის სარდალს
უმაღ კვერი დაუკრეს სხვებმა და აქამ-
დე დადუმებული დარბაზი ერთბაშად
გამოცოცხლდა.

— კარიბჭეს გავაღებინებ და პირველი
მე გავალ! — ამ მხარდაუერამ გვიშტი-
ბის ციხის პატრონს მხნეობა და გამბე-
დაობა შეჰმატა. — თუ სიკვდილი აქ
მიწერია, დაე მოვკვდე! ზოგი მოვკვდე-
ბით, ზოგი გადავრჩებით. ასე არ არის?

— ბერიმ გალიმბა სცადა. — სამასი კა-
ცი, თუ მოიკლებთ და გამაყოლებთ,
თავსა მდის. სხვებიც, ვისაც გული ერ-
ჩის, ჩემთან ერთად წამოვლენ და
მტრის ყურადღებას მიიქცევენ. ამასო-
ბაში ბატონმა მეფემ ღვთის წყალობით
დრო უნდა იხელთოს, უმეტესი ჯარი
იახლოს, იმავე გზით, რითაც ქაიხოსრო
წერეთელი აქ მოვიდა, წყალგაღმა გაბ-
რძანდეს. ორ დღეში ჩვენც ხელს მოვი-
წყობთ და მივეშველებით. რა ვუყოთ,
თუ ამ დიდებულ სასახლეს მტერი იკ-
ლებს. ჩვენს მაღლიან მარჯვენას აუშე-
ნებია, ჩვენივე მარჯვენა ააშენებს,
ოღონდ სული შეგვრჩეს!..

— ვიცან შენი თათბირი, თავადო
ბერი, — ყველასათვის მოულოდნელად
უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა
გახსნა ბაგე და ქვემოხზრის სარდალს
რისხვით თავს დაატყდა. — თუ მეხსი-
ერება არ მღალატობს, სწორედ შენ
იყავი, ერის უპირველესი სალოცავი,

ბაგრატის ტაძარი, რომ გაიმეტე და
გვიკიფინებდი, ჯანიც გავარდნილი, დან-
ვრიოს მტერმა, ზვალ უკეთესს ავაშე-
ნებთო. უკეთესი, შენ რომ აგეშენებ-
ნოს, სალორთქიფანიძეთაში მე ჯერ არა-
ფერი მეგულება, ხოლო რაც შეეხება
სასახლეს, — კათალიკოსმა თავს ზე-
მით აღმართული გველისთავიანი კვერ-
თხი შეაქანა და ბლაგვი წვერით იატაკს
დაპკრა. — ის თვით დიდი თამარის აშ-
ენებულთა და არა ჩვენი. ვაი, რომ ზო-
გიერთი აქ საქმეს იიოლებს და ერის
საგანძურის ბედი არაფრად ენაღვლე-
ბა!..

დიდებულებმა, რომელთა უმრავლე-
სობას ლორთქიფანიძის ვაჟაკური და
ამავე დროს გონივრული სიტყვა უკვე
ძვალ-რბილში გასჯდომოდა, მხარები
იიწურეს და ერთმანეთს გადაჰხედეს,
მერე ყველამ მტანჯველი ფიქრით შეპყ-
რობილ სოლომონს მიაპყრო მზერა.

— მაშ, ვახსენოთ ღმერთი და საქმეს
ვეწიოთ, — ბოლოსდაბოლოს გადაწ-
ყვიტა მან და ეს ისე წარმოთქვა, თით-
ქოს კათალიკოსის მრისხანე ჭდაგება,
სწორედ მის წინააღმდეგ რომ იყო მა-
მართული, არც კი მოეხმინოს. — ცი-
ხისთავს ვუბრძანებ: დაცლის შემდეგ
სასახლე ააფეთქოს, სხვა შენობები, გა-
რდა კარის ეკლესიისა, ცეცხლს მისცეს.
გამარჯვებულ მტერს ხელში მთელი აგ-
ურიც არ უნდა ჩაუვარდეს. ორასი კა-
ცი, რაკი ასეთია ღვთისა და თქვენი
ნება, მე გამყვება. დანარჩენები ციხის-
თავისა და ქვემოხზრის სარდალის გან-
მგებლობაში დარჩებიან. მოპაველ სამ-
შაბათს მალე მსობოლებს ჩიხორს ველი.
ჯარის შესაკრებადაც ჩიხორის ყრუტეს
ენიშნავ!.. ახლა კი გამოვემშვიდობოთ
ერთმანეთს და შევუნდოთ ყველა შე-
ცოდება, ვინ უწყის, კიდევ შეგვახვე-
დრებს ღმერთი თუ არა!..

ოსმალთა ბანაკს ეძინა. კოცონები ჩანავლულიყო. აქა-იქ მხოლოდ ვუშაგები ფხიზლობდნენ და ამათაც რომ ძილი არ მორეოდათ, დროდადრო ერთმანეთს ეხმიანებოდნენ.

— ეი, ახმედა! — ისმოდა ხრინწარეული, ნამძინარევი ხმა ღამის სიჩუმეში. — ძილი ხომ არ წამოგებარა, კაცო?

— რა დამაძინებს, ტიელო, სიცოცხეა, ვერ ხედავ, რა მქისედ უბერავს?

— ცეცხლი დაანთე, შე უღდეურო, კვეს-აბედს შე გათხოვებ.

— დავანთებდი, მარა შეშა გამოილია.

— მევლუდა რასა იქს, რას გაჩუმებულა, სული ალას ხომ არ ჩააბარა?

— მალე ჩააბარებს. იყინება!

— შეშა დღისულ უნდა მოგვემარაგებინა. ამ ყიამეთში რას მიაგნებ!

— ვერ მივაგნებ და ნუ მივაგნებ! გათენდება, სადაც არის, მზე ამოვა, ველარც მაშინ გავთბებით?

— ჩუ, ტიელო, ხმა არაფერი გესმის?

— წყალმა მოიმატა, სხვა რა ხმა უნდა იყოს!

— მინმაში გააღვიძე, შენ ნამდვილად ყურს დაგკლებია!

გუშაგმა თოფი შემართა და ჰაერში გაისროლა. სალაშქრო კარებში, აჩეხილ ბალ-ვენახებში რომ დაეცათ და სათვალავიც არა ჰქონდა, აქა-იქ სინათლე აანთეს. ვადაძახილ-ვადმოძახილმა იმატა და მალე უღროო დროს გამოღვიძებული ცხენების ქიხინი და იარაღსაჭურვლის ეღრაალიც ატყდა.

— რა იყო? დაგვეცა ვინმე? ვინ ისვრის, შე მაგის... — ნაბახუსევი იანიჩრები ზღაზნვით და ზმორებით გამოდიოდნენ ღამის ნესტით კალთებდამძიმებული კარვებიდან, ამოქნარებდნენ და ჯერ კიდევ ბურანში მყოფნი იქვე შარდავდნენ.

სოფლის მხარე, რომლის შესასვლელშიაც ტრიალ მინდორში სასახლე იდ-

გა, უკან კი ხვამლის მთის ლურჯი ზოლი ილანდებოდა, ხანძარს გაენათებინა. ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა და შემოგარენს თვალისმომკრელად ანათებდა. მოალყენი გვიან მოეგნენ გონს, გვიან მიხვდნენ და დაიჯერეს, რაც მათ თვალწინ ხდებოდა. იწვოდა გეგუთის სასახლე, კალმით ნახატი ციხე-ღარბაზი, ქართველ მეფეთა დიდებული აღგილსამყოფელი, რომლის აღდგენას და ძველებური პეწით გაბრწყინებას მეფე სოლომონმა რამდენიმე წელიწადი მოანდომა. სასახლესთან ერთად იწვოდა ყველა სხვა დიდი და მცირე შენობაც, რომელიც გალავნის შიგნით იყო. ცეცხლი შემზარავი სილალით მძვინვარებდა და ხარბად ნთქავდაკვარივით აბრიალებულ სვეტებს და კოჭებს, ლარტყას და ქილიშს, კარსა და საკემელს. ჰაერში ქინჯისა და ფისის სულისშემბუთველი სუნი ტრიალებდა. რისიმე შველა უკვე შეუძლებელი გამბდარიყო. სასახლის სახურავის აღმოსავლეთი მხარე გამაყრუებელი გრიალით ჩაიქცა, სიტატო ღარბაზის მაღალი თალი ვააშიშვლა და ცა უთვალავი წვრილი და მსხვილი ნაპერწყლით აავსო. ზედიზედ ჩაიქცა სხვა შენობათა სახურავებიც... სერასკირს ნაბრძანები ჰქონდა, სასახლეს სიფრთხილით მოკიდებოდნენ და, თუ მეტისმეტად არ გაუჭირდებოდათ, იგი არამც და არამც არ დაეწვათ. მეფე თეიმურაზ მამუკას ძე თავის საგვარეულო სიმდიდრეს, აქამდე სოლომონი რომ ფლობდა, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და არ უნდოდა, ის ცეცხლის კერძად გაეხადა. ფაშა ჰაჯი-ალიბეგი ცდას არ აკლებდა, რომ სასახლე და ყველაფერი, რაც შიგ იყო, მეფითურთ ხელში უვნებლად ჩაეგდო, მაგრამ ბრმა შემთხვევამ თუ მტრის ვერაგობამ პირში ჩალა გამოავლო.

მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სასახლის გალავანს უკვე აღარავინ იცავდა. ამაში საბოლოოდ მაშინ დაბ-

წმუნდნენ, როდესაც გალაგნის კედელს ჩრდილო-დასავლეთიდან მიუახლოვდნენ და ყრულ ჩაგმანული კარიბჭე მოღიაგებული დაუხვდათ.

ჰაჯი-ალიბეგმა თავში ხელი შემოიკრა და გამწარებულმა დაისისინა:

— გაურ!.. შენს სისხლს პეშვით დავლევ, თუ სადმე მოგიხელე, შე უხსენებლის ნაშობო!..

ამ დროს სოლომონი და მისი ათასი ოდე მხლებელი, რომელმაც ადიღებულის რიონი მშვიდობით გადასცურა და თავი აჯამეთის ხშირ, ჯარისათვის თითქმის გაუვალ ტყეს შეაფარა, უკვე შორს იყო და უმთვარო ღამის წყვედი აღმოცხენს სკანდის ციხისაკენ მიაჭენებდა.

გეგუთის სასახლიდან ავარდნილი ცეცხლის ალი და კვამლის სვეტები ქუთაისიდანაც დაენახათ. მაშინვე მიმხედარიყვნენ, ჰაჯი-ალიბეგს უთუოდ რაღაც ფარსავი სჭირსო და საფაშოს იანიჩარ-ალა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი თვით მოიჭრა ამბის გასაგებად.

გალავანში, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ბაღნარში კობაქიად ჩადგმული ნატიფი სასახლე თვალსა და გულს იტაცებდა, ალით შემურული, თითქოსდა თვალბდათხრილი ქვეთკირის კედლები ხრჩოლავდა. ყვავილნარს ქვარტლის სქელი ფენა დასდებოდა. ნანგრევის გარშემო გროვა-გროვა კრამიტის, მინისა და ფიქალის ნატეხები ეყარა.

— წაგივია? — ოსმალურად ჰკითხა დამმარებულ ჰაჯი-ალიბეგს სამასი რჩეული იანიჩრის თანხლებით ქუთაისიდან მოსულმა ფალავანდიშვილმა და ცხენიდან ჩამოხდა.

ჰაჯი-ალიბეგმა თვალი აარიდა, გაიურის ნაშიერ იანიჩარ-ალას, რომელიც სერასკირის გამორჩეული ნდობით სარგებლობდა და ამის წყალობით ყველგან ცხვირს ჰყოფდა, ზედაც არ შეხედა.

— საღ წავა! ქვეს გავხეთქავ და ქვესკნელიდან ამოვიყვან!..

გაჩნდა მოქმელი, მეფემ რიონი გადავლო და ჯარის შესაკრებად არგვეთს მიაშურაო. სხვები სხვას ამბობდნენ.

ჰაჯი-ალიბეგს ურთიერთსაწინააღმდეგო ხმების შემოწმებისათვის აღარ დაუცლია, აიყარა და რიონს მიადგა. წყალი კიდევ უფრო ადიღებული იყო, ვიდრე წინა ორ დღეს. საღამომდე იცადა, ეკლებზე იჯდა, იქნებ ალაჰმა წყალობის თვალთ გადამოხედოს და წყალი დავარდესო, მაგრამ, მისდა გულგასახეთქად, შზის ჩასვლისას რიონი ნაპირებიდანაც გადმოვიდა და ნაბანაკარი ადგილი მთლიანად დატბორა. გაღმა ვასვლაზე და ჯარის გადაყვანაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, არა და ძვირფასი დრო ფუჭად იკარგებოდა.

დილას პალემსროლი მოვიდა ქუთაისის ციხიდან. ჰაჯი-ალიბეგს სერასკირი იბარებდა. სარდალი შეშინდა, ვაითუ განაწყენებულმა ფალავანდიშვილმა დამაბეზლა, სოლომონის ხელიდან გაშვების გამო ღალატს მამბრალეზნო და, თუმცა საამისო ბრძანება არა ჰქონდა, მარტო წასვლას ჯარის აყრა და თან წაყვანა არჩია. იმავე ღამეს კორპუსი ქუთაისის ხილთ გაღმა გადაიყვანეს და სოლომონის სავარაუდო თავშესაფრის, — არგვეთის უწყალო მორბევა დააკისრეს.

სოლომონი უკვე ჩიხორს იღვა, იარაღ-საჭურველსა და ნუზლს იმარაგებდა და თავისი სარდლებისაგან დღე-დღეზე სანუგეშო ამბავს ელოდა. მათ გამოჩენამდე ათას კაცს მეორე ათასიც მიმატებოდა და მეფე იმედოვნებდა, სანამ მაშველი მოვიდოდეს, თუ ის დალოცვილი მართლაც საიდანმე გაჩნდა და ღმერთს მთლად განწირული არა ყვავარ, თავს როგორმე გაეიტანო.

გულისგამაწვრილებელ ლოდინში დალამდა შეყრის დღედ დათქმული სამშობათი. სარდლები, თითქოს მიწამ უყო პირი და ჩაყლაპაო, არც კარგს იტყობინებოდნენ და არც ავს. ორშაბათ დილას ჯარში თავხარდამცემი ქორი გავრცელდა: აგიაშვილი და ლორთქიფანიძე, მეფე აქ, ჩიხორს რომ ელოდებდა, დადიანს ზღებიან, მორჩილება გამოუცხადებიათ და თეიმურაზთან შესარიგებლად შუამდგომლობა უთხოვიათო, ხოლო რაც

შეებება რაჰის ერისთავ როსტომს, ის უკვე სიძეს უდგას მზარში და თავისა ხუთი ათასი კაცით გველის ზერელში შემძვარალი სოლომონის შეპყრობას და არგვეთის შემომტკიცებას ჰპირდება.

— ეე, ხო ვთქვი მე! — აყაყანდნენ სახელდახელოდ შეყრილი მოლაშქრენი, უბრალო ყმა-გლეხები, ვისაც თავი სხვებზე უფრო გათვითცნობიერებულად და წინდახედულად მიაჩნდა. — კარებამდე სანდო არ არიან. ჩვენ ურჯულოს უნდა შევაწყდეთ, ცოლი და შვილი უპატრონოდ დაგვაროთ, ეგენი კი ახლა იქიდან მოგვდგებიან და დედის ხსენს ამოგვადებინებენ!..

— ყველა გამცემი და მოღალატეა, წაწყდა მაგათი მომთესლებელი! — კიდევ უფრო მწარედ იგესლებოდნენ სხვები. — გახერცილი გროშის ფასად ქვეყანასაც გაყიდიან და ზატსა და ჭვარსაც ზედ მიაყოლებენ. თავადისა და აზნაურის სამართალი და სეინდის-ნამუსი ვინ თქვა, თეთრია მაგათი სეინდის-ნამუსიც და სამართალიც, თეთრი დაანახვე და, ნაძლევს ჩამოვალ, მამის ძელებსა და ცოლის ნიფხავს მოგყიდინა!..

მითქმა-მოთქმამ სოლომონის ყურამდე მიაღწია. მეფე აღშფოთდა, ამბის მომტანი დატუქსა, პირიდან ცეცხლს ყრიდა.

— შეუძლებელია! ახლავე ჩემი სახელით შეიპყარით, ენა ძირიანად ამოგლოჯეთ, ვინც მაგ უკეთურ ხმებს აერცელებს და ტახტის ერთგული ბურჯების პატიოსან სახელს ლაფში სვრის!..

ბრძანებით კი ბრძანა, მაგრამ შემდეგ აღარ მოუკითხავს, იღასრულეს თუ არა ეს მისი ნაბრძანები.

სალამოს შეიტყეს ფაშა ჰაჯი-ალი-ბეგის კორპუსის მოსვლა და აღისებნის ბორცვებზე დაბანაკება. ყველაფერიანად ჩანდა, რომ გეგუთის სასახლესთან ხელის მოცარვით ჭკუანასწავლი ჰაჯი-ალი-ბეგი მეფეს მიუვალი მთებოსაკენ გასასვლელს უჭირდა და ხვალ გარიყრაჟზე ჩრდილოეთიდან შემოუ-

ტევდა. სოლომონი არც აპირებდა იქით წასვლას, მაგრამ მტერი ხომ მის გულში არ იჯდა!

— მართალია, ქაიხოსრო? — ჰკითხა ზემომხრის სარდალს, როდესაც გიორგი და ბერი წულუკიძეებთან, იოსებ და არჩილ ბატონიშვილებთან და სახლთუხუცესს პაპუნასთან ერთად ამ ამბის შესატყობინებლად ის მეფის კარავში შემოვიდა.

— მართალია! — მოკლედ მოსჭრა სარდალმა.

— ქვემოთიდან კიდევ არაფერი ისმის?

— ჯერ არაფერი!

— რა ვიფიქროთ, ნუთუ მართლა გაგვირისხდა ღმერთი და გვიღალატეს?

— ვერაფერს გეტყვი, ბატონო!

სოლომონი აწრიალდა, ერთმანეთზე გადახლართული ხელები ზურგსუკან შემოიღო და კარავში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— აქ განერება გეგუთის ალყაში ყოფნაზე უარესია, თქვენო უმაღლესობავ, — ანაზღად ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმე კვლავ ქაიხოსრო წერეთელმა დაარღვია და მეფის ყურადღება მიიქცია. — ჰაჯი-ალი-ბეგს დიდი ჯარი ახლავს. ოცდახუთი ათას ცხენოსანს ამბობენ. ამის ნახვეარიც რომ პყავდეს, გამკლავება ჩვენ მაინც გავეიკირდება!

— საით გვიჩვენებ დახევას?

— ჩვენი მოდინახე, — თავადმა ქაიხოსრომ სახლთუხუცეს ძმას გადაჰხედა. — ვფიქრობ, ყველა სხვა ადგილზე უფრო მიუდგომელი და საიმედო ადგილია. დახანებაც არ გვმართებს. ვაითუ თათარმა წინ გაგვისწროს და გზა გადაგვიჭრას!..

დახანება და თუნდ წუთის დაკარგვა სწორედ არ მართებდათ. ჰაჯი-ალი-ბეგი რომ არგვეთს შემოესია და სოლომონთან გადამწყვეტი შეტაკების წინ აღისუბნის გაბატონებული ბორცვები დაიკავა, იანიჩარ-აღა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი რვა ათასი ცხენოსანი იანიჩ-

რით ყვირილას აღმა აპყვა, შორაპანს ზემოთ გეზი იცვალა, ძირულის ხეობაში შევიდა და მიუვალ ქარაფზე გადმომდგარ სვერის ციხეს სამხრეთ-დასავლეთიდან მიუახლოვდა. სერასკირ ჰასან-ფაშას ბანაკში უკვე სარწმუნოდ იცოდნენ, რომ სიმტკიცითა და მიუდგომლობით საქვეყნოდ განთქმულ სვერის ციხეს მარიამ დედოფალი და სოლომონის მთელი სახლუფლი აფარებდა თავს. უკეთუ ალყით, ან რომელიმე სხვა ხერხით ოსმალები ციხეს ხელში ჩაიგდებდნენ, სოლომონს სხვა აღარაფერი დარჩებოდა, გარდა იმისა, რომ საყვარელი ცოლ-შვილის სიცოცხლის გამოსახსნელად იარაღი დაეყარა და მტერს დანებებოდა.

მამლებმა მეორედ იყივლეს, ციხეს რომ სამად სამი მხედარი მიადგა მდინარის მხრიდან და ყვირილით კარის გაღება მოითხოვა. ციხეში ფხიზლობდნენ. იქ უკვე ყველამ იცოდა, რაც გარეთ ხდებოდა და მტრის უეცარი თავდასხმის მოსაგერიებლად ყოველ წუთს და ყოველ წამს მზად იყვნენ. ქვემოთ ყვირილი განმეორდა. ქონგურზე თვით ციხის მოურავი ხოსია კლდიაშვილი გადადგა და მოსულთ დააკვირდა, მაგრამ ხეობაში ჰერ ისევ ბნელოდა და ვერაფერს გაარჩია.

— რომელი ხარ, ბოშო, მადა? — ხმა დაიბოხა და დაიძახა შემდეგ.

— ხოსია! — ქვემოთ ციხის მოურავის ხმა იცნეს. — კარი გააღე, შე გამოყრუებულო, ვერ ხედავ, ბატონი მეფე მობრძანდა?

ამგერად ზემოთაც იცნეს ხმა, რომელმაც ეს სიტყვები წარმოთქვა, იგი ქაიხოსრო წერეთელს ეკუთვნოდა, და ჩოჩქოლი შეექნათ. ორი ჩაფხუტიანი მეციხოვნე დაბლა კარის გასაღებად ჩავიდა და კლდიაშვილიც მათ ჩაპყვა.

დედოფალი მარიამი მთელი ღამის ნამგზავრ, აქა-იქ ტალახში მოსვრილ, უძილო და ცხენზე გამუდმებული ჯდომისაგან ქანცამოლეულ თანამეცხედრეს ზღურბლზევე მოეგება, სანთელი მოუნათა და ხელი შეაშველა.

— მოხვედი, შე საწყალო?

— მოვედი... მარიამ...

— აგერ სკამი თუ გინდა, ხალიჩაზე წამოწეჭი, — ქალმა შანდალი დადგა და უბრალო მხევალივით დაფაცურდა. — ბალოში... მუთაქა...

— არ არის დაჯდომის დრო! მტერი კვალდაკვალ მომდევს. ნახევარ საათში იქ იქნებიან. ბავშვები გააღვიძე!..

— ღვიძავთ, სოლომონ, ვერ ხედავ? აგერ არიან ისინიც!..

— მამა! — ბატონიშვილმა ალექსანდრემ ლოგინში გაუხდელად ჩაწოლილ დებს დაასწრო და მონატრებულ მშობელს ყელზე პირველი მოეხვია. — მიედივართ? ასე ღამე?

სოლომონმა სამივე ერთად აიყვანა და სათითაოდ დააკოცა.

— ჰო, შვილო, ასე ღამე. ქვემოთ, ხიდისყურში, ცხენები გველოდება.

ბატარა მიხვდა, გაწამებული მამისა და მეფის სიტყვები რასაც ნიშნავდა და გაიბრინდა, მეტი აღარაფერი უკითხავს.

ლადო სულაზარძე

გადარჩენილი რვეული თქვენ—სალამური

გაცრეცილია ფურცლები რვეულის,
გადაწრეტილია ხისხლი ნთხეული.
ამოსულია ხისხლზე იები,
ხმელ-ხმელ აწყარებზე ამორხეული.

ამ სტრიქონების მავთულხლართებზე
გადაკიდულია მტლე-მტლე ლანდები.
ამ სტრიქონებზე, ვით ხნულზე, დავთვებ
მათი ცრემლების ბრილიანტები.

კვლავ გაგახსენე... მოგაგონე კვლავ
დღეები ცეცხლოვანი და მტეპარნი.
აჩნია ფურცლებზე განორღვეულ კვალს
ნაფეხურები და ნაწლიკარები.

გადარჩენილია სული წამებული,
ველურ იმპერიის ქუსლით გათელილი.
და ჭამი და-წამ-წამ-ებული
მომაქვს წინაპარი ქართველივით.

გაცრეცილია ფურცლები რვეულის,
ქარშფოთით, ქარშავით განაცრეცი.

კერიის შუკი მაქვს მოხვეული, —
ჩემი სანაკვერჩხლე — სანაცრეხი.

გაცრეცილია ფურცლები ესე —
გამოკვერილია გაძღების რვალი.
ყრმანო, ნუ, ნუ დასწერთ ამნაირ ლექსებს,
ქარში ამ ლექსში სტვენს
გახრული ძვალი.

თქვენ — სალამური... თქვენ —
სალამური...
დილა — მზიური... — სალამი —
სალამური...

ამოსულია ხისხლზე იები,
ამ ლექსის ცრემლით გადანამული.

ნულა, ნურვინ დასწერს
ამნაირ ლექსებს...
თქვენ — სალამური!..
თქვენ — სალამური!..

მამულის ხატთან

ახლა მჭირდები. წინაპრის ლანდო,
„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე
მქოლო,
შენი ოფლი და ხისხლია ხანდო,
უმეოფლისისხლოდ დრომ უნდა მქოლოს.

წადრეკილი ვარ უღმერთო ძალით,
სადგამურივით ხარ ჩემი უღლის.
ჩამჭიდე შენი არწივის ბრჭყალი
და გამიმართე ჩახრილი მუხლი.

ოღონდ გვერდს მოდექ, წინაპრის ლანდო,
ვერვის ნახავენ ჩემსავით ამტანს.

გახურებული შანთითაც მშანთონ,
დამსობილი ვარ მამულის ხატთან.
საქართველოს
განმათავისუფლებელი
მედიის ცენტრი

• • •

ტყვე ვარ, მონა კი არა,
მე არა ვარ მონა.
საბას არაკიანად
ვმფოთავ,
ვემინავ,
ვკონავ.
პურის ნამცვეს დავეძებ,
როგორც ვძებს ჩიტი,

გზაზე რომ არ დავეცე...
ვილტვი...
ვილტვი...
ვილტვი...
ჩვენში ყანას მკიან რა,
მე აქ ღრუბლებს ვკონავ.
ტყვე ვარ, მონა კი არა,
მე არა ვარ მონა.

კ რ ე მ ა ტ ო რ ი ა

კრემატორიის მიღზე ფართბალობს
ყვავ-ყორანივით ბოლი მოშავო.
დაფერფლილ კაცის სულმა კი ღამის
ნაპერწყლიანი ფრთა გადმოშალოს.

ზოზინ-ზოზინით მიიწევეს ზევით
ბოლი თუ ძაძით მოხილი სული.
შავ სვეტს მიმოგრებს ქარი ბლავილა,
მზე აღმოსდება როს მინისლული.

კრემატორიის მილი ჭვარტლული
ზარბაზნის ლულად შემართულია,

ადამიანთა ფერფლს უშენს ზეცას,
ფერფლში ჩამტკნარი კაცის სულია.

მილი ბავშვთა და ქალთა გოდების
გულმეშვარავი სალამურია.
უსმინვ, ძმაო,

რადგან შენს გულზე
ამ ხმას გკლებით გადაუვლია.

მოშავო ბოლი ღრუბლებზე გაწვა,
შეხედე საწყალ ღრუბლის ფორიაქს.
შავი ურჩხულის მალალი ყვლით
სიკვდილზე მოთქვამს კრემატორია.

ი მ პ ე რ ი ე ბ ი

იმპერიები, — ურჩხულები, —
ყლაპავდნენ ერებს
ლიფსიტებივით...

იმპერიები...

მცირე ხალხები გაჩენის მერე
სულ ამ ქარიშხლებს ვიგერიებდით.
სადლაა, სადლა მონღოლთა ურდო,
ჩემი პატარა ქვეყნამდეც მწეღომი?!
რად აღარ აქუხს და არ ფართიფურთობს

რომი,

მსოფლიო აღმების მდომი?!

მამულა, შენი ციხეების

ქონგურებით იხედებიან

ჩემი უდრეკი წინაპრები

ზე შემართულ ბაირაღებით.

შენს კლდეებს ბევრჯერ მიხეთქებია
იმპერიების მძლავრი ტალღები.

შენს გაზაფხულებს მზე ისევ ხატავს,



საქრებულო

იმპრინტების

რუსთველს რომ ჰქონდა, იმფერ იებით.

.....

კავკასიონზე მიყინულა

ტყვეობის,

მონობის

ფერფლი ძველთა-ძველ იმპრინტების

ყრმობის მდგლოზე

ღამით არ ვიყავ ტყვე...

სიზმრის ფრთებით

თავისუფლების ანგელოზს ღამაზს მოვყვები შენთან... გამზადე ჩვერები და მუხის ფოთლით მაწედიდი წამალს.

ყვავილების წვეწვს მასმევედი კოფებით, წამაძრე ფერხთით წულა და წინდა.

გარედან მესმა ბღავილი მოზერის, „მოო!“ — ბალახზე მეძახდა შეინდა.

დაგვიამებსო ფეხისგულს ცვარი, დამტოვე ცვარში ყრმობის მდგლოზე. მივენდე ჩემი ღვთიური ზარით თავისუფლებით მთერალ ანგელოზებს.

გამოსათხოვარი

ნიკო ტატიშვილი

მუზეუმის ფრთებზე ფერადოვანზე შემოჰდა შენი ლალი ფრთოსანი. აღარ იღარდებ აწი თოვანზე აღრე აკვირტულ ატმის რტოსავით.

შენს სმელ სხეულში ჩაცხრა ღვართქაფი, ბრიალა ვლვა ცისკენ გაგისხლტა. ჩამუნჯებული შეგერჩა დაფდაფი, წრდილად შეახში დათხრალ: მაგისტრალს.

ღვთაებრივ შუქში ჩადნი ხანთელი, ხმა ჩაგუდვია მამალს დეზიანს.

სიკვდილის შავი ღვინით დათვერი და აღარ გზაფრავს მშის პოეზია.

მე შენი ჩანგის დაწვეტილ სიმებს გავჭიმავ ჩემი ლექსის არფაზე, — თუ მივადწივ მამულის წვიმებს, გავიმცხეთე და გავიარჩაზე.

მუზეუმის ფრთებით ფერადოვანით გამყვება შენი ლალი ფრთოსანი. აღარ შეგაკრთობს აწი თოვანი აღრე აკვირტულ ატმის რტოსავით.

კითხვა ძახილის ნიშნით

სადა ხართ, ზიქებო, სადა ხართ, სადა ხართ, რესო და მირზა, ლადო და გიორგი?! სტრიქონზე ფოთლები კინალამ გადახმა,

მე ვწვევარ ლურსმნებზე, ვით ინდო იოვო. მფოთვებმა იმძლავრეს, წვიმებმა იუხვა, შოიბი კომმარულ ლომებს და ზვიგენებს.

რომელი მიუხვალთ,
რომელი მიუხვალთ
რუსთველის ჭადრებს და
მთაწმინდის ზეგანებს?!

ზარბაზნის ლულაზე
შემსხდარი მუზანი
ფრთებს აგაფარებენ
უბზარავ ფარებად.
ღრუბლებზე გაკრულ
წეროებს ვუგზავნი

დედას და
წეროებს იქ მიგჭარებთ,
ქვეყნის
ზიზლირთხვას

ხომ ასე ვმღეროდით,
მამულის ქედებს
ზედ დაგაჭვავებდით
კლდეთო და ჭიუხად...
სადა ხართ, ბიჭებო,
ჩვენს საწყალ დედებს
რომელი მიუხვალთ,
რომელი მიუხვალთ?!


• • •

გადარჩენილა ბევრი რვეული
და დაღუპულა ლექსი მრავალი.
ლექსებიც ისე იღუპებიან,
ვით მხედარი და მხედართმთავარი.

მე ამ რითებზე ვარ დამსხვრეული,
ზედ დანთხეული ხისხლი გიზგიზებს.
მიადწევს კია აწ გადარჩენილ
ჩემს ველეხიებს, საყდრებს, მიზგიტებს?!

ვეძებ, ვაგროვებ სულის ნამსხვრევებს,
ხმელ მეტაფორებს და მშიერ რითებს.
ჩემი ცრემლი და ბოდმა, მამულო,
ხომ უნდა მოგწვდეს ერთხელ რითიმე?!

ამ შავ ღრუბლებში მაქვს გახვეული,
რაც სიკვდილის ჭამს შემჩრა მთავარი...
გადარჩენილა ბევრი რვეული
და დაღუპულა ლექსი მრავალი.



ნუგზარ წიკრიძე

გურამ რჩეულიშვილის გახსენება

გურამ გვაგონებს

თაფნ გვაშენებდა სიცივესაგით
იმ გაუხუნარ დღეთა ხილვები,
გვსურდა წარსულის განმეორება,
ზამთარიც იდგა ჩვეულ ყინვებით!
გაბოლილ ქუჩებს მიაცურებდა
კვლავ მანქანების ჭრელი ნაკადი,
თითქოს ბევრი რამ იყო ახალი
და უფრო მეტი იყო აქამდომი!
მისრიალებდა თოვლში ტრამვაი
და შორს რჩებოდა დიდი ქალაქი,
ჩვენ გვაგონებდა გარდასულ წუთებს
თოვლიც,

სიცილიც

და ლაპარაკიც!

ყინულად ქცეულ ვეება არხებს
ეფარათ თოვლის მიძიმე ფარდები,
და გვაშევიდებდა იმის შეგრძნება,
რომ წინ გველოდა დღე უდარდელი!
სხვა საზრუნავი იმ დღეს არ გვქონდა,
გარდა სურვილის და გახსენების,
ნანდა მოსკოვი

გადაბატული

ზამთრის კრიალა,

მვეთრი ფერებით!

განზე გვივლიდა წლების ჯირითი
და ისევე ვგრძნობდით მზარში ერთმანეთს,
— ხეები ფიფქებს ისე გვაყრიდნენ,
თითქოს თოვლიან ქუჩებს ფერთხავდნენ.
დაუვიწყარი რბოდნენ დღეები
და წარუმღელი კვალიც დატოვეს,

ახლა ის კვალი ისევე ატყვიათ
სახლებს,
ბულვარებს,
საპარადოებს!

გვაგონდებოდა დღევანდელივით
დრო საოცარი ძალით მბრუნავი,
მიწური სახლი თოვლში და ქარში,
სახლი, რომელსაც ერჭვა გურამი!
და გასიპული შესახვევიდან
გამოვარდნილი ქარი თებერვლის,
ქუჩებს რომ უცებ აანამქერებს
მოულოდნელი ერთი შებერვით!
დიდი ქალაქის მყუდრო ქუჩაზე
პატარა სახლი თოვლის აკვანში,
ისევე გვახსენებს დიდი ცხოვრების
სამარადეაშო ფურცელს გადამლილს!
დაფიქრებული ვაგაკვი ბიჭი
გაქყურებს ეზოს თეთრად დაბარდნილს,
უკვე რამდენი რამე შეიქმნა,
მამულს რამდენი ფიქრი ჩაბარდა!
რამდენი კიდევ სულში ტრიალებს,
როგორც მსუსხავი ქარი თებერვლის,
ქუჩებს რომ უცებ აანამქერებს
გოლიათური ერთი შებერვით!
იესება მკერდიც ქარის სიმძლავრით,
მკვეთრი მიზნებით
და სურვილებით,
ასე მირბოდნენ,
ასე მიდიან



წვენი დღეები დაუსრულებლივ!
 მოგონებათა რგოლი ათასი
 უკან მოგვეყვება ჩუმი ქღარუნით,
 ასე მოვედით,

ასე მივედივართ,
 დარდით,
 ოცნებით
 და სიყვარულით!

გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა

წლების ქარივით გაფრენის შემდეგ
 შემომჩვევიან უცხო ფიქრები,
 არავინ იცის
 რამდენი დარჩა,
 ანუ რამდენი ხანი ვიქნებიო!
 ვიხსენებ,
 როცა დღეის სიმაღლე
 ჩანდა საოცრად მიუკარებლად,
 მაგრამ მოვიდა იგი სიშორეც
 და შეკრდში მძიმე ზარი დარგვა!
 თან მაგრძნობინა:
 შესასრულებლად
 ძნელი ყოფილა
 რაც კი ვინებე,
 მოგონებები გარდასულიდან
 თითქოს ტალღებად მოტივტივებენ!
 და იმა წლებით გადაძალული
 მძიმედ ტრიალებს ბედის ბორბალი,
 თვალწინ მიდგებით წლების მიჯნაზე
 გაყოფილები ხვედრით ორგვარიო!
 ჭრიალს უმატებს ქვიან აღმართებს
 როცა ტაატით მისდევს ურემი,
 სულს მაინც დარჩა ნაჭდევებივით
 ის შორეული ნაფებურები!
 ო, როგორ მინდა ყველა ის განცდა,
 დაუეიწყარი ძალით ფარავდეს

თბილისის ქუჩებს,
 ბორჯომს და მცხეთას,
 თელავის კართან რძისფერ ალავერდს!
 ო, როგორ მინდა
 როცა ღვართქაფად
 ჩამომავალი წვიმა იკარებს,
 ერთხელაც კიდევ ჩამოვუარო
 იმ გახუნებულ ნაბილიკარებს!
 იმ წარსულს,
 ისე დაუბრუნებელს,
 როგორც ქარისგან გარეკილ ღრუბლებს,
 მაინც ვჩერდები მოსახედავად
 გზაჯვარედინის ჩაქცეულ ზღურბლზე!
 უკან და უკან ბურუსი ავსებს
 გარდასულ წელთა მწვანე ტაშირებს,
 მოგონებათა მრჩება მარაგი,
 იმ სიშორესთან რაც მაკავშირებს!
 რაც განერიდა დავიწყებათა
 ქარტყვილების ძალით წალკევას,
 ბევრი აღსდგება,
 როცა ჟამთაგვლის
 ბზარგაჩენილი ზარი დარეკავს!
 და მინდა როცა კოკისპირულად
 ჩამომავალი წვიმა იკარებს,
 ერთხელაც კიდევ ჩამოვუარო
 იმ გახუნებულ ნაბილიკარებს!

პირველდაწყება



დღეს გადავხინჯე
 თილქოს ოცნებით,
 გადაქროლილი მრავალი კადრი,
 მათში არცერთი არ შემხვედრია
 მიხი საღარი,

ტოლი თუ ყადრი!
 იმ სიყვარულის პირველმშვენიება
 სულს ანათებდა მთელი სიცხადით,
 რაც გავდა ბედის უცნაურობას,
 ბედის,

რომელსაც ხშირად გვიცხავდი!
 არა ზერელე თვალის მოვლებას,
 არამედ დღეთა კაცურ ჭირვარას,
 სულ სხვა თრთოლა და ძალა შემატა
 ფასანაურმა,
 მღვთმა,
 ჟინგალმა!
 თითქოს სიმაღლეც მთების გამოჰყვა,
 იმ სიყვარულის პირველდაწყებას,
 რომელიც დღესაც
 დაუდგარი
 არაგვის მსგავსად
 მკერდზე მაწყდება!
 მან მომავალი გზა გამინათა
 აუცილებელ გამარჯვებათა,
 ტვირთივით მომხსნა
 ვალი მრავალი,
 რაც ვაჟკაცური

რწმენით მემართა!
 გზები სიფრთხილით გამოთმარა,
 გადაქსელილი ბეწვის მიღებით,
 და არასოდეს მომცილებია,
 თვით დაუნდობელ ქვეყნის კიდემდის!
 ამხელა გზების სალად გამოვლა
 ნამდვილად ღირდა ტანჯვა-გვემადაც,
 დღე იწურება
 და მოგონებად
 ერთი დღე კიდევ შემომმატა!
 და რადგან დიდი დროის შემდეგაც
 იმ დაუვიწყარ დღეებს მივმართავ,
 მკერა
 სიყვარულს შველებს დაეუდგამ
 ფასანაურთან,
 მღვთთან,
 ჟინგალთან!

ფ ლ ა ხ ი

ცაქლიდან „ყირიმის სურათებში“

თავისუფლების ძველი მოტივით
 იყვნენ დღეები შეფერილები,
 ყირიმში ჩანდა
 ნატურმორტივით,
 დაბებით
 კლდეებს შეფენილებით!
 ზურგს უკან მდგა ქედი გოროზი,
 გადანისლული,
 სიბი,
 პიტალო,
 ხან მემინოდა:
 მე და ფოროსი
 მიწისძვრამ ზღვაში არ ჩაგვიტანოს!
 მაგრამ შეერთობას ცვლიდა იმედი,
 უტყვი კლდეები რაღას იზამდნენ,
 და გაწუწული ქვაგრებილები
 ნაპირს მისდევდნენ
 სიმეჩამდე...
 აქ ამალღების ზრახვით
 ადვილით,
 გზა ციციბოზევ არის ნაჭდევი,
 მსუბუქი ფიფქით გადაბარდნილი
 მორწმუნესავით მთაზე გაჩნდები!

შენ დაეყრდნობი ქვების კათედრებს
 და წინ გეშლება
 სამყარო ვრცელი,
 სანაპიროთა რკალებს ათეთრებს
 ზღვა ტანმალალი ტალღების ცემით!
 კლდოვან ნაპირთან
 გაბაწრულ კატერს,
 ზღვა არწევს,
 როგორც პატარა აკვანს,
 გაფიქრებს რომელ მიზანში ჩატეგს,
 სტიქია ამდენ
 რისხვას და ზაკვას!
 დღე ზათქიანი,
 ჯერაც არ იცი,
 რას დაგპირდება
 თუ დაგიპირებს,
 და შერჩენილი ძველი ხალისი
 სახეტიალოდ გადაგიბირებს!
 შემოდან დასცქერ ლილისფერ დელგმას
 და მერცხალივით
 სიერცხეს ედები,
 რა ხელმა ძერწა,



რა ხელმა შექმნა
ეს ქვადაქმეული რუხი ქედები?!
დასაბამიდან ასე ყოფილა,
ბუნებას კჳონდა ძალა

ღმერთების,
და სიდიადით
პირველყოფილით
პრომეთესაგვით შენც ძლიერდები.

ფიქრი ჩრდილოეთ კავკასიაში

თუკი სტრაქონის სითბოს განჭვრეტავ,
იგრძნობ ოცნებით როგორაც გზატე,
ჩანს იალბუზი ჩემი ფანჯარიდან
და ისიც თითქოს სურვილებს მმატებს!
მწვერვალისაკენ გაფენილ ველებს
ზუზუნით მისდევს ჭარი ნომბრის,
ესათუთები გათოვილ ხელებს
შენი სიმღერით და სათნოებით!
და ჩემი სულის ურყევ საფუძველს
ნაბზარებივით ესვევა ბადე,
ფანჯარიდან თეთრად ჩანს იალბუზი
და ისიც ლამაზ სურვილებს მმატებს!
აქ ყველა კუთხეს ნიაგჳარივით
კვლავ ეფინება სიმღერა მწველი,

მძიმე ნისლივით თვალწინ გამოვიღის
შორს დარჩენილი თხუთმეტი წელი!
ახლა იმ დღეებს ვერას უშველი
ჩამოღწევილებს ხმელი ტოტივით
და ესენტუკის დღე მოღუშული
ნათდება ნაცნობ ძველი შოტივით!
დაუბრუნებელ წლების სინანულს
ისევ მომავლის იმედთან ვატყე,
ჩემი ფანჯარიდან ვხედავ იალბუზს
და ისიც ლამაზ სურვილებს მმატებს!
შემონახული წლების სურნელი
კვლავ მაგრძნობინებს წარსულ იარებს,
და მგრევენა თითქოს სურვილებს
სიმღერა უფრო აღიზიანებს!

პოლტავში

სულს დაჩენილ ნათლად და ცხოვლად,
შებვედრა ჩვენი არ გაგს უნებურს,
მე ახლა შენი ცხოვრებით ვცხოვრობ,
აქ მაგონდები და მეგულები.
აქ მეგულები დიმილმჩინარი,
თუმც საუკუნე გვთიშავს ორ-ორი,
— პოლტავში
პოლტავში,
გზის პირად შემხვდა შენი ხოროლი!
ამაღლებულნი ჩანან ლანდებიც
მრავალთა ზედა ათასი თავით,
ამ საღამოთი სად მიბრძანდებით,
თუ შინ ბრუნდებით,
ბატონო დავით!

ლამისყანის და რძისფერი ქსანის
ნაცვლად ხოროლი და მირგოროდი,
უსაზღვრო მინდვრებს ედება ჭარი,
ცივი ვით შენი ბედი ბოროტი!
უპეს აჩნდება ცრემლები მწუთხე
და თუ გახდები ბედის მგამობელი,
კიხმოზს მეორე მშობელი კუთხე,
ასეთი შორი და მახლობელი!
ამაღლებულნი ჩანან ლანდებიც
მრავალთა ზედა ათასი თავით,
ამ საღამოთი სად მიბრძანდებით,
სად მიბრძანდებით,
ბატონო დავით!

დავით აღმაშენებლის
ბატონო დავით!

წამთრისპირული



ეს მერამდენედ ვესვრი ნიშანში,
რომ ავიცილო ხელის მოცარვა,
სადაც ოცნების ცისფერ ნიშანში
ვერ მოიხვეწა სულმა მლოცვამა.

და ფიქრი ჩემი წამთრისპირული
ხდება როგორღაც უფრო მართალი,
თხემებს ეკრობა თეთრი ყინული,
რომ იკრიბოს მთელი წამთარი!

წამთარი ალბათ იქნება ცივი
და ღამეების სიდიდით დაგვლლის,

ქალაქს ამძიმებს რძისფერი ცვილით
პირქუშ ქედებიდან დაძრული ჯანლი.

ქრიან ქარები რუბი ნოემბრის,
თითქოს წამთრისთვის იკრებენ ძალას,
მოდის წამთარი
და მე დროებით
ამ დროს ყოველთვის
ვშორდები ქალაქს!

მიხმობენ გზები ახლის ძიებით,
ველარ თავსდება სული ნიშანში,
ჩაწყობილია ბედის ტყვიები
და მერამდენედ ვესვრი ნიშანში!

დილა — მეწყერი

დილაადრიან მოვიტოვეთ გომბორი უკან,
წამით კახეთი გაიშალა ამ სიმალიდან,
ძირს ფაციფუცით დახვეული ჩარბოდა შუკა,
და ტყეა სურნელს უჩინარი ქარი გვახლიდა!
თეთრიწყლებიდან გასაფრენი მცირე მანძილით
ჩანდა შუამთა —

ჩამოშლილი მწვანე მეწყერი,
სტუმრად მოსული აქ გამოულობ ძვირფას განძივით
მამულის განცდავ.

და ყოველთვის მძაფრად მეწყები!
მიუვალ კომკებს შეფარვია წარსული შორი,
ნაჭდეებზევით რომ ატყვია ნახმლვეის ზოლი,
წარსული ჩვენი,
საამაყო,

დღემდე ქებული,
ამაყი ხალხის სისხლის ფერით განათებული!
ბარაქიანი წინ იწყება ველი ალაზნას,
ვარდისფერ ნისლში მოტივტივე ლურჯი ხომალდი,
იგი ყოველთვის იყო ჩემთვის ისე ლამაზი,
რომ სილამაზეს ამ ქვეყნიურს მისით ვუომავდი!
ხალხის ნაღვანე უკვდავებად დაღვრილა ველზე,
მრავალგამიერ დაფენია ქვეყნის დიდებას,
შრომის გარეშე აქ გლეხკაცი წუთითაც ვერ ძლებს,
ნაზიარები მარადიულ ტემშარიტებას!

ჩვენშიც გადმოდის დაუმცხარი ძლიერი თინი
მიულწვევლის ვერ მიღწევის ჯერ სინანულით,
ალაზნის ველი გვეგებება ცინცხალი დილით
და მეწყერივით ძლიერდება განცდა მამულის!

შენს მოლოდინში

კალამი ძველი გუთანივით უფრო პრიალებს,
ჯერაც უცნობი კვალი მრჩება ცხოვრების ხნულზე,
მე ახლა ვხვდები, რამ იმსხვერპლა ბარათაშვილი,
ან რატომ — მოკლა ხვეისბერმა შეილი ონისე!
დღეს უზარმაზარ აისბერგის მწვერვალზე ვსივარ,
გათოშინს მათობს მწველი ფიქრი — შენს მოლოდინში...
მე ჩემს ლექსებთან, სპარტაკივით ავჯანყებულვარ,
დავმარცხებულვარ, ვით ავაზა ლომთან ჭიდილში.

მერე რა მოხდა...

რარიგ დაპქრიან მზის ჩასვლისას კატაფალკები,
რარიგ ჩქარობენ ჯოჯოხეთურ აღმართზე ასვლას,
ძველი მებარღნეც,
ნაბირჟალი მეფაიტონეც,
ვმურებიან — სამოწყალო საფლავში ჩასვლას.
პეი, მებარღნეც! შეიცადე, შენ თუ გგონია,
იქაც დაუკრავს სალაღობოდ შენი საკრავი,
რად გეჭკარება — ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნად წასვლა,
რად გინდა გახდე გათანგული მიწის სახრავი?
ყარაოლული ზარ-ზეიმით ერთიც დაგვიკარ,
ჩვენ პოეტები იმ ქვეყნიდან უკან ვბრუნდებით,
სიცოცხლის კიშნით შეგვეგებე, გულში ჩაგვიკარ,
აქ ვრჩებით, სიკვდილ-ჩასახვევად ჯერ არ ვუნდებით,
მეფაიტონეც, დაღვრემილო — შენ რაღად ჩქარობ,
იქ, რა გგონია, გადაკარგულ ბედაურთ ნახავ?
არ უნდივარო დღეს არავის, ვერსაით ვხარობ, —
შენ მაგ სიტყვებით, ჩვენი ძმობის აჯამბარს ლახავ...
მერე რა მოხდა, თუ ახალმა ძველი გალია,
თუ სხვა ლაგამმა, ცხენთ ქენებს დაუდო ზღვარი...
დღეს ფაეტონი არჩევანში არადანია,
სამაგიუროდ ქუჩებს სერავს ეტლი სხვაგვარი...
მეც ამ ქალაქის ღირსეული მოქალაქე ვარ,



მეც მომცხვებია უკურნები მისი თილისმა,
გამაგრდით ძმანო, დათუთქულო გარდანქეშნებო,
ჩვენ რომ კაცნი ვართ, სამუდამოდ იცის თბილისმა...
ჰე, მერიქიფევე, გადმოსძახე ჩემ ძმა მწარლნეს,
მომისეი სუჯრას, სადღეგრძელოდ ერთიც დაგვიკრას,
ეს გაუმარჯოს გულჩათხრობილ მოხუც შებაღეს —
სამოთხის მომფლელს,
თავის დროზე გულს რომ ჩაგვიკრავს.
მეფაიტონვე,
მოხსენ კოფო, ჩამომამუხლე,
მეც შენსავით ვარ, ჩემს ყოფაში დამდუღრებული...
აბა მეარლნევ, ერთხელ კიდევ მომასმენინე
ჩემი ლექსები, მაგ არღანზე აცრემლვებული.

• * •

ჩამოუღვრია კალამს ცრემლები,
შენს მოლოდინში სევდანარევი,
დაუწერელი ფიქრის სარდაფში
ჩაფინქელული და გაუქარვები.

საქვითინებლად აშლილა ფიქრი,
მწუხრის შანდლები წვეთებს ელიან...
ზეცით დაეცა ბინდის ბანაკი,
ლოდინს ალაფი გამოვლია.

გადაფურცლილა ასჯერ ნაფურცილი,
შუევსებელი დღეღამის გვერდი...
დამშრალ ღარებში შენს ნაკვალს ეძებს,
ჩაფიქრებული, — ღამეთა ღმერთი...

შენ დაბრუნდები ლოდინის ღამეს,
როცა ჩადგება ძენძვის ქარები,

როცა მსტოვრებად გაფანტულ ფიქრებს
დაემეჯავრება თეთრი ბწკარები.

როცა წვიმაში დათვრება ღამე,
დამიბრუნდები სრულიად მარტო...
იმ გაოგნებას დავემსგავსებო,
ბავშვს რომ სჯიან და ვერ ხედება, რატომ?!

გაიცრიცება ზმანების ლანდი,
ავგაროზივით მიუკარები...
ვითარც ყაჩაღნი რიფრაჟის გზაზე,
აიშლებიან ბინდის კარვები.

შენ დაბრუნდები ძაძიან ღამეს,
როცა შანდლებზე მწუხრი ენთება,
როცა შეგძახებ, — სდექ ერთის წამით! —
იყოს ღამე და ნუ გათენდება!..

წ ა წ ა ლ ი

წყალი დამისხი, წაწალო,
ფიცი არ გამიტეხია,
ძილისას ერთხელ გაკოცე,
ცხო რამ არ გამიბეღია,
ხედავ, გვიცქერენ ჯალაბნი,
მჭრელ ხანჯალს უჩანს პირია,
წამიც და მამჩვენების,
რომ თავ მიწაზე მიგვდია.

შემიბრალებდე, შავთოლავ,
რაისთვის გინდა მწაწალო,
გაფიცვებ უმანკობას,
წყალი დამისხი, წაწალო!
ქუთუთო დამიძიმებულა,
დამსიზმრებია წაწალობა,
ღმერთო, სიზმარი მიცხადე,
წინასწარ დიდი მადლობა!

მ ი წ ა

მე საქართველოს მიწას
მუჭით ვერსად წავიღებ,
მიწა ისედაც ერთი მუჭა
შეგვხვდა თავიდან,
განგებების ნებით თუ მწირივით
მოგკვდი საითმე,
მკვდარი სხეული სხვა მიწასაც
კარგად აიტანს.
დავიმახსოვრებ ბაბუარს და
ზღაპრულ საირმებს
და მათ მშვენიებას სულის საგზლად
ყველგან გაფიტან,
მე ვერ მოგაკლებ საქართველოს
მიწას რაიმეს,
მიწა ისედაც ერთი მუჭა
შეგვხვდა თავიდან.

• • •

ქარი ძლიერი ღრუბელთა ქულებს
მიფრეკება, როგორც ავაზებს,
რამდენი კაცის არსებობს სულიც
იმდენი ცაა ამ ქვეყანაზე.
საფერავივით სიბნელე ფონავს,
ფერი უკრთებათ ცათა ტატნობებს,
ადამიანებს არ უყვართ ზომა
და შეუძლებელს ხშირად ნატრობენ.
თუ ნატვრა არის, ინატრე ერთი:
ყოვლადძლიერის არსთან განდობა,
ამ ქვეყანაზე ბერდება ღმერთიც,
შენ ვინ შეგარჩენს ახალგაზრდობას!

საქართველოს
წიგნიერების
კავშირის
კავშირის
კავშირის

კ ო ს მ ო ნ ა ვ ტ ი



უნ მუ ვარ,
 ასწით საწყაროს თაღი,
 არე მჭირდება უფრო ვეება,
 მე მაღალ დმერთებს სირბილით დაველი
 და დედამიწას მოვევრი ტყვეებად.

ქორივით მოეწყვი მშობლიურ ადგილს,
 განავარდება ცაში მადროვით,
 მსურს მიწური ცხოვრების მადლით
 გამოვეცხადო ციურ მნათობებს.
 არ დაფიშურებ დროსა და უნარს
 განზომილებებს ჩავწყვედე არეთა,
 ახლა კი ბრუნავს,
 ნამდვილად ბრუნავს
 აღელვებული ჩვენი პლანეტა.

თეთრი ღამე

ბინდი გაურბის ხეებს,
 კრიალი გააქვს ასფალტს,
 ამოვიდა და მერე
 მზეს დაავიწყდა ჩასვლა.
 დღეა ისეთი გრძელი,
 როგორც სიმღერა ბავშვის
 და თეთრი ღამე მელის
 მე „საზაფხულო ბაღში“.
 არ მიყვარს ღამის ბინდი,
 როდესაც ნათელს ბაძავს,
 მე შეპატიოს, რა ვქნა:
 ღამე და თეთრი? — არ მწანს.



ჩემი საყვარელი, კეთილი ბარნაბა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

იმ დილით, როცა მოხუცი იასონი თავის ახალ ნავს ფსკერს უპოხავდა. მერხზე ვიჯექი, ვაშლს ვჭამდი და ცალი თვალი ცეცხლისაყენ მეჭირა — ცეცხლს შეშა რომ მოკლებოდა, იასონი აღარ წამიყვანდა სათევზაოდ. ჰოდა, ცეცხლი მორიგი ნაპობით რომ მოვალონიერე, ეზოში ტიკივით გაბერილი ბარნაბა შემოვიდა, ქუდი მერხზე დაატყეპა, გაიხადა პიჯაკი, დაღო ქუდის გვერდით და ცეცხლს მიეფიცხა.

— თენგოია, — მითხრა ჩახრინწყული ხმით, — თუ სიმართლეს მეტყვი, არ გაგტყეპავ, შენ შეიპარე წუხელ ისა აბაშიძის ბაღში?

ვაშლის ნამცეცი სასულეში გადამცდა და კინალამ ვავიგუდე. ბარნაბამ ზურგზე დამარტყა ხელი, მირჩია, ზევით აიხედე, ნათლიაშენს დაინახავო. ზევით ავიხედე და ლურჯი ცა დაეინახე მხოლოდ.

ბაბუა იასონმა თქვა:

— შენთვის სულერთი არ არის, ვინც შეიპარა?

— რახან ვეკითხები, ალბათ, არ არის სულერთი.

— ჰოდა, თუ სულერთი არაა, კეთილი ინებე და აბრძანდი მაგ სკამი-

დან, ხალხია მოსასვლელი, ნავი უნდა დამილოცონ.

— რაო? — გამოცოცხლდა ბარნაბა, — უჩემოდ?

— შენ ისა აბაშიძის ქურდები ვუყავს მისაკვლევი!

— ღმერთმანი! — ხელები გაასავსავა ბარნაბამ, — ისე ვიკითხე, არ შეიძლება თუ?

— თუ სხვათაშორის იკითხე, ერთი ჰიქა შეიძლება შენც გერგოს, — გაიღო მოწყალეობა იასონმა.

— ისე, იასონ, — თვალეები წაჭუჭუა ბარნაბამ და წამოწითლებულ სახეზე ღიმილი აიფარა, — აღარ ეშვები ამ ზღვას?

— ბარნაბა, — პირიდან ჩიბუხი არ გამოუღია, ისე წამოისროლა იასონმა, — შენ ცხოვრება ხომ ვინდა?

— მინდა.

— აბა, რას მერჩი, ა? ვითომ მე არ მინდა ცხოვრება თუ, რაფერაა შენ საჭმე?! ამ ზღვაზე მთელი დუნია აფათურებს ხელს და მაინცდამაინც ჩემი ნავი მოგხვდა თვალში? მაცალე პატარა, მეც ვიხუნთქებ ამ მარილიან ჰაერს, მეც ვოუსინჯავ ამ ზღვას ფხვერს და მეტი დამწვიდებით დავხუჭავ თვალს.

— ისე არ ქნა, რომ თვალი მაინც-
დამაინც იმ ზღვის ფსკერზე დახუტო.
ჩვენც შეგვეცოდე, დავისოცებით შე-
ნი ძებნით.

ბათუა იასონმა აღუღებული ფისი
ცეცხლიდან ჩამოდგა, ჯოხით აურია,
კარგად გათხელდა თუ არაო, და ცე-
რად მოხედა ბარნაბას.

— დამცინი, ხომ? დამცინე, დამცი-
ნე, მოყრი ძვლებს ჩემს ხნობამდე და
მე თუ ვერ მოვესწრები შენს სიბერეს,
ეს ლლაბი (ჩემზე ანიშნა) ხომ მო-
ესწრება? მაშინ გამოჩნდება, რა ვაჟ-
კაციც ბრძანდება...

ბარნაბამ გაიცინა. თავისი საოცრად
თეთრი კბილების მწკრივი დაგვანახა
და უცხოურწარწერიანი სათუთუნე
ამოიღო.

— მოსწევ? — გახედა იასონს.

— ვერ ვეგუებ. — უთხრა იასონმა.

— ისევ ისაკიასთან ყიდულობ თუ-
თუნს?

— ისევ.

— არ გირჩევ, ამ ბოლო დროს სი-
მყარულე დაჩემდა რაღაც.

— აბა, შენ ჩამომიტანე რიო-დე-ჟა-
ნეიროდან.

— სამსუნის თუთუნი მაქვს ცოტა
დარჩენილი.

— ვიცი, რა ზავსიც იქნება.. — ხე-
ლი ჩაიქნია იასონმა, — ჩვენს ბაზარზე
იყიდდი, თითო კვერცხს ათ შაურად.
ვიცი, შენი ოინები, ვიცი.

ამაზე ბარნაბამ ისე გაიცინა, თითქოს
მიმანიშნა, მოდი და ეცი ასეთ კაცს პა-
ტივიო.

მე კვერი დაეუკარი, ჯიბიდან ვაშ-
ლი ამოვიღე და ხმაურით ჩავვბიჩე.
ბარნაბას, რა თქმა უნდა, ეს არ მოეწო-
ნა და სახე მოვლუშა.

— აბა, თენგო, მოუსვი აქედან.

— რა-ტო? — გაეცვირე ნაძალა-
დევად, თანაც მახვილი „ტო“-ზე გა-
დავიტანე.

— „ტოს“ მოგცემ მე შენ! ლინასთან
იყავი?

— ვიყავი.

— შერე?

— კაკლის მურაბა მაქვამა

— შხამი ვერ ვაჭამე? —
იასონმა მოიხედა.

— ბარნაბა, რას შეუწინდი მაგ ბა-
ლანას, დაგიშავა რამე?

— დამიშავა, ალბათ, — ცივად მო-
უჭრა ბარნაბამ და ხმადაბლა მითხ-
რა, — ბიჭო, იცი, რატომ არა აქვს ენას
ძვალი?

— საიდან უნდა ვიცოდე? — ვუ-
თხარა. — მაგი ჭერ არ გვისწავლია
სკოლაში.

— ჰოდა, ვიდრე გასწავლიდნენ, გე-
ტყვი, როცა რაიმე აბლღურის თქმას
დააპირებ, კბილები დააჭირე.

— მე რომ თარი კბილი მაკლია? —
ვიპოვე გამოსავალი.

— მოკლედ ასე, — გაბრაზდა ბარ-
ნაბა, — შენ ორი კბილი გაკლია, თუ
ჭკუა, ეგ არაა ჩემი საქმე. ლინასთან
ჩემი სახელის ხსენებას დაანებე თავი!

ახლა კი მივხვდი, ცუდად იყო ჩე-
მი საქმე. დღეს თუ არა, ხვალ მაინც
არ ამცდებოდა გატყუებამ!

— მე, ბიძია ბარნაბა, კრინტსაც არ
დავძრავდი, თითონ რომ არ მეკითხე-
ბოდეს...

— რაო? — ცისფერი, გულუბრყვი-
ლო თვალეები მომპაყრო ბარნაბამ. —
ერთი ამ ჰკუთის კოლოფს დამიხედეთ!..
შენს მეტი ვერავე ნახა იმ ღვთისნიერ-
მა გამომლაპარაკებელი?

— ალბათ, იცის, რომ ბიძად მეკუთ-
ვნი დეიდას მხრიდან... — ვუთხარი
სხვათაშორის და ის იყო, ახალი ვაშ-
ლისთვის ჯიბისავენი გავაქანე ხელი,
რომ ბარნაბამ მაჯა დამიჭირა.

— შერე რა, რომ იცის?.. — ხომ
უწნო კაცი იყო ბარნაბა, ხომ ძლივს
დაათრედა ღვინითა და არყით გასისი-
ნებულ სტომამაქ, იმ წუთს ყველაზე
ულამაზეს ქალსაც მოხიბლავდა მისი
ცისფერი, როგორც ზემოთ ვთქვი, გუ-
ლუბრყვილო თვალეები.

— წარამარა შენზე მეკითხება...

— მართლა? — გამოცოცხლდა ბა-
რნაბა, — მართლა? — და შევამჩნიე,
როგორ აუტოკდა მარცხენა წარბი. ბა-

რნაბას რომ ჩვენი მეზობელი ლინა მოსწონდა ეს მთელმა დაბამ იცოდა. ლინა ქვრივი გახლდათ, განსვენებული ქმრის ხსენებითა და პენსიით ცხოვრობდა.

— მერე ამიტომ უთხარი, ის სურათი ვეშაპის ფიტულთან აქვს გადაღებულიო?

— არ მოთქვანს.

— არ ვითქვამს ხომ? დაიმახსოვრე, გატყუება არ ავცდება. აბა, რად გინდოდა, რომ ამბობდი, ბარნაბას ცოცხალი ვეშაპი თვალითაც არ უნახავსო, ბიჭო, — გაწითლდა ბარნაბა, — მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ვეშაპები ჩემი შიშით სათოფედ არ ეკარებოდნენ ჩვენს ვემს. შენ კი ამბობ, ცოცხალი ვეშაპი თვალითაც არ დაუნახავსო. აბა, რად გინდოდა ასეთი რამეები, ა? პატივს გცემდი, ანეკსებს გამძლეადი, ნასკეის ვაკეთება გასწავლე, სამირადების ჩამოსხმა გასწავლე, შენ კი... სირცხვილი, თუნგოია, სირცხვილი. და შენ ვინდა არ გაგტყუებო?

— ვაშლის ჭამა მაინც აცალე! — ჩაურთო იასონმა.

— ჰო, ვაშლის ჭამა მაინც მაცალე. — გავიმოხრე მე და გავიცინე.

— იცინი კიდევ? ამ ბერიკაცს თუ აჰყვე, კარგად იქნება შენი საქმე. მერე, — გაახსენდა ბარნაბას, — შე შეჩვენებულო, ვინ მოგახსენა, რომ ომში არ ვიყავი? ტრაპუნში ვიბრძოდი, ირანი ვნახე, გერმანელებს დედა ვუტირე...

— არ გადამრიო! — ისე გავიკვირე, თითქოს პირველად მესმოდა.

— მატრავეცა ხარ და მეტი არაფერი. — ხელი ჩაიქნია ბარნაბამ. — შენ სულ არ გადარდებს, რომ ლინამ ჩემს ვეჯაკობაში შეიტანა ეჭვი. არადა, ახალგაზრდობაში რამდენი კაცი მყავს მოკლული, იცი?!

— ვიცო! — ახალი ვაშლი ამოვიღე ჯიბიდან და ჩავებიჩე, — ეჭვისი!

— ეჭვისმა სახარებამ მოგტეხა კისერი! — იღრიალა ბარნაბამ.

— მაშინ, თექვსმეტი! — გამოვახსოვრე შეცდომა.

— ეს ცოტა სიმართლესა ვაგას? — დანშვიდდა ბარნაბა. — ახლაც ლინასთან გავარდი და უთხარი, რომ ახალგაზრდობაში ოცდაექვსი კაცი მყავს მოკლული, ხოლო გემზე მუშაობისას, მოშინაურებული ვეშაპი მყავდა.

— კი მაგრამ, რომ მკითხოს, რომელ ზღვაზე ცურავდით, რა ვუთხრა?

— უთხარი, ბარნაბა ამ ზღვაზე ცურავდა, სადაც ასი კაციდან ოთხმოცდაცხრამეტი ტიროდა და ერთი იცინოდა, ის ერთი კი მე ვიყავი!

— მე ბაბუა იასონს ნაეის ვაკოხვავი უნდა მოვეხმარო! — ვიპოვე ვამოსავალი.

— მაშ, კარგი — უცნაურად აღბრწყინდა ბარნაბას თვალები, — ხუთ წუთს გაძლევ კიდევ მოსაფიქრებლად, თუ ჰქუას არ მოუხმობ, გაგტყუავ!

— მაინც რას სთხოვ ამ ლაწირაკს? — წამომეშველა ბაბუა იასონი.

— მაინც, რა ვინდა ჩემგან, ა? — ვთქვი მე.

— ჭილატონ ლინასთან გავარდი და უთხარი, რომ საუკეთესო მეზარევე ვიყავი და ბარჯი არასოდეს ამიცილებია ვეშაპისათვის, რომ...

— გასაგებია, — შეეაწყვეტინე მე.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ბარნაბა, — მოუხედა ბაბუა იასონმა, — ლინა მაინც არ დაუჯერებს!

— დაუჯერებს, ყოველგვარ სისულელეს დაუჯერებს! გესმის, — თავი მოაბრუნა ჩემსკენ, — მთავარია, მოკლულები არ დაგვიწყდეს!

— ოცდათექვსმეტი! — ვთქვი მე.

— ოცდაექვსი! — თქვა ბარნაბამ. — შენი წამატება მინდა მე?!

— მაგრამ სინამდვილეში ხომ არ მოგიკლავს? — შევაპარე ჩემად.

— შენთვის სულერთი არ არის? — ჩემადვე მიპასუხა ბარნაბამ. — მიყავი სიკეთე. წადი ლინასთან. იგი სახლის წინ, ფანატურში ზის და ყავას სვამს. ღიმილთ შევხედე. ამ წუთს მე ძა-

ლიან მიყვარდა ბარნაბა. ანდა როგორ არ მიყვარებოდა. იგი ხომ ასეთი დიდი, ასეთი ვულუბრყვილო და ცოტათი მოქნივრთ იყო!

— რაწა აგრე გინდა, — ჩაფიქრდი მე და უცებ მოხი ახალთახალი სპინინგი გამახსენდა, — სპინინგს თუ მომცემ, წავალ!

— გატყევა არ გინდა? — მომაჩერდა ბარნაბა. — თუ მეგ ოინბაზობას არ მოიშლი, მამის საფლავს გეფიცები, საშავალითოდ გაგტყევაე!

ახლა კი მივხვდი, რომ ბარნაბას აღარ ეხუმრებოდა.

— აგრე იყოს, — ვუთხარი დიმილით, — ქალბატონ ლინას ვეტყვი, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ირანში იყავი, დედა უტირე გერმანელებს და ზღვაზე ცურვისას ტანს მოშინაურებული ვეშაპის ზურგიდან ამოსროლილი შადრევნის ქვეშ იბანდი. ბარნაბას თვალები გაუბრწყინდა.

— პირდაპირ ლინასთან ვასწი! — თქვა აყანკალებული ხმით. რა უნდა მექნა, ჯიბეში კიდევ მქონდა ერთი ვაშლი, მაგრამ მისი ამოღება ველარ გავებდე. წამოვდექე და კიშკრისაკენ გავწიე.

— არსად გადაუხვიო! — მომაწია ბარნაბამ. — შენს მაგივრად მე მოვეხმარები იასონს.

იასონმა შემომხედა და თვალი ჩამიკრა. ხოლო რადგან იასონმა თვალი ჩამიკრა, ეს იმას ნიშნავდა, ნავის ფსკერის გაბოხვის საქმე მოგვარებული ჰქონდა.

ქალბატონ ლინას ყავა მოეთავებინა და თავის სარწველაში ნებივრობდა. დამინახა თუ არა, ხელით მანიშნა, აქეთ მოდიო.

— ქალბატონო ლინა, — დავიწყე მე, — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ძია ბარნაბას ახალგაზრდობაში ორმოცდაექვსი კაცი ჰყავს მოკლული!

— ეს როგორ? — ერთიანად ვაფითრდა ლინა. — ყაჩაღი იყო თუ?

— განა ვაიგებ? — ხელები გავშალე მე. — უცნაური კაცია. ომის დროს

გმირობაც ჰქონია მიღებული, მაგრამ ამის მოწმობა მეზობლებს მრუშპარავთ თურმე — შესურებიან!

— რას ამბობ? — გამოცოცხლდა ლინა. წინ წამოსწია თავისი ვეება მკერდი და ვაოცებისაგან ათრთოლდა.

— თენგული! — მოთხრა ცოტა ხნის შემდეგ. — რაებს ბოდავ, ა? ვინ არის გმირი? ვინო? — ჩამეძია.

— ვინ და ჩვენი ბარნაბა! მშაცი ვეშაპთმკერი და სახელოვანი თამადა.

— ეგ უკანასკნელი მეც ვიცი! — ამოისუნთქა ქალბატონმა ლინამ. — აკი დილით მიმტყიცებდი, ბარნაბას ვეშაპის ფიტულთან გადაუღია სურათიო?

— მერე რა არის ამაში საძრახისი? — გავიცინე მე, — ძია ბარნაბა რომ ვეშაპის ფიტულებს აკეთებდა და მუზეუმებს აძლევდა მერე, ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

ლინამ ეკვით შემხედა.

— აკი დილით მოთხარი, ცოცხალი ვეშაპი თვალითაც არ უნახავსო?

— ვისა? — უტეხად ვავუსწორე თვალი, — ეს შე ვთქვი ასეთი ისულელე? მაგას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვარი. ძია ბარნაბასთანა ვეშაპთმკერი მეორე არ დაბადებულა დედამიწაზე.

— არ მჯერა! — მოკლედ მომიჭრა ლინამ.

— რატომ, ქალბატონო ლინა, — დავინაზე ხმა, — თქვენ ეტყობა კარგად ვერ იცნობთ ძია ბარნაბას. რომ იცნობდეთ, ცხადზე უცხადესია, ისიც გეცოდინებათ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ძია ბარნაბამ ჩიბუხი დაკარგა.

— კაკაია ჩეუხა! — ცივად მოჭრა ლინამ.

— იი, ესეც არ გეცოდინათ თქვენ, — გამახსენდა ბარნაბას მონაცოლი, — უჩიბუხოდ ზომ ბარნაბას სიცოცხლე კაპიკია! ჰოდა, ჩიბუხი რომ დაკარგა, შეწუხდა. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ტყეში ეძება, მინდორში ეძება, მარა ვაგიგონია?! ვაიხედა და რას ხედავს. მტრის ერთ გენერალს არ ჩაუგდია ხელში?!

გაბრაზრდა ბარნაბა, მაგრამ რა გაბრაზრდა! მიუვარდა იმ გენერალს შტაბში და ყველას იარაღი აპყარა. „ეს ერთი გვაპატიეო, — შეხვეწინია თურმე გენერალი, — ოღონდ ნუ დავგვოცავ და ამიერიდან, შენს ჩიბუხს კი არა, შენი ჩიბუხის კვამლს სათოფრედაც არ გავუკარებებითო“.

— ამისთვის მისცეს ვმირობა?

— არ კმარა? — გავიკვირვე მე.

— თენგული, — მოთხრა ლინამ შეცვლილი ხმით, — შენ როგორ ფიქრობ, მაინც როგორ მოხდა, რომ იმ შენმა ბარნაბამ ასეთი ვმირობა ჩაიდინა?

— ამას შე შეკითხებით?! თვითონ ბარნაბა არ მოგიყვებოთ უკეთესად?!

— ვითომ? — გაიბადრა ქალბატონი ლინა და მარმელადიანი კოლოფი გამომიწოდა, — დახე, — თქვა მან, — ვინ იფიქრებდა, ა? აიღე, თენგული, აიღე, სულ აიღე და შენს ცხვირდაჭყაბულ ძმასაც გაუნაწილე.

შინ გავიქეცი. გოჩა ვიპოვე და ნახევარი კოლოფი მარმელადი იმას მივეცი. გოჩა, რა თქმა უნდა, სიხარულისგან ერთიანად ცქმუტავდა. უყვარს ეს ტკბილეული და ძალაა? მერე ჩვენ მთელი დღე მამას ვეხმარებოდით — ბაღეს ვკემსავდით.

შებინდებისას მამამ სანაპირო ყავახანაში პაპიროსის საყიდლად გამაგზავნა.

როცა ქალბატონ ლინას სახლს ჩავუარე, ფანჩატურში ქალბატონ ლინას მოვკარი თვალი, მის გვერდით კი მე-

ორე სარწვევლაში (თვალეებს არ დაეჯერე) ჩემი საყვარელი, ყველაზე მამაცი ბარნაბა ნებევრობდა. უხაბოესი კელი და რადგან ფანჩატურსა და ქუჩას შორის სამიოდე მეტრი იყო, გარკვევით გავიგონე, როგორ ყვებოდა ბარნაბა ახალგაზრდობისდროინდელ ერთ-ერთ მორიგ თავგადასავალს.

— თენგული! — მომესმა უცებ ლინას ხმა, — ეს შენა ხარ მან?

რა შექნა, ჩრდილიდან გამოვედი და ღობესთან შევჩერდი.

— კი, ეს მე ვარ, ქალბატონო ლინა! — დავიძახე ხმაოდლა.

ბარნაბამ მოჭუტული თვალებით გამოიხედა ჩემკენ. თავის ლეგენდარულ ჩიბუხს ცეცხლი მოუყიდა და გააბოლა. მერე მარჯვენა თვალი ჩამიკრა და ალერსიანად გამიღიმა. ამ დროს იგი უფრო კეთილი და უფრო საყვარელი იყო, ვიდრე დილით, როცა გატყუებას მიპირებდა.

— სად დაბორიალობ ასე გვიან? — მოთხრა მან მკაცრად.

— პაპიროსისთვის გამაგზავნა მამამ.

— არსად ვადაუხვიო, — გამაფრთხილა ბარნაბამ და ისევ ჩამიკრა თვალი. მან ღრმად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი და როცა ამოუშვა, მე დაეინახე ისეთი რამ, რასაც თქვენ არასოდეს დაიჯერებთ, — კვამლი ჯერ რგოლებად დაეხვა, მერე უცნაურად გაიწეულა, დაიქსაქსა და ასობედ იქცა.

„ლ-ი-ა“, — აი რა გამოიკვეთა ღამეული ცის ფონზე.



რამაზ კობიძე

გვიმრის ფოთლაზი

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი მეორე

თავი მესამე

„გამარჯობა მშვეინარ! თურმე გაუბრალებიხარ ჩემს ბარათს. არ მინდოდა, უნდა მაპატიო. იმიტომ, რომ მართლაც ცუდ ხასიათზე ვარ. საამისოდ კი ძალიან ბევრი მიზეზი მაქვს. ამ წერილში ყველაფერს გიამბობ. ვიცი, რომ გაშიგნებ. მე შენ ყველაფერს გენდობი. იწერები ერთი-ორი კვირით დედას შენთან ჩამოვიყვანო. ძალიან მაღლობელი ვიქნები. ხანდახან, მარტოობისას, შენ და დედას რომ გიხსენებთ, მიკვირს და ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, როცა ერთად ვიყავით, მშვეინარს — ჩემს ერთადერთ დაიკოს რატომ ყველაფერს არ ვეუბნებოდით? არაფერი მიჭირდა და იმიტომ? თუ ჩემსა და შენს შორის, ვთქვათ, შენი ოჯახი იდგა? არ ვიცი. ეს კია, რომ ხშირად ასეც კი მიფიქრნია. აი, თბილისში რომ ვაყავი და მაშინ, ესა და ეს ამბავი რომ შემემთხვა, რატომ მშვეინარს არ ვუამბებდით? ის ამბავი მე უკვე დიდი ხნის მონელებული მაქვს, და მას, იმ ამბავს, ჩემს

ცხოვრებაში თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ მაინც ასეა — ჩემი თავისთვის მაინც ვერ მიპატიებია, რომ მაშინვე არ გიამბე. მიდი ახლა და ადამიანის რამე გაიგე!

სიმართლე რომ ითქვას, სამთო ინჟინერს ასეთი მრავალსიტყვაობა და ლირიკულობა არც კი შეეფერება. სტუდენტობაში მე სამთო ინჟინრის საკუთარი იდეალი მქონდა და სულითა და გულით მინდოდა, მოწიფულობაში იმას დავმსგავსებოდი. ის ოდნავ შეჭალარაგებული, მუდამ წარბშეკრული კაცი ძალიან სიტყვაძვირი და ფიქრიანი იყო. ახლა კი... ახლა სიტყვაძვირი და ფიქრიანი ადამიანის არსებობაც კი აღარ მჯერა. ახლა ასე ფიქრობ, ის ჩემი ჭაღარა იდეალი ხანდახან, ალბათ, მე გადამეშალა და ლაპარაკის ფინს ვინმე სხვასთან იკლავდა, მერე კი ისევ მე გამომეცხადებოდა და აი, აქ კი ისევ მრავალმნიშვნელოვნად, ფიქრიანად დადუმდებოდა-მეთქი...

ადამიანს რა არ მოეღიანდება!..

რა თქმა უნდა, ისეთი ცრემლნარევი წე-

რილი მე შენთვის არ უნდა მომეწერა. კარგა ხანს კი ვყოყმანობდი, გამომეგზავნა, თუ არა. მერე კი ხელი ჩავიქნე: რომ არ გავგზავნო, ეს მწვეინარის მოტყუილება იქნება და საკუთარი თავისაც, რაკი დავწერე, უნდა კიდევ გავგზავნო-მეთქი. და გამოგვგზავნე. მერე გუნება შემეცვალა და რამდენჯერმე ახლა ის ვინატრე, ნეტავი, ფოსტა დაკარგავდეს-მეთქი. მაგრამ არ დაკარგეს, კარგი მუშაობისთვის. იქნებ, კვარტალური პრემიაც კი დაიხსახურეს.

ცრემლიც ხომ არ ჩამოგვარდნია? ჩემი უსტარი მოყვარული და ერთგული დის მღულარე ცრემლით ხომ არ დავისველეზია?

ხომ ხედავ, ახლა უკვე ანცობისა და ქილიკის ხასიათზე ვარ. მაგრამ ეს მოჩვენებითია, ჩემო მწვეინარ! არც შეანცება და არც მექილიკება. შენ არ მომიკვდე!

რა ბედნიერი ვყოფილვარ თუნდაც ერთი თვის წინათ! რა ბედნიერი და უზრუნველი! რა ვქნა, ის დღეები როგორ დაგაბრუნო? მაგრამ ეს სასწაული კიდევ რომ მოხდეს, შემიძლია კი იმისი თქმა, რომ ახლა სხვანაირად მოვიტყუოდი და რაც შემეშხება, იმას თავიდან ავიცილებდი? მგონი, არა. არ შემიძლია. რაც შემეშხდა, ალბათ, კიდევ უნდა შემეხედროდა. ადამიანი თავის ბედს საკუთარ თავშივე ატარებსო, ხომ გაგიკონია.

თუმცა — ამაზე მოგრჩეთ. თუ ამაზე კიდევ ერთი სიტყვა წამომცდეს, ყურს ნულარ დამიკვდებ. ეს წერილი დასიე და გადააკვდე.

ახლა რამდენიმე სიტყვა ჩემს ახალ მოადგილეზე უნდა მოგწერო. ძველი, ანთიმოზ ჩახუნაშვილი, ნამოსვლის დღეს დიდებული ბურ-მარილით რომ გამომასპინძლდა, ჯერ დააწინაურეს, — ოღონდ კი ჩემთვის უფრო საიმედო მოადგილე დავინიშნათ, — მერე კი, რაკი იმ საქმეს ვეღარ გაუძღვა, ოღნაე ისევ დააქვეითეს და დროებით მეტად მშვიდ თანამდებობაზე დანიშნეს. მაგრამ იმ თანამდებობის ნამდვილი პატრონი მალე შეებულეებიდან დაბრუნდება და მაშინ ანთიმოზის საქმე როგორ მოეწყობა, ეგ ახლა თვითონ მაღალ-5. „შათობა“ № 11.

მა ღმერთმაკ კი არ იცის. ღმერთმა კარგი კქნას! ჩემი ახალი მოადგილე კი ძალიან კარგი ბიჭია, მცოდნე, წინდახედული, პატიოსანი და ხათრიანი, მაგრამ... ამ თანამდებობაზე ისეთი მონდომებით აღარ მუშაობს. პირველად რომ ვადმოიყვანეს, მაშინ ძალიან მონდომა. სანგრევში ათენებდა და აღამებდა. დღე ერთი იყო და ათასნაირ წინადადებას შემოიტანდა ხოლმე, ეს ასე გავაკეთოთ და ის ისე გავაკეთოთ... მაგრამ მაშინ საქმე ისე შეტრიალდა, რომ ჩემი უშანგი იძულებული გახდა, ამ თანამდებობას დამშვიდობებოდა. ახლა ისევ გადმოიყვანეს, მაგრამ, როგორც ჩანს, გულში მაინც ფიქრობს; მალე მაშინდელივეთ უკანვე დამაბრუნებენო და... არა, თავის მოვალეობას მაინც ერთგულად და პატიოსნად უძღვება, მაგრამ ის მაშინდელი ცეცხლი და მონდომება ნამდვილად აღარ ეტყობა.

— როგორა ხარ, უშანგი? — ვკითხვამასწინათ. სამორიგეოში ჩვენ ორის მეტი არავინ იყო.

— გმადლობთ, არა მიშავს. — და მყისვე ფეხზე წამოშიდგა.

— იჯექი, ადამიანო! სასლში როგორ არიან? — უშანგი ცოლშვილიანია. ძალიან მეოჯახე კაცია. ორი ქორიარა ბიჭუნა ჰყავს. ორივე ფრიადოსანი. ძალიან საყვარელი ბავშვებია. ცოლი ჩვენს ბუქსალტერიაში მონაგარიმედ მუშაობს.

— გმადლობთ, კარგად გახლავან. — და სკამის ძვიღეზე ჩამოჯდა.

— კარგად დაჯექი.

— კი, ბატონო!

როგორც იქნა, სკამზე რიგიანად დაჯდა.

— მაშ, კარგადა ხართ?

— დიას, კარგად გახლავართ.

— მაგას რა სჯობია!

— დიას!

— დღეს ქვედა სანგრევში ხომ არ შეგისედნია?

— დიას, გახლდით.

— მერე?

— კარგადაა.

— შედა?

— შედასაც არა უშავს.

შედა სანგრევში იმ დღეს მე თვითონაც

ფიქარი. ეს უშანგიმაც იცოდა. მაგრამ მაინც მიბასუბა, არა უშავსო. და მე ვიცი, რომ იქ თვითონაც შეიხედა — ზედმეტად შემოწმება არაფერს წაახდენს. ერთი სიტყვით, თავი უნაკლოდ უჭირავს, ძალიან კარგად მუშაობს, მაგრამ... არა, ეს ის მაშინდელი უშანგი მაინც აღარ არის.

— ანთიმოზ ჩახუნაშვილი ძალიან გეცოდება?

— არა... რატომ უნდა მეცოდებოდეს?!

— მაინც... თანამდებობა დაჰკარგა, ახლა შემოსავალიც ნაკლები აქვს.

— შიშხილით არ მოკვდება.

— საქმე მარტო შიშხილით ხომ არ არის!

— ბატონო?

— გაილანძდა, თავმოყვარეობა შეეღება, დაამცირეს...

— ვინ დაამცირა?! დააწინაურეს, საკუთარი უბანი გაუხსნეს.

— ყველამ იცის, ის უბანი რატომაც გაიხსნა.

— მერე რა! ემუშავა და ყოფილიყო.

— ესე იგი, არ გეცოდება?

— ანთიმოზი სხვას არავის ეცოდება და მე რა წითელი კოჭი მნახეთ?!

— აბა, მე შენ რატომ ვეღარ გცნობ? პირველად რომ გადმოგიყვანეს, საქმეს მაშინ უფრო გულიანად ეკიდებოდი.

— ახლა არ ემუშავებ?!

— მე ვგ არ მითქვამს. ახლაც კარგად მუშაობ. მაგრამ... ის უშანგი აღარა ხარ.

— რა მოგახსენოთ...

— ანთიმოზი ამ უბანზე ვეღარ დაბრუნდება. ვგ ნულარ გაფიქრებს.

— მე ვგ არც მაფიქრებს.

— აბა, რატომ მაშინდებურად აღარ მუშაობ?

— რაც მგვალება, ყველაფერს ვაკეთებ.

— ვგ კი. რაც გევალება, იმას კი აკეთებ. მაგრამ... არა, მაშინ უკეთესი იყავი.

— ეჰ! — უშანგიმ ხელი ჩაიჭნია და წამოღება. — ხომ არაფერს მიბრძანებთ?

— არაფერს.

— შემიძლია, წავიდე?

— შეგიძლია.

უშანგი წავიდა. მტკნარ იმ დღეს ვერაფერს მივალწვი.

ერქვეშული

მეორე დღეს ისე მოხდა, რომ სამთრიგეოში ისევ მარტო ჩვენ ორნი დავრჩით და ახლა კიდევ უფრო „მაგარი“ ლაპარაკი წამოვიწყე:

— უშანგი, შენ სარდიონს იცნობ?

— სარდიონს ვინ არ იცნობს!..

— მერე? პირდაპირ მითხარი, სარდიონ რაჭველიშვილი კარგი კაცია, თუ ცუდი?

— ცუდი რატომ უნდა იყოს!..

— რატომ? რა, არ შეიძლება, შახტის უფროსი, ან ტრესტის მმართველი ცუდი კაცი იყოს?

— რატომ არ შეიძლება!

— აბა?

— სარდიონზე მე ცუდი არაფერი გამოვიცა.

— მე რომ უბნის უფროსად დამყენა, არც ვგ გაგიგია?

— მერე მაგამი ცუდი რა არის?!

— ისევ ჯიბრაილს ემუშავა.

— ჯიბრაილი უდიბლომო იყო.

— ზოგი უდიბლომო ათ დიბლომიანს სჯობია.

— ახლა...

— ხიმართლეს არ ვამბობ?

— თქვენ კარგი ინჟინერი ხართ. ყოველ შემთხვევაში...

— ყოველ შემთხვევაში — რა?

— ხალხი ასე ფიქრობს.

— დაეუშვათ. მაგრამ სარდიონმა ხაიდან იცოდა, რომ მე კარგი ინჟინერი ვიყავი?

— მაგისი... რა მოგახსენოთ. ალბათ, იცოდა.

— საიდან?

— საბუთებიდან.

— საბუთებით კაცის ცნობა შეიძლება?

— ბატონო?

— გვეითხები, საბუთებით კაცის ცნობა შეიძლება-მეთქი.

— არა, საბუთებით კაცის ცნობა არ შეიძლება.

— აბა?

— რა — აბა?

— რატომ დამინუნა?

— რა მოგახსენოთ...

ეს იყო და ეს. ამის მეტი სიტყვაც კი ვერ დავაცდენინე. მესამე დღეს კიდევ უფრო „მაგრად“ მივუდექი.

— კახაბერს იცნობ?

— დიახ!

— ხაზარაძეს?

— დიახ!

— როგორი ხალხია?

— რა უჭირთ!..

— მეტს ვერაფერს მეტყვი?

— მეტი რა უნდა გითხრათ?

— ანთიმოზს კარგად მოეჭყენენ?

— დიახ.

— ესე იგი, შენ ასე ფიქრობ?

— ანთიმოზს სწორად მოეჭყენენ.

აქ წამოდგა და, სანამ კიდევ რამეს შევეკითხებოდი, დამემშვიდობა, მემონტაჟებებს უნდა მივხედოო. იმ დღეს ამის მეტად აღარც კი მინახავს.

ამაზე რას იტყვი?

მაგრამ — არა! არა, მზეინარი! მთავარს მაინც ვერ გეუბნები, ალბათ, იმის სათქმელად რაღაც სხვა ვითარებაა საჭირო. მაგრამ სანამ ეს ვითარება შეიქმნება, შეიძლება, მე უკეთეს გუნებაზეც დავდეგე. გამორიცხული არც ესაა, იმიტომ, რომ დაშავებით არავისთვის არაფერი დამიშავებია, გაუგებრობებს კი ჩვეულებრივ ძალიან მოკლე დღე აქვთ. გაუგებრობები მალე ქვრიბიან.

ბავშვები დამიკოცნე. სიძე-ბატონს დიდი მოკითხვა. გეოცნის შენი თეიმურაზი“.

* * *

ამ წერილის გაგზავნიდან ერთი კვირაც კი არ გასულა, რომ საერთო საცხოვრებელში თეიმურაზს დეკემბა დაახვედრეს. მზეინარი იტყობინებოდა, მე და დედა ხვალ დილით ჩამოვდივართ და სადგურზე დავცხვდით.

* * *

ავექანტი შარაშენიძე უკუნებოდ იყო. რაც თავი ახსოვდა, ასე დაუფიქრებლად და განუკითხავად არ უმოქმედებდა. შიშით

მას არავისი ეშინოდა, მაგრამ — მაინც: თუ დაქურა იყო, ბესარიონ მაგრაქველიძესთან ერთად თენგიზ ჯაველიძე და მირზა ჭირაქაძეც უნდა დაეჭირა. შექვაბიშვილმა, ეს რამდენჯერმე შეახსენა მკვლელობას ესენიც შეესწრნენ და მერ მკვლელსაც ხელს ისევე აფარებდნენ, როგორც მაგრაქველიძე აფარებდა. თუ არა და — მაშინ მაგრაქველიძეც უნდა გაეთავისუფლებინათ. ამ გაზულუქებულ ლაჩარს არავისზე მეტი დანაშაული არ მიუძღოდა. და რაკი მისა მამა მთელ თბილისში ცნობილი საქმოსანი და ფულიანი კაცი იყო, ყველა ასე იფიქრებდა, შარაშენიძეს უნდა, კალისტრატე მაგრაქველიძეს ფული გამოსძალოს და შვილი ამიტომ დაუპატიმრაო. ხალხის აზრი და ნალაპარაკევი შარაშენიძეს დიდად არასოდეს აინტერესებდა, მაგრამ ასეთ საქმეებს იგი მუდამ მაინც უფრო სუფთად აკეთებდა და, ხალხისათვის ზედმეტი ლაპარაკის საბაბი არასოდეს მიუცია. ახლა კი...

— გაიგე, რომ ბულეიშვილისა არ მჯერა, — ამრეშით უთხრა ერთხელ შარაშენიძემ ოქტომბერი, — ცაფე, კ...ტაძემ ზაგას არ მოუკლავს.

— მაგრაქველიძე სომ ბულეიშვილის ჩვენების საფუძველზე დავაპატიმრეთ.

— ჯერ მეტი არაფერი შეგვიძლია. ჯერ შენი ავალიშვილი არ მომჯობინებულა.

— რატომ — ჩემი?! ან ავალიშვილი რას მოგვეცემს.

— მოგვეცემს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შარაშენიძეს ამაზე უფრო მეტად მირზა ჭირაქაძის საქციელი აღიზიანებდა. იმ ლაწირაკს თავი ისე არხეინად და გამომწვევადაც კი ეჭირა, რომ შარაშენიძე სერიოზულად ფიქრობდა, ალბათ, ძალიან გაგლეჩინანი ხალხი ჰყავს და არაფრისა ეშინიაო. საქმის გარემოებათა და დაკითხულთა ჩვენებების მიხედვით შარაშენიძეს შეეძლო ჭირაქაძე დღესვე დაეპატიმრებინა. ეს ჭირაქაძესაც კარგად უნდა სცოდნოდა და, ალბათ, იცოდა კიდევ. ვისაც გამოძიებელი იბარებს, იგი კანონების უცოდინარობისა და მათდამი გულგრილობის უფლებას თავის თავს ვერ მისცემს. ჭირაქაძემ ყველაფერი მშვენივრად იცოდა. მაგრამ დაპა-

ტიმრების სამიშროებას აინუნშიც არ აგდებდა, თავდაჯერებული ხუმრობდა. ილიშეზოდა, შარაშენიძეს რალაც რწვევსაც კი აძლევდა და შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ ეგრძობინებინა, ბუზადაც კი არ მიმანინსარ, ეს საქმე კი ისე წავა, როგორც მე მინდაო.

დანაშაულში ექვმიტანილის მხრივ ასეთ თავხედობას შარაშენიძე მიუჩვენებდა იყო. თუ ჭირაჭაძეს მართლაც გაეღწიანი სალხის იმედი ჰქონდა, ეს კიდევ არაფერი. მაგრამ თუ აქ სხვა რამე იმალებოდა?

ამ კითხვის პასუხს შარაშენიძე ვერ პოულობდა.

მექვაბიშვილისაგან ნამალევად, შარაშენიძე ნათია ავალიშვილსა და მის ოჯახსაც სწავლობდა ისე, როგორც ჯერჯერობით ხელი მიუწვდებოდა. პოლკოვნიკი ხედავდა, რომ ჭირაჭაძეს ძალიან უნდოდა, ამ სისხლიანი საქმის ჩრდილი ნათიასაც დადგომოდა. ძნელი არც იმისი მიხედვრა იყო, ჭირაჭაძეს ეს რატომ უნდა სურვებოდა. ასეთ უბრალო ამოცანებს შარაშენიძე თვალის ერთი შევლვით წყვეტდა. მაგრამ ყველაფერი, რაც შარაშენიძემ ჯერჯერობით ნათიაზე გაიგო, იმაზე მეტყველებდა, რომ ამ ქალიშვილს (ასლა უკვე ქალს) მკვლელობასთან არაფერი ესაქნებოდა, მკვლელს — ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი — ოდნავადაც არ თანაუგრძნობდა და თვით მკვლელობის ამბავიც კარგა დიდი დაგვიანებით გაიგო. შარაშენიძეს მირზა ჭირაჭაძისადმი სიძულვილმა უკვე რამდენჯერმე აფიქრებინა, მაგჭვებუნანას ჯინაზე საქმეს ისე წავიყვან, რომ ნათია ავალიშვილს არავითარი ჩრდილი არ მიადგესო. მაგრამ მაშინ საქმე სიმწვავესა და ინტერესს დაჰკარგავდა და შარაშენიძის საფანჯს ნათიას მთავარი რაყიფი — ბესარიონ მაგრაქველიძეც უფრო ადვილად დაუძვრებოდა. სისხლის სამართლის ყოველი საქმე, და მათ შორის მკვლელობაც, მაშინ უფრო მწვავე და საინტერესოა, თუ მასში ასე თუ ისე ახალგაზრდა ლამაზი ქალია ჩარეული. ნათია ავალიშვილი კი ახალგაზრდაც იყო, ლამა-

ზიც და — იმ უსაქმურ სალახანებთანაც კარგა დიდხანს მეგობრობდა.

ყველაფერი ამაზე შარაშენიძემ ბევრი იფიქრა და ბოლოს დაასკვნა, სულაც არ მინდა ჭირაჭაძის ჭია გაეახარო და ნათია ავალიშვილი გამოძიებაში ჩავართო, მაგრამ რა ვქნა, მაგრაქველიძე უკვე დაპატიმრებული მყავს და ამიტომ ცოტათი მისი გულის ვარდიც შეუწუხდესო.

მაგრამ ყველაფერზე უფრო შარაშენიძეს მაინც ვალერიან მექვაბიშვილი აწუხებდა. ეს ლეიტენანტი ისე გათამამდა, რომ ერთხელ შარაშენიძეს პირდაპირ უთხრა, ჩემი აზრით, საქმე გახსნილია და გამოძიებას ტყუილად გაჭიანურებთო.

— საიდან იცი? ბუღეიშვილის ჩვენებებიდან?

— დიას. და საქმის სხვა გარემოებიდანაც.

— ბუღეიშვილის ჩვენებასაც და საქმის სხვა გარემოებასაც მეც ძალიან კარგად ვიცნობ.

— დიას!.. მაგრამ... არა, ბატონო ავქსენტი, მე იმას კი არ ვამბობ... მაგ ახალგაზრდებს ჭკუის სწავლება და სწორ გზაზე დაყენება ნამდვილად სჭირდებათ, მაგრამ... მკვლელობა შემთხვევით მოხდა.

— ვნაბოთ. გამოირკვევა.

გამოძიებას ოფიციალურად ისევ მექვაბიშვილი აწარმოებდა. შარაშენიძე იძულებული იყო ეს გარემოებაც გაეთვალისწინებინა და თავისი მოსაზრებების სისწორეში მექვაბიშვილიც დაერწმუნებინა ხოლმე. ეს თანდათან უფრო და უფრო უჭირდა. მაგრამ უკან მაინც არ იხვედა და ცდილობდა, თავისი გაეტანა. მას ახლა მარტო ფულის შოვნის სურვილი კი აღარ ამორაგებდა. დარწმუნებული იყო, ფული უკვე ჯიბეში მიდგესო. ახლა მას უნდოდა, ის თავხედი მირზა ჭირაჭაძეც მოეღუნა, იმ ნაზი, სიფრიფანა ნათია ავალიშვილისთვისაც ეგრძობინებინა, ჩემს ხელში ხარ და რასაც მინდა იმას გიზამო. შარაშენიძეს საერთოდ ქალების შეშინება ძალიან უფავარდა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ქალების მუსუსი სულაც არ იყო და თავი-



სი ცოლისათვის ერთხელაც არ უღალატ-
ნია; თანაც, ამ ვალერიან მეჭვავიშვილის-
თვის უნდა ეჩვენებინა, კამეჩის მა-
რქენალ ხარს რქები არ შერჩებაო. ხანდა-
ხან კი პოლკოვნიკს ერთი ამირებული ხუ-
რვილიც შეუღიტივებდა სოღმე: ამ საქ-
მეს რომ მოფრჩები და პროკურორ ალექსა-
ნდრე ბაჯელიძეს თავის წილს მიჯანა-
ვებ, იქვე გამოვუცხადებ, ეს უკანასკნელია
და ჩემს პენსიაზე გასვლამდე მეტს ალა-
რაფერს მოელოდეთ. თქ, ამის გაგონებაზე
ბაჯელიძეს სახე როგორ მოეღრინება! მა-
გრამ ეს ნაბიჯი პოლკოვნიკს ჯერ საბო-
ლოდ გადაწყვეტილი არ ჰქონდა.

საქმე კი ხელ სხვანაირად შეტრიალდა.
ხუთშაბათ დილას სამსახურში მისულ
შარაშენიძეს მეჭვავიშვილმა ჯერ ჩვეუ-
ლებრივი პატაკი მოახსენა, მერე კი მზე-
რა ააჩიდა და თითქოს თავისთვის წაი-
ლაპარაკა:

— გუშინ მაგრაქველიძე დაუპატიმრე-
ბიათ..

— რაო?!

— კალისტრატე მაგრაქველიძე დაუ-
პატიმრებიათ.

— ვის?!

— ბადურაშვილის განყოფილებას.

— რატომ?

— რაღაც დიდი საქმეა. ყალბი წყენე-
ბი უკეთებიათ.

— შენ ვინ გითხრა?

— შემთხვევით გავიცე.

— კმ!..

შარაშენიძე საგარტელში ჩაჯდა და
გულხელი დაიკრიფა. ამდენი ნაწვალეები
წყალში ეყრებოდა. არადა, ერთი ათი-თო-
რმეტი ათასი მანეთი მას ახლა ნამდვილად
სჭირდებოდა — ინკლისური სანადირო
თოფი და კიდევ რაღაც-რაღაცეები უნდა
ეყიდა. ის არც ისე მდიდარი იყო, რო-
გორც მეშურნებებსა და ავი თვალის ბატრო-
ნებს ეგონათ. შემნახველ ხალაროდან ფუ-
ლის გამოტანა კი არ უნდოდა, დათქმუ-
ლი ჰქონდა, იმ ფულს კაპიკსაც კი არ
მოუკლებო. ახლა რაღა უნდა ექნა?

კარგა ხანს სდუმდა. მერე უცბათ თავი
ასწია და მეჭვავიშვილს გაავებული ძალ-
ლივით შეუყვია:

— შენ რას იღიშები?
— მე არ ვიღიშები. — მეჭვავიშვილმა
დაიბნა, გაღიშებით მას მართლაც ვაჩაჩა
ულიძია.

— გეკითხები, რას იღიშები-მეთქი? —
შარაშენიძემ მაგიდას მუშტი დაახალა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, მე არ ვი-
ღიშები! — მეჭვავიშვილი მსედრულადაც
კი გაიჭიმა.

— აბა, მე მეჩვენება ხომ, კარგი!
შარაშენიძე ყურმილს ეცა, ბაჯელიძეს
დაურეკა და მიჩაა ტირაქაძისა და თენგიზ
ჯაველიძის დაპატიმრების ხანტყია მოი-
თხოვა. ბევრი ლაპარაკი არ დასჭირებია.
ბაჯელიძეს საჭირო საბუთების გაგზავნას
დაჰპირდა, ყურმილი მიაგდო და მეჭვა-
ბიშვილს ისევ ავად შეუყვია:

— ის შენი... ავლიშვილი როგორ ბრძა-
ნდება?

— არ ვიცი.

— რატომ?

— არ დავეინტერესებულვარ.

— რატომ?

— ასე მალე ვერ მოჩნება. გარდა ამი-
სა...

— რაო?

— ავლიშვილი მაგ საქმეში უბრალოა.

— თქო!

— მე ასე მწამს.

— ეგ შენი რწმენა... გამიგე, როგორ
ბრძანდება და მომახსენე.

მეჭვავიშვილი გაფიდა. ათიოდე წუთის
შემდეგ უკანვე შემობრუნდა და შარაშე-
ნიძეს წინ რაღაცა ქაღალდი დაუდო.

— ეს რა არის?

— განცხადება.

— რა განცხადება?!

— გთხოვთ, მაგ საქმის გამოძიებიდან
გამათავისუფლოთ. და საერთოდ...

— რაო?!

— შენთან მუშაობა აღარ მინდა.

„შენობით“ მეჭვავიშვილმა შარაშენიძეს
პირველად მიმართა. ეს იმდენად მოულო-
დნელი და გაუგონარი რამ იყო, რომ შა-
რაშენიძე შეკრთა და მიიხედ-მოიხედა,
ხომ არავინ გაიგონაო. მაგრამ ოთახში ამ
ორს გარდა არავინ იყო. შარაშენიძემ თავს
ძალა დაატანა, ნერვები დაიოკა, მეჭვა-

ბიშვილს საგარძღისკენ მიუთითა და რა-
ღაცნაირი, თითქოს ხვეწნის კილოთი მი-
მართა:

— ერთი წუთით, ძამიკონა, აგერ ჩა-
მოჯექი.

მეტყველებელი გულგრილი, შეუვალი გა-
მომეტყველებით ჩამოჯდა. შარაშენიძემ
სკამი მისწია და წინ დაუჯდა.

— ერთი გამაგებინე... — შარაშენიძემ
სიგარეტი ამოიღო და აკანკალებული ხე-
ლით ძლივს მოუკიდა. არადა, მაინც ცდი-
ლობდა, მშვიდი, გულითადი კილოთი ელ-
აპარაჯნა. — ერთი გამაგებინე, შენ ჩემ-
გან რა გინდა? ან საერთოდ რა გაწუხებს?

— შენგან რაც მინდა, იმას მე ვერასო-
დეს ვეღირსები, — ლეიტენანტი პოლ-
კოვნიკს ისევ „შენობით“ ელაპარაკებო-
და, — ამიტომ... ჩვენ აქ რისთვისა ვართ?
კანონიერება უნდა დავიცვათ, ხომ? მერე?
შენ და კანონიერება?!

— კმ!

— საერთოდ კი... ერთი სიტყვით, ეს
წუთისოფელი მე პატიოსნად უნდა გავა-
ტარო. და ვერავითარი პოლკოვნიკები ამას
ვერ დამიშლიან.

— კმ!

— ასეა!

— ვერ დავიშლიან?

— ვერა.

— ესე იგი, მე შენ პატიოსან ცხოვრე-
ბას გიშლი?

— არა?!

— მაინც რანაირად?

— კმ!

— კარგი. ეტყობა, მე და შენ მართლაც
ვერ მოერიგდებით. ასლა კი ყური დამიგ-
დე: ამ საქმის გამოძიებიდან მე შენ არ ვა-
გათავისუფლებ. და არც ჩივილს გირჩევ.
შენისთანა დლაპები რომ მერეოდნენ, პო-
ლკოვნიკიც არ ვიქნებოდი: და საერთოდ,
მეჭრთამე ვარ თუ არა ვარ, არავისი ცა-
რიელი თავის საქმე არ არის. თვალებს
ტყუილად ნუ აბრიალებ. ამ ოთახში ჩვენს
მეტე არავინაა. მოწმეს ვერ იშოვნე, სიტყ-
ვა კი ჯერჯერობით ჩემი უფრო სტრის.
როცა მინდა, მეჭრთამე ვარ, როცა არ მინ-
და, არა. ისე, სიმართლე რომ გითხრა, სა-
ნიშნარი სახელი კია — მეჭრთა-მე. თქ!

პირდაპირ ტანში გამცრა. ნეტავი, არ შე-
იძლება, რამე უფრო კულტურული სიტყვა
ვისმართო? თუმცა, ამაზე შემდეგ... დრო
კიდევ ბევრი გვაქვს. ასლა იცოდე: შენ
თუ განცხადებას დასწერ და ორგანოებიდან
წასვლას მოითხოვ, მე ხმას დაგიყრი, კა-
ლისტრატე მაგრაქველიძისგან, ალბათ,
ფულს ელოდა, ის კი დაიჭირეს, ფულს
ველარ მისცემს და ამიტომაც გარბის-მეთ-
ქი; ახალგაზრდა ლეიტენანტს უცბათ გა-
მდიდრება მონდომება-მეთქი. ხე-ხე!.. გა-
ღმა შეედავეო, ხომ გაგიგონია? აბა! მე
შენისთანებია... ერთი სიტყვით, ასე. იმ
შენს ავალიშვილს კი ჯერ არც მე დავ-
კითხავ. ერთხელ კიდევ გითხარი. შე-
ვერც რაინდობაში მაჯობებ-მეთქი. მერე
კი ენახოთ. ასლა — შარაშენიძე და გახსოვდე:
უნეშოდ ამ საქმეზე ძებორციელი არ დაჰ-
კითხო. შენ, ბატონო ახალგაზრდა გამოშ-
ძიებულო, ამ საქმის გამოძიებისას უამრა-
ვი დიდი და პატარა შეცდომა გაქვს დაშ-
ვებული და ამიტომ ჩემი ჩარევა აუცილე-
ბელია. ერთხელ ხომ ესეც გითხარი: შენ
ჩემს ხელში უნდა გაიზარდო და დავაჟ-
კაცდე.

— ორგანოებიდან წასვლას რა უფლე-
ბით მიშლი?

— ორგანოებიდან წასვლას მე შენ არ
გიშლი. მაგრამ თუ წახვედი, ისე გაილან-
ძლები, რომ მტკვარი ვერ გაგრეცხავს. ნახ-
ვამდის!

შარაშენიძემ მეტყველებლის განცხადე-
ბა ნაკუწ-ნაკუწად აქცია და კალათაში
ჩაყარა.

• • •

მირზა ჭირაქაძე პირველსავე დაკითხ-
ვაზე წახდა. სადღა იყო მისი ქედმაღლე-
რი გამოხედვა და თავდაჯერებული, სარ-
კასტული ღიმილი! შარაშენიძეს ლამის
უოქებდა, ხელებს ნერვიულად იმტვრევდა,
ენა ებორძიებოდა და ერთხელ ნათქვამს
ათჟერ მაინც იმეორებდა, აქაოდა, დარ-
წმუნდით, როგორი გულახდილი ვარო.

— ავალიშვილი იმ საღამოს უნდა მო-
გეტაცნათ?

— დიახ! ოღონდ, რა თქმა უნდა, მე
კი არა, მაგრაქველიძეს. ფასანაურში უნ-

და წაყვანა. ყველაფერი გამწადადებული იყო. მთელმა ქვეყანამ იცის, მაგრაქველიძის ავლიშვილი რომ უყვარდა. მაგ საქმეში მე უდანაშაულო ვარ. მაგრაქველიძის ბევრჯერ ვურჩიე, მაგ საქმეს ნუ იხამ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა.

— რატომ აღარ მოიტაცეთ?

— მანქანაში არ ჩაჯდა.

— მერე?

— მერე უნივერსიტეტის ბაღში ავედი. მე მაგრაქველიძის ვაშშივინაა. აბდულა მალე წავიდა. მერე მაგრაქველიძე და ბულეიშვილი შელაპარაკდნენ. მე ორივეს ვაშშივინაა.

— რაზე შელაპარაკდნენ?

— არ ვიცი... იცით, ბატონო პოლკოვნიკო, ეგენი ძალიან პრიმიტიული ხალხია. არა, მე მაგათი ამხანაგი ვარ და არ უნდა ვამბობდე. მაგათი ამხანაგი მერქვა, ყოველ შემთხვევაში... ორივე პირველობას ჩემოდა და ამ ნიდავზე მე ორივეს ვაშშივინაა. მაგრამ... მერე წამოვედი და...

— ბულეიშვილმა კუპატაძის რატომ ამოარტყა?

— დიახ!

— რატომ ამოარტყა-მეთქი!

— ვინც ახლოს იყო, იმას ამოარტყა.

— მაგრაქველიძე იქვე არ ჰყავდა.

— მაგრაქველიძე წინ მიდიოდა. თანაც კუპატაძე დანაგრული ჰყავდათ. ღარიბი ბიჭი იყო. მე რამდენჯერმე ვურჩიე, ამ ხალხს ჩამოშორდი-მეთქი, მაგრამ...

— მაგ ხალხს შენ თვითონ რატომ არ ჩამოშორდი.

— როგორ არ ჩამოშორდი! აკი გითხარით, მოსკოვში წასასვლელად ვემზადებოდი.

— ცოტა გრძელი სამზადისი გამოგივიდა. მერე?

— ბატონო?

— მერე რა მოხდა?

— „ნად კუროში“ წავედი და...

— მომაკვდავი ამხანაგი მიატოვეთ და საქეიფოდ წახვედით?

— ასე გამოვიდა... მაგრამ ამ შემთხვევაშიც... მე პირადად...

— რა — შენ პირადად? ყოველი მოჭა-

ლაქე ვალდებულია, გაჭირვებულს და, მით უმეტეს, მომაკვდავს დახმარება აღმოუჩინოს, ორგანოებს კი დანაშაულის შიშით ნაში დაესმაროს. შენ ეს გააკეთე?

— მე პირადად...

— პირადად! გაიყვანეთ.

დაკითხვაზე თითქმის იგივე გაიმეორა თენგიზ ჯაველიძემაც. პირველად ესეც ძალიან შეშინებული იყო. მაგრამ მალე თავი იჩინა მისმა ფლეგმატურმა ბუნებას. ბედს შეურიგდა. ყველაფერზე ხელი ჩაიქინა და ამიტომ შიშაც გაუარა.

შარაშენიძემ მას ბულეიშვილის, მაგრაქველიძის და ჭირაქაძის დაკითხვის ოქმები წაკითხა.

— ყველაფერი ეგრე იყო.

— შენ რას დაუმატებ?

— მე რაღა უნდა დავუმატო!

— რატომ დროზე არ შეგვაცხობინე?

— ეე! — ჯაველიძემ ხელი ჩაიქინა, ეგეთ სულელურ კითხვას რატომ მამღვეთო.

— ახლა შენ პატიმრობას მოგისჯიან. იცი?

— ვიცი.

— საიდან იცი?

— ერთმა იურისტმა მითხრა.

— მერე? ეგ სულელი თავი არ გენანება?

— სულელს რატომ მეძახით?

— სულელი ხარ და იმიტომ! აქ ხელი მოაწერე. გაიყვანეთ!

შარაშენიძე უკვე ხედავდა, რომ საქმის გართულება არ ხერხდებოდა. ყველაფერი დღესავით ნათელი იყო: კუპატაძე ბულეიშვილს შემთხვევით შემოაკვდომია, სხვების დანაშაული ის იყო, რომ გაჭირვებული კაცი მიატოვეს და მკვლელობის ამბავი დაფარეს. ეს იყო და ეს. კალისტრატე მაგრაქველიძე, კაცი, ვისაც შვილის ბედი ნამდვილად აღელვებდა, თვითონაც ციხეში იჯდა და შარაშენიძეს ფულს ვეღარ მიუტანდა. მირზა ჭირაქაძის და თენგიზ ჯაველიძის მამებს კი შვილები თუ საციხოდ არ ემეტებოდათ, შარაშენიძესთან ახლავე უნდა მისულიყვნენ: კონსტანტინე ჭირაქაძე პროფესორი იყო, ერმალოზ ჯაველიძე კი საკმაოდ ცნობილი საქმოსანი

და ორივეს კარგად ეცოდინებოდა, რომ მათი შეილების ბედ-იღბალი ახლა გამომძიებლის ხელში იყო. მაგრამ შარაშენიძეს დიდი იმედი არც ერთისა ჰქონდა და არც მეორისა. მან უკვე კარგად იცოდა, რომ პროფესორი კონსტანტინე ჭირაქაძე ცნობილი ძუნწი და გულჭევა ადამიანი იყო და შეიძლებოდა, შეიღის გულისათვის თითოეც კი არ გაენძრია. ერმალოზ ჭირაქაძე კი, — შარაშენიძემ ესეც კარგად იცოდა, — იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც შეუძლია, შეიღს ერთ წუთში თუნდაც მილიონი დაახარჯოს, მით უმეტეს, თუ საქმე საჯარო და გახმაურებულია, მერე კი ათი და ოცი წელიწადი იმ შეიღისკენ ერთხელაც კი არ მიიხედოს! შარაშენიძეს საიდან უნდა გაეგო, ერმალოზ ჯაველიძე ახლა როგორ ხასიათზე იყო?

მაგრამ კიდევ ცოტა მაინც უნდა მოეცადა. მით უმეტეს, რომ ამისი კანონიერი უფლება ჰქონდა: ნათია ავალიშვილი ჯერაც არ მომჯობინებულყო და მისი დააკითხვა არ შეიძლებოდა. და შარაშენიძემ ასეც გადაწყვიტა, — ათიოდე დღეს კიდევ მოვიდდი. თუ ჭირაქაძე ან ჯაველიძე მასთან მისვლას აპირებდნენ, ეს დრო საკმარისზე მეტიც იყო. თუ არადა, ამასობაში ავალიშვილიც მომჯობინდებოდა და ჩვენების მიცემას შეძლებდა. თუ ამ ქალს რაიმე ახალი წამოცდებოდა, ხომ კარგი. შარაშენიძე იმ „რაიმეს“ ერთითათად აქცევდა. თუ არადა, სხვა გზა აღარ იყო. პოლკოვნიკს საქმე სასამართლოსთვის უნდა გადაეცა და ინგლისური თოფის საყიდელი ფული რომელიმე სხვა გზით ემოვნა. შემთხვეული სალაროდან კი კაპიკის გამოტანა არ იყო!

ათმა კი არა, თორმეტმა დღემაც ისე გაიარა, რომ შარაშენიძესთან არც სამსახურში და არც სახლში არავინ მისულა. პოლკოვნიკმა მეჭვანბნილი იხმო და ავალიშვილის გამოძახება უბრძანა.

— ავალიშვილის ქმარს გუშინ ველაპარაკე. ისევე ავად არისო.

— აბა, რა გჯნათ?

— საქმე სასამართლოს გადავცეთ. მე საქმე დამთავრებულად მიმანინა.

— არა. საქმე ჯერ დამთავრებული არ არის.

ერმალოზი
ნიკოლოზიძე

დინამიკების სახლში იმ საღამოს ხალხმრავლობა იყო. აქ სტუმრად მოსულიყვნენ ბაბო ფავლენიშვილი, ნინო და ანდრო. კესარიას სასადილო ოთახში სუფრას შლიდა და ჭურჭელს ისე გამეტებით არახუნებდა, რომ ანდრომ და ნინომ ერთმანეთს რამდენჯერმე გადახედეს. პლატონი ხან სტუმრებს ელაპარაკებოდა, ხან ნათიას მიესიყვარულებოდა, ხან კესარიას შველოდა. ნომალი მოშორებით ტახტზე ჩამოქუდარიყო და არაფერში არ ეწყოდა. მან იცოდა, რომ ნათია უკვე შესამჩნევად მომჯობინდა, მეტი კი მას არაფერი აინტერესებდა.

შეიღი საათი იქნებოდა, როცა სადარბაზოდან ზარის ხმა მოისმა. წინკარში ჭარმაგი, თმაჭალარა კაცი იდგა. მან ნომალის თავი მეტად თავაზიანად დაუკრა, უთხრა, პოლკოვნიკი შარაშენიძე გახლავართ და თუ შესაძლებელია, მინდა, თქვენს ცოლს გაგესაუბროთ.

— კი, მაგრამ... — ნომალი დაიბნა. — ჩემი ცოლი...

— ვიცე. — შეაწყვეტინა შარაშენიძემ. — ყველაფერი ვიცი. გარწმუნებთ, ოდნავადაც არ ავადულებ. მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო დეტალი მაინტერესებს. არც კი შევაწუხებდი, მაგრამ გამოძიება თითქმის დამთავრდა, საქმე სასამართლოში გადადის და არ გვინდა რაიმე სათუო და საჭოჭმანო იყოს.

— გამოძიება უკვე დამთავრდა?

— რა თქმა უნდა. თქვენს ნათიასთან სულ უმნიშვნელო კითხვები მაქვს.

— მკვლელი იპოვნეთ?

— რა თქმა უნდა!..

— ისა... მობრძანდით.

ნომალიმ შარაშენიძე წინა ოთახში დასვა და თვითონ ნათიასთან შევიდა. იქ იყვნენ ბაბოც, ნინოცა და ანდროც. პლატონი ნათიას თავითი იდგა და რაღაცას მხიარულად ყვებოდა.

— ნათია, მომილოცავს. — უთხრა ნომალიმ ცოლს.

ყველანი მას მიაჩერდნენ. ნათიამ წარბები გაკვირვებით შესტეხა.

— რას მილოცავ?

— ის საქმე დამთავრებულა. მკვლელი უპოვინათ.

— მართლა?! — გახარებულმა ნათიამ წამოიწია. — ვის მოუკლავ?

— არ ვიცი. აგერ, მილიციიდან ამხანაგი მოვიდა და ყველაფერს გვეტყვის.

— ნომალი, შემოიყვანე.

შარაშენიძეს ყველანი ფეხზე წამოუდგნენ და, სახვევაცისკროვნებულნი, დაუფარავი ინტერესით მიაჩერდნენ. თმაჭალარა, მშვიდი და კეთილგანწყობილი შესახედაობის, გემოვნებით და თან უპრეტენზიოდ ჩაცმული ჭარმაგი კაცი ყველას მოეწონა: ნათიას მარჯვენა ხელით მკერდთან საბანი ეჭირა და შარაშენიძეს ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა. ნინო მარჯვენა ხელით ანდროს იდაყვეს დაყრდნობოდა და ბედნიერ დიმილს ძლივს იკავებდა. ნაბოს გახარებულნი, ბედნიერი მზერა ნათიადან შარაშენიძესუ გადაჰქონდა, შარაშენიძიდან ნომალიზე და ასე დაუსრულებლივ. პლატონმა ცხვირსასოცი ამოიღო და აცრემლებული თვალები მოიწმინდა. სასადილო ოთახიდან ხელებდაკაბიწიებული კესარია შემოვიდა და კარებში გაჩერდა.

— გამარჯობათ! — შარაშენიძემ დამხედურებზე კეთილი მზერა ჩამოატარა. — შემიძლია, მოგილოცოთ. მკვლელი ნაპოვნია. ის უკუღმართი საქმე დამთავრებულია.

— და ამას... — პლატონს ჭეიფინი აუვარდა და ჯიბიდან სწრაფად ცხვირსახოცი ამოიღო — და ამას... მილიცია... სახლში გვატყობინებს. ა... ამაზე... ამაზე მეტი... რაღა გინდათ?..

— მილიციას ის არ უთქვამს, აქ მოთქმა-ტირილი გამომიწყეთო, — მკვანედ ესროლა კესარიამ ქმარს.

— ბო... ბოდიში... თავი... ვეღარ შევიკავე.

— უნდა შეიკავო! — კესარია გატრიალდა და გავიდა.

დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მილიციას სკამს არ შესთავა-

ზებთ? — შარაშენიძემ ნომალის დიმილით შესედა.

— ახლავე!..

შარაშენიძეს სკამი მიაართვეს. იგი ჩამოჯდა და ნათიას გაუღიმა:

— ბევრი ვიწვალეთ, მეც, ლეიტენანტმა. მექვებიშვილმაც, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბოლო კეთილია. ოღონდ, პატივცემულებო, ისე კი არ გამიგოთ, თითქოს აქ მარტო ამის სათქმელად მოვედი. ხე-ხე!.. მილიციას ამისთანები არ ევალბა. მე აგერ, ჩვენს ნათიასთან პატარა სალაპარაკო მაქვს და თუ ნებას დამრთავთ...

— რა სათქმელია!

ოთახიდან ყველანი გამოლაგდნენ და ნათია და შარაშენიძე მარტო დასტოვეს. ნომალიმ კარი მჭიდროდ მიხურა და იქვე გაჩერდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, — ამ ოთახში ჯერჯერობით შესედვაც კი არავინ გაბედოსო.

შარაშენიძე ნათიას ოთახში ერთ საათზე მეტ ხანსაც კი დარჩა. ძალიან სმაღაბლა ლაპარაკობდნენ და აქეთა ოთახში მყოფთ, ძალიანაც რომ მოედოშებინათ, ვერაფერს გაიგონებდნენ. მერე შარაშენიძე წამოდგა, — მოისმა, სკამი როგორ გასწია, — კარები ფართოდ გამოაღო, შესიარული კილოთი გამოაცხადა, მობრძანდით, ყველაფერი დამთავრებულიაო, და მისალბე ოთახში გამოვიდა. ნათიასთან ყველაზე ადრე ნომალი შევარდა, მას ნინო და პლატონი მიჰყვნენ. სამივემ მშვენივრად დაინახა, რომ ნათიას სახეზე წვლანდელი მზიარულებისა და ბედნიერების ნატამალიც კი გამჭრალიყო. ნათია ჩაფიქრებული, რაღაცით შემფოთებულიც კი ჩანდა. მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, ბალიში თვითონვე გაისწორა, ნომალისა და ნინოს ნაძალადევად გაუღიმა და თვალები დასტეხა.

შარაშენიძემ ვახშმად დარჩენა არ ისურვა. ასჯერ ბოდინი მოიხადა, შეგაწუხეთ, მაგრამ, რა ვქნა, ასეთი სამსახური მაქვსო, და წავიდა. ნომალიმ იგი კიბეზე ჩააცლია და დაინახა, რომ სტუმარს „ვოლგა“ უცდიდა.

თუ რას ეკითხებოდა შარაშენიძე, ნათიამ ამისი თქმა არ ისურვა. ვახშამმა სა-

მარისებურ სიჩუმეში ჩაიარა და სტუმრების გამხიარულება პლატონსაც კი არ უცდია.

* * *

ორი დღის შემდეგ შარაშენიძემ შექცა-

თავი მესხრე

მას შემდეგ, რაც ანთიმოზ ჩახუნაშვილი „დააწინაურეს“, მერე კი ისევ ჩამოაქვეითეს, მისი ცოლი, საერთო საცხოვრებლის კომენდანტი, მარიამი თეიმურაზ არჯვანიძეზე განაწყენებული იყო და ხვირიანად აღარც კი ესალმებოდა. ზურგსუკან რამდენჯერმე კიდევ გაუკილაეს, როცა ნაირ-ნაირებს მივართმევდით ზოლმე, მაშინ ანთიმოზიც კარგი იყო, ახლა კი, ზომ ხედავთ, როგორ გაიმეტათ. თეიმურაზი არაფერს იმჩნევდა და ცდილობდა, იმ ქალს, რაც შეიძლებოდა, ნაკლებად შეხვედროდა.

დედისა და დის დებეშა რომ მიიღო, ჩამოედევართ და დაგვიხვდით, თეიმურაზი შეფიქრიანდა. მისი ოთახი მარიამის განკარგულებაში იყო და ამ ქალს უფლება ჰქონდა, ჩამოსულები შიგ არც კი შეეშვა. მაგრამ იმ დღიას, როცა მელანო და მწვეინარი ჩამოვიდნენ და თეიმურაზმა ისინი საერთო საცხოვრებელში მიიყვანა, მარიამი მათ კიბეზე შეეგებათ. კახაბერ გურასაშვილსა და გედუონ ხაზარაძეს მელანოსა და მწვეინარის ჩამოსვლა რაღაცა მანქანებით უკვე გავგოთ და მარიამისთვის დაურკვიათ, მიხედვ, ოთახი კარგად მოწყვედ და არაფერი მოაკლოო. მარიამმაც თავი გამოიღო. თეიმურაზის ოთახში შესამე საწოლი შეატანინა, სამივე საწოლი ახალთ-ახალი ქვეშაგებითა და თუთრეულით გააწყობინა, საიდანღაც ლამაზი ჭურჭელი და ქვაბებიც კი გააჩინა, — ალბათ, ახლა შინაურ სადილებზე გადახვალთო, — ფანჯარაზე ფარდები გამოაცვლივინა და თან ყოველ წუთში ბოდმობდა, ბატონ თეიმურაზს თქვენი ჩამოსვლა ჩემთვის ადრევე რომ შეეცყოინებინა, თა-

ბიშვილი გამოიძახა, ავალიშვილის დაკითხვის ოქმი გადასცა, საქმის საბოლოოდ გაფორმება და პროკურატურაში გადაგზავნა უბრძანა და ამის შემდეგ ამ საქმისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა.

დარიგს დავიჭერდი და ყველაფერს მომზადებულს დაგახედებდითო, მაგრამ არა უშავს, მაინც ახლავე ყველაფერი მოწესრიგდებათ.

მართლაც, ყველაფერი მალე მოწესრიგდა. ოთახმა იერი შეიცვალა. ფანჯარაზე ნაზად ირხვოდა ლიმონისფერი ფარდა. იატაკზე ლამაზი ხალიჩა დაეგოთ. მარიამმა ერთხელაც შემოიხედა, მელანოსა და მწვეინარს ხეწნის კილოთი უთხრა, თუ რამე დაგჭირდეთ, ნუ მომერიდებითო და კარი ფრთხილად გაიხურა. არჯვანიძეები მარტონი დარჩნენ.

— როგორა ხარ, შვილო?

— კარგად დედა!

— ემ! — მელანო სკამზე ჩამოჯდა და თეიმურაზს წელზე ხელი მოხვია. — არ გერჩივნა, ჩემთვის დაგეჯერებინა და სხვა ფაკულტეტზე შესულიყავი, ახლა შენი ტოლებივით შენც თბილისში ისეირნებდი.

— თბილისს მე აქაურობა მირჩევნია.

— დაიგარგე!.. აბა, მწვეინარ, რაღას უკურებ?

მწვეინარი ღიმილით დახარა და ჩემოდანი გახსნა. დედასა და დას თეიმურაზისთვის უამრავი საჩუქრები ჩამოეტანათ, — პერანგები და ქალსტუები, თბილისური ნამცხვარი, კონიაკი, ექვსიოდ ბოთლი „მუკუზანი“ და „წინანდალი“.

— ეს ყველაფერი აქაც იმონება, დედა!

— გითვლიდი, ფულს ნუ მიგზავნი-მეთქი, და არ მიჯერებდი, ჰოდა აი მწვეინარს წელი მოვწყვიტე ამ ჩემოდნების თრევითა. მაშ, ფულს უკანვე ხომ არ ჩამოგიტანდი! ასეთ საშარვლეს კი აქ ვერ იმონენი, ტყუილად ნუ ლაპარაკობ, ახლა

მე ცოტას წავიძინებ, ხომ იცით, მატარებელში რომ არ მეძინება. თქვენ სადილის თადარიგი დაიჭირეთ, მერე კი დავესდეთ და ვილაპარაკოთ.

უღმერთოდ დაღლილ მელანოს მალე ჩაედინა.

— ჩემი ნახელავი კერძები არ მოგენტარა? — დაბალი ხმით ჰკითხა მშვეინარმა ძმას.

— ძალიან!

— ეინმეს დაპატივებ?

— დღეს არავის.

— წამო, ბაზარში გავიდეთ.

ბაზარში აეტობუსით წავიდნენ. გზაში არც ერთს ხმა არ ამოუღია. მშვეინარს მარცხენა ხელით თეიმურაზის ხელი ეჭირა და მარჯვენას ზედ უსვამდა. ბაზარში ორი კილო ხორცი ააწონინა და როცა თეიმურაზმა ხელი ჯიბისკენ წაიღო, თავი ჯიუტად გადააქნია:

— აბა!

ხორცის ფული გადაიხადა და თეიმურაზს ხელკავი გამოსდო.

— ახლა ბოსტნეული გვინდა. შენ გარჩერდი, მე ვიცი, რას ვიყიდი და რასაც გააკეთებ. შენს სიძეს ამ ბოლო ხანებში ბევრი ფული გაუჩნდა. მე კი არ მაძლევს, მაგრამ ვატყობ. ახლა ისლა მკაცია, რომ დაიჭირონ და ბავშვები დამიოხლოს. მაგრამ რა ვქნა? ეკ!.. ახლა კი მითხარი, ისეთ მტირალა წერილებს რატომ იწერებოდი?

მშვეინარმა თეიმურაზს ეს ჰკითხა, მაგრამ პასუხს კი არ დაელოდა, კომბოსტოს ვეებერთელა გროვასთან მივიდა და ყველაზე დიდი კომბოსტო ამოარჩია.

— რა ღირს? ოჰ, რა ამბავიაო!.. — გამყიდველს ფული ჩაუთვალა. — აბა, თეიმურაზ, გისმენ. — და ისევ ხელკავი გამოსდო.

— გრძელი ამბავია.

— მელანოს ეტყვი? მოდი, ეგერ ქათმები იყიდება.

— ალბათ, არა.

— მე?

— შენ კი.

— ძალიან კარგი.

ტაქსი დაიჭირეს. აქ ლაპარაკი უხერ-

ხული იყო და სახლში ისე მივიდნენ, რომ ხმა არც ერთს არ ამოუღია. მელანოს ტკბილად ეძინა. მშვეინარმა სანოვანე სამზარეულოში გაიტანა. იქ ვიღაც მზიარულმა ახალგაზრდებმა გაუჭყრა და წყლის ონკანიც დაუყოვნებლივ დაუთმეს. მშვეინარმა შესადგამი შედგა, ნარჩენები სანაგვე ყუთში ჩაჰყარა, მაგიდა გაასუფთავა, ხელები გადაიხანა, ოთახის კარი გამოაღო და თეიმურაზს თავით ანიშნა, დერეფანში გამოდიო.

დერეფანში ტახტზე ჩამოსხდნენ. თეიმურაზმა ჯერ იცოყმანა, — მერე მიიხედ-მოიხედა, ხელი ჩაიქნია და მშვეინარს გოგოლა ხომასურძიძეზე ყველაფერი უამბო. მშვეინარი ძმას შიგ თვალეებში მისჩერებოდა. მერე თავი მძიმედ გადააქნია:

— საწყალი ქალი...

თეიმურაზმა თავი ჩაქინდრა.

მშვეინარმა თავი ერთხელაც გადააქნია და ამოიოხრა:

— აი, რანი ხართ ეს კაცები!..

— მშვეინარ, მართლა მე მამტყუნებ?!

— ა?

— რა უნდა მექნა?

— ა? — მშვეინარი იატაკზე ერთ წერტილს დასჩერებოდა. — დამაცალე, მოვიფიქრო...

კარგა ხანს ხმამოუღებლად იჯდა.

— მერე?

— არაფერი. მემხატეებს ეს ამბავი არ მოეწონათ.

— რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ. მაგრამ შენ რა უფრო გაწუხებს, — ის, რომ მემხატეებს ეგ ამბავი არ მოეწონათ, თუ თვითონ ეგ ამბავი?

— ისიც და ისიც.

მშვეინარი ისევ გაჩუმდა.

— კარგი ქალია?

— ძალიან!

— აი, რა არის ეს ცხოვრება. იმას შენ უყვარხარ, შენც ამბობ, ძალიან კარგიაო, ის კი მინც სხვისი ცოლია, შენ კი ხალხმა შეგეძულა. მართლა ძალიან შეგიძულეს?

— საკმაოდ.

— კმ!

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. მერე მშვეინ-

ნარი წამოდგა და სამსარეულოში შევიდა. იქიდან მობრუნებულს ჩაფიქრებული სახე ჰქონდა.

- შენზე ბევრად უფროსია?
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს.
- როგორ!
- ცოლად მაინც არ გამოიყვება. არას-გვით!

- ელაპარაკე?
- არა. ისე ვიცი.
- ეგ თუ იცოდი, მაშინ...
- მაშინ არ ვიცოდი.
- არა.
- მაშ, ცოლად უნდა გეთხოვნა?
- მაშ?
- არაფერი.
- მეც მაგას გეუბნები.
- მზევი, ეგ იმ ბიჭს მაინც არ მიატო-ვებს.

- რატომ?
- არც ვე ვიცი.
- აი, შერთლაც ხათაბალა!

მზევინარი სამსარეულოში ერთხელაც შევიდა და იქიდან მობრუნებული ისევ თე-იმურაზს მიუჯდა.

- გესმის? დედამ ეგ არ უნდა გაი-გოს.
- ვიცი. არც გაიგებს.
- ახლა სხვა რამე მიაბე. ამ ოთახში მარტო შენა ხარ?
- მარტო მე ვარ.
- კარგი ოთახია. დიდი პატივი უცი-ათ. სხვა?
- არაფერი. ვმუშაობ და ვარ.
- ისინი როდის დაბრუნდებიან.
- ხულ მალე. რამდენიმე დღეში.
- მე ვეღარ მომისწრებენ. მე ზეგ უსა-თუოდ უნდა წავიდე.
- დედა?
- დედა დარჩება. რა თქმა უნდა, შენ თუ გინდა.
- ვაითუ ძალიან მოიწყინოს.
- როგორმე გაერთობა. საჭმელებს და-გიშაადებს, დაგირეცხავს. შენ ხაღმე გაა-სეირნე ხოლმე.
- ყველაფერს მოვახერხებ.
- მაინც, რამდენ დღეში ჩამოვლენ.
- მალე. ზუსტად არ ვიცი.

- ხომ არ დაგრჩენილიყავი?
- როგორ გითხრა... ცუდი წამდვილად არ იქნებოდა.

— მეც ვერვ ვფიქრობ. საქმე ისე ჩა-გისლართავს, რომ უარესი საღა იქნება. მაგრამ მოვრჩეთ. ამაზე — მერე. ახლა კი — სადილი. ოღონდ — ხომ გესმის? — დედასთან არაფერი წამოვცდეს.

სადილმა მშვიდად, შინაურულად ჩაი-რა. მელანო შეიღებს ალერსით არასოდეს ანებივრებდა და ამ წესიდან არც ახლა გადაუხვევია. მარტო ეს იყო, რომ თეი-მურაზს რამდენჯერმე თავზე ხელი გადა-უსვა და — ჩემო ყოჩაღო ბიჭოთ, უთხრა. მზევინარი კი თამადაობდა, წყალგარეულ ღვინის ჭიქებს ბოლომდე სვლიდა და სა-დილობა რომ თავდებოდა, ლოყები ვარ-დისფრად ჰქონდა გაღვივებული.

• • •

თეიმურაზ არჯევანიძის დედისა და დის ჩამოსვლა მთელმა შახტმა იმავე დღეს გაიგო. მესამე უბანზე ხომ ამის მეტი სა-ლაპარაკო აღარაფერი ჰქონდათ. იმ დი-ლიდან მოყოლებული უშანგი მონასელიძეს სამივე ცვლის მემანტებმა პირდაპირ გული გაუწყალეს, — როდის ჩამოვიდნენ, რატომ, რამდენ ხანს დარჩებიან.. უშანგიმ ის კი კარგად იცოდა. თუ ეს ჭალები რა-ტომ ჩამოვიდნენ (ეს სხვებმაც კარგად იცოდნენ, — რა თქმა უნდა, შეილისა და ძმის სანახავად), მაგრამ რამდენ ხანს დარჩებოდნენ და როდის წავიდოდნენ, ამა-ზე წარმოუდგენაც კი არ ჰქონდა. და ბო-ლოს, როცა მეტიმეტად შეაწყნება, მოთ-მინებაც კი დაჰკარგა:

— მე რას ჩამცივებისართ, რამდენი ხნით ჩამოვიდნენ და როდის წავლენო?! არჯევანიძეს როგორც მე ვიცნობ, ისე ფეჟენც იცნობთ. თუ ასე გაინტერესებთ, მოდით და თვითონ იმას ჰკითხეთ. იმე!

- შენ მოადგილე ხარ.
- მერე? მოადგილე ვარ, თორემ იმ პატიოსან მოხუც ჭალს კი არ ვუშვილე-ბივარ! თუ ხათრი გაქვთ, მაგაზე აღარ და-მელაპარაკოთ.

გრინშა ოდიბაშვემა სამორიგეოში ასეთი აზრი გამოთქვა, ერთი-ორი შინაური კა-

ცი არჯევანიძესთან მივიდეს და კვითხოს, ფული ხომ არ უჭირს, ასლა იმ ქალებს, რომ რაიმე შემოაკლდეთ, ჩვენი სირცხვილი იქნებაო.

— მაგალითად, ვინ უნდა მივიდეს? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ირაკლი შუბითიძემ. ის ხომ სხვა უბანზე იყო გადასული, მაგრამ იქაურ უფროსობას რატომღაც ვერ ეწყობოდა, თავისი ძველი მეგობარ-ამხანაგებზეც არ ეთმობოდა და თავისი ცვლის ბოლოს მუდამ მესამე უბნის სამორიგეოში შემოივლიდა ხოლმე. აქაურ საქმეებში ხშირად ისე აქტიურად ებმებოდა, თითქოს სხვა უბანზე გადასვლა არასოდეს ფიქრადაც კი არ მოსვლოდეს.

— აგერ, არქიფო შივა. — თქვა ოდიბაშვიმა. — თუ გინდათ, მეც.

— შენ და არჯევანიძე ასერიგად როდის დაძმავდით. — ირაკლიმ იქედნურად ჩაიღიმა.

— არჯევანიძესთან მე გახაკოფი აღარაფერი მაქვს. — მკვახედ მოსტრა ოდიბაშვიმა.

სიჩუმე ჩამოფარდა.

— ა? რას იტყვიან, ხალხო? — ირაკლი კარებთან მდგომ სკამზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიღო.

ყველანი არქიფოს მიაჩერდნენ.

— არჯევანიძესთან მისვლა მე არ გავიჭირებდა. — არქიფომ კეფა მოიფხანა, — მაგრამ... საჭიროა კი? ფული და ამისთანობა თუ დასჭირდა, კახაბერი, შენ ხარ ჩემი ბატონი, გედღონი, ჩაგუნავა, ჩარკვიანი — მთელი ეს ჩვენი დიდკაცობა აგერ არ არის? არაფერს გაუჭირვებენ. და არცაა წესი, რომ უბნის უფროსს ამისთანა დროს მემასტრეები შეეწიონ; ძალიანაც რომ სჭირდებოდეს, ჩვენგან ერთ კაპიკსაც კი არ აიღებს.

— ნამდვილია. — ფიქრიანად წარმოთქვა შუბითიძემ.

ამის შემდეგ უბანზე ფული აღარავის უსხენებია.

* * *

მელანო და მზევიანარი ხამი დღის ჩამოსულნი იყვნენ, როცა შვებულებიდან გერონტი ჩაფიჩაძე და მისი ცოლი დაბრუნდნენ. ჩაფიჩაძეს თავისი ადგილი სასწრაფოდ გაუთავისუფლეს. — ჩახუნაშვილი კახაბერმა ისევ დროებით რაღაც სხვა თანამდებობაზე გადაიყვანა. გოგოლამ კი მუშაობა ისევ მიწისქვეშა ტრანსპორტზე დაიწყო.

თავი მხათი

ჯიბრაილი და ირინე დასაძინებლად ემზადებოდნენ, როცა ვიღაცამ ზარი დარქვა. ნესტორია ბუბაშვილი იყო.

— მობრძანდით, ნესტორ! როგორა ხარ?

— არა მიშავს!..

— მოდი, კაცო, მანდ ხომ არ იდგომები!

ჯიბრაილმა ნესტორია თავის ოთახში შეიყვანა.

— რას მიბრძანებ?

— შენც გეცოდინება.

— მაინც?

— შენზე ძალიან დაღუსილები არიან მიტუმა და მისიანები.

— ეგ ვიცი. სხვა?

— სხვა ის, ჩემო ბატონო ჯიბრაილი, რომ მე შავათი აღარ შეშინია. „ქალაქვაჭრობაში“ დიდილი მამიდაშვილი მყავს, კაპიტონ არაბიძე. არ გაგიგონია?

— არა, არ გამიგონია.

— ჰო... ძალიან ძვირფასი და გამგები აღაშინია. ვიყავი და ასე მოთხრა, თუ მასტზე საქმე გაგიფუჭდეს და წამოსვლა მოგიწიოს, ხუ შეგეშინდება, რაიმე შესაფერის საქმეს ყოველთვის მოგინახავო.

— მემასტის შესაფერისი საქმე ვაჭრობაში რა უნდა იყოს?

— ეგ ერთი ბირობა მეც ვიფიქრე. მაგრამ თუ არ მომასვენებს? ან რა ბევრი მე

მინდა? თავს როგორმე კი გავიტან, ოღონდ... ამას იქით შენს მხარეზე ვარ. ახლა შენ როგორც გინდოდეს. ან რატომ მართმევენ? თვალეზში ნაცარს რატომ მაყრან? კაცურად მთხოვონ და ამ ჩემი მარჯვენით მონგრეულ ქვანასშირს სანახევროდ მაგათ ვუფეშქაშებ. მე ბევრი არ მინდა...

— ბევრი და ცოტა მანდ არაფერ შეუშია. აღამიანი რასაც თავისი შრომით გამოიმუშავებს...

— კი, სწორია. მეც იმას ვამბობ. აბუჩად ნუ ამიგდებენ-მეთქი. სწორია. მაგრამ შენ მთავარი არ იცი. მთავარი მაგ საქმეში მიტრუმა კი არ არის, მთავარი მანდ... ერთი სიტყვით... ა?

— რაღაცა იცი შენ, ნესტორია.

— რაღაცა როგორ არ ვიცი. ეგ კი არა, სხვებმაც კარგად იციან, მაგრამ... — ნესტორიამ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინია, ოთახში ჩვენს ბეტი ხომ არაგინ არისო, და უცერად ხელი გადაწყვერით ჩაიქნია, — ეჰ, დურმისხან ზენაიშვილს იცნობ?

— ზენაიშვილი? პირველად მესმის.

— პოო! აბა, ახლა ხელფასის უწყისში ჩაიხედე. მაგდენ ფულს მთელს შახტზე არაგის უწერენ. არადა, უბანზე სწორედ ახალ მოვარესავით გამოჩნდება ხოლმე. ზოგჯერ ორი, სამი, ოთხი კვირა ისე გაივლის, რომ სანგრევში ერთხელაც კი არ შემოიხედავს.

— მოიცა! შავ-შავი, სწორწარბებიანი კაცია? ნაყვავილარი?

— ოო, სწორედ ეგ არის. უფერული და ნაყვავილარი. გცოდნია.

— რამდენჯერმე თვალი მოვკარი. რაღაც... ძალიან მიბღვერდა.

— შემოგობღვერდა. შენ სწორედ მაგის წინააღმდეგ მიდიხარ.

— მაგის წინააღმდეგ?!

— აგერ გეტყვი. — ნესტორიამ ჯიბრაილს სახე სახესთან მიუტანა და ჩურჩულზე გადავიდა. — ეგ ყოფილი ქურდია. ახლა, როგორც ამბობენ, აღარ უნდა ქურდობდეს, მაგრამ მაგისთანა უკულმართ ხალხში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი. ციხიდან უკანასკნელად ამ სამი

თუ ოთხი წლის წინათ გამოვიდა. მთელი სხეული სულ მწვანედა აქვს შინკულ-შინკატული. ახლა იმასაც კი ამბობენ, ქურდობაზე საბოლოოდ ხელი აიღოო. და ან კი რატომ იქურდებს — თითს თითზე არ აკარებს და თვიურად ხუთას-გუქასას მანეთს კი უწერენ.

— კაიამიშვილი აძლევს?

— ხო, კაიამიშვილი. მაგრამ ისე მაგას არჩაიძვეც იცნობს, ვაშაყმაძეც, მაგას ყველა იცნობს.

— ერთი ყველაფერი დალაგებით მომიყვი.

— მეტი რაღა მოგიყვი! ციხიდან რომ გამოვიდა, პურის ფულიც კი არ გამოპყოლია და ჩვენს უბანზე ვითომ ამწმენდად მოეწყო. ალბათ, იფიჭრა, ნინიბის ქნევას რა დიდი ჭკა უნდა და მერე კი ისევ ჩემს ხელობას დაუბრუნდებოო. მაგრამ თან დიდი მამაძალი კაციცაა. ოო, მაგას ვერაფერს გამოაპარებ! მალე დაწოსა, რომ მიტრუმა და მისიანები რაღაცას ყალთაბანდობდნენ. პოდა, მიტრუმას შეაწერა, მე ხანდახან უბანზე გამოვჩნდები, შენ კი თვიურად ამდენი და ამდენი გამომიწერე, თორემ კარგად იცო რაც დაგემართებაო. მიტრუმა და მისიანები კარგი მკლავლონიერი ხალხია, მაგრამ დანას და რევილვერს შენ გაუმკლავდები? ზენაიშვილს კი ჯიბე სულ მაგ დაღუპული რკინეულობითა აქვს გამოტენილი. პოდა, ე... ორი თუ სამი კაცი ქე ჰყოლია უკვე მოკლული.

— ორი და სამი კაცის მკვლელი გარუთ დაიარება?

— ასე ვია და... არა, ამ ორი თუ სამი კაცის მკვლელს რომ არ ხვრეტენ, ამას ყველა ხედავს. აგერ, ჭიპაშვილის ბიჭმა თავის ამხანაგს სულ ტყუილ-უბრალოდ დანა გაუყარა მუცელში. თორმეტი ქე მიუსაჯეს, ღვთის წინაშე, მაგრამ ე ოხერი წლები გარბიან ასე სწრაფად, თუ სხვა რაიმე მიზეზია, ეს არ ვიცი, მაგრამ უკან მიხედვაც ვერ მოვასწარით და — ეს ბიჭი ისევ აგერ გამოგვეცხადა. ვადა მოიხადაო. ერთხანს სადგურის ბუფეტში მუშაობდა, ახლა კი სადღაც ინსტიტუტში აპირებს მოწყობასო. იმ საწყალი ბიჭის კი, ვისაც



მაგან დანა გაუყარა, ახლა ძვლებიც აღარ იქნება მიწაში. აბა!

— შენ ეგ ნამდვილად იცი? მითხარი, ზენაიშვილის ამბავი მართალია!

— ხალხი ასე ლაპარაკობს. მიტუშას ნება რომ იყოს, იქნება, იმ ყალთაბანდობისათვის თავიც კი დაეწებებინა, ისეა გამწარებული, მე შენ გეუბნები, მაგრამ ზენაიშვილის ვინია. თან კიდევ რამდენიმე კაციც სხვა აზის კისერზე. წამხედურობა, ხომ იცი... სხვის ზურგზე გორაობის ბევრს არ ერტყვინება. ჰოდა, შენ ახლა იმდენად მიტუშასთან კი არა გაჭვს საქმე, რამდენადაც ზენაიშვილთან.

— რა უნდა მიჭნას?

— თუ არ გაფრთხილდი, რამეს მოგიხერხებს. მთელი სიცოცხლე ძალივით ნათრევი კაცია. ქურდობა ბავშვობაშივე აჭვს დაწყებული. ამ ტბილ ლუკმას ასე ადვილად არ დათმობს.

— შენ თვითონ არ გეშინია?

— ვისი.

— მაგ დურმიშხანის.

— მე რატომ უნდა მეშინოდეს?

— აგერ, მოხვედი, ყველაფერი მიაშხე, თვალი ამიხილე... ესეც მის წინააღმდეგ მოქმედება არ არის?

— კი, იქნება კიდევ არის, მაგრამ... არა, ჩემისთანა ჭიკაძეზე ეგ ხელს არ გაისვრის. ჩემი გულისთვის ეგ ციხეში წავა? მე რას წარმოვადგენ? ვინც ხმამაღლა შემაჯანჯლარებს, ყველა ჩემი უფროსია. აი, შენ კი, ჯიბრაილ, ფრთხილად იყავი. უკვე მთელმა შახტმა იცის, რომ პატიოსან მშრომელებს წინ მიუძღვებიან.

— თუ ასე არ გეშინია, რატომ აჭამდე ხმას არ იღებდი?

— როგორ არ ვიღებდი! პირველად მეც ბევრი ვიბუზლუნე, მაგრამ... მერე?

— გითაჭვს?!

— მაგის ღირსადაც კი არ გამხადეს. ეს ოხერი, ვინმეს მართლაც ერთი გემოიანად გაველახე. ერთი-ორი წამიბილიკეს და მითხრეს, ხმა ჩაიწყვიტე, თორემ თავს წიწილივით წაგაწყვეტო. ჰოდა, რაღას ვისამიდი... მიტუშამ მითხრა, თაველია სანგრევი შეგაგდებ და ვეებერთელა ლოდს დაგიშვებ თავში, მერე წადი და საიჭიოში

ამტიციე, რომ ის ლოდი ჭერიდან თვიფონ არ ჩამოვარდნილაო.

— ხა-ხა-ხა-ხა!...

— შენ გეცინება და... იზამდნენ. ზენაიშვილს გინდა კაცი მოუკლავს და გინდა ბუზი გაუჭყვლიტია.

— უბანზე კიდევ ვინმე გალახეს?

— მეონი, არა. არ გამოიგია. ჩვენი ხალხი რაღაც უცბათ მოტყდა. ზოგი ასეც ფიქრობს, ორი და სამი ტონა ქვანახშირი ჯანდაბასო. შეურიგდნენ. იმტომ, რომ ხალხს შეთაური არ ჰყავდა. ახლა კი შენ...

— შეთაურობას მე არ ვეძებ. ისე კი, არ ყოფილხარ შენ კარგი კაცი, ნესტორ!

— რატომ?

— ასეთ საქმეში გამხვეიე და ახლა კი მეუბნები, შეიძლება, ყელი გამოგტკანო.

— მე როდის გაგხვეიე? მე ახლავე...

— არა, არა! გეხუმრები. ახლა თითო ჭიჭა არ დავლიოთ?

— თუ მოგეძვეება...

— შე კაცო!...

ნესტორია და ჯიბრაილი ნაშუალამეგამდე ისხდნენ სამწარეულოში. ღვინოს შეექცეოდნენ და ნესტორიამ ჯიბრაილს უბნის კიდევ ბევრი წვრილმანი და მსხვილმანი უამბო.

* * *

ჯიბრაილს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან — ქურდებთან, რევიდივისტებთან, მკვლელებთან და ასეთებთან თითქმის არასოდეს საქმე არ ჰქონია. თუ მოხდებოდა, რომ ვინმე ასეთი შემთხვევით თავს მის უბანზე ამოკყოფდა და თავისებური „წესების“ დამყარებას შეეცდებოდა, მას ძალიან ღალე აგრძნობინებდნენ ზოლზე, აქ მაგისთანები არ გაეგიაო. ასეთ შემთხვევებში ჯიბრაილის ბიჭები მართლაც იშვიათ ერთსულოვნებას იჩენდნენ სოლმე-ორჯერ თუ სამჯერ ვიღაც უკუღმართები უბნიდან ისე გაისტუმრეს, რომ ჯიბრაილისთვის არც კი შეუტყობინებიათ. ერთხელ ისეც კი მოხდა, რომ დილას სამორიგეოში ჯიბრაილმა იკითხა, ამ ერთი კვირის წი-

ნათ მეზივის თანაშემწედ რომ კაცი მივიღეთ, რატომ აღარ ჩანსო.

— დაგემშვიდობა, — მოკლედ მიუგო ირაკლი შუბითიძემ.

— რატომ?

— აჭაურობა არ მოეწონა... სანგრევში არც ღვინოაო, არც ქალებიო, არც კარტი და კამათელიო... ასე რომ მცოდნოდა, აქ ფეხსაც არ ჩამოვდგამდიო, და წავიდა.

ჯიბრალი ყველაფერს მიხვდა, გაიციონა და მეგრე ამ თემსზე ხმაც არ ამოუღია.

მაგრამ ჯიბრალის ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ თუ რეციდივისტებმა თავისას მიაღწიეს და ხალხი დააშინეს, მაშინ იქ ყველაფერს ბოლო ეღება — წესრიგსაც, პატიოსან შრომასაც, ამზანგურ და მეგობრულ ურთიერთობებსაც... რეციდივისტებს — მოპოვებულის ხელიდან გამშვება არ უყვართ. ისინი არაფერს, თვით მკვლელობასაც კი არ მოერიდებიან, ოღონდ კი მოპოვებული შეინარჩუნონ და სხვისი შრომის ხარჯზე უსრუნველად იცხოვრონ.

დურმიშხან ზენაიშვილი ჯიბრალის რამდენჯერმე, შემთხვევით ჰყავდა ნანახი. გუმანით მაშინვე მიხვდა, რომ ეს „ჩორნა კაპიტანი“ რეციდივისტების ყველაზე საშიშ, თავზეხელაღებულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ზენაიშვილი ორმოც წელიწადს კარგად გადაცილებული იყო. ერთთავად აღრეწილი განმომტყველება ჰქონდა. ლაპარაკი არ უყვარდა და თუ როდესმე ხმას ამოიღებდა, მაშინაც ძალღივით აყუფდებოდა ხოლმე. ეტყობოდა, უკუღმართი ცხოვრება, ქურდობა, გაუთავებლად ციხეში გდება მოგზარებული ჰქონდა და ციხეში მიბრუნებას აღარ აპირებდა. შრომა კი არ შეეძლო და სძულდა. სულ უბრალო საქმე, ბივის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაწევა რომ გუთხოვათ, მძიმე შეურაცხყოფად მიიღებდა და თვალები სიხსლით აეგებებოდა ხოლმე. მან კაიმაშიშვილი ფალთაბანდობასა და სიფალბეში მალე გამოიჭირა, შეაშინა და კისერსე დააჯდა... შახტიში კვირაობით კი არა, ხანდახან თვეობითაც კი არ ჩაიხედავდა, კარგი ხელფასი კი მუდამ უსრუნველყოფილი ჰქონდა.

ჯიბრალი ბუნებით მართლაც პატიო-

სანი, ალაღმართალი კაცი იყო. მას სულის სიღრმეში არც კი სჯეროდა, რომ პატიოსნებისა და წესრიგის მომხრეებია. თუ დამყარებისათვის შეიძლებოდა მისთვის დანა დაერტყათ, ან რევოლუერი დაესალათ. ამიტომ ზენაიშვილისა მას ერთი წუთითაც კი არ შეშინებია. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უბანზეც წესრიგი დამყარებინა და ის მძიმე პირადი შეურაცხყოფაც ჩამოერეცხა, მაშინდელ კრებაზე რომ მიაყენეს. უძილო ღამეებში ხშირად გამწარებული ფიქრობდა ხოლმე, თუ ეს ვერ გაეაკეთე, ჩემი კაცობა და მთელი ჩემი ცხოვრება ჩირადაც აღარ ეღირებოდა. მაგრამ ასლა აღარ იცოდა, ვისგან დაეწყო, — კაიმაშიშვილისა და მისი „რეკორდსმენებისაგან“, თუ დურმიშხანს ზენაიშვილისგან. ამაზე ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, როგორც საქმე მოითხოვს, ისე იყო. დურმიშხანიც ხორცმეტი და მისი პირადი მტერი იყო, კაიმაშიშვილის აფანჯავანებიც მუქთაზორები და მისი პირადი მტრები იყვნენ. ისე კი, რა თქმა უნდა, მაინც კაიმაშიშვილისა და მისიანებისგან დაწყება სჯობდა: პატიოსანი მეზობლები ამათ უფრო შეუბედავდნენ, ზენაიშვილთან შეშინა კი შეიძლებოდა მორიდებოდნენ და მაშინ ჯიბრალი მარტო დარჩებოდა.

კაიმაშიშვილი აღარც ჯიბრალის ესალმებოდა, აღარც ტარიელ გოგისგანიძეს და აღარც ნესტორიას. ისეთი გააგებული იყო, რომ ჯიბრალიმა რამდენჯერმე ისიც კი იფიქრა შგონი, ამათ ზენაიშვილს აღარც კი დააცალოს და ტყვეთა თვითონვე დამახალსო. მაგრამ ჯიბრალი არაფერს იმჩნევდა და თავის საქმეს ჩვეული გულმოძგინებით აკეთებდა.

ათიოდე დღეში კვარტალიც ჩათავდა. დადგენილი წესებიდან გადაბგვევა ვერც კაიმაშიშვილმა გაბედა და სახუთშაბათოდ უბნის საერთო კრება დანიშნა. შახტზე კი უკვე მებვიით იყო გაგარდნილი, ჯიბრალიმა კაიმაშიშვილს პირდაპირ უბრძანა, ნესტორია ბუბაშვილს ერთი გრამი გამოწამეშვარი აღარ დააკლოთო. ყველა გრწნობდა, რომ ეს დიდი ბრძოლის დასა-

წყისი იყო და უბნის საერთო კრებას მთელი შახტი მოუთმენლად ელოდებოდა.

ხუთშაბათ საღამოს შახტის კლუბი ხალხით გაიჭედა.

პრეზიდიუმში, ჩვეულ განაპირა სკამზე კაცრიელ არჩაიძე იჯდა. ისევე ამრეზით იტყირებოდა, როგორც ყოველთვის. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამბობდა, ეს ქვეყანა მაინც ჩალად არა ღირს და ან თქვენ რატომღა წვალბოთ და ან მე რატომ მაწვალბოთ. მიტუშა კაიმაშიშვილი წამოდგა, ზარი გააწვარუნა და გამოაცხადა, უბნის საერთო კრებას გახსნილად ვაცხადებ, გთხოვთ, თავმჯდომარის კანდიდატურა დაასახელოთ.

— გურამ ყარაულაშვილი! — მოისმა დარბაზიდან იმწამსვე.

ყარაულაშვილი კაიმაშიშვილის კაცი იყო. აშკარა გახდა, რომ კაიმაშიშვილი ამ კრების ჩატარებასაც ჩვეული ხერხებით აპირებდა.

— სხვა კანდიდატურა ზომ არ არის? მაშინ გთხოვთ...

— არის! — მოისმა უცერად შუა დარბაზიდან. საკუთარი გამბედაობისგან ფერწასული ტარიელ გოგისვანიძე წამოდგა და მის წინ მდგომი სკამის შურგს ორივე ხელით მაგრად ჩაეჭიდა, — მე ერთი უნდა განვაცხადო, ამხანაგებო: დღეს აქ იმისათვის კი არ შეგვრებილვართ, რომ, როგორც უწინ ვიცოდით, აბა ჰეი, ერთი, ორი, გაუმარჯოს, წინ და — ჰაიდა, დაფიშვებოდი. არა! ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი სატკივარი დაგვიგროვდა და ეს ყველაფერი დღეს აქ უნდა ითქვას.

— შენს სატკივარზე ლაპარაკს აქამდე ვინ გიშლიდა? — აგდებით ჰკითხა ტარიელს მიტუშამ.

— ვე სწორედ დღეს გამოირკვევა. ჩემი წინადადებაა, კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხანაგი იასონ ხურციძე.

— კაცო, თავმჯდომარე ვინც იქნება, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— დიასაც, რომ აქვს!

— აბა, სულ კაიმაშიშვილის ხალხს რატომ აყენებენ? დღეს იასონა იყოს!

— იასონა, შიჭო, თვარა...

— გაიწი იქით!

— კენჭი ვუყაროთ, კენჭი! ფერწასული კაიმაშიშვილი იქვედებოდა გახდა, ხმები დაეთვალა. დიდხანს მოაგროვა. ვეებერთელა, მოუქნელი იასონი წამოწითლდა, პრეზიდიუმში ავიდა და დარბაზს დაბნეულად გადმოსხედა:

— მე, რასაკვირველია, ასე ვიტყვოდი, ამხანაგებო, რომ... ერთი სიტყვით, აქ ხალხმა სიმაართლე უნდა ილაპარაკოს. აგერ, ამხანაგი არჩაიძეც აქ ბრძანდება და...

— როდის იყო, კრებას ჩვენში ტყუილების სალაპარაკოდ რომ იწვევდნენ? — კაიმაშიშვილმა იასონს ზიზღით გახედა.

— მე მაგას არ ვამბობ, მაგრამ...

— მოიცა, შენ თავმჯდომარეც! — ჯერ მდივანი აგვარჩევინე.

— კრების ჩატარებას უმდივნოდ აპირებ?

— აი, ქკეის კოლოფი!

— დღეს აქ ოქმში ყველაფერი უსუსტად უნდა ჩაიწეროს.

მდივანად ამწმენდი ჯაჭვლიანი აირჩიეს.

— ახლა... სიტყვა ეძლევა ამხანაგ კაიმაშიშვილს.

კაიმაშიშვილმა მოკლედ და უხალისოდ ილაპარაკა. ამდენი ხანი, უბნის უფროსად იყო და კრების სადავეები ხელიდან პირველად გამოსტაცეს. მოხსენებაში დიდად არც ვინმე შეუჭია და არც ვინმე გაუკრიტიკებია. საერთო სურათი კი ისეთი იყო, რომ უბანი კარგად მუშაობდა და მთელ ქალაქში ერთი მოწინავეთაგანი იყო. ნათქვამის დასადასტურებლად მიტუშამ რამდენიმე ციფრიც დაასახელა და დაჯდა.

მისმა თავგამოდებულმა მომხრეებმა — ასე, ოცდაათ კაცამდე თუ იქნებოდა, — ტაში დასცხეს. ტაში დანარჩენებმაც დაუკრეს, მაგრამ აუღელვებლად გულგრილადაც კი უკვე მრავალი წელი იყო, უბანს საერთოდ კარგი მაჩვენებლები ჰქონდა, ამას ყველა მიეწვია და აღარავის უკვირდა.

— გთხოვთ ვისაც კამათში გამოსვლა სურს, ხელი ასწიოს. — იასონი წამოდგა.

ყველაზე სწრაფად ხელი გურამ ყარაულაშვილმა ასწია, სწორედ იმან, ვინც კაიმაშიშვილს თავმჯდომარედ უნდოდა.

— მე დღევანდელმა კრებამ თავისებურად უნდობლობა გამომიცხადა, მაგრამ ჩემი სათქმელი უნდა ვთქვა. ჩვენი უბანი, რომელსაც ამხანაგი კაიმიამიშვილი ასე უნარიანად ხელმძღვანელობს, უკვე რამდენიმე წელიწადია, მოწინავეა, ამხანაგებო! ეს კი უბრალო და პატარა საქმე არ არის. ამას ჩვენ თითქოს მივეჩვიეთ და აღარაფრად ვავდებთ, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ეს საქმე ნამდვილად საამაყოა. — ყარაულაშვილმა ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო. — ამხანაგმა მიტეუშმა აქ ციფრები მოიყვანა. მე მათ აღარ გავიმეორებ. მაგრამ თუ სხვა უბნის მანქანებლებს შევადარებთ, გამოირკვევა, რომ საქმე მართლაც ჩინებულად არის დაყენებული. მე შემიძლია ეს ციფრები დაგისახელოთ...

— არ გვინდა!..

— რაო. რატომაც არ გვინდა!

— საჭირო რომ ყოფილიყო, თვითონ კაიმიამიშვილი წაიკითხავდა.

— თქვენ, ვისაც გერჯარებათ, წადით. მაგ რიცხვებში მთელი ჩვენი რაობა მოჩანს.

— ჩემი რაობა მე ისედაც კარგად ვიცი. ვე ციფრები მე არა მჭირდება.

— თქვენი ნებაა. — ყარაულაშვილმა ქაღალდი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

— სიტყვა ეძლევა ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს! — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

ჯიბრაილი ტრიბუნაზე მშვიდად ავიდა, ჯიბიდან რაღაც ქაღალდები ამოიღო და წინ დაილაგა:

— ამხანაგებო! არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ამავე დარბაზში, ჩვენივე უბნის საერთო კრებაზე მიტეუშმა კაიმიამიშვილმა და მისმა ამხანაგებმა, რომ იტყვიან, შავი დღე მაყარეს და ალაიაში გამატარეს. იმ დღის გახსენება კარგა ხანს ჭირის თფლს მასხამდა...

— მაგარი მეხსიერება გქონია! — მოისმა დარბაზიდან დამცინავი ხმა.

— აცალეთ!

— მაგისტანები არ იყოს!

— ვე ამაზე დიდ უბანს ხელმძღვანელობდა.

— ლაპარაკი დააცალეთ!

— დიას!.. თქვენ, ალბათ, ისიც გაბსოვთ, რომ მაშინ თავის განამართლებლად ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოვახერხე და კარგა ხანს მაწვალებდა იმისი ფიქრი, რომ ხალხს, ვინც იმ კრებას ესწრებოდა, ალბათ, მართლაც ისეთი არამზადა ვგეონე-მეთქი.

— ვე ერთი წუთითაც არავის უფიქრია!

— დააცალეთ!

— ხალხო, დააცალეთ! ასე თუ ვიხმურეთ, ეს კრება ხვალ დილაშე აღარ გათავდება.

— სიჩუმე!..

— დიას... მაგრამ რაც მაშინ იყო, იმაზე ახლა ლაპარაკი დაგვიანებულია. ახლა უკეთესი იქნება, თუ ჩვენი უბნის დღევანდელ მუშაობას, ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას ჩავუკვირდებით. და აი, სწორედ ამაზე მინდა, ორიიდე სიტყვა მოგახსენოთ. და თუ ამის შემდეგ ზოგიერთი ამხანაგი ისევ მაშინდელ ბრალდებას გამიმეორებს, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი კაიმიამიშვილს ძირს უთხრის და მისი თანამდებობა სწადიან, ის ამხანაგი შემიძლია ახლავ დავამშვიდო: მე, ამხანაგებო, სულ რვა კლასის ცოდნა მაქვს. არაერთადი სამთო განათლება მე არ გამაჩნია. უბნის უფროსად იმიტომ ვმუშაობდი, რომ... რა ვიცი... მე თვითონაც არ ვიცი... სიმართლე რომ ვითხრა, უბრალო მებიგეობა ყველაფერს მირჩევნია, შენს საქმეს რომ მოათავებ, სახლში მიბრუნდები და აღარ ეტანჯავს იმის ფიქრი, ვაი თუ უბანზე რაიმე უკუღმართი მოხდაო. და ამ უბრალო მებიგეობას მე არაფერზე არ გავცვლი.

— ჰოდა, ავაშენა ღმერთმა!

— კარგ ჭკუაზე ყოფილხარ!

— დიდმა და პატარამ იცის, რომ შენ თანამდებობისა და დიდგვარობის შიძინებელი არა ხარ. დიდმა და პატარამ!

— სიწყინარე!

— დიას... ჩემი აზრით, მე გულახდილად მოგახსენებთ. მაგრამ ამ ჩვენს უბანზე ახლა საქმე ისაა, რომ ჩვენ ყველანი — უბრალო მებიგეებიც, ამწყენდებიც, მემონტაჟებიც, ჩამოშტეტვლებიც — გამოუკ-

ლებლივ ყველანი. მოვალენი ვართ, ახლა-
ვე ხმა ავიმალლოთ და ყველა იმ უმსგავს-
სოებას, რაც ჩვენს უბანზე ხდება, საბუღალ-
მოდ ბოლო მოვუვლოთ.

— ოპო!

— დიახ!..

— ჩვენი უბნით მთელი ქალაქი ამა-
ყოფს.

— შენ, გეტყობა, არ გაგიგია.

— ძირს!

— ძირს ხელთუფლიშვილი იქნება, თუ
სხვა ვინმე, მაგასაც დაენახავთ.

— განაგრძე, ჯიბრაილ!

— შემინება აღარავინ დაგვიპიროს.

ის დრო მოკვდა!

— განაგრძე!..

— დიახ... ალბათ, უკეთესი იქნება, თუ
ყველაფერს დალაგებით მოგახსენებთ. ამ-
ხანაგმა კაიმაშიშვილმა უბნის მდგომარეო-
ბა აქ ზოგადად დაახასიათა. ეს ზოგადი
მდგომარეობა თითქოს მართლაც დამკ-
მაყოფილებელია. მაგრამ, ამავე დროს,
ჩვენს უბანზე ხდება ის, რისი მოთმენა
კი არა, რისი წარმოდგენაც ჩვენს დროში...
მე არ ვიცი. ამხანაგებო, აქ რა სიტყვა ვიბ-
მისო. ჩვენს უბანზე ხდება ადამიანისა და
მისი შრომის, მისი ნაჯაფის გაზიარება,
გაუფასურება, აბუნად აგდება. ჩვენს უბ-
ანზე მეუფობს ტყუილი, თვალეზი ნაც-
რის შეყრა, გაუტანლობა, წამგლეჯობა,
მშრომელი ადამიანის ძარცვა და მოტყუე-
ბა. ჩვენს უბანზე ხდება ის, რის წინააღმ-
დეგაც მთელი ჩვენი ხალხი უკვე რამდენი
წელიწადია თავდაუზოგავად იბრძვის.

— ფაქტები! — იყვირა ფერწასულმა
კაიმაშიშვილმა და ზეწამოიჭრა. — ეგ
ზერელე ლაპარაკია. შენ ფაქტები მოგვი-
ყვანე.

— გაახლებ. ახლავე ფაქტებსაც გაახ-
ლებ. ოღონდ შენ მანდ დაჯექი. აი, ამხა-
ნაგებო, ფაქტებიც: ჩვენ გვეუბნებიან, და
საბუთებშიც ასე სწერია, რომ გასული
თვის ოცდაექვს რიცხვში მესამე ცვლაში
მნგრველმა ტიტოვო კარიჭაშვილმა, —
იცნობთ, კაიმაშიშვილის ახლო მეგობარ-
ია, — ქვანახშირის მონგრევის პირადი
გვემა ასოთხმოცდაშვიდი პროცენტით შე-
ასრულა. შეიძლება თუ არა ეს? შეიძლება.

ჩვენ უფრო დიდი მაგალითებიც ვიცი.
სხვა თუ არა, სტახანოვის მაგალითი გვეს-
სოვს. მაგრამ ახლა ესეც ვიცით: თუ
კარიჭაშვილმა მონგრევის გვემა 187 პრო-
ცენტით შეასრულა, იმ მეზობესაც, ვინც
კარიჭაშვილის ნაკვეთი გაამაგრა, თავისი
გვემაც ხომ ასეთივე გადაჭარბებით უნდა
შეესრულებინა? რა თქმა უნდა, ასე უნდა
ყოფილიყო, სხვანაირად არც შეიძლება. ეგ
კი არა, იმხელა საქმეს ერთი მეზობე ვერც
კი აუვიდოდა. მაგრამ არა, იმ ნაკვეთზე
ჭეიშვილის გარდა არც ერთ მეზობეს არ
უშუშაენია და ამასაც თავისი გვემა სულ
101 პროცენტით შეუსრულებია. ეს რო-
გორ მოხდა? მაგრამ ესეც არაფერი.
ვთქვათ. ჭეიშვილს პროცენტები გადაუნა-
წილეს და იმ დღეს ზედმეტი გამონამუშე-
ვარი შემდეგ დღეებში დაუწერეს. ასეთი
რამ შეიძლება. მაგრამ იმ დამეს საწყობი-
დან ზედმეტი ხე-ტყე ხომ უნდა მოეთხო-
ვათ? ის ზედმეტი ხე-ტყე ხომ უნდა ჩე-
შიდათ, მოემზადებინათ, დაეწყოთ? მე
ეს საქმე შევამოწმე, ამხანაგებო. სიმათლგ
ყველაფერს სჯობია. პირდაპირ გამომძიე-
ბლობა დავიწყო და უნდა მოგახსენოთ: იმ
დამეს საწყობიდან არავის ერთი მტკავე-
ლი ზედმეტი ხე-ტყე არ მოუთხოვია და
არავის იმ დამეს საწარვეში არც ერთ
ცალი ზედმეტი ბიგა არ მიუტანია. ამ გა-
მოტანაზე რას იტყვიან? ვერაფერს. არა-
და, ეს ამოცანა ძალიან ადვილი ამოხახს-
ნელია: არავითარი 187 პროცენტი იმ და-
მეს კარიჭაშვილს არ მოუნგრევია. ალბათ,
თავისი ნორმა თუ შეასრულა. ისიც ვინ
იცის, კაიმაშიშვილმა კი, როგორც ეს
არაერთხელ უქნია, სხვა მნგრველების
ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი პროცენტი
გამონამუშევარი დააკლო და კარიჭაშვილს
მიუმატა. ასეთ საქციელს კი რა ეწოდება?
დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებ-
დით.

ჯიბრაილისგან ამ სვლას არავინ ელო-
და. ან ყველაფერი ამის შემოწმება როდის
მოსწრო? რას ნიშნავს საქმის მცოდნე
და დაკვირვებელი კაცი!

კაიმაშიშვილსა და მისიანებს სათქმელი
აღარაფერი ჰქონდათ, დაიბნენ და ენა
ჩაუვარდათ. ჯიბრაილის მომხრეებმა კი

იგრძნეს, რომ ამ კრებაზე საქმე ჩვეულებრივი აფლამაყალითა და აურზაურით არ გათავდებოდა. მათი წინამძღოლი მომზადებული ჩანდა და საქმე სრული გამარჯვებით უნდა დაეგვირგინებინა. ტარიელ გოგისვანიძემ და ბიკენტი ჯარიაშვილმა ერთმანეთს გადახედეს და შვებით ამოიხუნთქეს. იასონ ხურციძე კი პრეზიდენტიდან ისე ამაყად იყურებოდა, თითქოს ის უკუღმართი საქმეები ჯიბრაილის მაგიერ თვითონ მას გამოეშვეურებინოს.

— ეს ყველაფერი არ არის, ამხანაგებო! — განაგრძო ჯიბრაილმა. — თვალის ახვევინის, სიცრუის მაგალითები შე შემიძლია აქ ათობით და ასობით მოვიყვანო. მაგრამ, იქნებ, ეს საჭირო არც კი იყოს. სულ ორიოდე მაგალითს კიდევ მოგიყვანო. უბანზე გეგმა სულ 104 პროცენტით შესრულდა. ეს კარგია. მაგრამ რატომაა, რომ მონგრეული ქვანახშირის ძალიან დიდი ნაწილი ქვედა სანგრევზე მოდის? ვითომ, იქ ზედაზე უკეთესი პირობებია? არა. თქვენ ყველამ იცით, ეს რატომაც ხდება: უბნის „რეკორდსმენები“ სულ ქვედა სანგრევში მუშაობენ. მე ახლა არ მინდა, მარკეშიდერების მუშაობას შევუბო, ისინი მეოდნე ხალხია და ჩემგან არაფერი ესწავლებათ, მაგრამ, ჩემი აზრით, იმათაც მეტი დაკვირვება მართებთ. სიცრუე და სიყალბე მაინც არ დაიშალა, მაგრამ, რაც უფრო ადრე გამოვაშკარალებთ, მით უფრო უკეთესი იქნება. ჩვენი უბნის მთავარი უმედურება სწორედ ეს არის, ამხანაგებო. საერთო მანქანებლები, საერთო ციფრები კარგია, მაგრამ თუ ამ ციფრებს ცოტათი მივწევ-მოვწვეთ და სიღრმეში ჩავიხედავთ, ბევრ უმსხვადასებებს დავეინახავთ. კაიმიამიშვილს ჰყავს თავისი „რჩეულები“, რომლებიც სხვის ნაშრომს ითვისებენ და ჰყავს იმე, უბრალო ხალხი, ვისაც ნაშრომს ართმევენ, ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, მაგრამ საქმე რაოდენობაში ხომ არ არის. ეს უმსხვადასებად აღარ უნდა იყოს. სხვა კი მე კაიმიამიშვილთან სადაღო არაფერი მაქვს.

- მეტი რაღა უნდა გქონდეს?!
- არ ვიცი, ღმერთმანი!
- მაგაზე უარები რაღა იქნება!

— კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

— საკმარისია.

— ამისთანა სიმართლე კარგა ხანია, აღარ მომისმენია.

— ყოჩაღ, ჯიბრაილ!

როცა ჯიბრაილი ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, უცრად დარბაზის უკანა მხრიდან რაღაც მძიმე ხმაური მოისმა: მონგრეული ტიტოვო კარიბაშვილი დარბაზიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა.

— გავცინაწყენდა.

— სხვის ნაოფლარს რომ ითვისებდა, მაშინ კარგ გუნებაზე იყო.

— წინ წყალი და უკან მეწყერი.

იასონ ხურციძემ ზარი გააწკარუნა:

— სიწყნარე, ამხანაგებო! სიტყვა ეძლევა შახტის უფროსს.

ყველა არჩაიძეს მიაჩნდა. კაცრიელი კი არც წამომდგარა, ისე იკითხა:

— მე ვერ გამიგია... ხელთუფლიშვილი ამბობს, უბანს კარგი მარქენებლები აქვსო. მაგრამ თუ უბანზე სიყალბე, სიცრუე, თვალისახვევა და ასეთები ხდება, ამ კარგ მარქენებლებს როგორღა აღწევენ?!

— ეგ თქვენც იცით! — სეტყვასავით წამოთიდა აქეთ-იქიდან.

— თავს ნუ იბავშვებთ, ბატონო კაცრიელ!

— თვითონ კაიმიამიშვილს ჰკითხეთ და აგისწიოთ.

— ემუშაობთ და მარქენებლებიც გვაქვს! კაცრიელი წამოდგა, ხელი ჩაიქნია და დარბაზიდან გავიდა.

მაგრამ კაიმიამიშვილის ხალხს ფარხმალი ასე უცბათ არ დაუყრია. სიტყვა ცნობილმა ყიამყრალმა არდალიონ ყაჭვიშვილმა ითხოვა:

— აქ ისე გამოვიდა, თითქოს კაიმიამიშვილი ქვეყნის დამაქცევარი იყოს და ხელთუფლიშვილი — აღმშენებელი. მაგრამ თუ ასეა, მაშინ რატომაა, რომ კაიმიამიშვილს ჯილდოებით და პრემიებით ავსებენ, ხელთუფლიშვილი კი, — ყველას კარგად მოგეხსენებათ, თავისი უბნიდან გამოაბრძანეს? და ვინ გამოაბრძანა, თქვენ ისიც კარგად იცით. სარდიონმა, ჩემო ბატონო! სარდიონმა გამოაბრძანა. სარდიონ-

ნი კი დღეს ტრესტის მმართველი ბრძანდება. თუ არ ვარგა და ხალხის ცნობა და დაფასება არ იყოს, მაშინ რატომ დააწინაურებს? პოლი... ერთი სიტყვით, მე ჩემსას ვერავინ წამართმევს.

და ტრიბუნდიან ჩამოვიდა.

— შენსას ვინ გართმევს?!

— თვითონ რომ სხვებს ართმევთ, ლაპარაკი ამაზეა.

— რა შეილი ხარ, არდალიონ, შენსას ვინმეს გაატანს?!

— ხარდიონი გაიხსენა!

— ნესტორია ბუბაშვილს რომ ნამუშევრს წაართმევს, იმას აღამიანი ჰქვია?!

— გარეწრები!

კრება კიდევ კარგა ხანს ბოზოქრობდა. ტრიბუნდაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჯიბრაილისა და კაიმაშიშვილის მომხრეები. ბოლოს მაინც აშკარა გახდა, რომ ჯიბრაილის ხალხმა გაიმარჯვა. კაიმაშიშვილმა საბოლოო სიტყვაში უგემურად ჩაიბურტყუნა, ჩემი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს გავითვალისწინებ და ამიერიდან უბანზე არავითარ სიყალბეს აღვლი აღარ უქნებამო. კრების მონაწილეებს ეს სიტყვები ისე მოეწონათ, რომ კაიმაშიშვილს ტაშიც კი დაუკრეს.

კრება ნაშუადღევს დაიშალა. ოღონდ ეს კი იყო, რომ დურმიშხან შენაიშვილი კრებაზე არავის უხსენებია.

ჯიბრაილმა გაიმარჯვა. მაგრამ მეორე დღიდანვე მისი წამებაც დაიწყო. საკმარისი იყო, რომელიმე მემსახტეს კაიმაშიშვილის ესა თუ ის ბრძანება, ან მითითება არ მოსწონებოდა, რომ მაშინვე ჯიბრაილთან გარბოლა, — ნახე, როგორ დავალუბას მაძლევს, ამისი შესრულება თუ შეიძლებაო. ორჯერ თუ სამჯერ შახტიდან ახლად ამოსული დადლილ-დაქანცული ჯიბრაილი იძულებული გახდა, ისევ შახტში ჩაბრუნებულიყო და კაიმაშიშვილის ბრძანების სისწორე შეემოწმებინა. ის ბრძანებები სამიჯერ სწორი გამოდგა, მაგრამ ხანამ ჯიბრაილის დასტურიც არ მიიღეს, არც ერთმა მემსახტემ თითოც კი არ გაანძრია.

უბნის უფროსად ისევ კაიმაშიშვილი ითვლებოდა და, კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი ეშლებოდა, მუშაობა ნამდვილად

შეძლო და არც თავს იზოგავდა, მაგრამ მემსახტეების უმრავლესობა ჯიბრაილს უფრო ენდობოდა. და არაეინ-იტოდა, ასე ხანამ უნდა გაგრძელებულიყო. კაცრიელ არჩაიძეს ერთხელ ისიც კი უთქვამს, მაგას რაიმე დიპლომი რომ ჰქონდეს, კაიმაშიშვილს ნამდვილად გავიმეტებდი და მაგას დაენიშნავდი, მაგრამ ერთი ფარატინა ქალადიც კი არ გააჩნია და როგორც კი დაენიშნავ, დამიანე ჭყონია მაშინვე მომასხნევიანებო, საერთოდ, კაცრიელ არჩაიძემ კაიმაშიშვილზე გული ძალიან აიყარა და ახლოს აღარ იკარებდა.

• • •

ირინე ამჩნევდა, რომ ჯიბრაილი შახტიდან ჩვეულებრივზე უფრო დადლილი მოდიოდა და მერე ტელეფონითაც ადრინდელზე უფრო ხშირად ურეკავდნენ, აწუხებდნენ, ვთათბირებოდნენ. მაგრამ ამისათვის ირინეს დიდი ყურადღება არც კი მიუქცევია. ჯიბრაილი გამოცდილი, სახელიანი მემსახტე იყო და მისი რჩევა-დარიგება, რა თქმა უნდა, ბევრს დასჭირდებოდა. ალბათ, უბანზე რაიმე სირთულეები წამოიჭრა. ირინე თვითონაც სამთო ინჟინერი იყო და იყოდა, რომ ასეთი ამბები შახტზე ხშირად ხდებოდა. იმ ვიწრო ადგილებს დასძლევენ და მერე ყველაფერი ძველებურადვე წავა. მორჩა და გათავდა. რაიმე განსაკუთრებული რომ იყოს, ჯიბრაილი ირინეს თვითონვე ეტყობა.

მაგრამ ასე იყო, თუ ისე, ჯიბრაილი მაინც ადრინდელზე უფრო დადლილი და გაწვალებული ჩანდა. ამიტომ ირინემ გადაწყვიტა, რაც გამოცდების დაწყებამდეა საჭირო, იმას ყველაფერს მე მოვაგვარებ, ჯიბრაილს არც კი გავაგებინებო. მართლაც, ყველაფერი მოაგვარა, მიწადორა შუბლამის ხელით ფილიპე გობრონიძესა და ვარლამ ქორეოლიანს გასაგზავნი გაუგზავნა და ერთ საღამოს ჯიბრაილინ ოთახში ფეხაკრეფით შევიდა, თან სახეზე ბავშვური, ანცი ღიმილი უთამაშებდა.

— ჯიბრაილ, გძინავს?

— ა? — ტახტზე პირდაღმა მწოლარე ჯიბრაილმა თავი მოაბრუნა და ცოლს

ძილმორეული, ჩასისხლიანებული თვალე-
ბით შეხედა. — არა. რა იყო?

— ყველაფერი მზად არის.

— რა ყველაფერი? — ჯიბრალი მძი-
მედ წამოჯდა და თვალები მოიფშვინტა.

— ხვალ ქართული წერა გაჭვს, — ირ-
ინემ ჯიბრაილს ეს უთხრა, მივარდა, კი-
სერზე მოეხვია და რამდენჯერმე აკო-
ცა. — გეშინია? ნუ გეშინია. მინადორა
შუბლაძე...

— ვინ მინადორა შუბლაძე?!

— აღარ გახსოვს? სანგრევეში რომ
ეპატყეებოდი.

— ჰოო, ის... შერე?

— არაფერი: ხვალ დილას ცხრა საათ-
ზე ბატონ ვარლამთან უნდა ვიყო.

— სამუშაო?

— არ ვიცი. ხვალ დილას — გამოც-
დაზე!

— შენი სამსახური?

— ეგ შენ არ გეხება.

ჯიბრაილმა შახტზე დარგვა და მორიგე
გააფრთხილა, ხვალ სამუშაოზე მოხვლა
დამავიანდებო.

პირველმა გამოსვლამ შედარებით უმტკი-
ვნეულოდ ჩაიარა.

სკოლის ესო თეთრ-ლურჯად ჩაცმული
ბავშვებით იყო საესე. ისეთი უვიღლ-ხივი-
ლი იდგა, რომ ადამიანს ორ ნაბიჯზე ვე-
რაფერს გააგონებდით. ჯერ ზარი დარგვი-
ლიც კი არ იყო, რომ ვიღაც ხნიერმა, ერთ-
ნიანად მელოტმა კაცმა ჯიბრაილი ცალკე
საკლასო ოთახში შეიყვანა. რაკი მოსწავ-
ლის მერხი ეპატარავა. მასწავლებლის მა-
გიდასთან დასვა, წინ ბეჭედდამსული წი-
თელი ფანქრით დანომრილი სუფთა ქაღა-
ლდები დაუწყო და უთხრა, თემა ამასზე
დასწერე, ოღონდ გვარი და სახელი არ
მოაწერო.

— რა დაეწერო?

— თემა. წელს, მაშასადამე, ჩვენთან
ასეთებია: „ქალთა სახეები ვეფხისტყაო-
სანში“. „დავით გურამიშვილი“ და „კო-
ნსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის
ცისკარი“. ერთი თემა, მაშასადამე, არის
ძველი ქართული ლიტერატურიდან; მეო-
რე, რასაკვირველია, იქნება გურამიშვილი,

ესე იგი, აღორძინების ხანაა და... შეხამე,
მამასადამე, ჩვენი თანამედროვეობა —
„კოლხეთის ცისკარი“. აარჩიე და... აბა,
შენ იცი, — მელოტმა ჯიბრაილს მსარზე
ხელი გამანხვებულად მოუთათუნა და გა-
ვიდა.

ჯიბრაილს არაფერიც არ დაუწერია.
მთელი ერთი საათი თუ საათნახევარი
იჯდა, იმ სუფთა ფურცლებს უაზროდ
დასრერებოდა და ირინეს გულში ათას-
ნაირ წყველა-კრულვას უთვლიდა ამ
დღეში რატომ ჩამავლო. მერე ისევ ის
მელოტი შემოვიდა, ჯიბრაილს თავზე და-
ადგა და სუფთა ფურცლების დანახვასზე
წარბები აწკიაა:

— ხულ არაფერი არ დაგიწერია?

— არა, — ჯიბრაილმა მხრები აიჩჩია.

— კმ!... რატომ მერე, შე კაცო! „ვეფ-
ხისტყაოსანი“, აღორძინება და, აგერ,
ჩვენი თანამედროვეობა. ა? „კოლხეთის
ცისკარი“ არ წაგივითხავს? თუმცა... —
მელოტმა ხელი ჩაიქნია, — კარგი! ვნა-
ხოთ, თავისუფალი ბრძანდები. ნიშანს
ერთ საათში შეიტყობ. — ის ცარიელი
ფურცლები აკრიფა და გავიდა.

ესოში გამოსულ ჯიბრაილს ირინე და
მინადორა შუბლაძე შეეგებნენ. ჯიბრაილს
მინადორასი მოერიდა, თორემ შეიძღბო-
და ირინესთვის კარგები ეკადრებინა. მი-
ნადორამ კი ხელი გამოუწოდა, მოიკითხა,
გამხსნევა, — გადაჩვეული ხარ, თორემ
გამოცდის ჩაბარებას რა უნდაო, — და რო-
ცა გაიგო, ნიშანს ერთი საათის შემდეგ
გამოაცხადებენო, საშინლად აღმფოთდა:

— შენისთანა კაცს აქ დასაკარგავი
დრო სად ექნება! ერთი წუთი მომიცადეთ.

სკოლაში სწრაფად შევიდა. იქ რომე-
ლიდაც ოთახის კარი შეაღო. თითქმის
იმავე წუთში გამობრუნდა, ესოში გამოგა-
რდა და ცოლ-ქმარს შორიდანვე მოაძახა.
ოთხიანი, ოთხიანიო. მოვარდა, ორივე გა-
დააქოცნა და სხაპა-სხუბით მიაკარა:

— ხულ უმნიშვნელო შეცდომები და-
გიშვია... ხუთიანის დაწერაც შეიძლებოდა,
მაგრამ არ გვიანდოდა სალაპარაკო გამხდა-
რიყოო. რაც უნდა იყოს, მაინც ექსტერ-
ნი გქვია. აბა, ახლა კი ნახვამდის, ჩემო
გუგულებო, ცოტა მეჩქარება. ზგე დილას

ქართული ზეპირი. სრულ ცხრა საათზე. თავჩაღუნული ჯიბრაილი და ბედნიერად მომღიშარი ირინე გამოტრიალდნენ. ცოლი და ქმარი იმ დღეს ერთმანეთს არც კი გამოლაპარაკებინან: ჯიბრაილი ხანიათზე არ იყო, ირინეს კი ეწინააღმდეგებოდა, ხმა რომ გაეცე, ვაი, თუ შემომიყვიროსო. ირინე კარგად ხედავდა, ჯიბრაილის გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა.

ვეფსი საათი იქნებოდა, როცა შახტიდან დარეკეს. ყურმილი ირინემ აიღო და ჯიბრაილს უთხრა: შენ გთხოვესო. ჯიბრაილმა ყურმილი გამოართვა და... მიტუშა კაიმაშიშვილის ხმა გაიგონა:

— ჯიბრაილი ხარ?

— მე ვარ.

— დღეს რატომ შახტზე არ მოხვედი?

— საქმე გამომიჩნდა. აკი დაერეკე.

— ვიცი, რომ დარეკე. მაგრამ საქმე მაგამი არ არის. თუ ღმერთი გვამს, თუ ჩემი აღამიანობის კიდევ გჯერა, ყველაფერი მიატოვებ და ახლავე უბანზე მოდი.

— ისეთი რა მოხდა?

— მეტი რაღა მოხდება, ძმაო! დგას მელენტი ჯარიაშვილი, დაყრდნობია ამ პნევმატურ ჩაქუნს და ხელის განძრევას კი არ აპირებს — ჭერი არ შეიშველებო. არადა, ჭერი სარკესავითაა მოკრიალებული. ჯიბრაილმა გადაწყვიტოსო. ვეუბნები, შე უკუღმართო, ჯიბრაილი რა მოვალეა, დღეღამეში სამი ცვლა იმუშაოს სულ ამ სანგრევში ხომ არ იჯდომება, უბანზე პასუხს ჯერჯერობით შე ვაგებ და დამიჯერე, რასაც გუებნები-მეთქი. მაგრამ შენც არ მომიკვდე! რომ მიასო ფეხი, მორჩა მერე; თუ ამ ქვეყანაზე რაიმე გვამს, მოდი და გაგვახამართლე. მერე კი წაიღე, ძმაო, ეს უბანი, ამათი მე აღარაფერი მიხდება. ყველაფერი ამათი იყოს. ოღონდ ახლა მოდი. აი, ძმურად და აღამიანურად გთხოვ.

— საიდან მირეკავ?

— მთავარ შახტზე ვარ. დეპოსთან.

— მოვალ. — ჯიბრაილმა ყურმილი მიავდო და ამოიხვნეშა. კარებთან გაჩერებული ირინე ქმარს მოლოდინით მისწერებოდა.

— შახტზე უნდა წახვიდე?

— ჰო!

— უშნოდ ერთ დღესაც ვეღარ სძლებენ?

— ეტყობა. ვერა.

კაიმაშიშვილი ჯიბრაილს მართლაც მთავარ შტრევეზე, დეპოსთან უცდიდა. სანგრევში მალე მივიდნენ. მელენტი ჯარიაშვილი მართლაც პნევმატურ ჩაქუნს დაყრდნობოდა და მუშაობის დაწყებას არ აპირებდა.

ჯიბრაილმა სანგრევის ქერზე ნათურის შუქი მიატარ-მოატარა. ერთგან მართლაც ეტყობოდა გრძელი, დაკლანჩილი და წერილი, პირდაპირ თმასავით წერილი ბზარი. მაგრამ ჭერი მაინც საიმედო იყო.

— რა არ მოგწონს, მელენტი? — ჯიბრაილმა ნათურა დაუშვა.

— ჭერი არ მომწონს.

— ჭერს არა უშავს.

— იმ ბზარს ვერ ხედავ?

— შე კაცო მაგისთანა ბზარები...

— მაგისთანა ბზარი იყო, კერესელიძე რომ მოაშთო. სწორედ შარშან ამ დროს.

— ახლა... შახტში ყველაფერი ხდება.

— შენ ამბობ, რომ ეს ჭერი საიმედოა?

— კარგი. — მელანტომ ამოიხვნეშა და ჩაქუნი მოიმარჯვა. — რაღა შენ ამბობ...

ერთი წუთის შემდეგ იქაურობა პნევმატური ჩაქუნის ძვირფას-გრილმა გააყურა. მელენტი ხელმარჯვე მნგრეველი იყო. ქვანახშირის შავ-ვერცხლისფრად მზრწყონავი ლოდები ხვავრიელად წამოვიდა თითქმის ორმეტრიანი სიმაღლის ფენიდან.

ჯიბრაილი და კაიმაშიშვილი ერთად წამოვიდნენ.

— ასე ხანამდე უნდა იყოს?! — კაიმაშიშვილი შუაგულ შტრევეში გაჩერდა და გულხელი დაიკრიფა.

— რა მოგახსენო...

— შამის სულს გეფიცები, უბანს ახლავე გადმოგაბარებ. აღარ მიხდება. ეშმაკსაც წაუღია. მაგრამ რომ არ დაგნიშნავენ?

— ვიცი.

— აბა, რა ვქნათ?

— ვე აღარ ვიცი.

— ვთხოვ არჩაიძებს, სხვა ვინმე გამოძებნოს.

— არ გირჩევ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... არა ხარ შენ მოლად ცუდი კაცი. ზოგი რამე შეგეშალა, მაგრამ... რა ვუყოთ... ბიჭებსაც ეს სუსტური გაუვლის და ყველაფერი მოწყისრიგდება. ოღონდ ის ზენაიშვილი მოიშორე.

— ვეც ციცი?!

— შე ყველაფერი ვიცი. ახლა — ნახვამდის!

— ჯერჯერობით!

* * *

მომდევნო დღეს უბანზე განსაკუთრებული აღარაფერი მომხდარა. ჯიბრაილმა თავისი წილი ბიჭები ჩაღვა და წამოვიდა. შემდეგ დილას კი ირინემ იგი „ქართული ზეპირის“ ჩასაბარებლად წაიყვანა.

ქართულში ზეპირი გამოცდა წერას სულაც არ ჰგავდა. ჯიბრაილს წინაწინვე რომ სცოდნოდა, თუ რა დღევ მოელოდა, იქნებ, ამ გამოცდის ჩასაბარებლად სულაც არ წამოსულიყო.

ვარლამმა — გამხდარმა, სახედანაოჭებულმა, ოქროსფერპენსნივანმა კაცმა ჯიბრაილი და ირინე თავის კაბინეტში მიიღო, ძალიან გულთბილად მიესალმა და უთხრა, თქვენ მეთუ კლასის მოსწავლეებთან ერთად გამოცდიანთ. ჯიბრაილს სახეზე უკმაყოფილება შეამჩნია და მამინვე ჰკითხა, რამ შეგაწყუხათო.

— ცალკე რომ გამოცდადონ, არ შეიძლება?

— ზეპირში? არა, სამწუხაროდ ეგ არ მოხერხდება. მაგრამ თქვენ ტყუილად დეღავთ. მეც იქ ვიქნები. ნურაფრის გეშინია.

ჯიბრაილი საკლასო ოთახში ოცდაათიოდე ბავშვთან ერთად შეიყვანეს, ბავშვები ჯერ შიშნარვეი ინტერესით ათვალაიერებდნენ უცნობ ძიას. ერთმა ქერა, ჩაპუტკუნებულმა გოგონამ ამხანაგს წასჩურჩულა, ალბათ, შემოწმებანზეა მოსულიო. მაგრამ ბავშვებს მალე საკუთარი ფიქრები მოეძალათ და ჯიბრაილის არსებობა სულაც გადაივიწყეს. ყოველ შემთხვევაში, თითონ ჯიბრაილს ასე ეგონა.

გამომცდელების მაგიდას სამნი უსდნენ: თვითონ ვარლამი, გუშინწინდელი მელოტი ბერიკაცი და ნანში შესული, თმაჭალარა. ყელგამობერილი, შავგაბიანი ქალი. ამ ქალმა ჯიბრაილი შორიდანვე ცივად შეათვალიერა და მხარმარჯვნივ მჯდომ მელოტს რაღაც ჰკითხა. მელოტმა მზერა ჯიბრაილს შეავლო და ჭილს თავის უსმო დაქვევით უპასუხა.

ეს ქალი მთელს ქალაქში ცნობილი მასწავლებელი მერცია ცვაკრევილი იყო. ამხანაგ მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებს და განათლების განყოფილებას იგი საგნის შესანიშნავ მცოდნედ, დიდ პედაგოგად და უსპეტაკეს ადამიანად მიიჩნდათ. მოსწავლეებს კი არ უყვარდათ და ზურგსუკან შეუპარალებლად დასცივნოდნენ, — ერთ ან ორ მოსწავლეს ამოიჩემებდნენ ზოლმე და სულ იმათ აქებდნენ, სხვებს კი ჩირადაც არა თვლიდნენ.

ჯიბრაილმა ამ ქალში პირველი შეხედვისთანავე მტერი იგრძნო და გადაწყვიტა, თუ უხეშად მომეტკა, ან დაცინეა და გაბიბარებუბა დამიპირა. შეადღეს დაეყენებო. ეს „შავი დღე“ რაში უნდა გამოხატულიყო, ჯიბრაილმა თვითონაც არ იცოდა. მაგრამ ქალის ცივ შემოხედვას თვითონაც უტეხი მზერა დაასვედრა. სკამი უკანა კედელთან მიდგა და ზედ ჩამოკდა.

გამომცდელები რაღაცაზე ხმადაბლა თათბირობდნენ. ვარლამსაც და მელოტ ბერიკაცსაც აშკარად ეტყობოდათ, რომ მერცია მასწავლებლის ძალიან ვრიდეზობდათ და მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდნენ. მერციას ორიენი რაღაცას დაბეჯითებით თხოვდნენ, მაგრამ ქალი ჯიუტად თავს ატყვევდა და იმ თხოვნაზე არასგზით არ თანხმდებოდა. ბოლოს ვარლამმა ამოიხენგმა, თავი ისე გადააქნია, რომ მერციას არ შეენიშა, და ჯიბრაილს მიმართა:

— აბა, მობრძანდიო!

ესე იყო, ჯიბრაილი მთელი კლასის თვალწინ უნდა გამოეცადათ.

ჭირის თვლდასხმული ჯიბრაილი წამოდგა, გამომცდელების მაგიდას მიუახლოვდა და გვერდზე, კედელთან გაჩერდა.

— თქვენ, ალბათ, სამუშაოზე მიგწიქარებათ, — რბილი, მამაშვილური კილოთი



უთხრა მას ვარლამმა, — ჩვენ ვიცით, თუ თქვენ სამშობლოს საკეთილდღეოდ რარიც იღწვით და... ყველაფერი. თქვენ ქალბატონი მერცია გამოგცდით. ალბათ, იცნობთ, ხომ?

მერციამ ჯიბრაილს თავი ოდნავ შესამ-
წნევად დაუკრა და ცივი, სწორედ რომ
ყვავის ხმით მიაჩხვალა:

— ბილეთი აიღეთ!

ჯიბრაილმა მაგიდაზე დახვავებული ბი-
ლეთების რიგიდან ერთი ცალი აიღო.

— წაიკითხე! — მერცია რატომღაც
„შენობით“ აღაპარაკდა. — შენთვის წაი-
კითხე! მაგ ბილეთზე შენ უნდა უპასუხო,
მე კი არა. წაიკითხე? ყველაფერი გასაგე-
ბია? ჰო, უჭკუო ქალის შედგენილი არ
უნდა იყოს. — იმ ქალში მერცია საკუ-
თარ თავს გულისხმობდა. — აბა, მიბრ-
ძანდი და პასუხი მოიფიქრე.

ჯიბრაილს ოცდაათი ბავშვი გასუსული
მისჩერებოდა. ბევრ მათგანს თვალებში
ეშმაკური ნაპერწკლები უციმციმებდა.

— აბა! მოიფიქრე!

— დიას!

— ქართველ კაცს მაგ კითხვაზე ფიქ-
რი არც კი უნდა დაგჭირდეს. აბა, მიბრ-
ძანდი. დაიწყე.

— პირველი საკითხია ილია ჭავჭავა-
ძის „განდევილი“.

— რას მეტყვი? — მერცია სკამის

სურგს მიაწეა, გულხელი დაიკრინფა და
თვალები ჭერს გაუსტერა.

— ილია ჭავჭავაძის „განდევილი“...

— დაიწყო ჯიბრაილმა და უცებ შეჩერდა.
კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას ებება ეს ნაწარმოები? რა

იდეაა გატარებული ამ ნაწარმოებში? რისი
თქმა უნდა ჩვენთვის ამ ნაწარმოებით ილია
ჭავჭავაძეს? რა ფიქრებსა და გრძნობებს
აღუძრავს ეს ნაწარმოები? აბა? —
კვლავ ჩაგვითხა მერცია.

ჯიბრაილი ხდუმდა.

— სრულიად არაფერს? „განდევილი“

ჩვენში სრულიად არავითარ ფიქრებს,
გრძნობებს, აზრებს არ იწვევს? აი, პი-
რადად შენში ამ შესანიშნავ ქმნილებას
არავითარი განცდები არ გამოუწვევია?
თუ იქნებ ჩვენი დიდი, სასიქადულო, გე-

ნიალური პოეტი ამასოდ დაშვრა? წაიკით-
ხული გაქვს კი?

— დიას!

ირინემ ჯიბრაილს „განდევილი“ რო-
გორღაც მართლა წაუკითხა.

— მერე?

— ადამიანი ცხოვრებას არ უნდა გაექ-
ცეს.

— ო! ო! — ვარლამმა და და მელოტმა

თავები მოწონებით დააქნიეს.

— ჰმ! არ უნდა გაექცეს... მერცია ჭერს
იხეთი დაეინებით მისჩერებოდა, თითქოს
ეს სასამართლომ მიუსაჯაო. — ადამიანი
ცხოვრებას არ უნდა გაექცეს. კარგი. კი-
დევ? კიდევ რა იდეებს გვაწვდის დიდ
ილია ამ ნაწარმოებით? სად ხდება მოქ-
მედება?

— მთებში.

— ჰმ! მთებში... მთები... ხუბულური!

— დიდაბა უცბათ მერცია მასწავლებელ-
მა ისე, რომ ჭერისთვის თვალი მაინც არ
მოუშორებია.

— დიას! — წინა მერხზე მჯდომი
შავთვალეზა, ხუჭუჭთმიანი გოგონა ფეხ-
ზე წამოსტა.

— რას დაუმატებდი?

— „განდევლის“ მოქმედება სწარ-
მოებს იქ, „სადაც დიდებულ მთასა მყი-
ნფარსა ორბნი, არწივნი ვერ შეგახებანი,
სად მეუფება...“

— საკმარისია! ხუბულური, დაჯექ!

— ხუბულური დაჯდა. — არა მგონია, ჩე-
მო კეთილო, არა მგონია, რომ ასეთი ცო-
დნით... ჰმ! დიას!.. აბა, მეორე საკითხი.

— ბესიკის პოეზია.

— აბა.

— ეს მე არ ვიცი. — გულახდილად
განაცხადა ჯიბრაილმა. იგი მთლად სიმ-
წრის ოფლში იყო გაღვრილი. ყურებზე,
სახეზე, ხელებზე, ფეხის თითებზე თითქოს
ცეცხლი გვიდებოდა.

— არ იცი? ჰმ! ტიტვინიძე! — ისევ
დასტუჭა მერცია მასწავლებელმა ისე, რომ
მდგომარეობა არ შეუცვლია.

უკანა მერხსზე ერთი წითური, ზონზრო-
სა ბიჭი წამომიშარა:

— გისმუნთ, მერცია მასწავლებელთ!

— მითხარი უცბათ ბესიკის რომელიმე ლექსი. მე გადამაეწედა. შემახსენე.

— დიას! — ტიტვინიძემ გაფშევილი ლაყვინბელი თითი რატომღაც ცხვირქვეშ გამოისხვა და ბუბუყა ხმით დაიწყო — „ტანო ტატანო, გულ-წამტანო, უცხოოდ მარტო, ზოდღო კავებო, მომკლავებო...“

— საკმარისია. ტიტვინიძე, შესაშვ კითხვა.

— აბა!

ირინემ ჯიბრაილს ოდესღაც ეს ლექსიც წაუკითხა.

— პოეტი ამ ლექსში ლაპარაკობს გათენებაზე და იმაზე, რომ საჭირთა, ბრძოლა, ერთი სიტყვით...

— ეჰ, უბედური გალაკტიონი შენს ზეღში. ეს „ერთი სიტყვით“ რაღა იყო? „გათენდა ცეცხლის მზე აენთო, აცურდა, დროშები ჩქარა! თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!“ ხუბულური, აბა, განატრე!

თმასუჭუჭა გოგონა ისევ მარღად წამოხტა:

— „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს.

ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.

მათ ხსოვნას ქვეყანა...“

— საკმარისია! — როგორც იქნა, მერცხია მასწავლებელმა მზერა ჭერს მოსწყვიტა და ვარლამს მიაპყრო, — ერთი სიტყვით, არ ვიცი... ხუფე ნეკუდა! მაგრამ... ერთი სიტყვით... საკმარისია.

ვარლამმაც და მელატიმაც ღიმილით და თავის ქნევით დაუდასტურეს, საკმარისიაო.

— ამხანაგო ხელთუფლიშვილი, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით.

დერეფანში გამოსულ ჯიბრაილს ვარლამი წამოეწეა და ბოდვიით უთხრა, „ამა-მიანზე“ მეტი არაფრით ჰქნა, ძალიან ჯიუტი ჰქალიაო. ჯიბრაილმა ამაზეც დიდი ნადლი მოაქსენა და თავის გზას დაადგა.

— ნუ წყრები, ჯიბრაილ! ჩემო კაჭო! მე მინადორას უკვე ველაპარაკე. უნდა, ამას იქით სულ მარტოკა მაგას გამოკლი-ანთ, საკლასო ოთახში მავისი და გამომცედელის მეტი არავინ იქნებაო. ეგ აქამდეც უნდა მოგვეფიქრებინათ. სულ ცოტაც გაუძელი და მორჩა. ჩემი სიყვარული სულ არა გაქვს? გოგუტუნას სიყვარულიც არა გაქვს? გოგუტუნას უსწავლელი მამა უნდა ჰყავდეს? შენ ეს გინდა?

არა, ჯიბრაილს ეს არ უნდოდა. ჯიბრაილს ირინეცა და გოგუტუნაც ძალიან უყვარდა.

მეორე დღეს შახტიდან გამოსულმა ჯიბრაილმა დაბანა და ტანისამოსია გამოცვლა ძლივს მოასწრო, რომ უთხრეს, კადრების განყოფილებაში გეძახიანო. იასონ ვაწყამდე ჯიბრაილს ხელგაშლითა და ღიმილით შეეგება:

— პატიოსანი კაცი არ დაიკარგება, ჩემო ჯიბრაილ! იქ მოგხსნეს, აქ დაგაწინაურებთ. მოდი ავერ! აი, ბრძანება: ხელიდან კაიმიშვილის მოადგილედ ინიშნები. აჰ, ლაპარაკი! სიტყვა არ გამაგონო! დამიანე ჭყონიას ჩვენ მოვეუვლით. ასლანდელი მოადგილე? ნურც ეგ გედარდება. ჩვენ ზოგ რამეში ვცდებით, თორემ მართლა ცუდი ხალხი კი არა ვართ. ხუმეთქი. მაინც დღედაღამე აქ არა ხარ? ეგ უბანი მაინც შენს ჭკუაზე მუშაობს. ჰოდა, მორჩა! აბა, ახლა კი შენ იცი! სუ! კრინტი!

ჯიბრაილს ბრძანების ასლი ხელში ჩა-სწარა, თავისი ჯოხი აიღო და კაიმიშვილის ახალი მოადგილე კარებამდე მიაცი-ლა.

— მაინც ყოყმანობ?
— რაღა დროს ყოყმანია, ბრძანება ხელში მიჭირავს.
— აბა, რაღა გინდა?
— არაფერი, კაცო! ისე აღარ ჩაეფიქრდე?
— ისე — კი, ბატონო!

ჯიბრაილი და მიტუმა კაიმაშიშვილი რესტორნის ცალკე კაბინეტში იხსდნენ, — კადრების განყოფილებიდან გამოსულ ჯიბრაილის მიტუმა დერეფანში დახვდა და სანამ რესტორანში არ შეიყვანა, აღარ მოეშვა.

მაგიდაზე მწვანილი, ქორფა კიტრები, მხალეული, ხამხირი ყველი. ნადული, შემწვარი სულგუნი, ერთი ბოთლი „ენაზელი“ და ოთხი ბოთლი „გურჯაანი“ იდგა. მიტუმას კიდევ ტაბაკა და მწვადები ჰქონდა შევსებული.

— უკეთეს სალაპარაკო ადგილს სად ვიმოფინო?

— ვერსად.

— ჰოდა, მოდი, ვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკოთ.

— თუ ჯერ დავლიოთ?

— რაკი დასხმულია, ბირემ დავლიოთ.

ორივემ კონიაკიანი სირჩები ასწია.

— აბა, ჯიბრაილ, გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!..

ორივემ გადაჰკრა.

— არ გაგიკვირდა, მოადგილეობა რომ შემოგთავაზეს?

— გამიკვირდა.

— გაგიკვირდებოდა. ეგ კი არა, არჩაიქსაც ყბა მოექცა, შენ და მაგან ერთად როგორ უნდა იმუშავოთო.

— მერე?

— დავაჯერე. ორ დღეს ვაჯერებდი.

— კი, მაგრამ შენ თვითონ საიდან იცი, რომ კარგად ვიმუშავებ?

— შენ ცუდად მუშაობა არ შეგიძლია, მაგრამ...

— რა?

ეს ლაპარაკი ახლა ნუ გვინდა. თუ ვერ ვიმუშავებთ, ან მე წავალ და ან შენ. ეს ქვეყანა დიდია. მიწისქვეშეთში ღოღილი კიდევ მომწყინდა.

— სახალისო ბევრი არაფერია.

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. ოღონდ შენ ეს ერთი იცოდე, ჯიბრაილ: ჩვენს ბიჭობთან ჩხუბი და აყალმაყალი სულ ზედმეტია. ამ ერთხელ შევცდით, თუ შევყევით და შევყევით. რას იზამ! ასე თუ გავუნამუსდებოდით, ღმერთმანი, აღარც კი გვეგონა. ახლა რასაც ვეტყვით, იმას გა-

აკეთებენ: ადამიანს რა ბევრი უნდა? ოღონდ ცოლ-შვილს ნუ დაუმშველია. მითხარა გათ მეტი არაფერი უნდათ. რეკორდები კი... თუ რომელიმე მართლა თავს გამოიდებს, ვინ მამამაღლი! არადა, როგორც სხვები მუშაობენ, მაგათაც ისე იმუშაონ. ეს ამხელა საბჭოთა კავშირი სულ შახტებიითა დაფარული. ეგერ, ნიკოლოზ მამაი, ზედა? ყოველმა ცვლამ თითო ტონა ზედმეტი ქვანახშირი ამოიღოსო. ამაზე უკეთესს რას მოიფიქრებ?

— ვერაფერს.

— ჰოდა, ჩვენც მაგ გზით ვიაროთ. ყაბული ხარ?

— ეგ შენ და შენს „რეკორდსმენებს“ უნდა გკითხოთ.

— ნულარ გამახსენებ! გკითხვები. ყაბული ხარ?

— ყაბული ვარ, მაგრამ... ზოგი რომ ნამეტანი გაფუჭებული გყავს?

— იმათი გამოსწორება ჩემს კისერზე იყოს.

— გაგიკვირდება. რაზეც გუშინ ხელს უწერდი, დღეს იმაზე უარის თქმა გაგიკვირდება.

— შენ აგერ არ მეყოლები?

— მაგისთვის დამაწინაურეთ?

— თითქმის.

— ხა-ხა-ხა!..

— არაფერი, ჯიბრაილ, აი, ძმობას გეფიცები, არაფერი არ მაფიქრებს. ყველაფერი საათივით აეწყო. მარტო ის არ ვიცი, იმ ოხერ ზენაიშვილს რა მოეუხერხო: შენ რომ ამასწინათ ეგ ურჯუკი ისე არხეინად მიხსენე, გულზე მომეფონა. ვიფიქრე, ჯიბრაილსაც ყველაფერი სცოდნია-მეთქი. მაგრამ მარტო ცოდნა საქმეს რას შევლის? შენ ჯერ არ იცი, ეგ რა ქრისტეს ფუხის მგვრეტელია.

— რა უნდა გექნას?

— ხანდახან მეც ვგრე ვიფიქრებ ზოლმე, რა უნდა გექნას-მეთქი. მოპარვით მოკვლა მაგათ თითქოს არ სჩვევიათ, თავს ვაგაკობაზე სდებენ. მაგრამ მაინც...

— ნუ გეშინია.

— არ მეშინია. არა, ღმერთმანი, აღარ

მეშინია. ერთი მაგის... აბა, ჯიბრაილ, გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს!

* * *

სამოდგე დღეში გამოიძვრა რომ ჯიბრაილსაც და მიტრუშასაც დურმიშხან ზენაიშვილისა მაინც უნდა შინებოდათ.

ზედა სანგრევი ჩამოქცეული იყო. მას აქვთ ორი ციკლი გაიარეს. წინა დღეს გაყვანებს უბრძანეს, სათადარიგო გასასვლელის გასაყვანად ყველაფერი მოამზადეთ, მაგრამ აფეთქებით უკუნთად არ ააფეთქეთ, დილით რაღაც წვრილმანებს შევამოწმებთ და მეორე ცვლის დასაწყისში ავაფეთქებთ.

იმ წვრილმანების შესამოწმებლად ჯიბრაილი და მიტრუშა მსხტში დილის ათ საათზე ჩავიდნენ. მთავარ შტრეკზე სამი კილომეტრი ისე გაიარეს, რომ კაციშვილი არ შეხვედრიათ. მიტრუშა როგორღაც უკუნებოდ იყო. თითქოს ფეხსაც ითრევდა და სანგრევში ასვლა სულაც არ ექპარებოდა. საკონვეიერო შტრეკთან რომ მივიდნენ, შეჩერდა, ჩაუბუტი მოიხადა, შოფლილი შუბლი მოიწმინდა, მოიწმინდა და ჯიბრაილს როგორღაც დამნაშავესავით გაუღიმა.

— რა გემართება? — ჯიბრაილი მართლაც გაკვირებული იყო.

— არა, არაფერი... სწრაფად უპასუხა მიტრუშამ. — რა უნდა მემართებოდეს...

ოღონდ... ის უკუღმართი ხომ არხად შეგინიშნავს?

— ვინ უკუღმართი?!

— ზენაიშვილი.

— არა.

— ორი დღეა, უბანზე არ გამოიჩენილა.

— მერე?

— არა, არაფერი. — მიტრუშამ უეკრად ხელი გადაწყვეტით ჩაიჭინა და საკონვეიერო შტრეკში პირველი შეძვრა.

სანგრევში მალე ავიდნენ. აქ ამ ორს გარდა კაციშვილი არ ჰქვანებდა. ორივენი ერთმანეთის მხარდამხარ მიდიოდნენ: როგორც კი სანგრევი აათავეს და ოღონდ მარცხნივ შეუხვიეს, საიდანაც სათადარიგო გასასვლელის გაყვანა უნდა დაეწყოთ, მიტრუშა წამით შეჩერდა და ქვანახშირის ფენას ნათურა მიუშვირა.

— ეს რა არის?

ჯიბრაილი მისკენ მიბრუნდა. ნათურა ფენას ამანაც მიუშვირა. მაგრამ სანამ რომელიმე რამეს მოისაზრებდა, უეკრად დამაყრუებელი გრგვინვა მოისმა. ქვანახშირის და ფუჭი ქანის ვებერთელა ლოდები, ნამსხვრევები, ბოლი, მტვერი, წყალა — ყველაფერი ერთმანეთში აირია, ზრიალით ჩამოშვავდა და ვებერთელა გროვად იქცა.

ჯიბრაილისა და მიტრუშას გვაგების ამოდებას მთელი დღე და ღამე მოუწოდნენ. ამასობაში კი დურმიშხან ზენაიშვილი ქალაქიდან გადიკარგა.

თავი მეთერთმეტე

თეიმურაზ არაყვანიძე ამოდენა ფაგაცი ისე მოიყარა, რომ თავისი დედისთვის ერთი ხმამალალი სიტყვაც კი არ უკადრებია. იმ საღამოს კი, ცოტა გაწყდა, კინალამ რაღაც არ ესრთა.

თეიმურაზი და მშვენიარი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილისა და მიტრუშა კაიშამიშვილის გასვენებიდან კარგა შებინდებულზე მობრუნდნენ. გზაში მშვენიარმა რსაც კი თქვა, ნეტავი, თბილისში ისეთი ვინ

უნდა მოკვდეს, რომ იმის გასვენებას ამოდენა ზღვა ხალხი დაესწროსო. შახტის კლუბიდან სასაფლაომდე მარტო ქუჩები კი არა, სასლების ფანჯრები, აივნები ხალხით იყო გაჭედილი. იქითობას, ასე თუ ისე, წესრიგს იცავდნენ. მაგრამ მერე, მიტინგი დამთავრდა, კუბოები მიწაში ჩაუსვეს და ხალხმა დამლა დაიწყო, ყველაფერი აირ-დაირია. ატყდა ჩოჩქოლი, გადაძახილები, მშობლებდაკარგული ბავშვე-

ბის ღნავილი, მანქანების სირენების გაბ-
მული ღმუილი... თეიმურაზმა და მწვეი-
ნარმა მართლაც ძლივს გამოაღწიეს.

მელანოს სუფრა გაეშალა და შეიღებს
ელოდებოდა. მაგრამ არც თეიმურაზსა და
არც მწვეინარს ჭამის თავი არა ჰქონდათ.
სუფრას სამიგენი უხმოდ უსხდნენ და
უხმოდვე აიშალნენ. მელანომ ჯერ სუფრა
ააღაგა, მერე კი ლოგინზე წამოწოლილ
თეიმურაზს ჩამოუკადა და თავისებური
მშვიდი კილოთი უთხრა, — აი, შვილო,
აღამიანს ცხოვრებაში რამდენი უნებლიე
შეცდომა მოსდის, მაგ ბიჭისთვის შენ რომ
თანამდებობა არ წაგვრთხია, ვე საწყალი
ახლაც ცოცხალი იქნებოდაო. ამის გამგო-
ნე თეიმურაზი გაშეშებული წამოვარდა,
ალბათ, მელანოს მართლაც დაარტყაბდა,
მაგრამ ვერაფერი მოიხელთა, მყისვე გონს
მოეგო, გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუ-
ნა.

შუალამეს აღარაფერი უკლდა, როცა
მწვეინარი გარეთ გამოვიდა. თეიმურაზი
კიბეზე გულბელდაკრეჭილი და თავაჭი-
ნდრული იჯდა. ფეხის სმავზე თავი ასწია
და მწვეინარს უხმო კითხვით შეხვდა.

— არაფერი, ლოგინში ჩაწვა და თავი
მოიმძინარა.

— შევიდე?

— არ ღირს. საცაა, მართლა ჩაეძინება.
მაგას მეტი კი აღარ შეუძლია. ხვალ ღი-
ლას კი შერჩედებით.

მწვეინარი თეიმურაზის გვერდით ჩა-
მოკადა. კარგა ხანს სმამოუღებლად ისხ-
დნენ. მერე თეიმურაზმა მწვეინარს თვა-
ლებში შეხვდა.

— რას მიყურებ?

— არაფერს.

— მაინც?

— რომ გითხრა, გაგიკვირდება.

— ვიცი, რაც უნდა მითხრა.

— ?!

— აქედან რაც უფრო მალე წახვალთ,
მით უკეთესი იქნებაო.

თეიმურაზს თავისდაუნებურად გაელიჰმა.

— ვერ გამოვიდანი? — მწვეინარმა

ძმას მხარზე ხელი მოხვია.

— მერე? წახვალთ?

— წავალთ.

— მტოვებთ?

— ცტოვებთ. ვაგვაცმა თავი... **საქმეებს**
თეითონვე უნდა მიუაროს.

— რომ ვერ მიყუარო.

— მოუვლი.

მესამე დღეს თეიმურაზმა დედა და და
თბილისში გამოისტუმრა.

• • •

იმ საღამოს თეიმურაზი შესტიდან ძა-
ლიან დაღლილი დაბრუნდა. მესამე ცვლის
მეშახტეებს მეორე ცვლასთან ლაპარაკი
მოუვიდათ, საყელავი მანქანა ქვევით რა-
ტომ აღარ ჩამოიყვანეთო. მესამე ცვლა
მართალი იყო: მანქანის ჩამოყვანას ისი-
ნი ასლა ორ-სამ საათს მაინც მოუნდებო-
დნენ და გვემა შეუსრულებელი დარჩე-
ბოდათ. მაგრამ არც მეორე ცვლა სტყუო-
და და დასაწვავი ტერის სულ ქრიალ-ჭრიალი
გაჰქონდა, წინ პირდაპირ მტკავლობით
შიიწვედნენ და მანქანის ჩამოსაყვანი დრო
აღარ დარჩათ. სანამ თეიმურაზი ამ საქ-
მეს მოაწესრიგებდა, ბარე თორმეტი საათი
გახდა. არადა, მეშახტეები ისე იყვნენ გა-
წიწმატებულნი, რომ უბნის უფროსს
ყურს არც კი უკადებდნენ. მერე ტაბლის
დახურვაო, მემონტაჟების გამოძებნაო...
სახლში რომ დაბრუნდა, ძვალი და რბილი
გაერთიანებული ჰქონდა. დაღლილობას-
თან ერთად საშინელ მარტობასაც გრძნო-
ბდა. ლოგინზე მივედო და სულის ხეირი-
ანად მოთქმაც ვერ მოასწრო, რომ კარზე
ფრთხილად დააკაკუნეს. «ნუთუ ის არცს!»
კარს მივარდა, გამოაღო და გოგოლა ხო-
მასურიძე დაინახა.

გოგოლას ვარდისფერი კაბა ეცვა. შევ-
ბულებაში ყოფნისას. ცოტა გამხდარიყო.
სახეზე — თვლების უკვებთან, ტუჩებთან,
კისერზე — ოღნავ, სულ ოღნავ შესამჩნე-
ვი ნაოჭები ეტყობოდა. ამიტომ წინანდე-
ლზე უფრო ხნიერად გამოიყურებოდა.
ოღონდ იგივე ლურჯი, მშვიდი თვალები
ჰქონდა, მხარებზე კი იგივე საილენძისფე-
რი, ოღნავ მოწითალო თმები ეყარა.

გულაძგერებულმა თეიმურაზმა უკან
დაისხა. გოგოლამ კარი შემეღადა მიხურა,
თეიმურაზს ოღნავ შესამჩნევად გაუღიმა
და პირდაპირ სკამისკენ გაემართა. თეი-

მურაზის მოალერსება თითქოს ფიქრადაც კი არ მოსვლია. დაჯდა, მუსლებზე კაბა გაისწორა და მერე ორივე ხელი თმაზე გადაიხედა.

რა დიდებული იყო ეს ლამაზი, მშკოდი, თავის თავში დარწმუნებული ქალი იმ წუთას!

თეიმურაზი საქციელწამსდარი იდგა შუა ოთახში.

— დაჯექი, თეიმურაზ! — გოგოლამ მშვიდი მოძრაობით თმები ერთხელაც გაისწორა.

თეიმურაზი ჩამოჯდა.

— როგორა ხარ?

— არა მიშავს.

სირქემე ჩამოყვარდა.

— შენ?

— მეც არა მიშავს.

— შენი ქმარი?

— ცოტა მორჯულდა.

— შენ ცოტა გამსდარხარ.

— კი, ცოტათი გავხდი. არ გენატრებოდი?

— ძალიან.

— დედაშენი რატომ არ გამაცანი?

— არ მომიხერხდა.

— ციცი! — გოგოლამ თეიმურაზს თით დაუქნია.

— ღმერთმანი!

— კარგი, — გოგოლამ ღრმად ამოისუნთქა, — არქივომ მითხრა, თეიმურაზი შენი გულისთვის მემახტეები უბღვერენო:

— არქივო სად ნახე?

— მეზობლები ვართ.

— მიბღვირონი!...

— ხა-ხა!..

— დედაჩემი... —

— არა! — შეაწყვეტინა გოგოლამ, — მე შენზე ათი წლით უფროსი ვარ. დედაშენთან მე თვითონაც არ მოვადლოდი.

ისევ სირქემე ჩამოყვარდა.

— მოდი, თეიმურაზ, ისა...

— რა?

— არა, არაფერი...

გოგოლა ერთ წუთს ისევ სდუმდა. მერე წამოდგა ლოგინი გაშალა, სინათლე ჩააქრო, გაიხადა და ჩაწვა.

...

— როგორ მიყვარხარ, თეიმურაზ!

— მე უღმერთო სულაც არა ვარ.

— ვიცი.

— მემახტეების ნუ გედარდება. გერონტი ამ მახტზე არავის უყვარს, ისინი ჩემი გულისთვის გოწყრებიან. როცა გაიგებენ, რომ... ერთი სიტყვით, ყველაფერი გაივლის.

— შენ რას აპირებ?

— ჩაფიჩაძის ცოლობას.

— შეეჩვიე?

— არა. რაც აქედან წავედით, ახლოსაც არ გამიკარებია. მე ერთი კარგი, ძალიან კარგი ბიჭი მიყვარს. — გოგოლამ თეიმურაზს საფუთქელზე აკოცა.

— ასე სანამდე უნდა ვიყოთ? — თეიმურაზმა წამოიწია და იდაყვებს დაეყრდნო.

— არ ვიცი. ოღონდ...

— რა?

— მე შენთან აღარ მოვალ თეიმურაზ. შენ ძალიან გეწყინება? — გოგოლამ თეიმურაზს თავი გადაუწია და თვალებში ჩახედა. — მითხარი, ძალიან გეწყინება?

— შენ როგორ ფიქრობ?

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ასე გვიყვარდეს ერთმანეთი. რამდენია, რომ ერთმანეთი უყვართ და... ასე მარტო ჩვენ ვაქნებით?

— მე...

— სუ! — გოგოლამ თეიმურაზს პირზე ხელი დაადო. — არაფერი მითხრა. მოდი. — მკლავები გაშალა და თეიმურაზის თავი შეკრდზე მიიხუტა.

დილის ექვსი საათი იქნებოდა, გოგოლა რომ წავიდა. თეიმურაზი აღარაფერს მორიდებია და გოგოლა ჭიშკრამდე გააცილა. კარგა ხანს უძრავად იდგა, სანამ უკაცრიელ ქუჩაში სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ქალი კუთხის სახლს არ მიედგარა. თეიმურაზმა არ იცოდა, როგორი ცოლქმარი იქნებოდნენ გოგოლა და ჩაფიჩაძე, ან სანამდე გასტანდა მათი ცოლ-ქმრობა. იმას კი ვრძნობდა, რომ ეს ლამაზი, მუდამ მშვიდი და აუღვლეებელი ქალი მას აღარ დაუბრუნდებოდა.

ერთი კვირის შემდეგ თეიმურაზის უბანზე მოულოდნელი ამბავი მოხდა.

სალამოს ცხრა საათი იყო. თეიმურაზი, გრძელი ოდიბაშვილი და მწვრთნელი ბესიკ ხელაშვილი ზედა საანგრევის ბოლოში იდგნენ და ამფეთქებლებს ელოდებოდნენ. უცერად ქვევიდან გამურული, აქოშინებული არქიფო ცალუდლიშვილი ამოიჭრა და შესძახა, ლავის შუაგულში ჭერი ინგრევაო. თეიმურაზს დახცევხლა: ცვლის დასაწყისში იგი უშანგი მონასტელიძემ გააფრთხილა. ლავის ჭერი მაინცდამაინც არ მოშწონსო. მაგრამ თეიმურაზს უშანგი შედმეტ სიფრთხილეში ჰყავდა შემჩნეული. მერე ჭერი თვითონ შეამოწმა და საეჭვო არაფერი შეუმჩნევია. ამიტომ უშანგის გაფრთხილებისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია.

— გეუბნებით, ჭერი ინგრევა. — მღვღვარებისგან ჩახლქნილი ხმით გაიმეორა არქიფომ.

— რატომ უნდა...

თეიმურაზმა წინადადების დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ თხუთმეტობდე ნახიჯიდან დამაყრუებელი გრძელი მოისმა. ჩამოინგრა ჭერი, რომელიც სულ ხუთიოდე წუთის წინ ისეთი სანახავი იყო, რომ მის სიმკაცრესა და საიმედოობაში ეჭვს არცხლად თუ ვინმე შეიტანდა. მოხდა სწორედ ის, რისი წინასწარი განჭვრუტაც ამოქმის შეუძლებელია.

სანგრევი თითქოს შუაზე ვაწყდა. თეიმურაზი, ოდიბაშვილი, არქიფო და ის მემახტე — ბესიკ ხელაშვილი ზევით ჩარჩნენ; მერე — ჩამონგრეული ჭერი იყო. უფრო ქვევით კი — ცვლის დანარჩენი შემახტეები, თითქმის ოცდახუთი კაცი. ამათ არავითარი ხიფათი არ ელოდათ — ყოველ წუთს შეეძლოთ მთავარ შტრეკზე გასულიყვნენ.

თეიმურაზსა და მასთან მყოფთ კი წასახლეული აღარსად ჰქონდათ. იმ ადგილიდან, სადაც ისინი მოემწყვდნენ, ზევით საეგნტილაციო შტრეკში წვრილი, დაახლოებით ორმოცი სანტიმეტრი სიმაღლის საეგნტილაციო ხერვლი გადიოდა. მაგრამ იმ ხერვლის ხიგრძე ხუთ მეტრს აღემატებოდა და თანაც იგი სრულიად გაუმავ-

რებელი იყო. მასში შეძვრომა და საეგნტილაციო შტრეკისკენ გაცოცება უეჭველ სიკვდილს მოასწავებდა. ქვევით კი თეიმურაზი და მასთან მყოფნი ფეხსაც კი ვერ გადმოადგამდნენ — ჩამონგრეული ჭერიდან უწესრიგოდ, საზარლად ჩაპაწოლილიყვნენ ფუჭი ქანების ვებეზულადლოდები. სრულიად უშინშენვლო ბიძგი, ნიავის უმცირესი წამოხერვაც კი საკმარისი იყო, რომ ლოდებს შორის კავშირი დარდვეულიყო, ისინი ძირს ჩამოშვავებულიყვნენ და ყველაფერი მოესრათ.

ოთხი კაცი ჩამონგრეულ ლავაში ჩარჩენილათ, — ეს ხმა მეხივით გავარდა მთელს ქალაქში. ხუთიოდე წუთში შახტის ეზო, მთავარი შტრეკი, ლავის მისადგომები, ლავის ქვედა ნაწილი ხალხით გაივსო. აქ ტრიალებდნენ, მბრძანებლობდნენ, მუშაობდნენ, ფორიაქობდნენ და ერთმანეთს ანუგეშებდნენ კახაბერ გურასაშვილი და გედეონ ხაზარაძე, სარდიონ რაჭველიშვილი და დამიანე ჭყონია, სამთო-მამველი რაზმის წევრები და სხვა უბნების შემახტეები... გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო: ჩარჩენილ ოთხ კაცს როგორმე უნდა გაეძლო, სანამ მამველები და მებეგვები ჩამონგრეულ ჭერს ისე მაინც გაამაგრებდნენ, რომ მის ქვეშ გამოვლა შესაძლებელი გამხდარიყო. საჭმელი და სახმელი წყალი კი ან ზევიდან — იმ საპაერო ხერვლიდან, ან როგორმე ისევე ქვევიდან, რკინის გრძელი ჭოკებით, ან სხვა რაიმე საშუალებით, უნდა მიეწოდებინათ, მაგრამ ერთი გზაც ძალიან საშიში იყო და მეორეც, ამიტომ ხელი ჩაიქნიეს, როგორმე უჭმელებმა გასძლონ, უწყლობა კი ადამიანს ამ ნესტიან შახტში ისერიგად არ აწუხებესო. გედეონ ხაზარაძემ სანგრევის გამაგრების გეგმა პირდაპირ თვალის დახამამებში შეადგინა და მამველები და მებიგვები საქმეს შეუდგნენ.

რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ აშკარა გახდა, რომ საქმის დამთავრებას სულ ცოტა, ორი დღედაღამე მაინც მოუწინდებოდნენ — სანგრევის ჭერი ძალიან იყო დაზიანებული და ყოველ წუთს შეიძლებოდა, კიდევ და კიდევ ჩამონგრეულიყო. მებიგვებს კიდევ უკვირდათ, ემოდე-

ნა ლოდებს ნეტავი რა ამბავებს, რატომ არ ჩამოშვადებიანო, რომ იტყვიან, საკმეწინ კუს ნაბიჯით მიიწვება. სრული ათი საათი გავიდა, სანამ პირველ წყვილ ბიგას ჩადგამდნენ და ჩამოქცეულ „გუმბათს“ ქვედა პირს აუკრავდნენ.

არადა, ჩარჩენილებთან ლაპარაკი ქვევიდან თავისუფლად შეიძლებოდა — მანძილით ათ-თორმეტ მეტრს არ აღემატებოდა და ერთმანეთის ხმები ჩარჩენილებსაც და მამულელებსაც მშვენივრად ესმოდათ. და როცა ხალხს პირველმა ზაფრამ გაუარა, როცა კიდევ ერთი წყვილი ბიგა ჩადგეს და მეზიგეებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, — მგონი, აწი აღარაფერი უნდა უჭირდეთო, მემასტეები — როგორც ასეთ შემთხვევებში მუდამ ხდება, გამზიარულდნენ და სუწრობის ხასიათზე მოვიდნენ. ირაკლი შუბითიძემ მეორე ბიგის ჩადგმა რომ მოათავა, ოფლში გათხვრილი ჩამოფორთხდა. ორივე ხელი ტუჩებზე მიიღო და ზვეით გასძახა:

— არქიფო, პოოუუ!

— პო — პოუუ! — მოისმა ერთი წამის შემდეგ ნესტისაგან თდნავ მიყრუებული ხმა.

— რავა ხარ, რავაა?

— კარგად, კარგააად!

— უბნის უფროსი რავა გყავს?

— ღმერთივით, ღმერთივითით!

— აჰა, ცოტა ხანს იყავით კიდევ!

— რაი?

— ცოტა ხანი! კიდევ გა-ძე-ლით!

— პო-პოოუ!

ირაკლიმ ოფლიანი შუბლი შეიწმინდა და ჩაილაპარაკა:

— ისე შენ დაგიმშვეენდა ცხვირი, რა კარგადაც ახლა შენა ხარ!

გარემომყოფებმა ხმამაღლა გადაისარხარეს.

ჩარჩენილების გამოყვანა მხოლოდ მეცამე დღეს მოხერხდა. დამიანე ქყონიამ და სარდიონ რაჭველიშვილმა სასტიკად აკრძალეს, ზვეითყენ, მამულეებს გარდა, ფეხი არავინ გადადგასო. ბოლოს, როგორც იქნა, ნათურის სუსტი სინათლე გამოჩნდა. ორი რაზმული შიმშილისა და დაღლილობისაგან დაოსებულ არქიფოს მხარში შე-

დგომოდა და ისე მოჰყავდათ. შემდეგ ბესიკ ხელაშვილი გამოიყვანეს, მერე — გრიშა ოდიბაშვილი... დამიანეშვილი — ხარდიონმაც, კახაბერმაც და გედეონმაც კარგად დაინახეს და დამიანეშვილს, რომ აგარიული ადგილიდან ყველაზე ბოლოს თეიმურაზ არაჯევანიძე გამოვიდა. არადა, ისე იყო ფერმიხნდილი და დაოსებული, რომ ეჭიმებმა და ახლო-მასლო მყოფმა მემასტეებმა სხვენს თავი მიანებეს და თეიმურაზს შემოეხვიენენ.

* * *

კახაბერის კაბინეტში უფროსების თათბირი დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ყველამ იცოდა: ეს ისეთი ავარია იყო, რომლის წინასწარ განჭვრეტაც არავის ძალეში. თეიმურაზ არაჯევანიძის გამტკუნება ფიქრადაც არავის მოსვლია. ეგ კი არა, დამიანე როგორი მიუდგომელი კაცი იყო, იმანაც კი თქვა, ჩემი სიტყვა დამიანეშვილს, მაგ ბიჭისგან რა ლომი მემასტე დადგებაო. აქტი, რა თქმა უნდა, მინც შეადგინეს. მერე სარდიონმა კახაბერს მხარზე ხელი მოუთათუნა, ამ თვეში გვემის შესრულება გავიჭირდება, მაგრამ არა უშავსო, — და ის იყო, დაშლას აპირებდნენ, რომ კარი გაიღო და საშინლად დაბნეულმა მარგალიტა ხეცურიანმა შემოისევდა. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

— ეგ რა არის?

მარგალიტამ ქაღალდი კახაბერს მიუტანა.

კახაბერმა წაიკითხა და თვითონაც დაიბნა. მერე ის-ღა მოიფიქრა, რომ ქაღალდი გედეონს გადააწოდა. ამანაც წაიკითხა, შეცბუნდა და ქაღალდი ხელში უაზროდ შეატრიალა.

ეს თეიმურაზ არაჯევანიძის განცხადება იყო, — გონგონთ, დაუყოვნებლივ გამოთავისუფლოთ მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსის მოვალეობისაგან და დამნიშნოთ ამევე უბნის რომელიმე ცულის უფროსადო.

— პასუხი ახლავე მომიტანეთ — წაილაპარაკა დაბნეულმა მარგალიტამ:

ქაღალდი, ბოლოს და ბოლოს, სარდიონის ხელში მოხვდა. წაიკითხა და ამ ხნის კაცი ყაყაჩოსავით გაწითლდა.

თავი მეთორმეტი



ანზორ კუბატაძის მკვლელობის საქმის გარჩევა სასამართლოში ოცდასუთ ივნისს დაიწყო. ნომალი დიხამინჯია აღარც კი ელოდა, თუ ამ პროცესზე ნათიას გამოიძახებდნენ. უწყება რომ მოიტანეს, ისიც კი გაიფიქრა, ამას ნათიას არც გავემსგელო, სასამართლოში მე თვითონ წავალო. მაგრამ სადილობისას ნათიამ, — იგი უკვე მომჯობინებული იყო და დღე-დღეზე საშახურში გასასვლელად ემზადებოდა. — ქმარს უგუნებობა შეატყო და ჰაითხა რა დაგემართათ.

— ჰო, შე კაცო! — მყა'ე შე შეგვლა რძალს პლატონი, — დანა კრატის არ გიხსნის. გეიტხარი, რა ამბავია.

— ჩვენგან შენ დამალული რა უნდა გქონდეს? — კესარიამ ლანგარიდან პურის ნატეხი აიღო.

ნომალიმ თქვა, უწყება მოვიდაო. კესარიამ რძალს აღმაცერი მხერა ესროლა. პლატონი კი მაშინვე ტელეფონს ევა და ვილაცას დაურეკა, ერთი-ორი დღე სამსახურში ვერ მოვალ და საქმეს მიხედეთო.

ნინოს და ბაბოსაც დაურეკეს. დილის თერთმეტი საათისათვის ყველანი სასამართლოში იყვნენ. პლატონი შეეცადა, კესარია როგორმე სასლში დაეტოვებინა, მაგრამ ქალმა შეუვალად განაცხადა: სადაც ჩემი ოჯახის სახელისა და პატიოსნების საკითხი წყდება, მეც იქ უნდა ვიყო.

— აწი, შენი ოჯახის პატიოსნება აქ რა შუაშია, კესარია?!

— ეე შე ეციე! — კესარიამ ქმარს გვერდი აუარა და კარადის კარი გამოადო.

ბაბო ფაგელენიშვილმაც ბეგბი რლია, რომ პროცესის დაწყების ამბავი ინსტიტუტში არ გახმურებულყო, მაგრამ მიხანს მაინც ვერ მიაღწია. თვითონ ბაბო სასამართლოში სუთი წუთის მოსულიც კი არ იქნებოდა, რომ დარბაზში იმავე კარებიდან აგული შეიფარაინი შემოვიდა. თანაც მარტო კი არ იყო. გვერდით ფაკულტეტის ადგილკომის თავმჯდომარე, კომკავშირის ორგანიზაციის მდივნის მოადგილე და კიდევ ვილაც კაცო მოჰყვებოდნენ. შეიფარაინი ბაბოს მტკაღ თავაზიანად

მიხალმა და თავის მსლებლებთანად შესუთ რიგის სკამები დაიკავა.

ნათიამ და ბაბომ ერთმანეთს შეხედეს. ბაბომ გაიღიმა და ნათიას გამაზნეველად ხელზე ხელი მოუჭირა.

ბრალდებულები შემოიყვანეს. მათ დან-ღაზე ნათიას სახეზე აღმურა მოგდო კესარიამ ეს დინახა, მაგრამ არ შეაშინია. პლატონი და ნომალი რალაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. დარბაზში თენგიზ ჯაფელიძის მამა ურმალოში გამოჩნდა. არ დამჯდარა, უკანა კედელთან, კარის შორიხლოს გაჩერდა. პროფესორი კონსტანტინე ჭირაქაძე კი არსად ჩანდა. მან შეიღს ადვოკატი დაუქირავა, ასლა კია ალბათ, ლექციებისთვის ემზადებოდა და სასამართლოში მოსვლა საქიროდ არ დაინახა. პროკურორმა და ადვოკატებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. დარბაზს შორეულ კუთხეში ვალერიან მეტეპაიშვილი ჩამოჯდა.

სასელმწიფო ბრალმდებლად ალექსანდრე ბაქელიძე გამოდიოდა. წინა პარასკევს მას აქ აგესენტი შარაშენიძე ეწვია, უთხრა, თუ ჩემი გჯერა, ამ საქმიდან არაფერი გამოდნათ და ფულის მომლოდინე პროკურორს გული რომ მეტისმეტად არ დასწყვეტოდა, სპილოს ძელის მუნდმტუკი უფეშქაშა; ბაქელიძე დაიბოღმა. იგი თავის ჯანმრთელობას ხამგალითოდ უფრთხილდებოდა; არახოდეს პაპირობი არ მოუწყვია და ის მუნდმტუკი ისევე სჭირდებოდა, როგორც შარაშენიძე თოელი. მაგრამ რალას იხამდა! ბოღმა გულმა ჩაიკლა და გადაწყვიტა, შარაშენიძემ ამას იქით უჩემოდ რამე რომ იმოქნოს, მაგრად შეინახოსო.

პროცესის დაწყებას აღარაფერი უკლდა, როცა დარბაზში ბესარიონ მაგრაქეელიძის დედა — დომინიკა შემოიჭრა. ნახევარი საათის წინ მან ცხენში ქმარი ინახულა და სურსათი გადასცა, ასლა კი აქ მოვიდა, რომ საჭმელი ბესარიონისთვისაც მიეწოდებინა. ორი ხელწანთით ხელში, ოფლად გახეითქული, აწითლებული ბადრაგის უფროსთან მიიჭრა და თავისი გა-



ჭირდება აუხსნა. საქმეში ადვოკატი იუსტიციის გიორგილიძეც ჩაერია და ბაღრაგის უფროსს ჰუმანურობისა და ადამიანობისაკენ მოუწოდა. მაგრამ უფროსმა თავი გადააქნია, მაგისი უფლება არა მაქვსო. იუსტიციამ მხრები აიჩქა და თავის ადგილს დაუბრუნდა (მესარიონს იგი უგასამრჯელოდ, კალისტრატეს ხათრითა და სიყვარულით იცავდა). დომინიკამ კი თავისი ჩანთები პირველი რიგის განაპირა სკამთან მიათრია და იქვე ჩამოჯდა.

მოსამართლე ავთანდილ ქებულაძე იყო — საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მთლად გაჭაღარავებული კაცი. პატიოსანი და პრინციპული მოსამართლის სახელი ჰქონდა. იგი ამ საქმეს წინდაწინვე ვაუჯინო და დარწმუნდა, რომ მკვლელობა ნამდვილად შემთხვევითი იყო. ამას მკვლელობა და მოწმეებიც ერთსმად აღიარებდნენ და მათ ჩვენებებში არავითარი წინააღმდეგობანი არ შეიმჩნეოდა. ამიტომ ქებულაძე ამ პროცესზე საქმის განთულებას არ ელოდა. მას მხოლოდ ერთი რამ ვერ გავგო, რა აუცილებელი იყო სასამართლოზე ნათია ავალიშვილისა და აბდულა ატიმურაშვილის გამოძახება. ამის შესახებ ქებულაძე პროკურორს პროცესის დაწყებამდე გამოელაპარაკა.

— აუცილებელი, რასაკვირველია, გამოძახება არ იყო, უხალისოდ მიუგო ბაჯელიძემ, — მაგრამ ერთგვარად... სურათის ხისრულისათვის...

ქებულაძემ იცოდა, რომ ნათია ავალიშვილი ცნობილი სპორტსმენის ნომალი დიხამინჯიას ცოლი იყო. ისიც შეტყობილი ჰქონდა, რომ ნათიას პირველსავე დაკითხვაზე გული შეუწუხდა და მერე დიდნანს იავადმყოფა: დარბაზს თვალი გადაავლო, ნომალი დიხამინჯია იცნო და მის გვერდით მჯდომი შავთვალეზა ფერმკრთალი ახალგაზრდა ქალი რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, ნათია ავალიშვილი სწორედ ეს იქნებოდა. ნათიას შორიდანვე ეტყობოდა, თუ რა ძლიერ დღვავდა. ქებულაძემ იფიქრა, ამას გული აქვს არ შეუწუხდესო, და გადაწყვიტა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ნათიაც და ის ვიდაც ატიმურაშვიც თავიდან ახლავდ მოემორებინა.

— აბდულ რამაზ-ოღლი ატიმურაშვილი აქ არის?

— ზღეს!

— გამობრძანდით!

აბდულა ხალხიდან გამოძვრა და მოსამართლის მავიდას მიუხლოვდა. ნასვამი იყო თუ რა, კაცმა ვერ გაიგო, მაგრამ ძალიან შინაურულად, არხეინად და მზიარულადაც კი იქცეოდა.

— იცით, რატომაც გამოგიძახეს?

— ვისი.

— რისი თქმა შეგიძლიათ?

— ეგპ, უფროსოჯან, ვგეთი ჩუკვიანი კასი ხარ; მე შენ რა უნდა გითხრა? სინა დღეს თაზო მოვიდა და — ერთი გოგო უნდა გავასეინოთო. გავასეინოთ? გავასეინოთ, ჩემგან რა მიდის. თაზო ძალიან კარგი ზმაკაცია. მაგრამ ის გოგო სასეინოლ აღარ სამოვიდა. მეს ავდექი და სახლში სავედი.

— სახლში რომელ საათზე წახვედით?

— საათი? არა, საათი, უფროსოჯან, არ ვისი. ოღონდ მე როსა სავედი, ეს ბიჭი ხულ სალ-სალამათი დავტოვე! სულ! ა-პა-პა-პა! როგორს გიტრი. მერე კი გავიგე, რომ სასხალი ის... კუპატაზე, ხომ კო, ის ბიჭი მომკვდარა, აფსუს!.. აფსუს!..

— მომკვდარა თუ მოუკლავთ?

— აა! ეგ მე აღარა ვისი. ენ — არა! ეგ მე არა და არ ვისი.

— კიდევ რას იტყვი?

— ჰა? კიდევ? კიდევ, უფროსოჯან, აბა, რა უნდა გითხრა? კიდევ ის ვეჭვი, რომ შენ ჩუკვიანი კასი ხარ, მოსამართლე კასი ხარ... ჩვენებურად რომ იტყვიან, ალაპის კასი ხარ... ჰოდა, ეს ახალგაზრდა ბიჭები მამ სიხეში სოდეა არ არის? ღმერთმანი, სოდეაა. გაუწვი, ჯერ დავაშვავდნენ, ამ სხოვრების გემო ნახონ, სოლი ნახონ, შულეები ნახონ; იქ რა უნდა გააკეთონ? ზალიან, ზალიან სოდეაა!

— შენ თვითონ შვილები გყავს?

— არა. მე ჯერ შულეები არა მყავს. არს სოლი გყავს.

— რატომ?

— რატომ? იმიტომ, რომ... მე შალტაბალტაი კასი ვარ. მე დღეს აქა ვარ, ხვალ ბაქოში, ზვე ადესაში. მე ერთ ადგილზე

ჯდომა არ მიყვარს. მე — ექ!.. ჩემი საქმე სულ წასულია! სულ! მე...

— კარგი. თავისუფალი ხარ!

— გმადლობთ, უფროსოვან!

— ავალიშვილი ნათია ჯამბაკურის ასული!

ნათია გამოვიდა და სუსტად იქ გაჩერდა, სადაც ერთი წუთის წინ აბდულა ატიმურაზაძე იდგა. კესარიამ თავი მოაბრუნა და პლატონს ხანგრძლივად მრავალმნიშვნელოვნად მიაჩერდა. პლატონმა ხელი აუქნია და პირი იბრუნა.

— საქმეს იცნობთ? — ჰკითხა ქებულაძემ ნათიას.

— დიახ. — ქებულაძის ყურადღებამ ნამა კილომ ძალა და სიმშვიდე შემატა. მაგრამ ნათია მაინც ცდილობდა, ბრალდებულებსავე არ გაეხედია. ამ წუთში ქალი თავისი ყოფილი მეგობრებისა თუ ამხანაგებისადმი სიბრალულის თუ დანაშაულის გაურკვეველმა გრძნობამ შეიპყრო.

— მე გვეითები თუ აი, ეს საქმე, მე რომ წინ მიდევს, წაკითხული გაქვთ, თუ არა? — არა.

— მაგრამ იცით, საქმე რასაც უხეზა, ხომ?

— დიახ.

— თქვენ დაგკითხათ პოლკოვნიკმა შარაშენიძემ?

— დიახ.

— თქვენი პასუხები გახსოვთ?

— დიახ.

— კეთილი. მოწმე ატიმურაზაძემა აქ აჩვენა, ერთი ქალიშვილი უნდა გაგვეხერხებინათ. თქვენ ეს გაიგეთ?

— დიახ.

— ის ქალიშვილი თქვენ ხომ არ იყავით?

— დიახ. შესაძლებელია.

— ამ ხალხთან სხვა დროსაც გისვირინათ?

— ატიმურაზაძეთან არა. ატიმურაზაძეს არც ვიცნობდი.

— დანარჩენებთან?

— დანარჩენებთან — დიახ.

— იმ დღეს რატომ აღარ გაისვირინეთ? ნათია შეცბა. მას არ უნდოდა, ბრალდებულებისათვის მდგომარეობა დაემძიმებინა.

ამიტომ სიმათლის დამალვა არჩია.

— იმ დღეს... უგუნებოდ ვიყავი. თბამ თავი დახარა და სახესე წამოწითლდა.

— ამ კითხვაზე პოლკოვნიკ შარაშენიძესაც ასევე უპასუხეთ?

— შარაშენიძეს ეს ჩემთვის არ უკითხავს. ნათიამ ქებულაძეს გაკვირვებული, წრფელი მხერა შეანათა.

ქებულაძემ სქელი „საქმე“ გადაფურცლა და რამდენიმე გვერდი ჩაათვალიერა. შემდეგ — „საქმე“ ისევ დახურა, — შარაშენიძეს ეს კითხვა ნათიასათვის მართლაც არ მიუცია. მაგრამ ქებულაძემ იცოდა, რომ ნათია ახლა სიმათლეს არ ამბობდა და პროფესიულმა ჩვევამ იქით უბიძგა, რომ ამ ქალისათვის სწორედ სიმათლეს ეთქმევიანებინა.

— უგუნებოდ იყავით? — და ნათიას ჯიქურ მიაჩერდა.

— დ... დიახ. — ნათიას ყურის ბიბილოზე ცეცხლი ეკიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

უკანა რიგებიდან მოისმა, ვილაც ქალმა როგორ ამოიხზრა.

— საქმეში სხვა მოტივიცაა დასახელებული, — ქებულაძემ „საქმე“ ისევ გადაფურცლა და ისევ ორიოდვე გვერდი ჩაათვალიერა, — თქვენ ეს არ იცით?

— არა.

— კეთილი. — ქებულაძემ გადაწყვიტა, ამ ქალის წვალემა აღარ ღირსო. — კუპატაძის სიკვდილი როდის გაიგეთ?

— უკვე გასვენებული იყო, — ნათიას სახესე ნაცრისფერმა გადაჰკრა.

— ბრალდებულებს მას შემდეგ აღარ შეხედდრიხართ?

— არა.

— კეთილი. დაბრძანდით.

ნათიას ნომალი შეეგება და სკამთან მხარზეხელმძხვრული მიიყვანა.

და ჩამოვარდნილი სიჩუმეში უფერად მირხა ჭირაქაძის შეძახილი გაისმა:

— არ შეიძლება, ეს სენტიმენტალური სცენები აგვაცილოთ?

— სიწყინარე!

— მე წყინარად ვარ. ოღონდ ამ მიზანსცენებს ნუ გვაყურებინებთ.

— ბრალდებულთა ჭირაქაძე, თქვენ რამის თქმა გინდათ?

— მე რა ნინდა, იმას თავის დროსვე ვიტყვი.

პროცესის დაწყება ისედაც ჭირანურდებოდა. ამიტომ ქებულაძემ ჭირაქაძეს ყურადღება აღარ მიაქცია, წესისამებრ მსაჯულებს რაღაც გადაულაპარაკა და ის იყო, პროცესი გახსნილად უნდა გამოცხადებინა, რომ მირზა ჭირაქაძის დამცველმა, — გრძელთმიანმა ნიკაპმშეჭყლეტილმა კაცმა ხელი ასწია და სიტყვა მოითხოვა. ქებულაძემ მას გაგვირგებოთ შესვლა. ადვოკატმა ნებართვას აღარ დაუცადა და არაუხელი ქებულაძისაკენ გაიშვირა:

— პატივცემულო მოსამართლე! პატივცემულო სახალხო მსაჯულებო! მე არ ვაპირებ თქვენ ჭკუასა და გამოცდილებაში შეგვიზიაროთ. მაგრამ გაეზედავ და ერთ ძველ ჭეშმარიტებას შევახსენებთ. ხდება ხოლმე, რომ საქმე, რომელიც ერთის შესვლით ცხადზე უცხადდება, და რომელსაც თითქოს უწლოვანი ბავშვიც კი უცდომლად განსჯის, ზოგჯერ ისეთ მოულოდნელ ლაბირინთებში შეგვტყორცნის, რომ იქ გზის გაკვლევა, რაღაც ამეფე ღროს ჭეშმარიტების დადგენასა და აღამიანის ბედის განსაზღვრას უდრის, უუგამოცდილეს იურისტებსაც კი გასჭირვებიათ. დღევანდელი საქმეც, თითქოს ცხადზე უცხადდება. ამხანაგს შემთხვევით შემოაკვდა ამხანავი. ამ ფაქტს არავინ უარყოფს და განსასჯელები თავიანთ ხედვრს მორჩილად, უდრტიმველად მოელიან. ოპ, ნეტავი ასეთი წესერანი, მორჩილი და თვინიერი ყოფილიყვენ ისინი მანამდეც, სანამ განსასჯელოთ სკამზე მოხედებოდნენ, სცოდნოდათ, რომ აღამიანს სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ ეძლევა და მას თავიდანვე ფეხის პირველი გადადგმიდანვე უნდა გაუფრთხილდე. დასანანი, მეტად დასანანი ის, რასაც ჩვენ დღეს ამ დარბაზში ვხედავთ. მაგრამ ჩემი მარწმუნებლის მირზა ჭირაქაძის მწარე წამოძახილი მაფიქრებინებს, რომ ამ საქმეში, იქნებ კიდევ იყო რაღაც ბნელი მოსახვევები, რომლებშიც ჩვენ ჯერ არ შეგვიხედნია, ხადაც მართლმსაჯულების წმინდა სახელი ჯერ არ შეგვიტანია. მაშ, რატომ

უნდა დაგვიძიმოთ ჩვენი სინდიოი? იქნებ, ახლაც ისიც კი გამოირკვეს რამე საქმე, აი, ეს თითქოსდა ცხადზე უცხადების საქმე? სვლასლა გამოსადიებელი და შესასწავლია? მე გთხოვთ, გამოაკლისოს სახით, მასცეთ უფლება ჩემს მარწმუნებელს, ახლაც თქვას ყველაფერი, რაც მას აწუხებს. ხოლო მას რომ გულზე ნამდვილი, ღრმა, უმწარესი ტკივილი აწევს, ეს, ვეონებ, ყველასათვის ნათელია.

ქებულაძე წამით ჩაფიქრდა. მერე მსაჯულებს გადახედა და გამოაცხადა:

— სასამართლოს ვე საჭიროდ არ მიიჩნია. თუ ჭირაქაძეს რამის თქმა უნდოდა, გამომძიებლისათვის უნდა ეთქვა. თუ რამე მხოლოდ ახლა გაახსენდა, საბოლოო სიტყვაში ბრძანოს. პროცესს ვიწყებთ. სიტყვა ეძლევა რაიონის პროკურორს ამხანავ ბაჯელიძეს.

ბაჯელიძემ ძალიან მოკლედ, უგულოდ ილაპარაკა. ფულის დაკარგვამ იგი ისე გააგულჩია, რომ განსასჯელებშიც და მსაჯულებშიც — იმ წუთში ყველა ერთნაირად სძულდა. თავი დიდად არც ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს გამოუღვიათ — ყველაფერი ნათელი იყო. საბოლოო სიტყვაზე ბუღეიშვილმა და ჯაველიძემ უარი თქვეს, ბესარიონმა ითხოვა, თუ შეიძლება, გაითვალისწინეთ ჩემი ახალგაზრდობა და ისიც რომ დედაჩემი ასლა მარტო დარჩა და ავადმყოფ ქალს წყლის მიმწოდებელიც კი არავინ ჰყავსო. ბოლოს ჯერი მირზა ჭირაქაძეზე მიდგა. ის წამოდგა, მოაჯირს ორივე ხელით დაეჯრდნო და ამით თითქოს ყველას აგრძნობინა, გრძელი და სერიოზული სიტყვის თქმას ვაპირებო. ამხანავებული დარბაზი გაინახა.

— პატივცემულო მოსამართლე! პატივცემულო სახალხო მსაჯულებო! — აქ მირზას ბადრაგის ოფიცერი მიუასლოვდა და ანიშნა, მოაჯირზე ხელებით დაყრდნობის უფლება არა გაქვსო. მირზა წელში გაიმართა და ღრმად ამოისუნთქა. — პატივცემულო მოსამართლე! ჩემთვის და ჩემი ამხანავებისათვის ამ რამდენიმე ხნის წინათ ვინმეს რომ ეთქვა, მალე ცხრაკლიტულში ჩაგვტაცვენ და მერე განსასჯელთა სკამზე დაგვამენო, ალბათ, ამას უხეირო ხუმ-

რომად მივიჩნევდით. მაგრამ, ჩანს, ბედს ასე ენება, რომ ჩვენი ცხოვრება სწორედ განსასჯელთა სკამიდან დაწყებულიყო. მე ვიცი, რომ დამნაშავე ვარ. მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ჩემს ადგილზე ამავე დანაშაულს ჩაიდენდა ყველა, ვისაც უყვარს მეგობარი, ვისაც არ უნდა, რომ მეგობრის წინდაუხედავ, მოუსომელო ნაბიჯს ტრაგიკული შედეგები მოჰყვეს. მე თანაბარ პატივს ვცემდი იმასაც, ვინც წუთისოფელს ნაადრევად გამოეთხოვა და იმასაც, ვინც ეს გამოუსწორებელი საჭმე მოიმოქმედა. მე არ ჩვეანი არ მქონდა. მე არ შემეძლო, მილიციამი მივსულიყავი და თავი ბუღეიშვილზე მეჩვენებინა. არა იმიტომ, რომ ანზორ კუპატაძის უაზრო სიკვდილმა გული სხვაზე ნაკლებ მატკინა. არამედ იმიტომ, რომ ვიცი და მჯერა: ანზორ კუპატაძე სხვაზე არანაკლებ თვითონ თავის ებრალება, ვისმა უნებლიე ნაბიჯმაც იგი წუთისოფელს გამოასალმა.

ჩვენ ყველანი დავისუბით. და უნდა დავისაჯოთ კიდევ. ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. მაგრამ სახაელს მხოლოდ მაშინა აქვს ნამდვილი ფასი, როცა იგი ძირფესვიანია, როცა განაჩენს მიღმა აღარ რჩება აღარაფერი. რასაც კი დანაშაულთან რაიმე კავშირი ჰქონდა. და აი, ასლა მე მიეჩერებოვარ მოქალაქე ნათია ავალიშვილს. მიეჩერებოვარ ამ თბილისელ, ინტელიგენტურ ოჯახში აღზრდილ, დახვეწილ, გემოვნებიან, უზადოდ ჩაცმულ ქალიშვილს, დღეს უკვე მეუღლეს, ოჯახის დიასახლისს და ფიქრობ: ნუთუ ამ ქალს დღევანდელ პროცესზე თავი მართლა მოწმედ მიაჩნია? ნუთუ იგი არ გრძნობს დანაშაულის მთელ სიმძიმეს, რომელიც მას მხრებზე აწევს — არა, მე ეს არ მჯერა. იგი არც ისე გულუბრყვილოა, იგი საკმაოდ ჭკვიანია. და მან მშვენივრად იცის, რომ ჰე დაძაბულ, ნერვიულ, ურთიერთობისადმი იტვირთ უნდობლობით და არაჯანსაღი მეტოქეობით აღსავსე დამოკიდებულებაში, რომელიც ჩვენს პატარა, მეგობრულ წრეში უკანასკნელი თვეების მანძილზე დამკვიდრდა და რასაც, თუ სიმართლეს ვიტყვით, ეს ტრაგიკული ფინალი მოჰყვა, მთავარი დამნაშავე... დიას, სწორედ მთავარი დამ-

ნაშავე მხოლოდ ისა და ის არის, აი სწორედ ეს ნათია ავალიშვილი, რომელიც თურმე, იმ აბეზღით დღეს ჩვენთან წამტარნოდ მხოლოდ იმიტომ არ წამოვიდა, რომ „გუნებაზე არ იყო“. რამდენი ცინიზმი ამ სიტყვებში! თქვენ თვეების და წლების მანძილზე მეგობრობდით ამ ხალხთან, მოქალაქე ნათია ავალიშვილი! ასლა, როცა ერთი ჩვენი ამსანაგთაგანი უკვე მიწაშია, გულზე ხელი დაიდეთ და უთხარიეთ ამ საზოგადოებას: რომელ მათგანს არ უღვიძებდით თქვენ იმედებს? რომელ მათგანს არ ალაღებდით თქვენი ნატიფი ქალურობით? რომელ მათგანს არ ვაკვლევდით? მაგრამ... მოვეშვათ. თავის გრძობებზე, დეე, ყველამ თვითონ ილაპარაკოს. ყველა თვითონ გაეკრევის. მე თუ ცოტა უფრო ადრე გავერკვიე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა დამიფარა და ამ ქალბატონისადმი არავითარი გრძნობა არა მქონია. დიას... და ბოლოს, ეს თქვენი გათხოვება. გულწრფელად გეტყვი: ამგვარ სიმარჯვეს მე თქვენგან არ მოველოდი. მე მაინც უფრო სუსტი და უსუსური მეგობნეთ. მაგრამ თქვენ პირდაპირ საარაკო სისწრაფე და მოხერხება გამოიჩინეთ, ელვის სისწრაფით ამოეფარეთ თქვენი სახელოვანი ქმრის ფართო, ვაჟაკურ მხრებს სრულიად დარწმუნებული, რომ ამას იქით ყოველგვარი ხიფათისაგან და უსიამოვნებისგან დაზღვეული იქნებოდით. თუ მართლაც ასეა, ბარატალა თქვენ. მე სულაც არ მინდა, რომ თქვენ განსასჯელთა სკამზე დაგსვენ. არა, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ მე არა მეტონია, დახვრეტა მომისაკონ. შეიძლება, ოდესმე ჩვენ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. და მე მინდა, რომ თქვენ მაშინ თვალის გასწორება შეგძლოთ. მე თქვენ ამას ვისურვებთ. მე დამამთავრე. დეე, ჩვენმა მართლმსაჯულებამ საკადრისი მომიწოდეს.

* * *

- ნათია, ნუ სულელობ!
- არა-მეთქი, ნომალი! არა!
- ნათია, გთხოვ! ნათია!
- არა!

— მოდი, ცოტახანს გვერდზე მიედგეთ, ვილაპარაკოთ.

— არა!

— ნათია!

— დეიდა ბაბო!

ეს ამბავი სასამართლოს წინ, ქუჩაში ხდებოდა. განაჩენი ბარე საათნახვერის წინ გამოიტანეს და მისჯილები ციხეში წაიყვანეს. ავული მეიფარიძეა და მისმა ამაღამ ბაბოს ზვიადად ჩაუარა და მეტად, მეტისმეტად თავაზიანად დაემშვიდობა, ნათია კი ვითომ აღარ შეეუმნევიათ. ნათიამ მაშინვე ბაბოს წასწურწულა, უთხარით, ნუღარ სწუხდებიან, მე ინსტიტუტში აღარ მოვალთ. ქალაქს თანდათან ბინდიც შემოეპარა. მოსამართლე, პროკურორი, მსაჯულები ხადარბაზოდან გამოვიდნენ და, სახლებში წავიდნენ. ესენი კი...

როგორც სერგე წულაძე აღნიშნავს, ამ ქართველი პოეტის შთაგონება მართლაც მოგვაგონებს ნერვალისებურ პოეზიას. ნ. ბარათაშვილის პოეზიის მოტივები, ლირიკა, მოგვაგონებს ნერვალისეულ ლექსებშიც: ჩვენი მზრთე კიდეც შევადგოთ შევავსოთ ეს მსგავსება. ნ. ბარათაშვილს აქვს ეროვნული და პოლიტიკური ხასიათის მოტივები, იმავეს ემოულბოთ ნერვალის პირველი პერიოდის ნალებად ცნობილ ლექსებში, რომელსაც ახასიათებს ეპიკური და ელემენტური განწყობილება. აქ კარგადაა გამოხატული რომანტიკული პოეზიის სიღრმისა და ვაკანების ის ერთობ. დიდი ელერჯობა, რომელსაც აღნიშნავენ ამ პერიოდის ლიტერატურის მკვლევარები.

ნ. ბარათაშვილის ლექსების სერგე წულაძისეულ ფრანგულ თარგმანებს მაღალი შეფასება მისცეს — „ფრანს ნუფელმა“, „ყოლ ე ნახონმა“, „ბიულეტენ კრიტიკ დოუ ლივრ ფრანსემ“. საფრანგეთის ეროვნული პედაგოგური ინსტიტუტის ბიულეტენმა და სხვ.

სერგე წულაძე წარმატებით თარგმნიდა მეოცე საუკუნის ქართველი პოეტების ლექსებს, რომლებიც დროგაშორებოთ იმეძებოდა ხამუოთა კავშირსა და უცხოეთის პრესაში. ჩვენმა მთარგმნელმა თარგმნა ორაკლი აბაშიძის „აღზნის პირას“, ტყვიან ტაბიძის

„შეხვედრა მიაიკოვსკისთან“, „სუბუანი და რუსთაველი“, გალექტონ ტაბიძის „მოაწმინდის მთვარე“, „ლენინი“, ოთარ ჭილაძის „ოკლადი“, კარლო კალაძის „კოშუკები“; გამომცემლობა „განათლებლამ“ 1976 წელს გამოსცა გრ. აბაშიძის ლექსების წიგნი „კლდეები და მთები“, რომლის ფრანგული თარგმანი დიდ რედაქციებში შესარულა სერგი წულაძემ. წიგნში შეყვალა 24 ლექსი: „ოქროს ვენახი“, „თბილისი“, „დედასთან“, „შემოღვაკმა“, „სეტყვა“, „წვდა და მერცხალი“, „კლდეები და მთები“ და სხვა. წიგნს წამბეჭდვარებულა აქვს მთარგმნელის შესავალი სტატია, რომელშიც მოკლედ აცნობს უცხოელ მკითხველს გრავალ აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. შესავალი სტატიის ავტორი აღნიშნავენ, რომ გრავალ აბაშიძის პოეზია სუნთქავს მშობლიური მიწის სურნელით, შვიდროდ არის დაკავშირებული თავისი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან და საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთი საბატიო ადგილი უჭირავს. შემდეგ მოცემულია პოეტის მოკლე ბიოგრაფია, მითითებულია, რომ გრავალ აბაშიძე არის ავტორი მრავალი ლირიკული ლექსის, მოთხრობისა და რომანისა.

სერგი წულაძის სახელად უნდა ითქვას, რომ გრავალ აბაშიძის ლექსებისათვის შეუწარმუნებია სრული ენოციური გამომბატელობა, დედნის მომხიბლველობა, მხატვრული ხასხეობა.

პარიზში უოფნისას სერგი წულაძე ეურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ლიტერატურისა და ბელოცენების საკითხებზე. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მწერლის მუშაობა 1950-1952 წლებში „ლატრიბუნ ნასიონში“ და „ლუმინატეში“. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მთარგმნელობით მუშაობასთან ერთად, იგი აქვეყნებდა ცალკე წიგნებს, სტატიებს, რედაქტორობდა ფრანგულად თარგმნილ წიგნებს. სერგი წულაძის რედაქტორობითა და ბოლოსიტყვებით გამოვიდა ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუალი“, რომელიც თარგმანდლისაბედ პაგრატორმა.

სერგი წულაძე იყო უშიშარი მებრძოლი, შესანიშნავი მამულიშვილი, დიდი პატრიოტი; მერე მსოფლიო ომის სუხიან დღეებში იგი, ფრანგ პარტიზანებთან ერთად, თავგამოდებით ებრძოდა გერმანულ ფაშისტებს, რითაც ახალგაზრდა პატრიოტმა ფრანგი ხალხის ბედუადის — მორის ტორესის მადლობა

დაიხსახტრა. მორის ტორესი სერგი წულაძის ბრძოლებსა და შეცნიერულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას მაღალ შეფასებას ატყუდებდა. სერგი წულაძის უფროოდ დაქარგვის გამო საქართველოსა და საფრანგეთის პრესაში გამოქვეყნდა ნეტოლოგები, სტატიები, მოგონებანი, რომელთა ავტორები ხასხასით აღნიშნავდნენ სერგი წულაძის დიდ დაშახტრებას ქართველი და ფრანგი ხალხების კულტურის წინაშე. ვახეთი „კომუნისტი“ წერდა: „ქართველმა საზოგადოებრიობამ დაქარგა ბრწყინვალე მთარგმნელი, ჩინებული მეცნიერი, ჩვენი ქვეყნის დირსეული პატრიოტი“. ასევე სპეციალური სტატიები მოუძღვნეს სერგი წულაძის მოღვაწეობას „ლიტერატურულმა გაზეთმა“ და „სამშობლოში“.

1977 წლის 6 ივლისს ნომერში ვახეთი „ლუმინატე“ წერდა: „ჩვენი ვაფავეთ, რომ მოსკოვში გარდაიცვალა დოქტორი სერგი წულაძე. სერგი წულაძე სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როდესაც საფრანგეთში წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობა მიაღო. შემდეგ სერგი საქართველოში დაბრუნდა, სადაც მან დიდი საქმე გააკეთა, ერთმანეთს დაუკავშირა ქართული და ფრანგული კულტურა. სერგი წულაძემ სახელი მონაშეკვა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა. მან ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ეს დიდი ქართული ეპოპეა, რომელიც გამოსცა გალიმარმა პარიზში; სერგი უკანასკნელად მუშაობდა ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე, რომელიც უნდა გამოცეცა ცალკე წიგნად პარიზში „დედ სედიტორ ფრანსე რიფენის“.

„სერგი წულაძის სახით, — წერდა გრავალ აბაშიძე, — ქართულ მწერლობას ამ ორი ათეული წლის წინათ შეეშატა ვერაპულად განათლებული სწავლული და შემოქმედი, რომელმაც მაშინვე მონახა თავისი ადგილი ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. სამშობლოს სიყვარულით ანთებული პატრიოტი, თანდაზობელი და გულყოფილი, დაუცარიოდ მოქმედებდა; კითხლშობილი მოღვაწე მართლაც ამშვენიებდა ჩვენს ინტელიგენციას თავისი ღრმა ერთდციობითა და დიდი ნიჭიერებით. ქართულიცა და ფრანგულიც, წულაძისათვის დედაენები იყო და მან მუშაობა თავისი ამ უპირატესობის გამოყენებისაკენ წარმართა. მან დაიწყო პირდაპირ ლექსად თარგმნა და სწორედ აქ მიაღწია დიდ წარმატებას“.



ზღვდინიარ ჯივუბი

რეალიზმისათვის ბრძოლის გზაზე

ჩვენს კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში კარგა ხანია შემოვიდა და მტკიცედ დამკვიდრდა ცნება — „სახეოთა კლასიკა“. აქ პირველ რიგში, იგულისხმება ქმნილებები საბჭოთა მწერლობის იმ ოსტატებისა, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას. დღეს სიტყვის ამ ოსტატების ქმნილებანი მკითხველს ხელთ აქვს მათი თხულებათა ტომეულების სახით, რომლებშიც შეტანილია არა მარტო მხატვრული ნაწარმოებები, არამედ მათი თეორიული და პუბლიცისტური წერილებიც. რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი. ეს კი ნორმალური მდგომარეობა როდია. ჩვენი პოეტებისა და პროზაიკოსების პუბლიცისტური მექვიდრეობა მრავალ საფურცელზე და დღესაც ცოცხალ ქმედით აზრს შეიცავს, რომელთაც დიდი წიშეწვლილი ენიჭება ახლასათვის ბრძოლაში.

ამჟერად ჩვენ შედეგად დადიანის ლიტერატურულ წერილებზე შეგერბებით. „გამოჩენილ ადამიანთა გახსენება დროადო დრო ფიქრებს ავერსილს ხოლმე, — ამბობდა ვოევი. — ისინი ჩვენს თვალწინ თაობათა ანდერძით წამოიბარებთან“. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის შედეგად დადიანი. მისი შემოქმედება განარბრავდა უადრესად მრავალმხრავი იყო. იგი წერდა მოთხრობებს, რომანებს, პიესებს, პუბლიცისტურ და ლიტერატურულ წერილებს. რა თქმა უნდა, განარბრავდა მრავალფეროვნება უდიდესი დარსება მწერლასა. მაგრამ ამით როდეს განისაზღვრება მისი დამახარება ქართული კულტურის წინაშე. იგი იყო ყველა განარბის იშვიათი ოსტატი, პირველხარისხიანი დრამატურგი და ბელეტრისტი, მისი პიესები დღესაც ამწვენებს ქართულ სცენას. ხოლო მისი რომანები, ესოდენ რომ გამოირჩევიან სოციალური კლასიკით.

ბით, მიგვანშენებენ, რომ შედეგად დადიანი მუდამ დიდ ეპოქალურ თემებს მკიდებდა ხელს.

ხელოვნების ჰერმარტ ქმნილებად მხოლოდის ნაწარმოები ითვლება, რომელშიც მარჯვედ არის ასახული ხალხის უოფა და ბრძოლა ნამდვილი და ჰერმარტის ცხოვრებისათვის. „ვერგვილიანების ოქახი“ ერთი ასეთი ნაწარმოებია. თავანი გახლავთ. მასში მოქმედება ვთარდება მძაფრად, კლასობრივი ბრძოლის ფონზე. აქ არიან ადამიანები, ისტორიის დიდ გზაზე რომ გამოხლან, მიუხედავად იმისა, დიდი თუ მცირეა მათი ლეწლი ათვანთა ხალხის წინაშე.

ამჟერ უნდა ვავიხსენოთ ერთი მეტად მწიშ. ვნელოვანი ამბავი, მოთხრობილი ა. გერცენის მიერ: „ვიწმე კეთილმა ფრანგმა ვასაოცარი რუდუნებით გამოძერწა ცვილისაგან პარისის ერთ-ერთი უბნის მოდელი. თავისი მრავალწლის ნამუშევარი რომ დაამთავრა, იგი კონვენტს მიართვა... კონვენტი, როგორც ცნობილია, მკაცრი და თავისებური წინს დაწესებულება გახლდათ. ჭერ დუშმა, მას ცვილის ქანდაკების ვარდა, სხვა ბლომად ჰქონდა საქმე. — უნდა შეეკმნა რამდენიმე არმია, დაეპრებინა მშიერა პარისელები, თავი დაეცვა კოალიციისაგან... ბოლოს მოდელსაც მიადგა და გადაწვითა: „ამა და ამ მოქალაქეს, რომლებს ნაწარმოები არ შეიძლება ზედმიწევნით დასრულებულად არ მივიჩნიოთ. ექვსი თვით მისხარის ციხე იმის გამო, რომ უსარგებლო საქმეზე ცდებოდა. მაშინ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო“.

შედეგად დადიანი ხშირად ახსენებდა ხოლმე ამ ადგილს გერცენის წინადა. შეიძლება თავისთავად კონვენტის გადაწვევა იტყვიან მტრისმეტად მკაცრი და ვადეპარბებული უტოლარის მის ნიმუში იყოს, მაგრამ მაინც ხაზს უსვამს

მას, რომ არ შეიძლება განზე ვადგე, როცა შენი ხალხი ხაზინელ განსაცდელშია და მას ირგვლივ ათხი მტერი ცხვია.

შალვა დადიანს მხოლოდ ის ხელისუფლება სწამდა, რომელიც რაიმე დიდ აზრს გამოხატავს და ეროვნულ ინტერესებს იცავს; ასეთი ხელისუფლების დიდ ოსტატებად მიიჩნეოდა მას. პუშკინი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვარკა, ემილ ზოლა, ვიქტორ ჰიუგო, რომელთა შეოქმედებებს მან გულწრფელი გრძნობებით აღზავნე წერილები უძღვნა.

პუშკინის გენიამ დრამატურგიაშიც გაიბრუნა, პოეტმა თავისი დიდი ეროვნული აქაც გამოავლინა, როგორც ამ ნაწარის დიდმა ნოვატორმა. მას უნდოდა, რომ ტრაგედია, საერთოდ დრამატული ნაწარმოებები, უწინარეს ყოვლისა, ხალხური ყოფილიყო. ყოველთვის უკრავდა არის ამოხსნილი შალვა დადიანის შესანიშნავ წერილში „პუშკინი, როგორც დრამატურგი“. ლაპარაკობს რა პუშკინის დრამებზე, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: დიდი მწერლის მიერ გამოკვეთილი სახეები მარტო ერთი რომელიმე ვნებათა დღეების მატარებელნი როდი არიან, არამედ ცოცხალი არსნი ვახლავთ, აღზავნი სხვადასხვა ღირსებებით, სხვადასხვა მანერებებით, სხვადასხვა ვნებათა დღეებით. ეს ზოგადი დებულება შეეხება არა მარტო პუშკინს, არამედ მხოლოდ ლიტერატურის ვრცელ ბუზმურას, რომელთაც უყვანავი სახეები შექმნეს.

შალვა დადიანისათვის დებულება ამისაველი წერტილი იყო. ერთად, ეს აზრი კვლავ გაიხსენა მან წერაღმის ილია ჭავჭავაძის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მხოლოდო სახეთა რიცხვს მიეკუთვნება ილიას ოთხარანთ ქართვი, რომლის ხასიათი უადრესად რთული და მრავალმხრივი, იგი უადრესად ფართო მასშტაბის განვითარებული სახეა.

შალვა დადიანი ჭავჭავაძის წლებში რამდენიმე წელს შეხვედრია ილია ჭავჭავაძეს, მისი მამა მირაღი მეფობაში იყო ილიასი და ერთი პირველი დამკავებელი. შალვა დადიანი წერდა: „მასხვის როგორი აღფრთოვანებით ვცოცხლობდით 1858 წელს ვაჭოთ „ივერიაში“ ფედერაციებად ჩამწკრივებულ „ოთხარანთ ქვრივს“ და მამა როგორ ქება-დიდებას ასხამდა ამ საუცხოო ნაწარმოებს“ (შ. დადიანი, ტ. V, გვ. 77).

მამა და შვილი აღფრთოვანებული იყვნენ არა მარტო „ოთხარანთ ქვრივით“, არამედ ილიას მთელი პიროვნებით, მთელი მისი შემოქმედებით, მისი მოღვაწეობის უზარმაზარი მასშტაბით, წმინდა ხიზნისით, რომლის ვარაუშე შეუძლებელია ქვეყნიხათვის ქვემარტივი ხასიახურის ვაწევია.

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა შალვა

დადიანი აკაკის პიროვნებას, მთელ მის შემოქმედებას. „განთიადი“, „ბაშა-არაუტყვევებელი“... ამ ნაწარმოებების ავტორს მისივე ხელთ რომ ვხვდებით, ეს კიდევინება კი არ არის, ან უბრალოდ მხოლოდებლობა, — წერდა შალვა დადიანი, — არამედ ეს ჩვენი ხაყვარულია, ხალხში განმტკიცებულია“.

შ. დადიანის წერილი-მოგონება „აკაკი“ ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს აკაკის წერაღის დიდ დემოკრატიზმს. იგი მუდამ ხალხში ტრიალებდა, მან ხელისუფლება ხალხის საყუთრებად აღიარა. იგი წერდა: „ხელისუფლების ქვემარტივ ნაწარმოებს საზღვარი არ აქვს, იგი ყოველი ერის საყუთრებაა“. და მართლაც, განასწორებდა ასეთ დიდ ნაწარმოებთა რიცხვს არ ეკუთვნის „გაზრდილი“, რომლის მთავარი პერსონაჟი უმადლესი მორალის მატარებელია.

მაღალი მორალის ამ ქადაგებას, რომელსაც აკაკის პოემა შეიცავს, შალვა დადიანი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა.

შალვა დადიანის ლიტერატურულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წერაღს სოციალისტური რეაღონის დიდ დამუშავებულზე—მაქსიმ გორკიზე, ამ ადამიანზე, რომელიც უფელაზე ადრე უმჯობესი ქარხმა. ლას, ადამიანურ სიამაყეს და რომლის პოეტური ოცნება წინასწარმეტყველურად ასრულდა.

შალვა დადიანი საოცარი პატივისცემით და ხაყვარულით არის გამსჯედილი დიდი რუსი მწერლის მიმართ; არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გორკის ჩვენ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მასზე მრავალი წერილია დაწერილი: მისივე ქავახიშვილი თავის ერთ წერაღში აღნიშნავდა, რომ იგი პირველ ხანებში გორკის ვაღლენას განიცდებდა. ეს ვაღლენა იგრძნობა თვითონ შალვა დადიანის არაერთ ნაწარმოებში.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ვაღლენა ზოგს სამარახხად მიიჩნია, მაგრამ ეს ასე როდი. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ქერ არც ერთი ოსტატი არ შობილა ამ ქვეყნად, რომელსაც რომელიმე სხვა ოსტატისაგან არ მიეღოს ზე-ვაღლენა“.

შალვა დადიანსაც ვაღლენა ხრულად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნია. იგი წერდა: ჭავჭავაძის მიუგოს ნაწარმოებებს წავითხვის შემდეგ დამებადა დიდი სურვილი, რომ მასავით ლამაზარულად მეწერა, მომწონდა მისი შეკუმშული ფრაზა, მეტაფორა — ანახლებილი... თუ რამ კარგი შეხვდამს ჩემს ფრაზას — გამიძვლავნება ამ მონაცემზე — ეს ამ დიდი მწერლის, საფარავთის გენიოსის უზარმაზარი ვაღლენაა“ (შ. დადიანი, ტ. V, გვ. 281). აქედან ჩანს, რომ საერთოდ შწერალი დიდ წინარტებს კი არ ბაძავს, არამედ ოსტატობას სწავლობს

მათგან. ამას ჩვენ უმოთაგრესად ახლავარდა მწერლებს საყურადღებოდ ვამბობთ.

ფრიალ საყურადღებოა შალვა ჯაღანიის წარკვეთა: „ეშილ ზოლა და თეატრი“. აქედანაც ჩანს, რომ მას რეალური მთარევე ერთადერთი სწორი მიმართულება: ავტორი აქ შეხანოწმავ გონებაშახვილურ ფორმულას ვცოვაჯობს; იგი ამბობს: თეატრისათვის საუცხოო დეკორაცია და შუაში ისევე აუცილებელია, როგორც მუსიკისათვის მელოდია, პოეზიისათვის კი ფაქიზი ფორმები.

შალვა ჯაღანიმა ვრცელი წერალი უძღვნა ავტორული ცაგარელის დრამატურგიას. იგი განსაყურებულად გამოყოფს მის თრ პიესას, ესენი განსაუთ „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუშა“, რომლებიც მიმართული არიან დრამატული და პარამართული ტრადიციების წინააღმდეგ. „მის წარმოებებში. — წერს და. დიანი — მუდამ ბრძოლა გატარებული არსებული ბოროტების წინააღმდეგ, დეცინვა და სურათბული ცრუმორწმუნეობის შეხახებ, აღნიშნავა მამულიშვილურ გრძნობათა კეთილშობილბობა. ის მუდამ თავისი პიესებში მუშანოწმის იდეას ქადაგებს, მაგრამ ეს ქადაგება განუერებული და მისაწყენი კი არ არის, კი არ გლლით მოხმინა და დეცინვა კი არ გვიხიხიხავს ავტორი, პარამით, ცოცხალ სურათბ. ში, სიცილ-ხარხარში ოსტატურად შეატარებულა ეს იდეები და თქვენც მხოლოდ წარმოადგენა რომ დასრულდება შემდეგ შეიგნებთ მას, შემდეგ ადასებთ და კარგად იგარჩნობთ, რომ ეს სიცილ-ხარხარი უაზრო არ ყოფილა, იგი უმიზნოვად არ მოვლენილა. ეს უკვე დადი ზელოვნიება მწერლისა, დადი უნარი ხასცერო ტექნიკისა“.

თ რატომ შერჩა ქართული სცენის საშუალოდ „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუშა“.

შალვა ჯაღანიი ხაეხებით იზიარებდა აზრს, რომ „ამა თუ იმ იდეისა თუ ნაწიტიქობ გამო. ხასატავად, სიუჟეტის ვასაშეღილად და ხახითა ჩამოსავლიბებლად ადაშიაის მხატვრულ შემოქმედებბა დახამაშილად ერთი ნაცადი და უნივერსალური გზა აქვს შერჩეული: ეს არის გმიარის დაპირისპირება ვარეშე საშეაროსთან, მისი ოცნებბა და სურათბების და შეგნების დაგახებბა სინამდვილბობაში“. ეს ახასაიბებდა ვასული საუუნებების შიღელ კლასიკურ დატრატურას. რაც შეეებბა თანამედროვე საბჭოთა რომანს, ეს უკვე მისთვის დახამასიათებელი არ არის. საბჭოთა რომანის შთავარი ვებარი არათუ წინააღმდეგობაში ოპოზიბბა არსებულ სინამდვილბობთან, არამედ ვამოსბატებ ახალი ეპოქის სულს და კომუნისმის წმენბებელი ხალხის ნება-სურვილს, ვანწყობილბობასა და მისწრაფებას, იბრძობს ქანსადა საბჭოთა მოართლას განპტიკე-

ბისათვის, ცხოვრების უყუთ შორეუბისათვის, ხალხის ხაკეთილდღეოდ.

მეტივესული

შალვა ჯაღანიმა ხეცეთილბებ „წერაქმე“ უძღვნა დიდ მუსიკოსს, უყვადვი ოპერების ავტორს ზაქარია ფალიაშვილს; იგი აღხახვა გულწრფელი გრძნობით, დდი მოწიწებით ქართული ამ მუსიკის გენიის წინაშე. ფალიაშვილი ხალხის ცხოვრებიდან, მისი წილიდან იღებდა შოტივებს, იღებბს. შალვა ჯაღანი ამბობს, რომ ზაქარია ფალიაშვილს არცერთი ნაწარმოებბ არ დაუწერია მხოლოდ ვასართობად. „მუსიკის შეუბბლი ვარცეული შეგავლბობა მისი-დინოს სულიბ ეთიკურ მხარეზე“, სწორედ ეს ვახლავთ ზაქარია ფალიაშვილის ეხოდენ ერთენული მუსიკის ერთ-ერთი შთავარი მიზანი.

შალვა ჯაღანის, როგორც მწერალს, დრამატურგს, რეჟისორს, მხახობის, ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა რეველუციამდელი და რეველუციის შემდგომი თაობების მხახობებთან. ამას მოწმობს მისი წერაიღებბი ლადო მესხიშვილზე, ვალტრიან გუნიანზე, კოტე მესხზე, ელისახზედ ჩეჩქიზიშვილზე, ნიკო ვოცირიძეზე და ა. შ. კიბულბობი ქართული სცენის კორიფეებზე დაწერილ ამ წერაიღებბს და ისინი ცოცხლად წამოიბართებბან თქვენს თვალწინ, თითქმის სცენაზე ეხებავთ ვალტრიან გუნიას მოწმებებზედ პორატრეტს და არა მარტო მას, არამედ ვვლბა მათგანს მათთვის დახამასიათებელი მანერითა და ვესტით. ვვებბა წერილს ნათელ ზოლად ვახლავს საყველბობად ცნობილი აზრი: „სცენა და მათურებბელთა დარბაზი, მხახობებბი და მათურებბელი მხოლოდ ერთობლად მქმნიან ერთ მთლიანს“.

შალვა ჯაღანის მებბუთი ტომში უყრადღებბას იქვეებს კიდეც ერთი წერილი — „დავით გურამიშვილის ხაღავთან“. გურამიშვილმა არა მარტო ქართული დეცინის ახალი წყობა შექმნა, არამედ აგრეთვე ქართული დატრატურა მნიშვნელოვნად ვამდიდრა ბრძნული აზრებით და იღებბით. მისი „დავითიანი“ ვამსბველულია ხალხთა მეგობრობის სულიკვეთებით, მის ძვირფას ხასხელთან მჭიდროდ არის დეკავშირებული რუსი, უკრაინელი და ქართული ხალხის მეგობრობის შორბული საწყისებბა.

შალვა ჯაღანის ღრმად სწამდა და სწარბდა, რომ მტლოვნიება და ლიტერატურა არის ხალხების დახასლოებბას ერთ-ერთი ყველაზე საუყვებესო საშუალებბა; ცალკეული პაროვნებბი დიდ როლს ასრულებენ ამ საქმეში, და მის ნათქვამს ჩვენ უნდა დავუბატოთ, რომ ერთი ასეთი პაროვნებბათაგანი თითოთ შალვა ჯაღანი ვახლავთ. იგი მთელი თავისი ბუნებით, ცხოვრებით ინტერნაციონალბიტი იყო, მას ბევრი მეგობარი ჰყვდა ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა მხარეში.

ქართული წარმართული კალენდარი

V. ანგარიშ და ძროხოვლობა

ძველ-პითაგორაიანულ სწავლასა და პითაგორელთა კავშირის არსებობას დაახლოებით 200 წლის ისტორია აქვს. პითაგორელთა კავშირი, როგორც ფილოსოფიურ-რელიგიური და მცენარეული სკოლა, დაარსებულია თვის პითაგორას მიერ სამხრეთ იტალიაში. პითაგორა ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის 582—500 წლებში.

ძველი პითაგორაიანული სკოლის ისტორიას რამდენიმე პერიოდად უყოფენ. პითაგორელთა კავშირის პირველი ასუ უძველესი პერიოდი იწყება მისი დაარსების (ძვ. წ. 581 წ.) დროიდან დაახლოებით ძვ. წ.-ის 500 წლამდე. როცა პითაგორელთა სკოლა დარბეული იქნა მოწინააღმდეგეთა მიერ, ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ სკოლის დამაარსებელი პითაგორა და ძვ. წ. მე-6 საუკუნის პითაგორელები: პიპასი, დემოკლედი, პეტრონი, პროკტინი და სხვანი. მეორე პერიოდი მოიცავს დროს ძვ. წ. 500 წლიდან ძვ. წ. მე-5 საუკუნის შუა ხანებამდე. ამ პერიოდში უკლებლად მეცნიერული პითაგორაიანული მოძღვრების მთავარი სისტემა. პითაგორაიანული მოძღვრების მეცნიერული სისტემა იქმნებოდა თანდათანობით, პითაგორელთა ერთობლივი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად. პითაგორელთა მოღვაწეობის შესახებ პერიოდში (ძვ. წ. 450-იანი წლებიდან დაახლოებით ძვ. წ. 430-იან წლებამდე) პითაგორაიანული მოძღვრება უკვე ხავესებით და-

სრულებული მეცნიერული მოძღვრებაა, რომლის ძირითადი დებულებები წერილობითი სახით ქვეყნდება კიდევ: ფილალოსის „ზუნების შესახებ“ (დაახლოებით ძვ. წ. 430 წელი) და დაახლოებით ამავე ხანებში გამოქვეყნებული იონ ხოსელიის „ტრაკეაში“.

პითაგორელთა მოღვაწეობის შესახებ პერიოდი ტრაკეულად მოაქვდება: სამხრეთ იტალიის სხვადასხვა ქალაქებში გაუანტული პითაგორელთა პეტერიები დარბეულ და განადგურებულ იქნენ პითაგორელთა მოწინააღმდეგე დაჯგუფებების მიერ. პითაგორელთა მეორე დარბევა უნდა მომხდარიყო დაახლოებით ძვ. წ.-ის 435 წელს. დარბევთა შედეგად ბევრი პითაგორელი დაიღუპა.

თავდაპირველად პითაგორელები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სამხრეთ იტალიაში, მაგრამ შალი ასოციაციების დარბევის შედეგად პითაგორელები მთელ ბერძნულ საუბაროში დაიფანტნენ. ახე დაიწყო პითაგორელთა მეცნიერული მოღვაწეობის მე-4 პერიოდი: ძვ. წ.-ის მე-5 საუკუნის უკანასკნელი მესამედი, როცა სამხრეთ იტალიიდან ეტოლოვლი პითაგორელები მოღვაწეობენ სხვადასხვა ქვეყნებში ძვ. წ.-ის მე-5 საუკუნის დასასრულამდე (ძვ. წ. 485—400 წწ.).

პითაგორელთა მეცნიერული მოღვაწეობის ამ პერიოდის შესახებ აღიქმანდრე მკოვედლსკი წერს:

«В последней трети V века до н. э. пифагорейская школа более не существует ни как политическая ассоциация, ни как центр просвещения. Отдельные мыслители более или менее обособляют-

სა და образуют секты, продолжая, однако, признавать себя учениками Пифагора. Главная задача этих мыслителей — согласовать с прогрессом мысли священные формулы, завещанные Пифагором, и поставить новые открытия под покровительство его имени¹.

ამგვარად, სამხრეთ იტალიიდან ღრუბლები პითაგორელების მოღვაწეობის ხანა ზუსტად ემთხვევა ქართული ანბანის შექმნის ქრონოლოგიურ პერიოდს — ძვ. წ.-ის 430—400 წლებს; სამხრეთ იტალიიდან ღრუბლები პითაგორელების მოღვაწეობა სწორედ ძვ. წ.-ის 430—400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდზე მოდის.

ცხადია, ძვ. წ. 430—400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდში პითაგორაძეული მოძღვრება უკვე საეზებით დასრულებული მეცნიერული მოძღვრებაა, ხოლო ქართველი პითაგორელების მოღვაწეობის ხანა მხოლოდ და მხოლოდ ამ ქრონოლოგიურ პერიოდზე შეიძლება მოიხსნას. ამიტომ, ამ ქრონოლოგიურ ურთიერთდასწვევათა საფუძველზე კიდევ ერთხელ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანი შექმნილია საქართველოში ქართველი პითაგორელების მიერ. რაც შეეხება პითაგორელთა მოღვაწეობას ძვ. წ.-ის მე-4 საუკუნეში, ჩვენი საკითხისათვის ამ ხანას მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ამ პერიოდში იწყება პითაგორაძეული მოძღვრების რღვევის პროცესი, ხოლო ძვ. წ.-ის მე-4 საუკუნის შუა ხანებში თავისთავად პითაგორაძეული მოძღვრება უკვე აღარ არსებობს. იგი პლატონისმს შეერწყა, ამის შესახებ აღექვანდრე მაკოველსკი წერს:

«В половине IV века научный пифагорейский как самостоятельное течение философской мысли, сходит со сцены; он сливается с платонизмом. Этот момент и считают концом древней пифагорейской школы»².

ამგვარად, სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ძველი წელითღირისების 430—400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდში. ამავე დროს, რაც ქართულ ანბანში პითაგორაძეული საიდუმლო მათემატიკური ცოდნა დასტურდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის შემქმნელი ქართველი პითაგორელია. ქართველი პითაგორელების მოღვაწეობა კი საქართველოში იმავე 430—400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდზე უნდა მოდიოდეს.

როგორც ჩანს არ არის გამორიცხული, რომ

ქართული ანბანის შემქმნელი ქართველი პითაგორელია. იგი მოღვაწეობს საქართველოში ძვ. წ.-ის მე-4 საუკუნის უკანასკნელ შემდეგში. ამავე დროს, ცხადია, იგი ერთ-ერთი ქართველი ქურუმთაგანია და ძვ. წ.-ის მე-4 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პირთაგანია.

რაც მთავარია, ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში დასტურდება როგორც ძველი აღმოსავლური ცივილიზაციის ცოდნა, აგრეთვე დასავლური ცივილიზაციისა და კერძოდ ძველი პითაგორაძეული მოძღვრების ცოდნა. მაგრამ ქართულ ასომთავრულ ანბანში ათვისებულია არა მხოლოდ ძველი ცივილიზაციების მეცნიერობათვის საფუძვლიანი ცოდნა, უფრო მაღალ საფეხურზე დგას. ქართული ასომთავრული ანბანი კულტურის ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლია.

ანბანური დამწერლობის თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული ანბანი სრულყოფილია ანბანური დამწერლობის ყველა ასპექტში. ქართულ ასომთავრულ ანბანში განსორციელებულია თვლის უფრო სრულყოფილი სისტემა იმ სისტემებთან შედარებით, რომლებიც ძველ შუამდინარეთსა, ეგვიპტესა და საბერძნეთში არსებობდნენ; ქართულ ასომთავრულ ანბანში განცხადებულია მათემატიკური, ასტრონომიული და კალენდარული მიღწევები, რომელთა ბადალი ძველი ცივილიზაციებისათვის უცნობია. მართკ ქართული ანბანის ათწილადური თვლის სისტემა რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ა — რიცხვის ზუსტი ათწილადური მნიშვნელობა. რაც შეეხება წელიწადის ხანგრძლივობის ცოდნასა და მის კალენდარულ განსორციელებას, საკმაოდ ძნელია ეს მათემატიკურ-ასტრონომიული და კალენდარული საოცრება პითაგორელთა საიდუმლო მოძრაობის დამახებრებად მივიჩნიოთ.

ძვ. წ.-ის მე-4 საუკუნის ბერძენი ასტრონომის ენოპიდეს ბიოცელის 59-წლიანი ციკლით წელიწადის ხანგრძლივობა 365, 22/59 ანუ 365,37 დღე-ღამეა; დღევანელი ასტრონომის მეტონის 19-წლიანი ციკლით (ძვ. წ. 432 წ.) წელიწადის ხანგრძლივობა 365,242 დღე-ღამეა; ამავე საკითხზე, კროტონელი ფილოლაოსის თვალსაზრისის შესახებ, აღექვანდრე მაკოველსკი წერს:

«Существует также год пифагорейца Филолая, состоящий из 59 лет, в котором добавочных месяцев 21. Филолай объяснял, что естественный год имеет 364 1/2 дней»³.

ენციკლოპედია „პრიტანია“ კი წერს:

«Филолаосом было сказано, что годами есть 29

¹ А. Маковельский, Досократики. Часть третья. Казань, 1919 г., стр. IX.

² А. Маковельский, Досократики. Часть третья. Казань, 1919, стр. IV.

³ Александр Маковельский. Досократики, часть 3-я. Казань, 1919 г., стр. 31.

1/2 დღე-ღამე; მთარის წელიწადი 354 დღე-ღამე, ხოლო მზის წელიწადის ხანგრძლივობა 365. 1/4 დღე-ღამე¹.

ბერძენი ასტრონომის კალიპოსის 76-წლიანი ციკლით (ძვ. წ. 380 წ.) წელიწადის ხანგრძლივობა 365,25 დღე-ღამეა; ხოლო უფილდეის ბერძენი ასტრონომის — ჰიპარქის 801-წლიანი ციკლით (ძვ. წ. 125 წ.) წელიწადის ხანგრძლივობა 365,2467 დღე-ღამეა, რაც როგორც შემოთ უკვე აღინიშნა, 6. 1/2 წუთით აღემატება წელიწადის რეალურ ხანგრძლივობას.

კლავდიუს პტოლემეოსმა (ახ. წ. 87-165 წწ.) წელიწადის ხანგრძლივობის ზუსტი განსაზღვრა ვერ შესძლო ამ საკითხის თაობაზე იგი ჰიპარქოს უთითებს (აღმავესტი, III, I, 1).

ამგვარად, ყველა არსებული ცნობით, არც პითაგორიანულ მოძღვრებას, არც ბერძნულ ასტრონომიას ძველი წელთაღრიცხვის ხანაში და ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს ტროიკული წელიწადის ზუსტი ხანგრძლივობა, როგორც ჩანს, არ უნდა სცოდნოდა.

ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მეორე სავარაუდო თვალსაზრისით, ძვ. წ.-ის მე-5 საუკუნის ქართულ ასომთავრულ ანბანში დადასტურებული ასტრონომიულ-მათემატიკური ცოდნა ადვილობრავი, ქართული მათემატიკურ-ასტრონომიული აზროვნების ნაყოფი უნდა იყოს.

ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქრთმთა ძლიერი კასტა. ქართულ ასომთავრულ ანბანში ასახულია საოცარი ცოდნა როგორც აღმოსავლური კულტურასა, აგრეთვე დასავლური კულტურისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველ ქურუმებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ, ერთი მხრად, პაპილონურ, კერძოდ ქალდეურ ქურუმებთან, მეორე მხრად, ქართველ ქურუმთათვის კარგადაა ცნობილი პითაგორელთა საიდუმლო მოძღვრება.

ქალდეური კულტურის შესახებ პროფ. ა. ჩისტიაკოვი წერს:

«Благодаря постоянным сношениям вавилонян с соседними народами халдейская культура оказала могучее влияние на культуру других стран... Получила широкое распространение и числовая мистика, которая была неотъемлемой частью халдейской науки и культуры. Кольбелью числовой мистики, так же как и других тайных наук, издавна считается древняя Халдея. В Гре-

ции халдейское учение развивает Пифагор»¹.

— ქართული ასომთავრული ანბანი ცნაუროს, რომ ძვ. წ. მე-5 საუკუნეში საქართველო ძველი კულტურის ერთ-ერთი კერაა. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ ძველი აღმოსავლეთის დაცემისა და დაენიების შედეგად, კულტურის ცენტრმა საქართველოში გადმოინაცვლა, სადაც დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზმა ასეთი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

შეტვდეთ შეიძლება ითქვას: ქართული ასომთავრული ანბანი, დამწერლობისა, ასტრონომიულ-მათემატიკური და კალენდარული აზროვნების თვალსაზრისით, ზოგადად კულტურის განვითარების ახალი ეტაპი და მათემატიკური აზროვნების უფრო მაღალი საფეხურია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის შემქმნელი, როგორც ერთ-ერთი პითაგორელი, პითაგორიანული ფორმულებით სარგებლობს, მაგრამ ამავე დროს, ამ ფორმულების შემუშავებით მათემატიკურ, ასტრონომიულ და კალენდარულ ახალ ცოდნას აცხადებს. ასეთ შემთხვევაში ქართული ანბანის შემქმნელი ძვ. წ. მე-5 საუკუნის ერთ-ერთი უფილდეის ასტრონომოსი და მათემატიკოსია.

ამგვარად, ქართული ასომთავრული ანბანის საიდუმლოთა გამო, მე ორი სავარაუდო თვალსაზრისი გამოვთქვი. ერთი სავარაუდო თვალსაზრისით ქართულ ანბანში პითაგორიანული საიდუმლო ცოდნაა დამარხული. ასეთ შემთხვევაში ქართული ანბანის შემქმნელი ქართველი პითაგორელია; მეორე სავარაუდო თვალსაზრისით ქართული ანბანის შემქმნელი პითაგორიანული საიდუმლო ფორმულებით სარგებლობს, მაგრამ ამ ფორმულების შემუშავებით ქართული ასტრონომიულ-მათემატიკური ცოდნა აქვს განცხადებული. ამ შემთხვევაში ქართული ანბანის შემქმნელი ქართველი პითაგორელია.

ჩემმა თავად უპირატესობას მეორე სავარაუდო თვალსაზრისს ვანიჭებ.

ახე თუ ისე, ქართულ ასომთავრულ ანბანში პითაგორიანული მათემატიკური აზროვნება და ზოგადად პითაგორიანული მოძღვრება დასტურდება. პითაგორიანული მოძღვრებით კი პითაგორიანულ რიცხვებს გეომეტრიული მნიშვნელობა ენიჭებათ. ამიტომ საქორთა განვარდნით ძებნა და ბოლომდე ამოვაცნოთ ქართული ასომთავრული ანბანის გეომეტრიული არსი.

ქართული ასომთავრული ანბანის ასტრონომიულ-კალენდარული მნიშვნელობა გარკვეუ-

¹ Проф. И. Чистяков. Числовые суеверия. М.-Л., 1927 г., Также: Наука и жизнь № 8, 1968, стр. 126, 127.

¹ ენციკლოპედია „ბრიტანიკა“, ტომი 17, ფილოლოგია.

ლია. ქართული ანბანის მათემატიკურ-გეომეტრიული რაობაც რამდენაღმე თვალსაჩინოა. მაგრამ ეს უკანასკნელი ხაყიხიხე ზოლოზღე უნდა იქნეს ვარკვეული.

ქართულ ასომთავრულ ანბანში განსორცილებულა პათაგორიანული მათემატიკური პრინციპები. რიცხვს ქართულ ანბანში პითაგორიანული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გ. ვოლკოვის თქმისა არ იყოს:

«Пифагорейские числа фигурны и геометричны. В них объединились и геометрия и астрономия...!».

ს. ნ. ტრუბეცკოი კ წერს:

«Геометрические исследования занимают очень важное место у пифагорейцев. Форма и соотношения геометрических фигур определяются числами; отсюда самые числа в греческой математике постоянно получают геометрические определения; с другой стороны арифметические и геометрические соотношения открываются в геометрических фигурах»¹.

უკვე ითქვა, რომ ქართული ანბანის 85 ასონიანი მზის კალენდარული წელიწადის ერთი სრული ასტრონომიული წრეა ვერძის წერტილიდან ვერძის წერტილამდე. ქართული ანბანის ეს ასტრონომიული წრე «ლახი»-ს ფორმული

$$12 \times 30^\circ = 360^\circ - \text{ია}$$


ქართული ანბანით ეკლატიკოს ასტრონომიული წრეწირის ერთ შემოკლას მზე 85 დღე-ღამესა, 5 საათსა, 48 წუთსა და 48 წამს ანდომებს; ქართული ანბანით წრეწირის ხიჯრძის მის დიამეტრთან შეფარდება 3,14-ია. უნდა დავასკვნათ: ქართული ასომთავრული ანბანის ვრათეულ-გეომეტრიული რაობა წრეწირია.

ამეგარად, ქართული ასომთავრული ანბანი ერთდროულად ასტრონომიული ანუ ტრაპიკული წელიწადის ერთი სრული წრეწირია (ვერძის წერტილიდან მომდევნო ვერძის წერტილამდე):

ქართული ასომთავრული ანბანი მზის უძრავი წელიწადის ერთი სრული კალენდარული წრეწირია (365,24219 დღე-ღამე);


ქართული ასომთავრული ანბანი გეომეტრიული წრეწირია (3,14).

ესადა, ქართული ასომთავრული ანბანის გეომეტრიული არსი, პითაგორიანული მოძვრების თანახმად, წრეწირია.



როგორც უკვე ცნობილია, პითაგორიანული მსოფლმხედველობით, წრე ყველაზე უფრო სრულყოფილი გეომეტრიული ფიგურაა, რაჟი, პითაგორიანული კონცეფციით, სამყაროს წრეული ფორმა აქვს, ციურ მნათობებს აგრეთვე წრეული ფორმა აქვთ და მათი მოძრაობა წრეულია.

ქართული ასომთავრული ანბანის გეომეტრიულ არსს — გეომეტრიულ წრეწირის ქართული ანბანის ხუთი შეიდეგული ასორცილებს. ქართული ანბანის ხუთი შეიდეგული — ხუთი ტოლი მონაკვეთი გეომეტრიულად წესიერი ხუთკუთხედი, რომლის შემეგრებით განისაზღვრება ქართული ანბანის გეომეტრიული წრეწირი. ამიტომ, ქართული ანბანის გეომეტრიული არსი ჯერ, უფრო ადრე, წესიერი ხუთკუთხედი, რომელიც თავის მხრივ საფუძველია ქართული ანბანის ასტრონომიულ-კალენდარული და გეომეტრიული წრეწირისა. ამის გამო, გეომეტრიული თვალსაზრისით, ჯერ წესიერი ხუთკუთხედი აკიობება, ხოლო შემდეგ წესიერი ხუთკუთხედის გარშემო შემოწერილია წრეწირი:



როგორც უნდა შემოხსნას წრეწირი წესიერი ხუთკუთხედის გარშემო, მარტივი გეომეტრიული ამოცანაა.

მაგრამ ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში სხვადასხვა ანბანურ ასპექტში შეიდეგულების სხვადასხვა თანამიმდევრობა გვაქვს. ქართული ასომთავრული ანბანის 3, 4 და 5 შეიდეგულების სისტემათა შესახებ უკვე იყო საუბარი; 3 შეიდეგულისა, 3+1=4 შეიდეგულსა და 3+1+1=5 შეიდეგულის სხვადასხვა სისტემა გეომეტრიულად ურთიერთდასყვეთი ხუთი ტოლი მონაკვეთია,

¹ Генрих Волков. У колыбели науки, М., 1971, стр. 129.

² С. Н. Трубецкой. Метафизика в Древней Греции, т. III, М., 1910, стр. 194.

მაგრამ გეომეტრიულად შეკრული ხუთკუთხე-
დაა, რაჟი შეიღვეულებს სისტემა ქართული
ასომთავრული ანბანის ერთების პრინციპს
ასოციებებს.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ ქართული
ანბანის უპირველესი გეომეტრიული არსია
შეკრული ხუთკუთხედი — ხუთი ურთიერთ-
გადაშვეთი ტოლი მონაკვეთი, ე. ი. ვარსკვ-
ლავური მრავალკუთხედი, ე. წ. პენტაგრამა.

ქართული ასომთავრული ანბანის სრული
გეომეტრიული არსი ასეთია: უპირველეს უოვ-
ლისა, იკითხება პენტაგრამა. პენტაგრამა იძ-
ლევა ქართული ანბანის ერთების პრინციპს,
ე. ი. მის გარშემო შემოიხაზება წესიერი ხუთ-
კუთხედი; ხოლო ვარსკვლავური მრავალკუ-
თხედისა და წესიერი ხუთკუთხედის გარშემო
შემოიწერება წრეწირი.

გეომეტრიულად: პენტაგრამის ქიმების შე-
ნარტებელი ხაზები ჰქმნიან წესიერ ხუთკუ-
თხედს და პირველ: წესიერი ხუთკუთხედის
დიაგონალები ჰქმნიან პენტაგრამას; გეომეტ-
რიულად: პენტაგრამასა და წესიერი ხუთკუ-
თხედის გარშემო შეიძლება შემოიწეროს წრე-
წირი.

ქართული ასომთავრული ანბანის საბოლოო
გეომეტრიული რაობა ასეთია:



ქართული ასომთავრული ანბანი შეიღვე-
ლებს სისტემა. თუ რა უდიდესი მნიშვნე-
ლობა ენიჭება ამ რიცხვს ქართულ ანბანში
ასომთავრული ანბანის კვლევაში უკვე ცხადყო.
მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რიცხვი
7 ქართულ ანბანში კალენდარული ერთეულია
და ღრობს ძირითადი მონაკვეთია. ამგვ ღრობს
იგი გეომეტრიული მონაკვეთიც არის, რაჟი
ქართული ასომთავრული ანბანის მან ასო-
ნიშანი შეიღვეულია ანუ ნ ტოლი ნაწილია.

რაჟი ქართული ასომთავრული ანბანი გეო-
მეტრიულად ნ შეიღვეული ანუ ნ ტოლი მონა-
კვეთია, უნდა ვიცოდეთ რა მნიშვნელობისაა
თავად რიცხვი ნ. პათაგორიანულ მოძღვრება-
ში რიცხვი ნ, როგორც ორისა და სამის ჯამი
(2+3=5), ასიმეტრიის სწიფის რიცხვია. მაგ-
რამ იგივე რიცხვი ნ, როგორც ორისა, ერთი-
სა და ორის ჯამი (2+1+2=5) ერთდროულად
სიმეტრიის სწიფის რიცხვიც არის. იქნებ ამის
გამო, რიცხვი ნ პათაგორიანულ მოძღვრებაში

ვარსკვლავური ხუთკუთხედის ანუ პენტაგრა-
მის სიმბოლო იყო. ა. ურმანცევს ამის შესახებ
ხებ წერს:

«У пифагорейцев пятаерка лежала в ос-
нове пентаграммы — пятиконечной звез-
ды»¹. «Пятиугольник, точнее пентаграм-
ма считался у пифагорейцев священным,
поскольку эта фигура симметричная и в
то же время воплощает в себе некоторую
асимметрию — золотую пропорцию, по-
лучаемую соотношением неравных ча-
стей отрезка»².

რაჟი ქართული ასომთავრული ანბანის უპ-
ირველესი გეომეტრიული რაობა პენტაგრამაა,
საპირისა ვიცოდეთ როგორ აგებდნენ ამ გეო-
მეტრიულ ფიგურას პათაგორელები. ამის შე-
სახებ ა. რაჟი წერს:

«Из геометрических фигур большее
значение пифагорейцы придавали звезд-
чатому пятиугольнику, Свидетельства о
том, как они строили эту фигуру, нет.
Может быть, они строили ее при помощи
приложения площадей для случая золо-
того сечения, так как каждая сторона
звездчатого пятиугольника делит другую
его сторону, с которой пересекается, в
крайнем и среднем отношении»³.

ამგვ საკითხის შესახებ მათემატიკოსი ა.
ზენდუციძე წერს:

«Пифагорейцы в числах и их отноше-
ниях (а последние рассматривались как
отношения отрезков) искали гармонию.
Особо следует отметить любовь пифаго-
рейцев к звездчатому пятиугольнику.
Каждая из пяти линий, составляющих эту
фигуру, делит другую в отношении золо-
того сечения. Именно это свойство звезд-
чатого пятиугольника могли использовать
пифагорейцы для построения правильного
пятиугольника, так как строить золотое
сечение они, безусловно умели»⁴.

მათემატიკოს ისტორიკოსი დ. ცხაკაია წერს:
„პათაგორელები ზეგარს მუშაობდნენ სწო-
რი ხუთკუთხედის აგებაზე და მის შემსრუ-
ლებლებს მეტად ამაუად ეტობათ თავი. სწო-
რი ხუთკუთხედის აგება წარმოადგენს მეორე

¹ Ю. А. Урманцев. Симметрия приро-
ды и природа симметрия, М., 1974, стр.
17.

² Ю. А. Урманцев. Золотое сечение.
«Природа», № 11, 1968, стр. 33—40.

³ А. Е. Раик. Очерки по истории ма-
тематик в древности. Саранск, 1967,
стр. 163.

⁴ А. Д. Вендунидзе. Золотое сечение.
Квант, 1973, стр. 22—27.

ხარისხის განტოლების გეომეტრიულად ამოხსნის მაგალითს, რამაც პითაგორელები მიიყვანა სიდიდეთა უთანაბრობობისა და ირაციონალურ სიდიდეთა აღმოჩენამდე¹.

იგივე თვალსაზრისითაა ბ. ლ. ვან დერ ვარდენი:


«Для построения звездчатого пятиугольника пифагорейцы могли воспользоваться тем его свойством, что каждая из этих пяти линий делит каждую другую в крайнем и среднем отношении, т. е. так, что меньший отрезок относится к большему, как этот больший отрезок к целому, что приводит к квадратному уравнению?».

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ვარსკვლავურ ხუთკუთხედს, ე. წ. პენტაგრამას პითაგორელებში ოქროს პროპორციის ანუ ოქროს კვეთის მეშვეობით აგებდნენ.

რაკი ქართული ასომთავრული ანბანის უპირველესი გეომეტრიული რაობა პენტაგრამაა, ზოლო ამ გეომეტრიულ ფიგურაში ოქროს პროპორცია ვეაქვს, ცოტა რამ ოქროს კვეთის შესახებ უნდა ითქვას.

ოქროს კვეთის არსი შემდეგია:

ნებისმიერი მონაკვეთი ისეთ ორ ნაწილად შეიძლება გავეყოთ, რომ მთელია და დიდი მონაკვეთის სიგრძეთა შეფარდება, დიდიხა და მცირე მონაკვეთების სიგრძეთა შეფარდების ტოლი იყოს. მთელი მონაკვეთის ასეთი დაყოფის შედეგად მისი დიდი ნაწილი მთელი მონაკვეთისა და მისი მცირე ნაწილის საშუალო პროპორციული იქნება.



შეფარდებათა ტოლობა ასე დიფერება:

$$a : x = x : (a - x)$$

ეს პროპორცია x -ისათვის $x^2 + ax - a^2 = 0$, კვადრატულ განტოლებას ვვარდევს, რომლის დადებითი ამოხსნა იქნება:

$$\frac{a}{2} (\sqrt{5} - 1) = 0,618a$$

როგორც ვხედავთ, ოქროს კვეთით გაყოფისას, მონაკვეთის დიდი და მცირე ნაწილებში მთელის 0,618-ისა და 0,382-ის ტოლია (ცხადია, ეს მხოლოდ მაახლოებითი ტოლობაა,

¹ დ. ცხაკაია. მათემატიკის ისტორია უძველესი საუკუნეებიდან XVII საუკუნემდე. თბილისი. 1948 წ. გვ. 43.

² Б. Л. Ван дер Варден. Пробуждающаяся наука, М., 1959, стр. 139.

რადგან $\frac{\sqrt{5}-1}{2}$ ირაციონალური რიცხვია

და უსასრულო ათწილადიაა, ირაციონალური რიცხვია ირკვევა, რომ ვარსკვლავურ ხუთკუთხედს ანუ პენტაგრამას პითაგორელები უფოოდ ოქროს კვეთის მეშვეობით აგებდნენ, რაკი ხუთკუთხედის ყოველი გვერდი მოპირდაპირე გვერდს ოქროს პროპორციის დიდ და მცირე მონაკვეთებად მყოფს. ცხადია, ვარსკვლავურ ხუთკუთხედში ოქროს პროპორცია ვეაქვს, ზოლო რაკი პენტაგრამა ქართული ასომთავრული ანბანის გეომეტრიული რაობაა, იგივე ოქროს პროპორცია ქართულ ასომთავრულ ანბანშიც უნდა აღმოჩნდეს, რაკი პითაგორაინული მოძღვრებით რიცხვს შეესაბამება გეომეტრიული სიდიდე და პირუტყვ, გეომეტრიულ სიდიდეს რიცხვი.

ეს ვარძეობა იმას უნდა გვაუწყებდეს, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში ოქროს კვეთის საიდუმლოა დამარხული. როგორც ქვემოთ ვაჩიკვევა, ეს მართლაც ასეა. უფრო მეტად: ქართული ასომთავრული ანბანის ოქროს პროპორციის მეტად მნიშვნელოვანი კალენდარული და ქრონოლოგიური მნიშვნელობა ვხიკება.

განათვალისწინებელია კიდევ ერთი ვარძეობა:

პენტაგრამა ისეთი გეომეტრიული ხსეულია, სადაც ოქროს კვეთის შედეგად სიდიდეთა უთანაბრობობისა და ირაციონალურ სიდიდეთა საიდუმლო შევადნდება. ირაციონალური სიდიდების აღმოჩენა მათემატიკური აღმოვწენის უდიდესი მონაპოვარია. ძვ. წ.-ის მე-5 საუკუნეში პითაგორელებმა უკვე იცოდნენ ირაციონალური რიცხვები. ირაციონალურ სიდიდეთა აღმოჩენა პითაგორელთა დამსახურებაა. საკითხის სპეციალისტი ა. რაკი წერს:

«Величайшим открытием в математике, которым мы обязаны пифагорейцам, является открытие ими несоизмеримости величин, открытие иррациональности. Это открытие явилось рубежом в истории развития математики, оно обусловило новое направление, иное содержание и форму античной математики. Это открытие имело огромное философское и методологическое значение».

ქართული ანბანის შემქმნელს, როგორც ქართულ პითაგორელს, უფოოდ უნდა სცოდნოდა როგორც უთანაბრო სიდიდეთა, აგრეთვე ირაციონალური რიცხვების საიდუმლო. მე ვფიქრობ, ქართულ ანბანში ამის მინიშნებაც უნდა გვიჩნდეს. ცხადია, ქართული ანბ-

¹ А. Е. Ранк. Очерки по истории математики в древности. Саранск, 1967, стр. 154.

ნის შემქმნელი ძვ. წ. მე-5 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსია.

ამგვარად, ვარსკვლავური ხუთკუთხედი ანუ პენტაგრამა ქართული ასომთავრული ანბანის შეიღებულების სისტემაა; შეიღებულების სისტემას წესიერი ხუთკუთხედი აერთიანებს, ხოლო წესიერი ხუთკუთხედი წელიწადის ერთ სრულ გეომეტრიულ და კალენდარულ წრეწარს ვეაძღვებს, ასეთია ქართული ასომთავრული ანბანის გეომეტრიული რაობა. მაგრამ პენტაგრამა, რომლის არსში ოქროს პროპორციის საიდუმლოა დამარსული, კიდევ ერთ დამატარულ შინაარსს შეიძლება აცხადებდეს. ცნობილია, რომ პენტაგრამას პითაგორელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს გეომეტრიული ფაქტა პითაგორელთა კავშირის წევრობის ებღება იყო. ამ ებღებებით ცხადდებოდა, რომ პიროვნება პითაგორელია. აღქვამდრე მაკველსკი წერს:

«Одним из знаков или символов, по которым члены пифагорейского союза узнавали друг друга была так называемая пентаграмма»¹.

ა. რაჟა წერს:

«Из геометрических фигур большое значение пифагорейцы придавали звездчатому пятиугольнику, который служил у них знаком принадлежности к их обществу»².

არ არის გამორიცხული ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელი პენტაგრამის მეშვეობით თავის ენაობას აცხადებდეს. პენტაგრამა, ქართული ასომთავრულის უპირველესი გეომეტრიული არსი, ამავე დროს იმას უნდა ვეაწუფებდეს, რომ ქართული ანბანის შემქმნელი პითაგორელთა კავშირის ერთი წევრთაგანია. ქართული ასომთავრული ანბანის კვლევამ ცხადყო, რომ ასომთავრული დამწერლობა შექმნილია საქართველოში, ქართველ ქურუმთა წიაღში. ქართული ასომთავრულ ანბანში მოცემულია პითაგორაინული საიდუმლო მოძღვრება, რაც მხოლოდ და მხოლოდ პითაგორედს შეიძლება სცოდნოდ. ამგვარად, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული ანბანის შემქმნელი ქართველი პითაგორელი იყოს.

ვარდა ამისა, კვლევამ ცხადყო, რომ ქართული პითაგორელი მოღვაწეობს საქართველოში ძვ. წ. 430—400 წლების ქრონოლოგიურ პერიოდში. ქართული ასომთავრული ანბანის პალეოგრაფიული ანალიზმა იგივე შედეგი გამოიღო: ქართული ასომთავრული ასო-ნიშნე-

ბი შემუშავებულია ძვ. წ. მე-5 საუკუნის დასასრულის ფინიკური დამწერლობის საფუძველზე. უოველივე ამის შემდეგ უცვლელად გვეძლევა ქართული ასომთავრული დამწერლობის წარმოშობის მიხედობითი თარიღი დეკადენით. ცხადია, შეცდომა რომ ნაკლები ვეწოდნეს, ძველი წ. 430—400 წლების ქრონოლოგიური მონიშნა პერიოდის საშუალო არითმეტიკული უნდა ეიანგარიშით.

შეიძლება დავსკვნათ: ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა დაბლობობით ძვ. წ. 415—410 წლებში. კვლევების შედეგად ვაირკვა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ქართველ ქურუმთა წიაღში შეიქმნა. ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა საქართველოში ძვ. წელთაღრიცხვის დასაბლოებით 415—410 წლებში; ქართული ანბანის შემქმნელია ქართველი ქურუმი — პითაგორელი.

ვასარკვევია ერთი საკითხიც. ეს საკითხი კვლავ ქართული ასომთავრული ანბანის უპირველეს გეომეტრიულ რაობას — პენტაგრამას უკავშირდება. როგორც უემოთ უკვე აღინიშნა, იმის ვაყო, რომ პენტაგრამაში ოქროს კვეთა ვეაქვს, შესაბამისად ქართულ ასომთავრულ ანბანშიც ოქროს კვეთის საიდუმლო უნდა გვეკონდეს.

მაგრამ როგორ მივაგნოთ ოქროს კვეთას ქართულ ასომთავრულ ანბანში? ცხადია, ოქროს კვეთის მონაკვეთებს ქართულ ანბანში ოქროს რიცხვები უნდა შეესაბამებოდეს; მცარე ოქროს მონაკვეთს მცირე ოქროს რიცხვად, ხოლო დიდ ოქროს მონაკვეთს — დიდი ოქროს რიცხვი. ვეაქვს თუ არა ასეთი ოქროს რიცხვები ქართულ ასომთავრულ ანბანში?

უემოთ უკვე ითქვა, რომ ქართული ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მზისა და მთვარის კალენდარული ტოლობის 19-წლიანი მეტონის ციკლი. მეტონის ციკლის რიცხვებს კი 1-დან 19-მდე (ჩათვლით) ოქროს რიცხვების მნიშვნელობა შეკონდა. მაგრამ უველი ამ ოქროს რიცხვებს შორის კალენდარული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ოქროს რიცხვებს 12-სა და 19-ს, რაჟა ამ ოქროს რიცხვების მეშვეობით ზორციელდებოდა ქართული ასომთავრული ანბანის მზისა და მთვარის კალენდარული ტოლობის მეტონის ციკლი. ვარდა ამისა, ოქროს რიცხვების — 12-სა და 19-ის — ქართული ასომთავრული ანბანის მე-12 და მე-19 ასო-ნიშნების ლეოგრაფიკი, ასტრონომიული თუ მათემატიკური მნიშვნელობა კალენდარულმა მოთხოვნებამ განაპირობა. კერძოდ

რიცხვი 12:

- ა) ლეოგრაფიკი — თევზის ლეოგრაფიკი რიცხვია;
- ბ) თევზის წოდებების რიცხვია;

¹ А. Маковельский. Досократники, ч. III-я. Казань, 1919, стр. 18.

² А. Е. Ранк, Очерки по истории математики в древности. Саранск, 1967, стр. 163.

ვ) შეტონის ციკლის ძირითადი მათემატიკური რიცხვია;

დ) შინსა და მთვარის წელიწადის კალენდარული რიცხვია.

ცხადია, მე-12 ასო-ნიშანი ქართული ანბანისა და შესაბამისად რიცხვი 12 კალენდარული მნიშვნელობის რიცხვია და შეტონის ციკლის ოქროს რიცხვია.

რიცხვი 19:

ა) ევგეპტური მზე-ღმერთის რიცხვია;

ბ) მთვარის ცაზე მოძრაობის 19-წლიანი ასტრონომიული პერიოდის რიცხვია;

ვ) შეტონის ციკლის ძირითადი მათემატიკური რიცხვია;

დ) შინსა და მთვარის 19-წლიანი კალენდარული ტოლობის რიცხვია.

ცხადია, მე-19 ასო-ნიშანი ქართული ანბანისა და შესაბამისად რიცხვი 19 კალენდარული მნიშვნელობის რიცხვია და შეტონის ციკლის ოქროს რიცხვია.

ამგვარად, რაკი რიცხვები 12 და 19 შეტონის ციკლის ოქროს რიცხვებია, ხომ არ ვიღვიქროთ, რომ რიცხვები 12 და 19 ოქროს კვეთის მცირე და დიდი რიცხვებია? ასეთ შემთხვევაში მათი ჯამი საძიებელი მთელი მონაკვეთის — მთელი რიცხვის ტოლი იქნება:

$$12 + 19 = 31$$

ამ ფორმულით „დასი“-სა და „რაე“-ს ჯამი „წილი“-ს ტოლია, რაკი რიცხვი 12 „დასი“-ა, რიცხვი 19-„რაე“, ხოლო რიცხვი 31 — „წილი“. ქართული ასომთავრული ანბანის ორი კალენდარული რიცხვის ჯამი კვლავ კალენდარული რიცხვის — 31-ის ტოლია. „წილი“ — ასო-ნიშანის კალენდარული მნიშვნელობა უკვე ცნობილია. ქართული ასომთავრული ანბანის სხვადასხვა შედეგად გამოიყვება, რომ ასო-ნიშანი „წილი“-ს სხვადასხვა კალენდარული მნიშვნელობა აქვს, ხოლო ასო-ნიშანის „წილი“-ს სახელდება შემთხვევითი ხასიათისა კი არ არის, არამედ ეს ასო-ნიშანი ქართული ანბანის სხვადასხვა კალენდარულ წილს ანგარიშობს. როგორც ცნობილია, ასო-ნიშანი „წილი“:

1. მთვარის თვის კალენდარული შეიფუთლების 3+1=4 წილია;

2. შინს წელიწადის ყოველი ოთხწლიულის ხამი უნაკო და ერთი ნაკიანი წელიწადია: 3+1=4. ოთხწლიულის ხამი და ერთი წილია;

3. შინს წელიწადის ოთხი წილი ნაკიანი წელიწადის ერთი (31-ე) დღე-ღამეა;

4. 31 ნაკიანი წელიწადისა და უნაკო ოთხწლიულის წილის ფორმულაა;

5. წილის მეშვეობით წელიწადის ხანგრძლივობის ფორმულაა;

6. ნებისმიერი წრეწირი დიაპეტრის 3,14 წილია.

„წილი“-ს მთავარი კალენდარული ფუნქციონის არის, რომ „წილი“-თ ნაკიანი წელიწადის

ხანგრძლივობა 366 დღე-ღამეა. „წილი“-ს წყალობით ქართული ასომთავრული ანბანის შინს კალენდარული ხისტემა შინს, მნიშვნელოვან რაკი ვე კალენდარული ხისტემა კალენდარობის ისტორიაში.

ახლა, კვლავ კალენდარული რიცხვების ტოლობის ფორმულას დავუბრუნდეთ:

$$12 + 19 = 31$$

რაკი 12, 19 და 31 ქართული ასომთავრული ანბანის კალენდარული რიცხვებია, ამ ტოლობას, ვუღვიქროთ, კალენდარული მნიშვნელობა უნდა შეკონდეს, ხომ არ ვიღვიქროთ, რომ ორი ოქროს რიცხვის — 12-ისა და 19-ის ჯამი კვლავ „წილი“-ს საიდუმლო კალენდარული მნიშვნელობას გვაუწყებს?

მაგრამ ჭერ უნდა გავარკვეოთ, არის თუ არა ორი ოქროს რიცხვი — 12 და 19 „წილი“-ს 31-ის ოქროს კვეთა? თუ ჩვენი მაგნიბა სწორია, ტოლობის ფორმულა ოქროს კვეთის ფორმულა უნდა იყოს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ოქროს კვეთის იხეთი ვაულობა მთელი რიცხვისა, რაკა დიდი რიცხვი მთელი რიცხვის 0,618-ის ტოლია, ხოლო მცირე რიცხვი მთელი რიცხვის 0,382-ის ტოლია, არის თუ არა რიცხვები 12 და 19 მთელი რიცხვის 31-ის ოქროს კვეთა? მთელი რიცხვის 31-ის 0,618 ნაწილი 19,158 იქნება, ხოლო 31-ის 0,382 ნაწილი 11,842 იქნება. აქ უნდა ითქვას, რომ მთელი რიცხვის ოქროს კვეთა არცერთ შემთხვევაში მთელ რიცხვებს არ ვაყვავებს, არამედ წილად რიცხვებს. რაკა ოქროს კვეთა მთელ რიცხვებშია მოცემული, მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ნიშნობითი სისუსტითაა განსოცელებული ოქროს კვეთა. ცხადია, 12+19=31 ნაკიონ სისუსტის ოქროს კვეთაა. 31-ის ანუ „წილი“-ს ოქროს კვეთაა მთელი რიცხვები 19 და 12 და არცერთი სხვა მთელი რიცხვი.

ამგვარად, რაკი 12+19=31 ოქროს კვეთის ნიშნობითი სისუსტის ფორმულაა, ხოლო ეს ფორმულა „წილი“-ს ოქროს კვეთაა, უთუოდ ქართული ანბანის შემქმნელი ამით „წილი“-ს ზუსტ ოქროს კვეთას უნდა მიგვანიშნებდეს. „წილი“-ს ზუსტი ოქროს კვეთის ფორმულა კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ასეთი იქნება:

$$11,842 + 19,158 = 31.$$

ოქროს კვეთის პრინციპით, ამ შემთხვევაში „წილი“-ს მცირე და დიდი ნაწილების შეფარდება, „წილი“-ს დიდი ნაწილისა და „წილი“-ს შეფარდების ტოლი უნდა იყოს. შეფარდებათა ტოლობა ასე შეიძლება დაიწეროს:

$$\frac{11,842}{19,158} = \frac{19,158}{31}$$

შეფარდებათა ტოლობა რიცხვების ჭარბდინი გადამრავლებით მტკიცდება:

$$11,842 \times 31 = 367$$

18,158 X 10,158 = 367

367 = 367

ამრიგად, „წილი“-ს ოქროს კვეთის საიდუმლო შეფარდების ტოლობა გვაძლევს რიცხვს 367-ს. უთუოდ ეს რიცხვი კვლავ „წილი“-ს საიდუმლო მნიშვნელობას უნდა გვაუწყებდეს. როგორც ვიცით, „წილი“-თ ქართული ასომთავრული ანბანის ნაკიანი წილიწადის ხანგრძლივობა 366 კალენდარული ანუ მსოური დღე-ღამეა, მაგრამ, როგორც ცნობილია, 366 კალენდარული ანუ მსოური დღე-ღამე 367 ვარსკვლავური დღე-ღამის ტოლია:

366 = 367

ზემოთ უკვე გვიჩვენა საუბარი ვარსკვლავური დროის შესახებ: ვარსკვლავური დღე-ღამე დროის ასტრონომიული საიდუმლო და მწუთითა და მს წამით უფრო ხანმოკლეა, ვიდრე კალენდარული ანუ მსოური დღე-ღამე. დროის ეს საიდუმლო წილიწადში უზუსტად ერთი დღე-ღამის სხვაობას იძლევა. ამიტომ „წილი“ ერთ შემთხვევაში წილიწადის 366 კალენდარული დღე-ღამეა. ასეთია „წილი“-ს მნიშვნელობა. მეორე შემთხვევაში, „წილი“-ს ოქროს კვეთის შემთხვევით, „წილი“ წილიწადის 367 ვარსკვლავური დღე-ღამეა. „წილი“-ს ოქროს კვეთა „წილი“-ს კიდევ ერთ საიდუმლო მნიშვნელობას აცხადებს: „წილი“ წილიწადის ხანგრძლივობის ასტრონომიული ფორმულაა, არცერთი სხვა რიცხვის ოქროს კვეთა, ვარდა „წილი“-ს რიცხვისა, წილიწადის ხანგრძლივობას კალენდარულ თუ ვარსკვლავურ დღე-ღამეთა რიცხვს არ გვაძლევს.

— რაც შეეხება თარგმნით ლიტერატურას, მე ადრეც ვამბობდი; ეწერდი და ახლა ირულეხელი ვარ ვთქვა: მწარედ განვიციდი, შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ მოძვე ხალხების პოეზია, მისი მარგალიტები, ბწყარედლიდან ითარგმნება. აი მალე შესრულდება ნახევარი საუკუნე საბჭოთა ხელისუფლებისა ჩვენს ქვეყანაში და დღემდე ვერ მოვაშზადეთ მთარგმნელი, რომელსაც შეეძლება ორიგინალიდან თარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“ ან „ღავით სასუნცო.“ მთელი ლიტერატურა ეგროპული ენებიდან რუსულ ენაზე ორიგინალიდან ითარგმნება. ჰეენი, საბჭოთა ხალხების ლიტერატურა კი მკითხველს ბწყარედული თარგმანებით ეძლევა. აბგვარად, დიდი თარგმნითი ხელოვნება იქცა იაფფასიან საქმედ. ერთი და იგივე პოეტი ლექსს თარგმნის ქართულიდანაც, სომხურიდანაც, უზბეკურიდანაც, ლიტვეურიდანაც და მისთვის ყველაფერი ეს ერთია, ოღონდ მიეცით მას ბწყარედი. ამის გამო ხელავეთ როგორ გვანან ეს ლექსები ერთმანეთს, როგორც ერთი მა-

ბლონი. სინამდვილეში კი ისინი სავსებით სხვა-დასხვანაირი არიან თავიანთი ეროვნული ვლფენით და სულით.

უნებლად იზადება კითხვა: რატომ იყო რომ ბრიუსელშია, რომელმაც მსოფლიოს ბევრი ენა იცოდა, სომხური ენის შესწავლებელი დაიქირავა, რათა გადაეთარგმნა სომხური პოეზია, ან ბალკონტი თბილთობდა ქართულ სახელმძღვანელოებს, რომ ღრმად გასცნობოდა ქართულ ენას; დღევანდელი ჩვენი მეგობრები კი ამას არ აკეთებენ.

ნათუ ჩვენი რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკა დაუშვებს, იმას, რომ პუშკინი, ლერმონტოვი, ესკანდონ ბწყარედის საშუალებით თარგმნას. ჰაფვადის და თემანისაშ შემოქმედების ასე თარგმნი კი შეიძლება!

გარწმუნებით, თუ ასე ვაჩვენებდა, რუსი მკითხველი ვერასოდეს ვერ გაუგებს ამ დიდ პოეტებს, მხოლოდ მათი სახელები გეგნება გაგონილი.

ეს საკითხი სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

როცა ლეონიძემ სიტყვა დაასრულა, ხმა არაფერი ამოიღო, სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს, სამეცნიერო საბჭოს წევრმა, ცნობილმა მწერალმა თეოდორე გლადკოვმა სიტყვა თხოვა, მან თქვა: — ამხანაგი ლეონიძე სავსებით მართალია. გულწრფელად რომ ვთქვა, მე ვერც წარმომიდგენია როგორ შეიძლება თარგმნი თუ არ იცი ენა ამა თუ იმ ხალხისა. ბწყარედი არასდროს არ იძლევა ორიგინალის არსს. და ის შეროვ კაცი, რომელმაც უნდა იმუშაოს ბწყარედებზე, უფრო მეტად შორდება ორიგინალს და იმავე თემაზე ვიღებთ ახალ ნაწარმოებს ან ვარიანტს, მაგრამ არა ორიგინალის თარგმნას. ნამდვილად ეს საკითხი უნდა სპეციალურად იქნას განხილული როგორც ინსტიტუტში, ისე მწერალთა კავშირში.

გლადკოვის შემდეგ არაფერ გამოსულა.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ი. ანისიმოვიმ თქვა, რომ გ. ლეონიძის მიერ წამოჭრილი საკითხები ძლიერ მნიშვნელოვანია და საქითა ამანე დიფიკურა.

სტოლის შემდეგ გ. ლეონიძეს ხელი მავრად ჩამოვარდა ასეთი ბწყინვალე გამოსვლისათვის.

— მე არ ვიცი სხეები რას დიქრობენ, — მითხრა მან, — მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, უვლოფერა ეს ისეთ გულისტკივილს იწყვეს ჩემში, რომ არ შემიძლია ამანე განუგება.

სათათრვას იუბილესთან დაკავშირებით, თბლისში ჩამოვედი. ლეონიძემ გულთბილად მიმიღო. შევიბუშყეთ ერთობლივი მუშაობის გეგმა იუბილეს ჩასატარებლად.

როცა ქალაქის ღირსშესანიშნოებანი და-

მათაღიერებინა, წამიყვანა ერთ ისტორიულ მონასტერში, რომელიც ქალაქის ცენტრშია. მე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს იყო ძველი არქიტექტურული ძეგლი, დიდებული, ღამაზი. ლეონიძე სპეციალისტის ცოდნით ვატაკებით ჰყუებოდა მონასტრის ისტორიულ მნიშვნელობაზე, მის თაღებზე, სვეტებზე, ხატებზე.

საქართველო მდიდარია ისტორიული ძეგლებით და ლეონიძე სიყვარულით მოშიობრობდა მათზე. მე მას არ ვაწყვეტირებდი, ჩუმად ვუსმენდი, მის კარგ, გამომხატველ, მშვენიერ საუბარს. რახედაც არ უნდა ელაპარაკა, მაინც პოეტად ჩნებოდა, პოეტად მიოელი თავისი არსებით.

ვიტყვი მონასტრის ეზოში და ესაუბრობდით, ვისაუბრეთ სომხურ პოეზიაზე. ძალიან მესიამოვნა, რომ ლეონიძემ ასე კარგად იცოდა სომხური ლიტერატურა, განსაკუთრებით სომხური შესაუყუენობრივი პოეზია. როცა თანამედროვე პოეზიას შევხვ, იგი განსაკუთრებული აღზრთოვნებით ღამარაკობდა გულამ სირიანზე.

— იგი კვშმარტი პოეტია, მე ძალიან მიყვარს — სიტყვა „მიყვარს“ მან სოჭურად თქვა: გელამის პოეზია განსაკუთრებულად კარგია, იგი ქართულადაც ასე მშობლიურად ეღერს. ჩვენთან არა მარტო კითხულობენ, არამედ მღერიან კიდევ სირიანს, როგორც ავეტიქ ისააკიანს.

გულამ სირიანსაც და ავეტიქ ისააკიანსაც გ. ლეონიძე თავის უახლოეს მეგობრებად თვლიდა.

— საქმარისთა მარტო ისააკიანი, — ვინაგრძობ მან, — რომ დღეს სომეხმა ხალხმა თქვა: ჩვენ გვაქვს დიდი ლიტერატურაო. ძალზე ბევრა მწერალი საქითო არ არის. ნამდვილ მწერლებს თითებზე უნდა ვითვლიდეთ და არა მწერალთა კავშირის სის მთხედვით...

ლეონიძე ღამარაკობდა საოკრად ნათლად, სუფთა გულით, დიდი პატრიოტული გატაცებით.

შემდეგ მე წამიყვანეს კლდეში შემალულ სასაუბრეში, სადაც გამომსახინძლენენ არამეუღლებრივად ვმაროელი ქართული კერებში.

უკვე შებინძურული იყო, ქალაქში რომ დაგებრუნდით.



სასტუმროში ვიყავით, ჩემს ნომერში: ვსვამდით ყავას და ვლაპარაკობდით სომხეთის და საქართველოს შორეულ წარსულზე. უცხად მან შეწყვიტა საუბარი და მე მომიბრუნდა:

— წაიკითხავთ ჩემი ლექსი სომხეთზე?

— წაიკითხე თარგმანი, მინდოდა კი ქართულ ენაზე მომესმინა, ძალიან ვთხოვთ თქვენ წამითხეთ.

— არ ვიცი, მოლიანად გავიხსენებ თუ არა, მაგრამ ვეცდები.

მან წაიკითხა თითქმის მთელი ლექსი. არასდროს არ დამეინწყდებოდა, რა პათოსით და ოსტატობით კითხულობდა იგი ლექსებს. მე მაგრად ჩამოვარდები ხელს და ვიბოყე, რომ ამ ლექსების ავტორებია ზემოთის ესახსოვრა. მან მისახსოვრა ისინი, ჩემი სურვილი ასრულდა. ეს იყო ყველაზე ძვირფასი საჩუქარი საყვარელი პოეტისათვის.

მანამდე კი მისი რამდენიმე ლექსი წავიკითხე „სოფეტაკან გრაჟონთუნში“, რომელიც მშვენიერად თარგმანა თ. კარაიანმა. მისი რუსული თარგმანიც წავიკითხე და მე მგონია, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია ამ ნაწარმოებთა შორის, რაც კი სომხებზე დამწერია.

— შენ, საერთოდ, გიყვარს ლექსები?

— დიახ, მიყვარს, ძალიან მიყვარს.

— თქვა რაიმე ლექსი და გეტყვი გიყვარს თუ არა. სომხურად თქვი.

ამ წინადადებად დამაბნეირა, ვფიქრობდი, რა მეთქვა.

— გეტყობა გეძნელება, — მიიხბრა ლეონიძემ და მხარზე ხელი დამადო.

— არა, არ მეძნელება. მე უბრალოდ შინადა ჩემთვის საყვარელი ლექსი გავიხსენო. აი, — და ვთქვი ლექსი დასაწყისში სომხურად, შემდეგ ერთბაშად შევჩერდი, ვაგრძელება ვერ გავიხსენე, მაგრამ მახსოვდა ბოლო ოთხი სტრიქონი და ვთქვი.

— კარგია. რა ლექსია, ვინ არის ავტორი?

— ამ ლექსს ჰქვია „თუ წაივია ვახაღბული“. მისი ავტორია ზემოთის საყვარელი პოეტი გიორგი ლეონიძე, მთარგმნელი კი ვლად სარაიანი.

— საოცრად კარგიდ ელერს!

— დიახ, მაგრამ ბოდიშს ვიხდი, რომ მთლიანად ვერ გავიხსენე.

— ესეც საჭმარისია იმისათვის, რომ დავაწმუნდებ როგორ გიყვარს პოეზია, არ ვიცი რატომ, — ვანაგრძობ მან, — მაგრამ მე მგონია, რომ თუ გინდა იყო კარგი ადამიანი, კარგი ხელმძღვანელი, უნდა გიყვარდეს პოეზია. პოეზია ამაღლებს, აყვითლსობილებს ადამიანს. ასე არ არის?

— ასეა. ასე იყო ყოველთვის. მაგრამ XX საუკუნისათვის, ჩვენი დროისათვის ასე არის თუ არა, ამის თქმა შეძნელება. ეს უნდა ფიზიკოსებს და მათემატიკოსებს ვკითხოთ.

— არ არის საჭირო მთ ვეიოხოთ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეა.

ჩვენ დღისას ვსაუბრობდით პოეზიაზე და მის როლზე.

გავიდა თითქმის წელიწადი. დღით მივედი დაწესებულებაში და პრესას ვათვალიერებდი. იი ბანდეროლი თბილისიდან. სასწრაფოდ გავსენი, დიდი ფორბიტის ტომი ლეონიძის ლექ-

სებშია ჩრუელ ენაზე. 1960 წელს მისკოვში გამოცემული. მე მთელი გულთუ გრძობა წინა-წინე წარწერამ: „ზვარტნოცის ტრეზორეჟელე ქვე-ნებლის ძვირფასი შთამომავალს, ჩემს მეგობარს გურგენ ნერსისის ძე პოენანს, სიყვარულით და მეგობრულად გრძობით. გიორგი ლეონიძე“.

ამაღლეა, რადგან ეს არ იყო შაბლონი, რადგან ის ყოველ რიგით სომეხში ხედავდა ისტორიული სომხეთის შვილს.

სულ მალე გ. ლეონიძე ჩამოვიდა ვრევენში. ის მარტო ჩემი სტუმარი რად იყო. არამედ მთელი სომეხი ხალხისა. საღიღზე მივდივარ ისაკიანებში. როცა გ. ლეონიძის სადღეგრძელო შეივსა, მან თქვა სამაჯღობელი სიტყვა ილაპარაკა საუკუნოვან მეგობრობაზე ორ ხალხთა შორის, ილაპარაკა საიათნოვებზე.

— მსოფლიოში, — თქვა მან, — არც ერთ ერს არ მოუცია ისეთი პოეტი, რომელიც წერდა, მღეროდა სამ ენაზე და მშობლიური, საყვარელი და დიდი პოეტი იყო ამ სამი ერისთვის. ეს შეწლო და მოგვცა კიდევ ასეთი პოეტი სომეხმა ხალხმა.

ცოტა შეჩერდა, თითქოს რაღაცის გახსენება უნდაო, შემდეგ თავი აიღო, ქართულად წარმოთქვა საიათნოვას ლექსი. ისაკიანი ძლოვრ იაღლეა ამან, იგი ვაფთორდა და ატარდა. როცა გიორგიმ თავისი ლექსი წაიკითხა, ისაკიანი-საღმი მიძღვნილა, ვარპეტი მოგზავია მას, მაგრად აყოცა და უთხრა:

— შენ მარტო საქართველოს პოეტი კი არა ხარ, არამედ ხარ მთელი ამიერკავკასიის, მთელი აღმოსავლეთის პოეტი.

ბოლო ხანებში ჩვენ ვეღარ ვხვდებოდით ერთმანეთს. ქართული მეცნიერებისაგან მესმოდა, რომ ლეონიძეს ქანზრთელობამ უღალატა და ავადმყოფობსო.

გავიდა ხანი და შევიტყე, რომ იგი კარგად გაძნობს თავს და განაგრძობს შემოაბას.

ვეშხადებოდი თბილისში ვასამგზავრებლად სამსახურის საქმეზე. მიხაროდა, რომ ჩემს კარგ მეგობარსაც ვინახულებდი. მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი საქმისთვის ჩემი გამგზავრება გადაიდო. ვემშობოდი და ყოველდღიური საქმიანობით ვიყავი დაკავებული.

ფოსტალიონმა მომიტანა ვაჭუთები და ვადავთავლიერე ისინი. უცბად ვხვდავ ლეონიძის სურათს შავ ჩაჩჩოში.

ვფრტენი რაღაც ცოვი და ღრმა ტყვილა. ისაკიანის შემდეგ ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი დანაქარავი. ვფრტენი თითქმის ვარ უღრან ტყეში და მუცხეში მეცემიან თავზე, საშინელი სიცარიელე შევფრტენი.

გიორგი ლეონიძე იყო ერთ-ერთი დიდი პოეტი საქმეთა კავშირისა, პირველხარისხოვანი ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე და საყვა-

რელი აღმზირნი. მისი აზროვნებისა და მოღვაწეობის დიაგნოზი მეტად ფართო იყო.

ეს ავადმჯიყოსი იყო, არა მარტო როგორც დიდი პოეტი, არამედ როგორც ერთ-ერთი სუფიქსო მცოდნე მსოფლიო ლიტერატურისა. მისი ვაშოსელები და მოხსენებები ღრმა და შთამბეჭდავი იყო.

დიან, მართალი იყო პრეზიდენტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, ნ. მუსხელიშვილი, როცა სამგლოვიარო მიტინგზე თქვა: „გიორგი ლეონიძე იყო ქართული პოეზიის მშენებელი; მისი ბრწყინვალე ლექსები, როგორც უკვდავი შექოქმელება, შვეა ოქროს ფონდში ქართული პოეზიისა; ლეონიძის სახით ჩვენ დაეკარგეთ დიდი პოეტი, დაუღწელო მკვლევარი მშობლიური ლიტერატურისა, დიდი საზოგადო მოღვაწე“.

ბიბლიოთეკაში ვათვლიერებდი ქურალებსა და გაზეთებს. უცბათ „სოვეტური კრიტიკის“ ფურცლებზე (1966 წლის № 11) ვხედავ ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსს.

კვითხელობ და ვფიქრობ: რა კარგია, რომ სომეხმა პოეტმა ასეთი სიუეარული ვამთბარი სტრიქონები უძღვნა ცნობილ პოეტის ხსოვნას.

ლექსის ავტორი იყო აშოტ გრამი, ლეონიძის ძველი მეგობარი, მისი ლექსების მთარგმნელი. ლეონიძეზე ბევრა ლექსი დაიწერა.

მასზე წერდნენ მისი მეგობარი პოეტები მთელი სამკოთა კავშირისა, რომელთაც უსაზღვროდ უფვარდათ იგი.

ის ხომ იყო მგზნებარე, დიდი პატრიოტი და პოეტი კავკასიისა.

სომხურიდან თარგმნა **პონდო ანაშაშაშ**



წინაპართა ხმა

ალექსანდრე სოფელ „წინაპართა ხმა“. როგორც ამის წინათ დიბეკდა „მერანის“ გამოცემლობაში, მცირე მოცულობის წიგნია, მაგრამ მეტი შინაწილია. იგი შეიცავს რამდენიმე წერილს სხვადასხვა საკითხის შესახებ, რომლებიც ახლოვნილი წარსულის ამბებს ამსუქებენ. ამ მოთხრობილია, თუ როგორ ემზადებოდა საქართველოს მოწინავე საზოგადოება მე-19 საუკუნის მიწურულში დიდი ხნული იუბილე გადაეხადა ქართველი ერის უდიდესი მოამაგის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიდი ილია ჭავჭავაძისათვის, რომელმაც, მიხედვით ნათესის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამოაღვიძა ქართველობა მავნებელი და მომავლიდნებელი ძილისაგან“. მისი ჩოღბიშვილი წერდა: „იუბილარის განძობით სავსე მოძღვრებამ ჩვენ მუშა-ხელისნებას აგვიხილა თვალები, ჩაგვხედა ქვეყნის სასკეში, დაგვანახა და გავაყენო ჩვენი თავი ადამიანებად, მისმა კეთილშობილურმა გულმუშაობამ ჩვენს ბედს და დარდობას გულმოდგინედ გაუზიარა ჩვენს ზიანს გულმუშაობარგებსა ამ სიტყვებით: „კაცი ის არის, მის ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაზარდულია“. თულო საბოლოო წერდა: „40 წელწადა ილია ჭავჭავაძის სახელოვანი მოღვაწეობისა, ნათელი ისტორიაა თვით ქართველი ერისა, მისი მწერლობისა, განვითარებისა, სწავლა-განათლებისა, ხელოვნებისა და სხვადასხვა სასარგებლო და საშვილოშელო საქმის დასაწყისისა, წინსვლისა, განვითარებისა, წინაპრები, გონებრივი, ქონებრივი განმტკიცებისა და სხვა“. გ. თოძე წერდა: „პატრიცეული მამა-მოდგარი, რომელმაც მთელი ორმოცი წელიწადი გვზარდა და დაგვაყვავია, ესა ავთავებს ძველს მშობა-ეროობისსა და წარმოვათქმევიანობა იმედებით სავსე პატივს: „სამშობლო სავაყარლო, გებლა კი აყვავებო“.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს გადახდა განზრახული იყო 1898 წლის 24 მაისს, მაგრამ იგი პირადა, რადგანაც თვით ილიამ ითხოვა, რომ ამ შემდგარიყო, თებულან ამის წინააღმდეგი იყო მოთავრობა, რომელსაც ძალიან ეწინააღმდეგებოდა, რომ ილია ჭავჭავაძის საიუ-

ბილო ზემო არ გადაეცემა ქართველი ერის მკაცრა დემონსტრაციად ცარიზმის წინააღმდეგ, სხვათა შორის, მის პოლიციისტი მუცხაძეს, რომელმაც გააფრთხილა ილია ჭავჭავაძე, ხელი აეღო იუბილეს გადახდაზე, რომ თავიდან აეცილებინა იუბილესთან დაკავშირებული მოსალოდნელი არასასურველი ამბები. ილია ჭავჭავაძეც იმტელეული ვახდა, იუბილესზე ხელი აეღო. სამაგიეროდ, ილია ჭავჭავაძემ დიდად გაახარა, როცა მას გულთბილი შეხვედრა მოუწვეს სათავადაზნაურო სკოლაში, სადაც მომწერალთა გუნდმა კახური მრავალწიერი უმღერა და მიწაფეხში ილია ჭავჭავაძის ლექსები და მისი სხვა ნაწარმოებთა ნაწილები აღმართოვანებით წაიკითხეს.

ალექსანდრე სოფელ „წინაპართა ხმა“ მოგვითხრობს აგრეთვე აკეთ წერეთლის ცხარე წერილების შესახებ დრომოქმული ტრადიციების წინააღმდეგ, კერძოდ მოთქმით ტირილისა და ქელების გამართვის გამო, ამასთანავე აკეთის მოგზაურობის შესახებ პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც მის გულთბილ შეხვედრას უწყობდნენ ამ ქალაქების ქართველი სტუდენტები და იქური ქართველი მცხოვრებლები, უმართდნენ საღამოებს ხალხით გაქედილ დარბაზში ცნობილი რუსი მომღერლის სობინოვისა და სხვების მონაწილეობით.

ცნობილი არ იყო, თუ რა შემთხვევის გამო დაწერა აკეთ თავისი მშვენიერი ლექსი „ყარობი“, რომელიც ასე იწყება: „ნუ კითხულობთ ვინა ვარ“. ა. სოფელ ნიკოლაძის შვილის, პოეტის რუსულად ნიკოლაძის დღიურის საშუალებით დაადგინა, რომ დიდებულმა მკოხანმა იგი დაწერა იმის გამო, რომ ნიკო ნიკოლაძეს ვალი ჰქონია აღებული კელაშვილი ვაჭრისაგან, რომელსაც ნიკომ დროზე ვერ გადაუხადა ვალი, მან კი, მოვატრემ, აღმასრულებელი ფურცელი მიაცენა კარზე, ქონება აუწერა და დაუღუქა ამას შესწრებშია აკეთ წერეთელს, რომელსაც მაშინ იქ არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ დამეს „ყარობი“ დაუწერია და მეორე დღეს ნიკოსთვის წაუკითხეს.

ცნობილია, რომ ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ, გასწია, ნუ შედარება თქვენი ველო“ გუთვენის ირადიონ გეღიშვილს, რომლის შემოტ-

მეღების მიმოხილვას ჩამდენიმე გვერდი აქვს მიძღვნილი ა. სიგუას წიგნში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ა. სიგუას წიგნში ილია ზურაბიშვილის შესახებ მოთავსებული „მწერალი და ხელოვანი“, რომელიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს ამ ჩემი, მორღებელი და მეტად კოლორიტული მოღვაწის შესახებ. მე წაიკითხე მაქვს ზემს ვინაზაშია უფნის დროს ილია ზურაბიშვილის „გართხვილი“, რომელიც დიდად მომეწონა. ილია ზურაბიშვილს პირველად 1917 წ. შევხვდი თბილისში. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ხელისშემწყობი საზოგადოების მდიანი. საზოგადოება კრებდა სხსრებს უნივერსიტეტისათვის და ილია ზურაბიშვილი უფასოდ ასრულებდა მდივნის მოვალეობას. მე მხიბლავდა მისი სიღრმე, უბრალოება და დიდი მამულიშვილობა. ილია ზურაბიშვილი დიდი მცოდნე იყო ქართული სიმღერისა, ქართული ცეცვისა და თეატრისა. მისი აღწერა „ურბელისა“ — ეს არის ქებათაქება ამ სიმღერისა, რომლის მოსმენამ მეც აღმაფრთოვანა და მომხიბლა თიანეთის გზაზე 1913 წელს. ან რად ღირს ილია ზურაბიშვილის აღწერა დღელისა, რომელიც მოეწყო პარტიზიკ აკოშვისა და მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის შორის 1908 წელს. ნიკო ლორთქიფანიძის უშიშრობამ და ვეკაცობამ, რომელიც მან დედის დროს გამოიჩინა, მოხიბლა პორტუიკის სეკუნდანტებში, რომელთაც ნ. ლორთქიფანიძეს უწო-

დეს „უმწარიტად რაინდი უშიშარი და უმწიკელი“.

ა. სიგუას წიგნი ბევრ სხვა მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს: აქ მოხსრობილია აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის ყოფნა მარტვილში, გრავოლ გველვისაინის პუბლიცისტური და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ, თედო სპხოკას, ვარლამ ზურაბის, ნიკოლოზ მიწიშვილის, ელიშე ჩარენცის, გერონტი ქიქოძის, ალიო მიციხელავას და სიმონ ჩიქოვანის შესახებ. ყველა ამ ცნობას ავტორი იმგვარად აწვდის მკითხველს, რომ დიდი ინტერესით იკითხება. ამავე წიგნში განხილულია სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელი ხანა, მისი დედოფლის ეკატერინე ჰავკავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლის გამოქვეყნასაც ს. კვილიამ უძღვნა რომანი „ეკატერინე ჰავკავაძე“. აღუქსანდრე სიგუას „წინაპართა ხმა“ კარგი ქართულითაა დაწერილი. მისი კრიტიკული განხილვა გვიჩვენებს, რომ მის ავტორს აქვს დიდი ხალისი, ჩხრეიკოს ძველი ეურნალ-გაზეთები, ამოკრიფოს იქიდან საყურადღებო ცნობები, ნიჭიერად დალაგოს ისინი და მაწოდოს მკითხველს საინტერესო წიგნი, რომელიც ნათელ შუქს ჰხდის საქართველოს ახლო წარსულის მწერლობისა და საზოგადო საქმიანობის ისტორიას.

იმედია, ა. სიგუა ქართველ საზოგადოებას კვლავაც გაახარებს სხვა საყობების კვლევადიების შედეგების დაბეჭდვით.

ბაბაი შანიძე

„მთვარის ღვთაების დღე“

ვლ. ალფენიძის წიგნი „მთვარის ღვთაების დღე“, რომელიც ახლახან დასტამბა გამოცემილია „მერაზმა“, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების, ნარკვევების, ესეებისა და სტატიების კრებულია.

„არშაბათი — მთვარის ღვთაების დღე ძნელ მძიმე დღეაა მონათლელი ხალხში. ჩემს შრომაში, ან წიგნისათვის გაწეული, ძნელი და მძიმე იყო. აღმათ ამიტოვედ არის ეს წიგნი „მთვარის ღვთაების დღე“ სახელდებული“. აცხადებს ავტორი.

კრებული თავბზდ და ქვეთავებადაა დაყოფილი . წიგნის პირველ და უმღაზვ ვრცელ თავს ჰქვია „სიტყვა ქართულ მწერლობაზე“. ავტორის სიტყვა ეხება ქართულ კრიტიკას, პროზას, პოეზიას და ქვეთავებად დაუოფასაც ეს პრინციპი უდგეს საუფქელად. კრებული იხსნება წერაილთ „ბესარიონ

ელენტის „მწერლობა და თანამედროვეობა“, რომელიც „მერაზმა“ გამოსცა 1916 წელს.

წერილში ბ. ელენტის იდეურ-ესაეტრეკური მრწამსის დახასიათებას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე თვით წიგნის ავტარგა.

ვლ. ალფენიძემ დაგვიხატა ბ. ელენტის ამაღლევებელი პორტრეტი, საესკებით კანონ-ზომიერად მიგვიყვანა იმ დასკენამდე, რომ „XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი კრიტიკოსის ბესარიონ ელენტის რჩეულ თხზულებათა კრებულების სერვის გამოცემით დიდი ეროვნული საქმე კეთდება“.

გიორგი ციციშვილმა მონოგრაფია „შალვა დადიანი“ მზავალი წლის დაკვირვების, მეტონერული კვლევის შედეგად შექმნა და ეს საესხებით გასაგებია; ვლ. ალფენიძე, თავის მხრივ გვიხატავს შალვა დადიანის შემოქმედებით პორტრეტს და აღნიშნავს, რომ მისი ნი-

ვის მრავალმხრივობა დიდი სიმწვანებისა და სირთულეების წინაშე აყენებს მკვლევარს, რადგან მისგანაც მოითხოვს ნიჭის მრავალმხრივობას. კრიტიკოსი ვეისაბუთებს, რომ გიორგი ციციშვილმა წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას, სხარტად და ლაკონურად გვაცნობს მონოგრაფიის ღირსებებს, შემდეგ კი გვაწოდის ძირითადი თავებები: „შალვა და დიანის ცხოვრება და საზოგადოებრივ-თეატრალური მოღვაწეობა“, „შალვა და დიანის მხატვრული პროზა“, „შალვა და დიანის დრამატურგია“ — ღრმა ანალიზს ეპოქასთან მჭიდრო კავშირში.

წერილი „ეღვჯეა მღერაძის ესეი ღმერთი“ შესანიშნავად ახასიათებს როგორც მწერალ-პროზაიკოსს, ისე მის კრიტიკოსს, და გვყვება, რომ „ეღვჯეა მღერაძემ ამ წიგნით უკლა ქართულის საოქმელი თქვა დიდ მწერალზე ერის გასაგონად...“

ამ წიგნში მეტია ნათქვამი, ვიდრე შეიძლება დატეულიყო ასე პატარა წიგნში, და ეს იმიტომ, რომ სიუჟეტში ამოთქვა ავტორის საოქმელი“.

კრიტიკული წერილები ქართულ პროზაზე „ეოტნეს გმირობის აპოლოგიათ“ იწყება, გრივად ახაზიძის ტრილოგიის შესამე წიგნი — „ეოტნე ანუ ქართველთა დაცვა“ და ამბობს: „მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ისტორიული რომანის განვითარების პროცესში. კრიტიკოსი სწორად შენიშნავს, რომ „ისტორიულ რომანთა ავტორები უფრო სწორად ეტანებიან ისეთ ეპოქებს, როდესაც ვერ აღზევებულა...“

„დალექტიკური გონება საჭირო, რომ ერის დაცემის მხატვრულ პროზაში იმავე ერის აღზევების, მისი სულის რენესანსის სიღამაზე ახვეწოს... ეს შესძლო ვრ. ახაზიძის ნიჭმა და ინტელექტმა“. — გვაცნობებს კრიტიკოსი და აყალიბებს ვრ. ახაზიძის, როგორც მწერლისა და ისტორიკოსის კრედიტს.

იგი ვრცლად იხილავს წიგნს, მის კომპოზიციას, გმირების ხასიათებს, ეპოქას, მწერლის სტილს. უარადღებს ამხელაღებს რომანის ცალკეულ ხარვეზებზე, მაგრამ იჭვე დასძენს, მოეხარება ის არის, რომ ვრ. ახაზიძის ტრილოგიამ ახალი მნიშვნელოვანი ფურცელი გადაშალა ქართული ისტორიული რომანის მატიაზე. ვაამდიდრა თანამედროვე ქართული პროზა“.

ესატანე ჰელიძის „ქართლის ცხოვრების პროზაიკების“ მატიაზე ტრილოგიის პირვე-

ლი წიგნის შეფასებას ვლ. ალფენიჭე ძველი სენსიტივის გახსენებით იწყებს: „მნიშვნელოვანი იგივე პოეზიაა, ოღონდ გააღრმავებულია ვეპლოს“.

ქართული მატიაზე მწერლობის საუკეთესო ტრადიციების ცოდნა, მათი თანამედროვე აღქმა, ისტორიის მატერიალისტური გაგება, პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთება; მიუმატეთ ამას მწერლის შემოქმედებითი ალღო, ერთდღეობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი, ასეთი მრავალმხრივი რაყერსით განიხილავს წიგნს კრიტიკოსი. ამ კომპონენტების ერთიანობაში ხედავს იგი წიგნის წარმატების საფუძველს. „მისში მეცნიერული ზოხიციებიდან არის ნაჩვენები ერის ისტორია დასაბამიდან ახალი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნემდე მთელი თავისი დრამატუზით და ჰეროიკით“.

ვ. ჰელიძე მატიაზე ტრილოგიის შემქმნით დიდ, კეთილშობილ საერო საქმეს ემსახურება. მწელია არ დაეთანხმო კრიტიკოსის დასკვნას, რომ „ქართლის ცხოვრების პროზაიკები“ უნდა ითარგმნოს რუსულ და უცხოურ ენებზე, რადგან „ამას არსებითი მნიშვნელობა ექნება ქართველი ერის ისტორიის გასაცნობად“.

ნოდარ დუმბაძის ოთხი რომანის („მე, გეზია, ილიკო და ილიარიანი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი დამზა“ და „ნუ გეშინია, დედა“) ანალიზს ვლ. ალფენიჭე რომანის ისტორიის, თეორიის, თანამედროვეობაში მის გარშემო გაშლილი დისკუსიების ფონზე გვაწოდის.

ჰელიძის აზრით, ნ. დუმბაძემ შემოქმედებითად ათთვისა, როგორც ტრადიციული რომანის, ისე ახალი პროზის ელემენტები. იგი ლაკონურად და სხარტად ახასიათებს ნ. დუმბაძის თითოეულ რომანს, მიგვიბოთებს ამ რომანების ზოგადრთ საერთო ნიშანდობლივ თვისებებზე. მკვლევარი პოეტურად აგვიწერს იუმორისა და დრამატუზის მონაცვლეობის დუმბაძისეული მხატვრული ხერხით მიღებულ შთაბეჭდილებებს, ხაზს უსვამს რომანების მთავარ პერსონაჟთა ხალხურ ხასიათს, ჰუმანიზმს და ასაკსაც კი... ვამოჰყოფს მწერლის პატრიოტულ და ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, მამხილებელ პათოსს, ფილოსოფიურ მრწამსს. არ ავიწყდება ერთმანეთს დუმიარისპიროს „ნიონიშვილის“ და „დუმბაძის“ გურია.

„ვინ არის ზოლოს და ზოლოს ნ. დუმბაძე: ლაიკული პროზის ისტატი, სატირული რომანების ავტორი თუ ინტელექტუალურ მხატვრული პროზის წარმომადგენელი? — კითხულობს ალფენიჭე და მიაჩნია, რომ ერთი, მეორეს, შესაშვე. „და იმვე დროს საყუთითივე არც ერთი მათგანი, ის ნოდარ დუმბა-

დია; მრავალმხრივი ტალანტი. ამ სამი საწილის ბუნებრივ ერთიანობაში ხედავს მკვლევარი ნ. დუმბაძის შემოქმედების ორიგინალობასა და თვითშოფადობას, რადგან „მისი შენაყადები ქმნიან არა ნაყადთა კომპლექსს, არამედ მათ ინტეგრაციას, ისინი ერთდობლიან „პროზის ესთეტიკური აღებების“ პრინციპებით.

ვ. ალფინძეს ჩანაწერების ეპიგრაფად მოქავეს ლ. ანინისის სიტყვები, რომლებიც ძალზე სხარტად ახასიათებენ ნ. დუმბაძის შემოქმედებას; რაც შეეხება მის ნამოღაწერს, ფი სცილდება პუბლიცისტის ჩანაწერების სფეროს და ქართული კრიტიკის მნიშვნელოვან შენაყადად იქცევა.

„ნაბიჭი პორიზონტს იჭია...“ არის ვლ. ალფინძის „ფიქრები გურამ ფანჯიკიძის რომანებზე“. ფიქრები სათურთიდან („მეშვიდეცა“ და „თვალი პეტროსანი“), იღებს სათავეს, ესება ამ რომანების განილვისათვის. საჭირო თითქმის ყველა ასპექტს და საბჭოთა კულტურატრამის სოციალისტური რელიზმის სწორი პრინციპების დამკვიდრებად მალღდება. ანალიტიკური და მხატვრული აზროვნების ძალა ამ ფიქრების თანამოხაზებს ვაგბდის შეითხველს, ამაშია „ფიქრების“ ძალა. მისი ლოგიკური და ემოციური ზეგავლენის მაღლი.

„საქართველოს დამამშენებელი გიორგი ლეონიძე“ — ასე პოეტურად იწვევს ქართული პოეზიის მიმოხილვას ვლ. ალფინძე. ფი შესანიშნავად განსაზღვრავს ვ. ლეონიძის შემოქმედების მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის.

„ფიქრში მწვერვალვით ვათეთრებული პოეტი“ არის გამოძახილი კარლი კალაძის ერთბაშეულზე „მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული“, რომელიც გამოიქცემილია „საბჭოთა საქართველოში“ გამოუშვა 1976 წელს.

„ამ წიგნით 70-იანი წლების კარლი კალაძემ, ცხოვრებით დაბრძნებულმა, თმაგათეობრებულმა ოსტატმა გვიჩვენა, რომ ის დღეს ოკიანი წლების ჭაბუკ კალაძეზე ნაყლებად ჭაბუკი რილია“. ყველა ვინც იცნობს სიცოცხლით სავსე, ქარმაგ პოეტს და მის შემოქმედებას, უთუოდ გაიზიარებს ამ შეხედულებას.

„ხუტა ბერულავას პოეზიის უღვლტბილი“ ამ ავტორის მოყვანილი აქვს პოეტის შემდეგი სტრიქონები:

უკვდავო დედა,
ვერ მახსენებს
ვერასდროს ცუდად,
ვინც კაცს თვალთ
ავივრდება
ჩემს ნაფხურებზე.

წერილში ზუსტად არის დახასიათებული ხუტა ბერულავას მუდამ მართალი „მზინტე“ პული პოეზია და პირუთენეული ტანსაცმელი

„ლექსები, როგორც არწივები აფრინდენ ცაში“ უაღრესად პოეტური წერილია რევაზ მარგაიანის შემოქმედებაზე. „დღეს სეინეთში უშვას, შეუღლას და შხარას შორის ჩანს კიდევ ერთი მწვერვალი. მას რევაზ მარგაიანის პოეზია ჰქვია. ზოგი ხედავს მას, ზოგი-ვერა, ზოგს ნისლი უშლის ხელს, ზოგს საყუთარი სიბეცე. მაგრამ ამით არაფერი აკლდება ამ თოვლიან მთას, იმ მწვერვალს“.

ვლ. ალფინძე ხედავს და ჩვენც გვაჩვენებს, გრანობს და ჩვენც გვაგრანობინებს! წერილში „ფიქრები ჩანსელ ჩარკვიანის ლირიკულ პოემებზე“ ფი „რწმენის კედელს“ ასე ახასიათებს: „ეს პოემა ჩვენი დღეების ქართული პოეზიის მაღალი კედელია მზისკენ გაფრენილი და მისი ავტორი წარმოგვიდგება მამულის ხეობათმოდურად, რწმენის ციხე-ქარბების მშენებლად, მათ შეციხივრედ და ქურუმად“.

„პოეტი და დრო“ ლენინური კომკავშირის პრემიის ლურჯატის რეზო ამაშუკელის ლექსების ახალ კრებულს ეძღვნება. „ამ წიგნით მე ჩემს ახალგაზრდობას ვემშვიდობები“ — ავტორის ამ განცხადებას ვლ. ალფინძე შედეგნაირად პასუხობს: „პოეტი რეზო ამაშუკელი ვერ დაემშვიდობება თავის ახალგაზრდობას, რადგანაც სიმწიფეში ის თავის სიჭაბუკესთან ერთად შედის. ასეთია ყველა ნამდვილი პოეტის ხვედრი.“

პოეტი იმდენჯერ ჭაბუკდება, რამდენ ჭეშმარიტ ლექსსაც დაწერს. ასეთი იდუმალი, მიგაური ძალა აქვს პოეზიას“.

წიგნის მიმდევნო თავში ვლ. ალფინძე მოყლედ გვიხასიათებს ნ. ტიხონოვის წიგნს „მწერალი და ეპოქა“ და გვაუწყებს, რომ მასში მწერალი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს და ქართულ მწერლობას. იგი იხილავს სტატებს ქართველ კლასიკოსებზე — „შოთა რუსთაველი მსოფლიო პოეზიაში“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“; წერილებს გიორგი ლეონიძის, სანდრო შანშიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის პოეზიაზე.

„წიგნში — „მწერალი და ეპოქა“ ნათლად გამოიკვეთა ნიკოლოზ ტიხონოვის — ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის ამ დიდი მეგობრის ნაცნობი ვიგანტური ფიგურა — გვიზიარებს თავის აზრს ვლ. ალფინძე. მის ამ აზრს უთუოდ გაიზიარებს შეითხველიც.

„ულისინ ყულიევის „ჩემო საქართველო“ პროზაში ამღერებულ ლირიკული პოემა ბალყარეთის სახალხო პოეტზე და მის დიდ სიუვარულზე საქართველოს მიმართ. მას აქვთ, რაც შემიყვარდა ქართული მიწა და

ქართული პოეზია, მე უფრო შიდარი და უფრო ბედნიერი გახდი" — ასე მიანიშნა ვ. ურლიცს.

ამ სიყვარულის გამოაზილია პოეტურ ხელოვნებაზე დაწერილი დიდი წიგნის ერთი ნაწილი „ჩემი საქართველო“. აღფრთქვნივ გვაცნობს ურლიცის შეხედულებებს რუსთაველის, დ. გურამიშვილის ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას და XX საუკუნის ქართულ პოეტთა შემოქმედებაზე.

ამ კრებულის მესამე თავი იწყება წერილით „შავი ორფეოსი ეძებს ევრიდიკს...“ რომელიც აფრაქის ხალხთა ლიტერატურის მკვლევარს და თეორეტიკოსს გ. ჯღაშვილს ეძღვნება.

ვლ. აღფრთქვნივ აგვიწერს გ. ჯღაშვილის შრომებს და აღნიშნავს, რომ ისინი ყურადღებას იპყრობს არამარტო ჩვენში, არამედ აფრაქის ქვეყნებშიაც, გვაცნობს მცენებრის კვლევის ლაბორატორიას, წერის სტილს.

„ირაკლი ანდრონიკოვი და ქართველი მწერლები“ — ცნობილი ლიტერატოროლოგის, მწერლის, ზეპირი მოთხრობების დიდოსტატის, ფილოლოგიურ მცენებრებათა დოქტორის, პროფესორ ირაკლი ანდრონიკოვის ნაწარმოებთა ორტომეულის მიმოხილვის უძღვნი ვლ. აღფრთქვნივ. ი. ანდრონიკოვი კარგად იცნობს ქართულ მწერლობას. ავტორი გამოყოფს ანდრონიკოვის, როგორც მკვლევარის სიღრმეს და სიზუსტეს, საშწერლო კულტურას, იუმორის ხალხს გრძნობას.

მკითხველი უთუოდ დაეთამშხება მის დასკვნას, რომ ანდრონიკოვი ქართული კულტურის ელჩი-მწერალია რუსულ ლიტერატურაში.

„რუსული მოტივები“ — სტატიებისა და ესეების ეს ციკლი ავტორმა „საქართველოს რუსეთთან შეერთების 175-ე წლისთავს უძღვნა. ამ ციკლის პირველი წერილია „ილია ერგნებურგი, ტიციანი და პაილო“. ვლ. აღფრთქვნივ გვიხსიათებს მწერალ ი. ერგნებურგს, მოვითხრობს მასთან პირად შეხვედრას და იმ დიდ მეგობრობაზე, რომელიც აყვანიტბდათ ერთმანეთთან ტიციან ტაბაძეს, პაილო იაშვილს და ილია ერგნებურგს.

„პაუსტოვსკი, კოლხეთი, ფანტა...“ პუბლიცისტის მოგონება სტუდენტობის დროინდელ სიხვედრაზე გამოჩინელ მწერალთან. კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხეთის მხატვარ-მემბრანის“ უწოდებს ვლ. აღფრთქვნივ.

ვლ. აღფრთქვნივს „ფიქრები ვაგ. გეტუშენკოს პოეზიაზე“, მრავალპირადი და საინტერესო მკვლევართა აღსავსე. ეს არის ლიტერატურათმცოდნის, მკვლევარის, კრიტიკოსის ფიქრები, რომელიც ცნობილი პოეტის შემოქმედებას ახალი კუთხით დაინახებს დაინტერესებულ მკითხველს.

„ბელა ახმადულის პოეზიის ვარსკვლავიერი საათი“ კიდევ უფრო გვაყენებს ს. ჭყენთვის ჭვირფასი პოეტი ქალის — მანკაშვილისა და შემოქმედებას.

„ანდრივ ვოზნესენსკის პოეტურ სამყაროში“ — ამ მეტად ორიგინალურ პოეტის შემოქმედების თავისებური პიშნაა. ავტორს მოსწონს პარადოქსალურის ზღვარზე შექმნილი პოეტური შედარებები, ა. ვოზნესენსკის პოეზიის ნოვატორული სტლისკეთება, მოქალაქეობრივი ეფერადობა, ფილოსოფიური სიღრმე.

„სოლოუხინის სონეტები საქართველოზე“ — აგვიწერს პროზაიკოსისა და პოეტის ვლადიმერ სოლოუხინის თხუთმეტი სონეტი, ე. წ. „სონეტთა თავიჯულს“. მალაღმბატვრულ და მალაღმბრულ დონეზე შექმნილი თითოეული სონეტი აღსავსეა საქართველოსადმი დიდი სიყვარულით რაც ჩვენთვის ჭვირფასს ხდის ვლ. სოლოუხინის არამარტო შემოქმედებას, არამედ მის პიროვნებასაც.

1975 წელს გამოვიდა ვალინა სერგბრიაოვის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული. მასში მწერალი აგვიწერს ცნობილი რეგოლუციონერების — სერგო ორჯონიკიძის, აბღლენუქიძის და შალვა ელიაის დაუფაწუარ ხსენებას. რეველიკორის სამ რაინდზე შექმნილი ნოველებს განმილვასთან ერთად, ავტორი გვიხატავს მწერალ გ. სერგბრიაოვის შემოქმედებით პორტრეტს.

„უკრაინული მოტივები“ კრებულში წარმოდგენილია ვიტალი კოროტიანის ლექსებით საქართველოზე. ე. კოროტიანის ლექსების კრებულს „შესაძლებლობანი“ და მათ შორის „ქართულ ლექსებს“ ნ. ოსტროვსკის ხახლობის პრეზია მივნიშნა. ვლ. აღფრთქვნივ ვ. კოროტიანის პოეზიის ფესვებისა და სათავეების აღწერით იწყებს და თანდათან აყალიბებს მკითხველის წინაშე, მისი როგორც შემოქმედის მდღარ პოეტურ სამყაროს; ამ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლქსებს საქართველოზე.

„აფხაზური მოტივები“ — დიმიტრი გულიასა და გიორგი გულიას შემოქმედებას ეძღვნება. ორივე წერალში „აბასკილი ვრცახუს მწვერვალზე“ და „გიორგი გულია“ იგრძნობა აფხაზი ხალხის ისტორიისა და კულტურის პატრივისცემა, მამა-შვილის შემოქმედების ღრმა ცოდნა.

„აღმოსავლური მოტივების“ პირველი წერილია „აბასკილი რომანი ქართველ მამლუქებზე“. ვლ. აღფრთქვნივ არამარტო გვაწვდის „ცნობას ქართველ მამლუქებზე“, არამედ აგვიწერს აბღლ ოღმოსავლეთის ქვეყნებში მოვლავრობის მთაბქმდილეებებს, მოვითხრობს მამლუქებზე და აბასკილი ხალხური რომანის ტრადიციებზე.

„საქართველოს მებოტზე არაბ პოეტში“ რიჩალამ პასუნის ცხოვრებას და შემოქმედებას ეცნობით. „ტფილისი ქვეყანად ყველაფერზე უფრო მშვენიერია“ — სირიაში უძრომკრძღმა ამ ფრაზამ დაინტერესა ვლ. ალფენიჭე და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეაქრფინა მასალები არაბ პოეტზე.

„ქართული ეტოუდი“ ქართი ხალხის ისტორიის, ლიტერატურისა და თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ვრცელი ნაჩვენეია. პატრივისციმისა და მეგობრობის გრანობით გეაცნობს ავტორი ქართი ხალხის წარსულსა და აწუმოს, უძველეს და უახლეს ლიტერატურას, თანამედროვე თხილისეღ ქურო პოეტებსა და მათ მთარგმნელებსაც კი.

„ქართული ეტოუდი“ ვაცილებით მოიგებდა, რომ მისში ავტორს შედარებით უფრო გააზრებულად და შეჭვიდრობებულად წარმოედგინა თხილისტური ქართული პოეზიის ნიმუშები.

„ბოლოთქმა“ კრებულის გვირგვინია, „მთვარის ღვთაების დღის“ მრავლისმთქმელი დსასრული და ამასთან ფილოსოფიური და პოეტური პროზის მშვენიერი ნიმუში.

„ბოლოთქმა“, ისევე როგორც „წინათქმა“ და კრებულში მთმომანტული ავტორისეული ლექსები ავტორის უტუეარ პოეტურ პოტენციალზე მერუველებენ, ხოლო კრებულის საუეუფესო წერილები კი იმაზე, რომ ჭეშმარიტი პოეტი პროზაშიც პოეტად რჩება.

მეტაფორული, ხატოვანი აზროვნება მწერალ ვლ. ალფენიჭის შემოქმედებით ხელწერას წარმშართილელი ძალა. სწორედ აქედან იღებს სათავეს კრებულის უდავო ღირსებანი და მცირეოდენი ნაკლიც.

გატაცება მერაფორებით, ხატოვანი აზროვნებით მთმინაა განართლებული, როცა სათქმელი ამას იმსახურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მეთახველს აბნევს, უტრადლებას უფუნტავს, აღიზიანებს.

პუბლიცისტის და კრიტიკოსის ნაშრომში ლამაზად თქმის და მხოლოდ კარგის [ქ] თქმის სტრუვილი არ უნდა ავარებდეს [ფუფუ] [საფუ] [ქ] ქმულს.

„ზომა — ფილოსოფიური კატეგორიაა. ზომიერების გრანობა ესთეტიკური ფენომენია“ — აღნიშნავს „ბოლოთქმაში“ ავტორი. სახედნიეროდ, ზომიერების გრანობა მას იმეითად ღალატობს.

„მე მხოლოდ ის ვიცი, როცა სტვას ვახსიანებთ, — წერს ალფენიჭე — საეუთარ თავს ვახსიანებთ. კრიტიკაც, ისევე როგორც პროზა, პოეზია, ღრამატურია, სტვა არაფერია თუ არა თვითგამოხატვის საშუალება“.

„მთვარის ღვთაების დღით“ ავტორმა დაგვიხსიათა საეუთარი თავი, როგორც კულტურისა და ლიტერატურის მოამავემ, ჭეშმარიტმა ერისკაცმა და მამულთმეღმა, პატრიოტმა და ინტერნაციონალისტმა.

ამ კრებულთ იგი მეთახველის წინაშე წარსდგა, როგორც ლიტერატურთმეოდენე, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. მან ვაგვახარა ფართო ერუდიციით აზროვნების სიღრმით, კვლევის უნართა და შემოქმედებითი ენერგიით. და თუ ზოგჯერ ლიტერატურთმეოდენე და კრიტიკოსის პოეტი ვლ. ალფენიჭე სძლევდა, ამში არაფერია დსაძარბაბი, რადგან კუთილშობილი სიბოლოთ მიხანი ნათლად იგრანობა და ეტვის არ იწვევს.

ვლ. ალფენიჭე რამდენიმე წიგნის ავტორია. „მთვარის ღვთაების დღე“ ნათლად მერტყელებს, რომ მას შემოქმედებითი სიმწიფის ხანა დაუდგა.

ამ წიგნში, რომელიც თემატიკის მშრიე, მეტად მრავალფეროვანია, ვამონდა ავტორის ერუდიციასთან ერთად, მასალის საფუტელიანი ცოდნაც.

გივი ხნიკვიციანი

„და იყო ძალი, სახელად თამარ“

ქართლის ცხოვრება მუდამ იყო გადაუღობილი აღმოსავლეთის ცხოვრებასთან და აღმოსავლური წყაროების აუცილებლობას საქართველოს ისტორიისათვის, ცხადია, არა სწირდება მტკიცება. საეპარისთა ვადავიკითხთ ივანე ჭავჭავაძის „საქართველო ერის ისტორიის“ ის ადგილები, სადაც აღწერილია ჭალაღდინის შემოსევები საქართველოში და უმაღლეს მოგვხედება თვალში, რომ დიდი ქართველი მეცნიერი, ძირითადად, ეყრდნობა ხეარაზმელი ისტო-

რიკოსის მუშავედ წესევის ცნობებს. ანალოგიური მავალითება ცოტა როდია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

რასაკვირველია, აღმოსავლურ წყაროებს ახასიათებს გარკვეული ტენდენციურობა, მაგრამ მეტლევარის ვალიც სწორედ ისაა, რომ ჭეშმა ზამორეცხოს ჭეშმარიტების მავალლო ოქროს და აღდგინოს წარსულის თბიეტური სურათი, რომელიც თამაზად დიუქრის ადგილს მეთახველის ცნობიერებაში, სულურთაა — თამოსა-

წონი აქნება იგი თუ შწარე სიშართლის მდლადღებულა.

ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა ქართული აღმოსავლეთმცოდნის ვია ბერძნის ნაშრომი „მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში“ (იბ. კრებული „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, წიგნი I, რედაქტორი ვ. გამაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამოცემულა „მეცნიერება“, თბ., 1976).

მეღეუვარი თავის ნაშრომის შესავალში აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიისათვის სახელისხმო მასალების შემეცეული არაერთი აღმოსავლური წერილობითი წყაროა დღეისათვის მიეღეუული, გამომზებრებელი და შესწავლილი ქართული ორიენტალისტების მიერ, მაგრამ ჭრ კიდევ მრავლად მოიხიუება ზელნაწერი თუ უვე დასტამბული აღმოსავლური წერილობითი ძეგლები, რომელთა ფურცლებზე განხეული მასლა საქართველოს შესახებ ან ფრამენტულადაა ასახული ან საელებით უცნობაა ზეგნს სიმეცნიერო ლიტერატურაში.

სწორედ ამ უკანასკნელთა რიგს განეუფენება XII-XIII სს. მიწანზე მოღეაწე სპარსელი მემტრანის იბნ ისფანდიარის თხზულება „თარიხ-ტაბარისტან“ („ტაბარისტანის ისტორია“). გ. ბერაძე დაწერილებით გეაცნობს იბნ ისფანდიარის ცხოვრებისა და მოღეაწეობის უმთავრეს მომენტს, მისი თხზულების კომპოზიციურ აღნაგობას, შემონახულ ზელნაწერებსა და არსებულ გამოცემებს („თარიხ-ტაბარისტანის“ სრული სპარსული ტექსტის პირველი და დღემდე ერთადერთი გამოცემა განახორციელა ცნობილმა ირანელმა მეცნიერმა აბას იკბალმა 1941 წელს, თეირანში. ეს პუბლიკაცია ეურდნობა თხზულების ყველაზე ადრინდელ ზელნაწერს, დათარიღებულს 1570 წლით).

იბნ ისფანდიარის თხზულებაში სულ საშიოდ ცნობაა საქართველოს შესახებ, მაგრამ ირეყენა, რომ მათი ღირებულება ძალზე თვალსაჩინოა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-გეონომიური ისტორიისათვის.

პირველი ცნობა გეხედება თხზულების იმ მოაკეუთროს, სადაც ასახულია ტაბარისტანის მთავრის არღამირ იბნ ჰანანის (1172-1206) დიპლომატიური ურთიერთობა მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან.

სპარსელი მემატიანე თედაპირეულად მოგეითხრობს „ეღონობათა უწვეუტ მრავალგნისობას“ არღამირისა და ძლეუამისილ ზეარაშქმამ თექემს (1172-1200) შორის, შემდეგ კი მოკლედ ეხება დიპლომატიურ კონტაქტებს ევრატიე-სირიის სულტან სალადინთან და ბაღდადის ხალიფასთან. ამას მოხდევს ჩამოთვლა სხვადასხვა ხელმწიფე-მთავართა, რომლებიც ეღებებს გზაენდინენ ზენებელი არღამირის კარზე. ესენი

არანა ვრავის უკანასკნელი ხელნეუიანი სულტნები, არან-ახრეზაიჯანის ათაბეგენს, შამსადინიერი სამეაროს ორი ყველაზე „წმინდმა“ ქალაქის მექს და ზედინას ამირები, ხლათის მფლობელი, შირვანისა და დერბენდის გამგებლები და სხვანი.

სწორედ მათ რიგში, მაგრამ მათგან ფრად გამორჩეულად არის დასახელებული საქართველოს მეფე თამარი. იბნ ისფანდიარი გეაუყუებს: „და იგი ქალი, სახელად თამარ თიბლისის და საქართველოს ხელმწიფე, რომელიც ლაშქრადეა ვანქასა და არანის სახელმთბეზ როგორც ნიზამი ვანქელი არანისა და ახრეზაიჯანის ფადლშას ამირ აბუ ბაქრს შამართავს, მათი: „მან თითისტარია შუბად აქცია და ჩენე კი შუბი თითისტარად — შენს გამოჩენამდე, შუბს რომ წარმართავ (აწვერებ) ქართველს“ (ნუ გეიკვირდებათ თამარის მოხსენება თბილისის ხელმწიფედ. საქმე ისაა, რომ შამსადინები ოთხი საუკუნის მანძილზე თავის მფლობელობაში მოქცეულ თბილისს შამსადინურის სამეაროს ნაწილად მიიჩნევენ).

იბნ ისფანდიარის თხზულებიდან დამოწმებული ცნობა უდიდეს ინტერესს იწვევს. მართოს რად ღირს, რომ მიეღეუულია სახელოვანა ახრეზაიჯანელი პოეტის ნიზამი ვანქელის ჩვენთვის უცნობი სტრეონები, რომელიც ხოტბას ასხამს თამარს. „მან თითისტარი შუბად აქცია... შამსადინი მეგონის ამ სიტყუებში გეშობატული გეოცება და აღტაცება ქართველი მეფე-ქალის პიროვნებით უშუალოდ ეხმანება ქართული საისტორიო და მხატვრული ძეგლების მტკიცედ ჩამოყალიბებულ შეხედულებას თამარის შესახებ. ამასთან ერთად, როგორც აღნიშნავს გ. ბერაძე, ციტირებულ მათი, რომელიც აღბათ რომელიღაც ვრცელი ღქისის ფრამენტია, მხოლოდ იბნ ისფანდიარის თხზულებამ შემოინახა და სხვა მასალებში (პოეტის „ღეივანის“ ნუსხები, სხვადასხვა „თეზქერეები“) არაა ფიქსირებული. სამაგიეროდ ცნობილია, რომ იმვე აბუ ბაქრს ზეოღენე ნიზამიმ პოემა „ისტანდერ-ნამეს“ მეორე ნაწილი და ერთი კასიდა.

მეღეუვარი ხანს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენს წინაშე თვით თამარისავე ეპოქაში მოღეაწეუ სპარსელი მემატიანის მსყრობა საქართველოს ხელმწიფე — ქალზე (იბნ ისფანდიარის თავის თხზულება დაესრულებია 1217 წელს), თამარ მეფის სახელით მოხსენიების სულ რამდენიმე შემთხვევაა აღმოსავლურ წყაროებში და მათ შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია იბნ ისფანდიარის მოწმობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე წყაროში მითითებული ფაქტი განჯა-არანის დალაშქრების შესახებ (1184-1191 წლებში), რასაც აქამდე მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსის მხედვეთი ვიცნობდით.

გ. ბერაძის დასკვნით, ზემოთ დამოწმებული ცნობა ძალზე საყურადღებო მასალას გეაწევის

ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის. „თარხნი-ტაბარისთანის“ მონაცემებიდან ცხადდებიან ტაბარისთანის სამთავროს ფართო დიპლომატიური ექსპანზიები და მათი სისტემატური ხასიათი, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე არტუთ ვრცელ პროვინციის პოლიტიკურ პარტიკიპაციას წყაროში დასახელებული მამადიანური სიძვარის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო. ხოლო თამარ მეფის სხვათაგან გამორჩეულად მოხსენიება და თბრობა მისი საქმეებისა აშკარად მივიჯივითებს, თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში საქართველო.

ხეარაზშმაჰსა და ტაბარისთანის მთავარს შორის დამყარებულმა მოვერბომა (არღმირი სიძე ვახდა თექვესისა) საგრძნობლად ვაზარდა ამ პროვინციის მნიშვნელობა საერთაშორისო სარბიელზე. ტაბარისთანის მთავარი ერთგვარი შეამავლის როლს ასრულებდა ხეარაზშმაჰის დიპლომატიურ ურთიერთობაში „დასავლეთის ფადოშაქებთან“, მის ძლიერებას უწყველად პრობავნდა და მისი სახელით მოქმედებდა. აქედან ვამომდინარე მველევარი ასკენის, რომ თამარ მეფის მიერ ელჩების წარგზავნა არღმირის კარზე, რასავიერვლია, თვით ხეარაზშმაჰთან ვარკვეული ურთიერთობის ფორმას წარმოადგენდა. მამსადაშე, ტაბარისთანის სამთავროსთან არსებული დიპლომატიური კონტაქტები ამავე დროს მივეითებენ საქართველოსა და ხეარაზშ შორის ურთიერთობაზე XII საუკუნის მიწურულში (ხენებულ ფაქტს მივეანიშნებდა მხოლოდ ქართული წყაროს ლაკონური მოწმობა და ისიც გიორგი III-ის მეფობის წლებს ეხებოდა.)

გ. ბერაძე შენიშნავს, რომ ტაბარისთანის სავიროვანომიური ფელსაზისით ერთობ შნიშნელოვან რევიონს წარმოადგენდა კასპიის ზღვის სანაპიროზე და ამითვე მიზნადვდა აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად ჩაბმულ საქართველოს სახელმწიფოს შესვერთა უტრადლებას. იმის ისფანდიარის ვეორე ცნობა ადასტურებს ამ მოსაზრებას. ირკვევა, რომ არღმირის მიერ ხეარაზშმაჰთან ვავაზინილი ძვირფასი ძღვენი, სხვათა შორის, შეიცავდა „თბილისურ ქსოვილებს“. ისინი საკმაო რაოდენობით უნდა ჰქონოდათ ტაბარისთანში, რადვანაც საბალნეებით ვაუჯეანობა ხეარაზშს. თბილისური ქსოვილები დასახელება ზღმწიფურ ძღვენიში, საყოველთაოდ აღიარებულ და ფართოდ ვაჭრელებულ ბიზანტიურ და ბალადურ ქსოვილთა ვეერდით, საქართველოს დედაქალაქში დამზადებული საფეიქრო ნაწარმის სავერთაშორისო პრესტიჟის მვერშეტველ საბუთად მიანიდა მველევარს.

იმის ისფანდიარის მესამე ცნობა საქართველოს შესახებ შედარებით შერთალია და ვადმოგვეცეს საქართველო-ბერბაქიანის პოლიტი-

კური ურთიერთობის ერთ ეპიზოდს (XII საუკუნის დამლევა). ხენებულ ამბავს ვეცნებოდეთ ვერკლად მოვეითობონ ქართველებს და არაბი მემბტიანე აღ-ქესანი. იღონდ. სპარსულ წყაროში კიდეც ერთხელ არის აღნიშნული თამარ მეფის სახელი (აღ-ქესანი შოისხინავს „ქართველთა დედოფალს“ სახელის მიუთითებლად).

გ. ბერაძეს მვენიერად აუმეტყველებია სპარსული წყაროს ძენწი ცნობები. დიდი ერთდებითა და ზენსი ანალიზის უნარით აღქვივილი მველევარის კალამმა იმის ისფანდიარის რამდენიმე სტრიქონი ვადაქვიდა საქართველოს ისტორიის ახალ ფურცლებად, რომლებიც კიდეც უფრო ამდიდრებენ ზენს წარმოდგენას მოცემული ეპიოდის შესახებ.

სავანებო ყურადღებას იმსახრებს საირეწიზო ნაწარმის დართული შენიშვნება. ეს მხოლოდ ბიბლიოგრაფიული ნუსხა როდი ვახლავთ, არამედ — ნაწარმში აღძრულ საკითხებიდან ვამომდინარე უღარესად მოზანშეწონილი წილსელანი, ირკვეულად რომ შერწყმია ნაწარმს, თითქოსდა ნყოფით დახენწლელი მსხელი ტრბეტი ვაუბარვლავს ხეს ყოველი მიმართულებით.

ზოვიერთი შენიშვნა დამოუკიდებელ წერილსაც კი წავავს — მავალითად, 53-ე შენიშვნა „თბილისური ქსოვილების“ შესახებ იმის ისფანდიარის ცნობის ვანიშნისას, მველევარი შენიშნავს, რომ XII-XIII სს. საქართველოს ქალაქებიდან მამადიანური აღმოსავლეთის ქვეყნებში საფეიქრო ნაწარმისა თვ ნედლეულის ვატანის ფაქტები აღრეც ყოფილა აღნიშნული საეკიადურ ლიტერატურაში, ხოლო კონკრეტულად თბილისთან დაკვიშირებთ ზენლეუბრავ იმიწმებენ ზოლმე არაბი ავტორის ალაზინის ინფორმაციას თბილისიდან ბამბის ექსპორტზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. გ. ბერაძე წერს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამვეებული შეცდომა ვამოწვეულია ბ. დორსის მიერ ვამოყენებულ ზენსაწერში მოცემული არასწორი წაკითხვის შედეგად. ხოლო ფ. ეიუსტენფელდისეული ვამოცემის მიხედვით ირკვევა, რომ თბილისიდან ვაქქონდათ არა ბამბა, არამედ ხის ვანსავთურბული ვინი („ხალანა“), რომლის მტკიცე და არმოხტული მსალისავან მზადდებოდა საუვეთესო ავეცი, ხის მტრეული და სხვ. მველევარის მოხმობილი აქვს წყარობისა და ლიტერატურის ფართო წრე „ხალანას“ ვაჭრელებისა და ვამოყენების შესახებ.

ასევე საგელისსზოა 49-ე შენიშვნა, სადაც გ. ბერაძე უტრადლებას ამხვილებს „ვეფხისტყაოსანში“ ირკვერ ნახსენებ ხეარაზშულ აბჯარზე („ტატითა მითთა სიმაღლ, აბჯართა ხეარაზშელობა“; „კაცსა და ცხენსა ეზოსა აბჯარი ხეარაზშელთა“). რესთველოლოგიურ ლიტერატურ-

რამი აღნიშნულია, რომ ხეარაზმელი აბჯარის ხსენება იმდროინდელი რეალური ვითარების არადაკლებად ნათელდება — რუსთაველის ეპოქაში ხეარაზმელი აბჯარი ანუ იარაღი განთქმული უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს შესანიშნავად ადასტურებს სარეცენზიო ნაშრომში მოკლედ მითითებული ფაქტები სათანადო წყაროებიდან იმაზე, რომ ხეარაზმიდან შეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში დიდი რაოდენობით გაქონდათ ზღლები, მშვილდისრებო, ფარი, მუზარაღი და სხვ.

გ. ბერაძის შიგრ უხედა დამოწმებული წყაროები და გამოკვლევანი, აღბაა, გაცილებით

ერცელ ნაშრომსაც დაამშვენებდა. სოკოვრ მოგებენება კიდევ, რომ შევლევებში [ფაქტები], არასადასტურებელი ტვირთი უმჯობესად მხატვრულად. მაგრამ ნაშრომს დართული შინაარსიანი შენიშვნები და ამა თუ იმ საკითხის ამოწმურავე ბიბლიოგრაფია, შესაძლოა, ორიენტირად გამოდგეს სხვა შევლევართათვის. შიდაობის შეტი რა გვეთქმის, როდესაც ყოველი საქმე, დიდა იქნება თუ შვირე, შეისისხლზორცებს პოეტის უკვდავ მოწოდებას: „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძველე ვზისა ვაუადვილდემ“...

ზ. ხანაზაძე



3360 80 333.


ИНДЕКС
76128
308-41101333

„МНАТОбИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ